კვირის პალიტრა

ალია

N45 (439) 6/XI-12/XI.2008
ფასი 80 თეთრი

1168
2008

ჯონ ლენონი საქართველოდან და კახური რთველი შტატებში

საიდუმლო, რომელსაც მაკა ზამბახიძემ ფარდა ახადა

ჭირვეული მეზობლები

ვინ შემოახია მიშა ანდღულაძეს მაისური

ვის ებრძვის მარინა ბერიძე

„....ყველამ ერთად გავაკეთოთ ეს სახლი“

იხ.გვ. 15

„ზაკონიკების“ ცნობილი ადვოკატი ლედი ტუკვაძე

იხ.გვ. 19

ISSN 1987 - 5029

ბიბა ლორთქიფანიძე – ჩუნიგანად ქცეული დაჩაგრული ბიჭი

იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433

დეკორატიული საღებავები
და ბათქაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Façade DIVISION OIKOS

OIKOS

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲘᲐᲛᲔᲜᲢᲘ
ᲒᲖᲐ
№45 (439)
6 - 12 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 2008 Წ.
ᲤᲐᲡᲘ 80 ᲗᲗᲘᲗᲠᲘ

ᲡᲮᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ

ᲯᲐᲓᲝᲜᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ,
ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ,
ᲛᲝᲛᲔᲚᲘᲡ ᲧᲝᲜᲓᲠᲔᲑᲘᲗᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ
ᲓᲐᲮᲡᲜᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ.

ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ

■ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲢᲝᲠᲘ
ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲙᲐᲜᲡᲘᲔᲑᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲜᲣ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲓᲐᲜᲔᲑᲘ“ 5
■ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ
ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲘᲐ 6
■ ᲐᲥᲪᲘᲐ
„ᲗᲣ ᲥᲐᲚᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲨᲚᲐ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲢᲐᲜᲡ“ 7
■ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ
ᲕᲘᲜ ᲨᲔᲛᲝᲐᲮᲘᲐ ᲛᲘᲨᲐ ᲐᲜᲓᲚᲣᲚᲐᲫᲔᲡ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲡ ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ 10
■ ᲝᲙᲣᲞᲐᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔ
ᲠᲣᲡᲘ ᲡᲔᲠᲭᲐᲜᲢᲘᲡ „ᲐᲚᲡᲐᲠᲔᲑᲐ“ 13
■ ᲗᲘᲜᲔᲘᲯᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲜᲢᲔᲑᲘ
✓„ᲨᲔᲜᲘ ᲫᲛᲐᲠᲘ ᲡᲘᲑᲠᲐᲚᲣᲚᲡ ᲐᲠ ᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ“ 16
✓„ᲡᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲝ ᲡᲫᲔᲡᲐᲓ ᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲛᲝᲓᲣᲠ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ“ 17
■ ᲓᲐᲘᲯᲔᲡᲢᲘ 18
■ ᲗᲔᲛᲐ
✓ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘ — ᲕᲔᲜᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲛᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲖᲔ ᲞᲘᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲐ ᲨᲔᲣᲙᲔᲗᲐ 20
✓ᲯᲝᲜ ᲚᲔᲜᲝᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ 22
✓ᲙᲐᲮᲣᲠᲘ ᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲔᲜᲡᲘᲚᲕᲐᲜᲘᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲨᲘ 23
✓„ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲢᲐᲚᲐᲜᲢᲔᲑᲘ“, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲨᲕᲘᲓᲔᲣᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲛᲐᲜᲐᲞᲔᲢᲔᲜᲖᲔ 24
■ ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ 26
■ ᲘᲛᲘᲯᲘ
ᲠᲐ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲔᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲐᲙᲐ ᲖᲐᲛᲑᲐᲮᲘᲫᲔᲡ 26

„ᲛᲡ „ᲠᲐᲦᲐᲪ“ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲣᲠᲠᲔᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ“

„ᲔᲠᲣᲓᲘᲢᲘᲡ“ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘᲐ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲖᲣᲠᲐ ᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲛᲐᲡ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲡᲘᲜᲐᲜᲣᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲐᲨᲘᲪ ᲛᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ.

ᲯᲝᲜ ᲚᲔᲜᲝᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ



ᲜᲘᲣ-ᲝᲠᲚᲔᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ, ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲡᲐ ᲗᲣ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ ᲰᲒᲐᲕᲡ ᲚᲔ�გᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲡ — ᲯᲝᲜ ᲚᲔᲜᲝᲜᲡ.

— ᲜᲣ ᲔᲫᲔᲑ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲐᲖᲔᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲥᲕᲡ. ᲙᲚᲐᲕᲔᲜ ᲛᲒᲠᲔᲑᲡ. ᲛᲔ ᲙᲘ ᲨᲔᲜᲘ ᲛᲒᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲕᲐᲠ... ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲑᲝᲑ: ᲛᲔᲒᲖᲣᲠᲘ ᲐᲠ ᲮᲐᲠᲝ!.. ᲐᲠ ᲕᲐᲠ ᲒᲐᲛᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲘᲗ ᲨᲔᲜ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲒᲘᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐᲗ. ᲐᲡᲔ ᲗᲣ ᲘᲡᲔ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲩᲐᲒᲘᲧᲕᲐᲜᲗ ᲪᲘᲜᲡ.

— ᲛᲔᲒᲖᲣᲠᲘ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲕᲘᲜ ᲮᲐᲠ ᲓᲐ ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲔᲙᲔᲓᲚᲔ? — ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝ ᲛᲣᲠᲝᲩᲘᲛ.

— ᲐᲑᲐ, ᲠᲐ ᲒᲘᲗᲮᲠᲐ... ᲕᲘᲜ ᲕᲐᲠ, ᲛᲔᲪ ᲐᲦᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ, — ᲐᲛᲝᲘᲗᲮᲠᲐ ᲨᲘᲛ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

■ გემოვნება
როგორ ტრუსს ანიჭებს უპირატესობას ჯიჯი რეჯინი და ქალად დაბადების შემთხვევაში ვის მიუბაძავდა 28

■ ერუდიტი
„ეს „რაღაც" პოეზიის მოყვარულებისთვის სიურპრიზი იქნება" 30

■ ჯანმრთელობა
მშვიდი ძილი 32

■ ქურნალი ქურნალში
✓ ცხოვრება 35
✓ გზავნილები 51

■ ჩემი ცხოვრების გზა
ხელიგნად ქცეული დაჩაგრული ბიჭი 67

■ რომანი
სვეტა ქვარაცხელია.
სხვისი ოცნების ქალი (გაგრძელება) 70

■ ბაიმ-აუტი 74

■ საკითხავი ქალებისთვის
✓ კიდევ უფრო გავლამაზდეთ... 76
✓ პარმონია ურთიერთობებში 76
✓ ფერი და ბავშვის ხასიათი 77

■ არაჩვეულებრივი გამოფენა
„რიგითი საჩხერელი" ბიჭებისა და გოგონების ტრაგედია და სიხარული 78

■ კრიმინალი
ტყუპისცალის ნაცვლად მოსახდელი ცხრანწლიანი სასჯელი 80

■ ნამდვილი ამბავი
იმერული მგზავრული 82

■ ისტორიული რომანი
გოჩა მანველიძე. დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი (გაგრძელება) 83

■ კოლეგა
„თუ გინდა, ცხოვრება შეიგრძნო, უნდა დალიო ლუდი და მოუსმინო ბოშურ სიმღერებს"... 90

■ სინდინდეები
ღვთისმშობლის ხატი — „დაშრიტე მწუხარება ჩემი" 92

■ ვარსკვლავები 94
■ ავგო 95
■ სკანეორდი 96
■ ტესტი 97
■ პროგნოზი 98

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა"
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში": 37-76-07; 38-78-70.

კახური რთველი ჰენსილვანიის შტატში

„ჩვენ, ქართველებმა კახური რთველი მოვაწყვეთ. ეს იყო ნამდვილი მონატრებული დღესასწაული: ყურძნის კრეფა, დაწურვა, ახალი მაჭარი, ჩურჩხელების ამოვლება, ქართული სუფრა, სადღეგრძელოები და ცეკვა-სიმღერა".

23

როგორ ტრუსს ანიჭებს უპირატესობას ჯიჯი რეჯინი

„ყველამ უნდა გაიგოს, რომ გემოვნებიანობა და მოდურობა აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისგან. მე შეიძლება მეცვას სრულიად უცნობი დიზაინერის შეკერილი სამოსი, მაგრამ — გემოვნებით".

28

ხელიგნად ქცეული დაჩაგრული ბიჭის ამბავი



„საბულალტრო კურსებზე მოვეწყე და იქიდან საკუთარი ნებით რომ ვაპირებდი წამოსვლას, ამ კურსების ხელმძღვანელი მივიდა დედაჩემთან და უთხრა: ხელი შეუწყვეთ ამ ბიჭს, არ შეეშვას კურსებს, მასგან კარგი ბულალტერი დადგებაო".

67



— ზაზა, ან დღეს, ან არასდროს! — პირდაპირ დამაჯახა.

ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა.

— რა დღეს, რა არასდროს...

— დღესვე უნდა მოვიტაცო, ბათუმში წავიყვან დეიდაჩემთან. დამეხმარები?

— მოიცა...

— რა მოიცა, ძმაო, ხომ მითხარი, თვის ბოლომდე დავიცადოთო. ერთი დღეღა დარჩა, გადადებას აღარ ვაპირებ, იცოდე.

— მანქანის საქმე როგორ გაქვს?

— ყველაფერი რიგზეა, გოჩა მოდის თავისი „დვადცატჩეტირეთი".

70

შევსებული ვაუბნსიები მთავრობაში ანუ

„ქართული პოლიტიკის არჩევნები და არადანები"

ამდენი სიახლე ასე მოკლე ხანში და ასეთ პატარა ქვეყანაში იშვიათად ხდება და კარგად თუ არ ვადევნეთ თვალყური, შეიძლება, ისე ჩამოვრჩეთ, რომ ყოფილი მინისტრის ყოფილი მინისტრი ჯერ კიდევ მინისტრი გვეგონოს ან, გუშინ რომ მეზობლის ბავშვი არითმეტიკული ამოცანის ამოსახსნელად შემოდიოდა, დღეს უკვე პარლამენტის საბიუჯეტო ანგარიშებით მოგადგეს. ასეა, მუდმივ გადახალისება-განახლებაშია მთავრობა და მალ-მალე იცვლება, რომ თითოჯერ დეპუტატობა ან მინისტრობა ყველამ მოვასწროთ.

აბა, რისთვის შეიცვალა მინისტრთა კაბინეტი?! რა სჭირდა რომელიმეს შესაცვლელი?! მაგრამ რიგში ვართ ხალხი და გვეჩქარება — რიგში დგომა არ გვიყვარს ქართველებს. თანაც, რამდენი ბავშვიანია და რამდენი ორსული, იმათ რიგში ხომ ვერ დავაყენებთ?! ჰოდა, იცვლება და იცვლება მთავრობის შემადგენლობა წარამარა: ზოგი ვერც ასწრებს სავარძელთან შეგუებას, ადგომა და წასვლა უწევს, ზოგს უფრო უმართლებს და ადგება, მაგრამ სხვა სავარძელში გადაჯდება, ზოგიც ისე მყარად ზის, რომ კარგა ხანს არ ადგება და ა.შ.

მოკლედ, ბრაზილიური სერიალივითაა, რა: იუსტიციის მინისტრი რომ გვეგონა, გენერალური პროკურორი ყოფილა; გუბერნატორს გარემოს დაცვის სამინისტრო „ნაყვარება"; ნამინისტრალი დეპუტატი ბოლოს მაინც მინისტრი აღმოჩნდება; ამაზე გადაირევა სილვია ჩიხრაძე და გრძელდება ასე 500 სერია...

ყოველ შემთხვევაში, ახალი მთავრობა — ახალი სახეებია და ხალხსაც აინტერესებს, ვინ არის ის უკეთესი, ასე ნაქები მინისტრი რომ შეცვალა. მერე აღმოჩნდება, რომ თალიკოს მაზლიშვილი ყოფილა და ვენერას მულიშვილს როგორ ეტყვის უარს სამსახურზე?! თან, განსაკუთრებული კი არაფერი უნდა — ერთი 2.000 დოლარი რომ ჰქონდეს ხელფასი და პატარა რესტორანი რომ ჩაადგმევინოს სადმე ლესელიძეზე — აბა, როდემდე იდგეს ქუჩაში? დაიტანჯა ბიჭი — ხან იარაღი უპოვეს და ხან — წამალი!.. ბოლოს დაასკვნიან, — არ დაგვეხმარა, არ ჰყვარებია ნათესავებიო, — და გაბრაზებულები, მიტინგზე გამოვლენ, თალიკოს კორუმპირებული (ანუ — ნათესავები რომ არ უყვარს) მაზლიშვილის გადადგომის მოთხოვნით... მერე მის მაგიერ, სხვა მოვა და ასე, ნელა, მაგრამ მაინც მიიწევს რიგი წინ.

მე თუ მკითხავთ, მინისტრობას, პარლამენტის წევრობა სჯობია: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ოთხი წელი გარანტირებული გაქვს სამსახური; მეორეც — დეპუტატობა უფრო იოლი მისაღწევია. ხომ ხედავთ, ისეთებმა მიაღწიეს, რომ თვითონაც უკვირთ და მთელი ოთხი წელი გაუკვირდებათ. შენ თუ არ ადგები და არ იტყვი, წავედიო, გაგდებით ვერავინ გაგაგდებს. ერთი ფრაქცია არ მოგეწონება, სხვაში გადახვალ — რა, არ მიგიღებენ თუ?..

ერთი სული მქონდა, როდის მოვიდოდა შუალედური არჩევნების დღე — 3 ნოემბერი, რომ ეს პოლიტიკური რეკლამები დამთავრებულიყო ყველა ტელეარხზე. ექვსი ისეთი გულანთებული პატრიოტი იბრძოდა თბილისის ორი უბნის მაჟორიტარობისთვის, რომ ვაკე და დიდუბე შემეცოდა. ძველი სახეებიც ვიცანით და ძალიან გაგვიხარდა: კაცო, ჩვენ გვეგონა, მარტო ბოლოკა გადარჩა და ამას გვიმალავდით?!. ან, ჯერ კიდევ გაგანია კომუნისტების დროს, კაპიტალისტური „როლინგების ინსტიტუტის" დამმკვიდრებელი და მერე განათლების მინისტრი რატომ იდგა აქამდე ჩრდილში?!

ასეთი ხალხი გვყოლია გარეთ და ახლა გაიძახით, ამომრჩევლის დაბალი აქტიურობა იყოო?! ორშაბათ დღეს ხალხი ისეთ „პახმელიაზეა", რომ სამსახურშიც ვერ მიდის, ხელფასის ასაღებად და არჩევნებზე მივიდოდა?! თუ მაინცდამაინც ორშაბათი გინდოდათ, მაშინ უნდა აგეღოთ პირდაპირი ეთერი, დუტა და — მისი ჯანი: არც ცესკო უნდოდა და არც ეგზიტპოლდამკვირვებლები — „ესემესების" რაოდენობით გადაწყდებოდა ყველაფერი და აქტიურობაც ბევრად მაღალი იქნებოდა, ვიდრე 12%. გაყალბებასაც აიცილებდით და შედეგებიც იმ დღესვე გეცოდინებოდათ. თუმცა შედეგები თქვენ შეიძლება, იმ დღესვე კი არა, წინადღესაც კი იცოდით, მაგრამ ჩვენც ხომ გვინდა ვიცოდეთ, ვინ არის ჩვენი მაჟორიტარი და ვისი უკმაყოფილო ვიყოთ, უბნის პრობლემების გამო?! ყველაფერზე მართლა პრეზიდენტის გადადგომას ხომ არ მოვითხოვთ!

ახლა კეთილი ინებეთ და ექვსივე შეუშვით პარლამენტში. დიდუბე და ვაკე დიდი რაიონებია და გარწმუნებთ, სამ-სამი მაჟორიტარიც ვერ მიხედავს, არათუ თითო...

იქით, აჭარაში ჩააგდო ორშაბათმა არჩევნები! 35% რა მაჩვენებელია?! დაგენიშნათ ზაფხულში და აჭარის კი არა, საქართველოსა და სომხეთის 35% მიიღებდა მონაწილეობას. მერე რა, რომ იქაურები არ ვართ?! ჩვენც გვაინტერესებს, ვინ იქნება აჭარის მთავრობაში და რა ეღირება ზაფხულში „კოიკა", სიმინდი, ბაქლავა და საერთოდ, რა კანონს მიიღებს ადგილობრივი მთავრობა, მედუზების გახშირებულ მიგრირებასთან დაკავშირებით.

p.s. თათბირი ცესკოში:

— რა შედეგები გვაქვს უბნებზე?

— დაბალი მაჩვენებელია — 12%.

— მოგვიგია და ესაა!

— როგორ?

— როგორ და ოპოზიციური კანდიდატების მხარდამჭერები მივიდოდნენ მხოლოდ. აბა, ჩვენებმა კი იცოდნენ, მოუსვლელადაც რომ მოვიგებდით. ანუ ოპოზიციას მხარს უჭერს 12%, მთავრობას კი — დანარჩენი 88%.

პროპოკატორი

პატრიარქის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია



რამდენიმე დღის წინ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს გერმანიაში, ბერლინის ერთ-ერთ კლინიკაში გულის სისხლძარღვების სტენტირება გაუკეთეს. როგორია დღეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ამის გასარკვევად საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელს — მამა დავითს (შარაშენიძე) დავუკავშირდით.

— ამჟამად პატრიარქი თავს როგორ გრძნობს?

— ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ჩვენ მასთან ხშირად გვაქვს სატელეფონო საუბარი. თავს მხნედ გრძნობს. იგი იტალიაში ვიზიტით იმყოფებოდა, შემდეგ რომიდან საფრანგეთში უნდა ჩასულიყო, მაგრამ ეს ვიზიტი გადაიდო. პატრიარქი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსაკვლევად გერმანიაში ჩავიდა. გამოკვლევამ აჩვენა, რომ მისთვის გულის სისხლძარღვების სტენტირება იყო საჭირო. დღეს იგი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. სტენტირება ბერლინის ერთ-ერთ კლინიკაში გაუკეთდა.

— სამშობლოში როდის დაბრუნდება?

— პატრიარქი 15 ნოემბერს უკვე თბილისში იქნება.

*ხოლო თუ რას ნიშნავს საერთოდ, გულის სისხლძარღვების სტენტირება, ამას ანგიოლოგიის სისხლძარღვთა ცენტრის ხელმძღვანელი, სისხლძარღვთა ქირურგი — **კოტე ჯიფიანი** განგვიმარტავს:*

— გულის სისხლძარღვების სტენტირება ეს რთული სამედიცინო პროცედურა არ არის. დღეს მოსახლეობის უმრავლესობას კორონარული ათეროსკლეროზი აღენიშნება ანუ ის სისხლძარღვები, რომლითაც გული იკვებება, შევიწროებულია. სტენტირების დროს კი ხდება მათი გაფართოება. ამით თავიდან ვიცილებთ ინფარქტის წარმოქმნის საშიშროებას. სტენტირება საკმაოდ ეფექტიანი პროცედურაა, ის სხეულის გაკვეთისა და ნარკოზის გარეშე ტარდება. ■

„აღარ გვინდა პრეზიდენტი, რომლის ქვეყანაშიც მუდმივი ომია“

როგორც ცნობილია, გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერები 7 ნოემბერს, პარლამენტის წინ, კვლავაც მასშტაბურ აქციას გეგმავენ. ოპოზიციის წარმომადგენლებიც და ხალხის დიდი ნაწილიც ამ აქციისთვის გულმოდგინედ ემზადებიან. სწორედ ამიტომ, მოსახლეობას მხოლოდ ერთი შეკითხვით მივმართეთ: — მიიღებენ თუ არა მონაწილეობას 7 ნოემბრის აქციაში?

ნათია ქივიძე

გიორგი ფერაძე, *ეკონომისტი, 42 წლის:*

— 7 ნოემბერს მეეჭვება, თბილისში რაიმე სახის აქცია გაიმართოს, რადგან დიდი შანსია, რომ შარშანდელი ფაქტი განმეორდეს. მომიტინგეები შეიძლება, დაარბიონ და უდანაშაულო ადამიანებს სასტიკად გაუსწორდნენ. ისე, თუ რაიმე სახის აქცია ჩატარდება, მასში მონაწილეობას მეც აუცილებლად მივიღებ. გასულ წელს მივლინებით დასავლეთ საქართველოში ვიმყოფებოდი და როცა აქციის დარბევის კადრებს ვუყურე, გული დამწყდა, იქ რომ არ ვიყავი. პირადად მე, ოპოზიციის მომხრე სულაც არ გახლავართ და დარწმუნებული ვარ, ჩემსავით ბევრი ქართველი ფიქრობს. უბრალოდ, აგვისტოს მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა სააკაშვილის სისუსტეში და მინდა, რომ ქვეყნის პრეზიდენტად ღირსეული ადამიანი ვიხილო. სიმართლე გითხრათ, არსებულ კანდიდატებს შორის არჩევანს ვერ ვაკეთებ. იქნებ გამოჩნდეს ვინმე ისეთი, ვისაც ჩვენი ქვეყანა ნამდვილად უყვარს და ვინც რუსეთთან საბოლოოდ მოაგვარებს პრობლემას, თორემ ეჭვი მაქვს, რომ ომი ჯერ არ დასრულებულა და სააკაშვილის სურვილებს კიდევ ბევრი უდანაშაულო ადამიანი შეეწირება.

ლანა ჩერქეზიშვილი, *დიასახლისი, 32 წლის:*

— ერთი სული მაქვს, როდის მოვა 7 ნოემბერი. აქციაზე აუცილებლად წავალ და ჩემს პოზიციასაც დავაფიქსირებ. დიდი იმედი მაქვს, რომ შარშანდელი დარბევის სცენა არ განმეორდება. აგვისტოს მოვლენების შემდეგ, სააკაშვილის რეიტინგი კიდევ უფრო დაეცა და დარწმუნებული ვარ, წლევანდელი აქციის დარბევას ვეღარ გაბედავს. რატომღაც, ეჭვიც არ მეპარება, რომ ამჯერად მართლა მთელი საქართველო დავდგებით ფეხზე და დასახულ მიზანსაც მივაღწევთ. არა მგონია, საქართველოში ერთი ადამიანი მაინც არსებობდეს, ვისაც კვლავ სჯერა სააკაშვილის. ჩემს ახლობლებს შორის, ბევრი ისეთი ადამიანია, რომლებმაც ხმა სააკაშვილს მისცეს, მაგრამ ახლა ამას ნანობენ. უნდა ვაღიარო, რომ თავის დროზე, მეც მისი მომხრე ვიყავი და შარშან იმ ადამიანებს ვლანძღავდი, ვინც ნოემბერში პარლამენტის წინ იდგა. ჯერ ქუჩაში, მერე კი ტელეკომპანია „იმედში“ დატრიალებულმა კადრებმა შემძრა, მაგრამ საკუთარ თავს არ ვუტყდებოდი და სააკაშვილს მაინც ვამართლებდი. აბა, სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყო-მეთქი. აგვისტოს მოვლენების შემდეგ კი საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ის ნამდვილად არ არის ღირსეული ადამიანი, რომელიც ქვეყნის სათავეში უნდა იდგეს. ის კარგი პოლიტიკოსი არ არის და საქმე ამიტომაც გვაქვს ცუდად. იმედი მაქვს, ახალ წელს ახალ პრეზიდენტთან და ახალი იმედებით შევხვდებით...

ნანა გუმბერიძე, *ბუღალტერი, 53 წლის:*

— 7 ნოემბრის აქციაში მონაწილეობას მეც მივიღებ და ჩემი ოჯახის ყველა წევრიც. დარწმუნებული ვარ, ყველა ის ქართველი, ვისაც სამშობლო უყვარს, ქუჩაში გამოვა და საკუთარ პოზიციას დააფიქსირებს. ჩვენი მდგომარეობა ერთხელ და სამუდამოდ, ხომ უნდა შეიცვალოს? აღარ გვინდა პრეზიდენტი, რომელსაც საკუთარი ერი არ უყვარს და ხალხის მოწამვლისა და ცეცხლის ბრძანებას თვალის დაუხამხამებლად გასცემს. და უამრავი უდანაშაულო ადამიანი იხოცება. არც ის გვინდა, ნახევარი საქართველო ლტოლვილად რომ იქცა. ეგ რომ ნორმალური ადამიანი იყოს, თავადვე უნდა მიხვდეს ამ ყველაფერს და სავარძელი საკუთარი ნება-სურვილით დატოვოს! ჭორები დადის, ამერიკასაც ყელში ამოუკიდა სააკაშვილის საქციელი და მალე მის პრეზიდენტობას ბოლო მოეღებაო. ღმერთმა ქნას, ასეც მოხდეს. თუმცა, არ მომწონს ის ფაქტი, ამერიკა ჩვენს საქმეში რომ ჰყოფს ცხვირს, მაგრამ რაღას ვიზამთ?! როგორც ჩანს, საქართველოს პოლიტიკაში ან რუსეთი უნდა ერეოდეს, ან — ამერიკა. რომ ვერ გაგვიყვეს, ამიტომაც დაიწყო ომი. ხომ ხედავთ,

ამერიკელები როგორი ცივილიზებული ხალხია. ბარაკ ობამამ არჩევნებში გაიმარჯვა და მისმა მოწინააღმდეგემ ეს გამარჯვება პირადად მიულოცა. კი არ გამოსულა და უყვირია, გააყალბა და მის პრეზიდენტობას არ ვცნობო. იმედი მაქვს, ამერიკელები ქართველებს ცოტა ცივილიზებულობას მაინც გვასწავლიან...

ანზორ ტურაშვილი, *მუშა, 47 წლის:*

— რა დროს 7 ნოემბერი და აქციის გამართვაა? არ გეგონოთ, ამას იმიტომ ვამბობ, რომ არსებულ ხელისუფლებას ხოტბას ვასხამ, უბრალოდ, ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ავად არის და ასეთ შემთხვევაში ქუჩაში კი არ უნდა გავდიოდეთ, ყველანი ეკლესიაში უნდა მივდიოდეთ და მისი ჯანმრთელობისთვის ვლოცულობდეთ, რადგან მას თუ რაიმე დაემართება, ეს თითოეული ქართველისთვის დიდი ტრაგედია იქნება. ამიტომ, ჯერ მთელი ერი გავერთიანდეთ და პატრიარქს მივხედოთ, მერე კი საყოფაცხოვრებო საკითხებზეც ვიფიქროთ და ღმერთი არ გაგვწირავს. სააკაშვილი რომ პრეზიდენტი არ უნდა იყოს და უნდა გადადგეს, ამ მოსაზრებას ვემხრობი, თუმცა 7 ნოემბერს ქუჩაში გასვლასა და ამ მოთხოვნის აფიშირებას ნამდვილად არ ვაპირებ. იმიტომ კი არა, რომ მომწამვლელი გაზის ან რეზინის ტყვიების მეშინია, უბრალოდ, მეეჭვება, ჩემმა მოწოდებამ რაიმე შედეგი გამოიღოს. თუ თვითონ არ უნდა, ვერანაირი აქცია ვერ აიძულებს, რომ პრეზიდენტობაზე უარი თქვას...

გურამ შიუნიაშვილი, *ეკონომისტი, 63 წლის:*

— 7 ნოემბრის აქციაში მონაწილეობას აუცილებლად მივიღებ. დიდი იმედი არ მაქვს, რომ ჩვენს მოთხოვნას სააკაშვილი ყურად იღებს და თანამდებობას დატოვებს, მაგრამ სადაც დანარჩენი ქართველები იქნებიან, მეც იქ უნდა ვიყო. სიმართლე გითხრათ, არ მიფიქრია, ამ აქციასაც შარშანდელივით დაარბევენ თუ არა. რომც დაარბიონ, მერე, რა? ვის ეშინია მაგათი რეზინის ტყვიების? მთავარია, რომ მთელი საქართველო ერთად დავდგეთ, გავერთიანდეთ და დასახულ მიზანს აუცილებლად მივაღწევთ. ასე მოვიქეცით 2003 წლის 23 ნოემბერსაც და სააკაშვილს საშუალება მივეცით, რომ საკუთარი ოცნებები აესრულებინა. როგორც აღმოჩნდა, მაშინ ქართველები ძალიან შევცდით. იმედი მაქვს, ახლა გამოცდილება გვეყოფა და ისე აღარ შევცდებით. ქვეყნის სათავეშიც ღირსეული პიროვნება მოვა. ვნახოთ, რა იქნება. ყველაფერი უფლის ნებაა... ■

„თუ ძალისმიერი მეთოდით გადაწყვიტა მანიფესტაციის დაშლა, საკუთარ თავს განაჩენს გამოუტანს"

2007 წლის 7 ნოემბერი

„კონსერვატორების", „ლიბერალისტების", ხალხის პარტიისა და „ერთიანი საქართველოს" ლიდერები 7 ნოემბრის აქციისათვის ემზადებიან და იმედოვნებენ, რომ ამ დღიდან საქართველოში ახალი პოლიტიკური პროცესები დაიწყება. მათ ოპტიმიზმს არ იზიარებენ ექსპერტები და მიიჩნევენ, რომ ხალხი, შარშანდელ 7 ნოემბერთან შედარებით, გაცილებით პასიური იქნება. მათ აზრს ემთხვევა გაზეთ „ვირის პალიტრაში" გამოქვეყნებული სარეიტინგო გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც, აქციაზე მისვლას გამოკითხულთა მხოლოდ 26% აპირებს; 40%-მა ზუსტად იცის, რომ მანიფესტანტებს არ შეურთდება, 32%-ს ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია, როგორ მოიქცევა.

ვინ გამოვა 7 ნოემბერს ქუჩაში? რას გეგმავენ აქციის ორგანიზატორები და როგორ განვითარდება მოვლენები, მომიტინგეთა დარბევის წლისთავზე? ამ კითხვებზე, ოპოზიციონერებთან ერთად, პოლიტოლოგები — გია ხუხაშვილი და რამაზ კლიმიაშვილი გვიპასუხებენ.

ხათუნა ბახტურიძე

ეკა ბესელია, *აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი:*

— 7 ნოემბერი ძალზე მნიშვნელოვანი თარიღია. საქართველოში ვინც უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ყველამ უნდა იცოდეს, რომ თუ მშვიდობიან მომიტინგეებს დაარბევს, პასუხი მოეთხოვება. სააკაშვილის გუნდმა აუცილებლად უნდა აგოს პასუხი იმ აგრესიაზე, რომელიც საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ განახორციელა.

— აქცია სიმბოლური იქნება თუ პოლიტიკურ მოთხოვნებსაც წამოაყენებთ?

— არა, მხოლოდ სიმბოლური არ იქნება. სერიოზული მანიფესტაციისთვის ვემზადებით. ჩვენ გვაქვს კონკრეტულად გაწერილი გეგმა, რომელსაც აქციაზე მოსულ ადამიანებს გავაცნობთ. სააკაშვილის ავლაბრის სასახლემდე ფეხით მივალთ და პოლიტიკურ მოთხოვნებს იქ წამოვაყენებთ.

— ამ მოთხოვნების შინაარსი როგორი იქნება?

— წინასწარ ყველაფერს ვერ ვიტყვი, მაგრამ აუცილებლად მოვითხოვთ: მასმედიის თავისუფლებას, დამოუკიდებელ სასამართლოს და დემოკრატიული არჩევნების უფლებას.

— ახლა, როდესაც ქვეყანაში კრიტიკული მდგომარეობაა შექმნილი, ფართომასშტაბიანი აქციების გამართვა სახიფათოდ არ მიგაჩნიათ?

— თუ ხელისუფლება არ გამოიცვალა, ასეთი კრიტიკული ვითარება სულ იქნება. ამ მთავრობამ პასუხი უნდა აგოს აგვისტოს მოვლენების ფატალურ შედეგებზე. რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების განხორციელებას საქართველოს ხელისუფლების არაგონივრულმა მიდგომამ და სერიოზულმა შეცდომებმაც შეუწყო ხელი. სწორედ ამ ხელისუფლების „წყალობით" დაკარგეთ ახალი ტერიტორიები, დაგველუპნენ ახალგაზრდა ბიჭები და აღმოვჩნდით ეკონომიკურ კრიზისში. თუ ახლა ხმას არ ამოვიღებთ, გამოვა, რომ ამ ყველაფერს ვეგუებით.

დავით გამყრელიძე, *„ახალი მემარჯვენეების" ლიდერი:*

— ...კი, მაგრამ 12 აგვისტოს, როდესაც თბილისიდან სულ რამდენიმე კილომეტრში რუსული ჯარი იდგა, უზარმაზარი აქციის მოწყობა, ტაშ-ფადურის გამართვა და „სარკოზი, სარკოზი"-ს ყვირილი, სახიფათო არ იყო?! ამ ხელისუფლებას როგორც მოსწონს, ყველაფერს ისე ჭრის და კერავს. 7 ნოემბერს აუცილებლად მივალ რუსთაველის გამზირზე და მშვიდობიან მანიფესტაციაში მონაწილეობას მივიღებ. თუ რაიმე ექსცესი მოხდა, ამაში მხოლოდ ხელისუფლება იქნება დამნაშავე. მე აქციის ორგანიზატორი არ ვარ, მაგრამ მიუხედავად ამისა, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არავინ გეგმავს პერმანენტულ გამოსვლებს და სადმე შეჭრას. აქცია იქნება ერთდღიანი, რომელზეც ძალადობასა და არაჰუმანურობასთან ერთად, იმ ფაქტსაც გავაპრო-

ტესტებთ, რომ დღეს ქვეყანა მძიმე დღეშია, ტერიტორიები დაკარგულია, ხალხი დაღუპულია. ჩვენი სუვერენიტეტი შეზღუდულია და ქვეყნის პერსპექტივა გაურკვეველია.

— საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ეს აქცია რუსული სცენარის მიხედვით იმართება. ასეთ მანიფესტაციაში მონაწილეობით, რისკზე ხომ არ მიდიხართ?

— რისკზე მაშინ წავალ, თუ გავჩუმდები. დღეს საქართველოს, რუსეთისა და სააკაშვილის მხრიდან ერთნაირად ემუქრება საფრთხე. ჩვენ ვალდებული ვართ, რომ ორივე საფრთხეს გავუმკლავდეთ.

სოზარ სუბარი, *სახალხო დამცველი:*

— მიმაჩნია, რომ ერთი წლის წინ ხელისუფლებამ საკუთარი ხალხისადმი წარმოუდგენელი სისასტიკე გამოიჩინა და დაარღვია მისი ყველანაირი უფლება. მე ძალადობის წინააღმდეგი ვარ და დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრება მინდა, ამიტომ 7 ნოემბერს დაგეგმილ აქციაში აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას. ჯერჯერობით სხვა არაფრის თქმა არ შემიძლია.

გია თორთლაძე, *პარლამენტის წევრი:*

— აქციაზე მისვლას არ ვაპირებ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ასეთი თარიღების აღნიშვნა არ მიყვარს, 9 აპრილსაც კი არსად გავდივარ; მერე კიდევ — ვფიქრობ, რომ ახლა ასეთი მიტინგების დრო არ არის. ევროკავშირი თვალს გვადევნებს და გვაკვირდება. საზღვართან კი რუსეთის ჯარი დგას და სულ პატარა მიზეზს ელოდება, რომ შინ შემოგვეჭრას და „წესრიგი" დაგვიმყაროს.

— ევროკავშირს მშვიდობიანი საპროტესტო აქციების საწინააღმდეგო რა უნდა ჰქონდეს?

— არაფერი, უბრალოდ, ახლა ბევრი პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი. მე აქტიურად ვარ ჩაბმული ანტიკრიზისული საბჭოს მუშაობაში და მიტინგებისთვის არ მცალია. სხვათა შორის, ამ აქციის ორგანიზატორები არც კი დამკავშირებიან.

გია ხუსაშვილი:

— მე მონაწილეობა მივიღე „ცოცხალ ჯაჭვში", მაგრამ ხელისუფლების მაშინდელ ეიფორიას არ ვიზიარებდი. ძალადობის წინააღმდეგ გამართულ აქციას ყოველთვის შევუერთდები. ჩემთვის 7 ნოემბერი პოლიტიკურ დატვირთვას არ ატარებს.

— ფიქრობთ, რომ ხალხი ისევ გამოვა ქუჩაში?

— საზოგადოების ერთი ნაწილი ჰიპნოზის ქვეშ იმყოფება და ჰგონია, რომ ომში გავიმარჯვეთ, მეორე ნაწილმა სიმართლე იცის და ღრმა დეპრესიაშია. ერთიც მძიმე ფორმაა და მეორეც. კაცმა არ იცის, როგორ და რაში გამოვლინდება ეს ყველაფერი. შეიძლება, საზოგადოებაში დაგროვილმა მუხტმა 7 ნოემბერს ამოხეთქოს, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ხალხი საერთოდ არ გამოვიდეს ქუჩაში.

— რამდენად შესაძლებელია, რომ მოსკოვმა თბილისში გამართული საპროტესტო აქცია საბაბად გამოიყენოს და საქართველოში „წესრიგის" დამყარება და ხელისუფლების შეცვლა მოინდომოს?

რამაზ კლიმიაშვილი:

— მოსკოვს სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლა რომ ნდომოდა, მაშინ შეცვლიდა, როდესაც რუსული ჯარები თბილისიდან 30 კილომეტრში იყვნენ დაბანაკებული.

— ალბათ შეცვლიდა კიდეც, მსოფლიო საზოგადოებას მოსკოვზე ზეწოლა რომ არ განეხორციელებინა...

— რუსეთს მსოფლიო საზოგადოების აზრი დიდად არ ანაღვლებს. გაიხსენეთ 13 აგვისტო: ევროკავშირის კრიტიკის მიუხედავად, რუსულმა ჯარმა გორი აიღო. რამდენიმე კილომეტრით წინ რომ წასულიყვნენ, თბილისსაც აიღებდნენ და სააკაშვილსაც შეცვლიდნენ. ხელისუფლების დიდი ნაწილი უკვე ისედაც გაქცეული იყო. ფაქტია, რომ კრემლს ამ ხელისუფლების შეცვლა არ სურს.

— მაშინ რას უნდა მივაწეროთ სერგეი ლავროვის მოთხოვნა — სააკაშვილის გადადგომის თაობაზე?

— ეს მხოლოდ ზეპირი განცხადება იყო და მეტი არაფერი. თუ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს თვალს გადავავლებთ, ვნახავთ, რომ ყველა წამყვანი ფიგურა პროდასავლური და სააკაშვილზე განწირულწირებულია. რუსეთისთვის სააკაშვილზე სასურველი, პრეზიდენტობის კანდიდატი დღეს საქართველოში არ მოიპოვება, ამიტომ მისი შეცვლა ახლა რუსეთის კი არა, საქართველოს ინტერესებში შედის.

— წინასწარი გამოკითხვების მიხედვით, საზოგადოების უმრავლესობა 7 ნოემბრის აქციაზე გამოსვლას არ აპირებს. როგორ ფიქრობთ — რა არის ამის მიზეზი?

— ამის მიზეზი ის არის, რომ შარშან პოლიციამ მომიტინგეებს სადარბაზოებამდე სდია და ხელკეტებით სცემა. ლოგიკურია, რომ ბევრი მათგანი აქციაზე აღარ გამოვა.

— ფიქრობთ, რომ ხალხი შეშინებულია?

— კი, ასე ვფიქრობ. ამ ხელისუფლებამ ორ დღეში ომი წაგვაგებინა, ტერიტორიები დაგვაკარგვინა, საქვეყნოდ შეგვარცხვინა და კიდევ ფიქრობთ, რომ ვინმეს, სააკაშვილის ხელისუფლების სათავეში ყოფნა ისევ უნდა?.. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ შორის ბევრი მშიშარაა, ბევრს კი მონის ფსიქიკა აქვს და ბატონისაგან კეტით ცემას უდრტვინველად იტანს. საბჭოთა ხელისუფლების წყალობით, საზოგადოებას შიში ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. რუსული იმპერიის დანგრევასთან ერთად, შიშის გაცნდაც გაქრა ხალხის გულიდან, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებამ ქართველები ისევ ძველ მდგომარეობაში დააბრუნა. შარშან 7 ნოემბერს ზუსტად კომუნისტური მეთოდებით დაარბიეს მომიტინგეები. იმასაც შეგახსენებთ, რომ 7 ნოემბერი კომუნისტების დღესასწაულია. ამ ხელისუფლებას კი სიმბოლოებისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება აქვს.



— თქვენ ვარაუდით, ინტელიგენციის წარმომადგენლები აქციაზე გამოვლენ?

— ინტელიგენციის დიდი ნაწილი საერთოდ, არ დადის აქციებზე. ისინი თბილ ბუხართან, საწერ მაგისთან ჯდომას არიან მიჩვეულნი. ზვიად გამსახურდია ინტელიგენციას სულ იმის გამო საყვედურობდა, რომ მიტინგებზე არ გამოდიოდნენ. ქუჩაში ძირითადად, უბრალო ხალხი გამოდის.

— როგორ შეაფასებთ იმ ფაქტს, რომ აქციაში არც საპარლამენტო ოპოზიცია აპირებს მონაწილეობას.

— სულ უბრალოდ: დღეს პარლამენტში ფსევდოოპოზიცია ზის. გია თორთლაძე ვინმეს ოპოზიციონერად მიაჩნია?.. ის დღეს მიხეილ სააკაშვილის უპირველესი დამცველი და გულშემატკივარია.

— როგორ გგონიათ — აქცია მშვიდობიანად დასრულდება?

— აქციის მონაწილეები ექსცესების მოწყობას არ აპირებენ, თავიანთ პოზიციას გამოხატავენ და მშვიდობიანად დაიშლებიან. თუ ხელისუფლება მათ მაინც დაარბევს, მსოფლიო საზოგადოების მხარდაჭერას საბოლოოდ დაკარგავს.

— ერთ თვეში უნდა გადაწყდეს, მიიღებს თუ არა საქართველო „მაპს". ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენის წინ იმის დაფიქსირება, რომ ამ ქვეყანას არადემოკრატიული ხელისუფლება ჰყავს, სასიფათო არ არის?

— თუ ყველაფერი მშვიდად ჩაივლის, ევროპული ქვეყნების ლიდერები მიიჩნევენ, რომ საქართველოში დემოკრატია მწიფდება და მეტი პატივისცემით შეგვხედავენ. მაგრამ თუ ხელისუფლებამ ძალისმიერი მეთოდით გადაწყვიტა მანიფესტაციის დაშლა, საკუთარ თავს განაჩენს გამოუტანს.

— რამდენად შესაძლებელია, რომ ხელისუფლებამ კვლავ დაიწყოს ფარული სატელეფონო მოსმენები და ოპოზიციის ლიდერების ღალატში დადანაშაულება?

— ასეთ მეთოდებს ეს ხელისუფლება მაშინ მიმართავს, როდესაც შეშინებულია. თუ ახლაც დაიწყეს ყურით მოთრეული კომპრომატების შექმნას, ესე იგი ხელისუფლება დამფრთხალია. ■

ეფექტი ფლუ
გრიპისა და გაცივების საწინააღმდეგო
ეფექტური საშუალება
პარაცეტამოლი 500 მგ
ფენილეფრინის ჰიდროქლორიდი 10 მგ
ქლორფენირამინის მალეატი 2 მგ
გაცივებისა და გრიპის საწინააღმდეგო საშუალება
ეფექტი ფლუ
10 ცალი
TÜV SÜD
AVERSI
დაგეხმარებათ ნელინადის ნებისმიერ დროს!
პრეპარატის მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას!
გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!
შპს „ავერსი-ფარმა“, ალმაშენებლის 148/2
საინფორმაციო სამსახური: 967-227
www.aversi.ge

ვინ შეეთანხმა მიშა ანდღულაძეს მაისური

ლალი ფაცია

ჟურნალისტი – მარინა ბერიძე
რეპორტიორი – მიშა ანდღულაძე

ამ ორი ადამიანის ერთმანეთის პირისპირ შეხვედრა იმ უბრალო მიზეზმა განაპირობა, რომ ერთი, მეორის პაროდიას აკეთებს. ალბათ საინტერესოა, როგორ მოსწონს „რუსთავი 2"-ის მუსიკალურ პროდიუსერს მარინა ბერიძეს მიშა ანდღულაძის მიერ გაკეთებული მისი იმიტაცია. იმის გამო, რომ ისინი დღეს ერთსა და იმავე ტელეკომპანიაში იღვწიან და სამუშაო ოთახებიც მთლად ერთმანეთის გვერდიგვერდ ჰქონიათ, მათ ამ „სამეზობლოში" ვეწვიე, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, ჭირვეული მეზობლების ნაცვლად, საკმაოდ თბილ და ერთმანეთისადმი კეთილგანწყობილ ორ ადამიანს შევხვდი. მათი საუბარი, ბუნებრივია, მსუბუქი იუმორით იყო გაჯერებული, თუმცა მიშამ ამჯერად მაინც სერიოზული ჟურნალისტის როლი მოირგო.

— მიშა, მოგესალმები და ძალიან მიხარია, რომ ახლა ჩემი რესპონდენტი ხარ. შენ და ვანო ჯავახიშვილი ახლოს პირველად, მაშინ გაგიცანით, როცა „ჯეოსტარის" კონცერტი მიგყავდათ. მაინტერესებს, როგორი რეაქცია გქონდა, როდესაც პირველად დაგირეკე და თანამშრომლობა შემოგთავაზე?

— ნათქვამში მცირედ შესწორებას შევიტანდ: თქვენ ვანო ჭელიძეს დაუკავშირდით, რომელმაც შემდეგ ჩვენ შეგვატყობინა ამ შემოთავაზების შესახებ (ეს იყო ის ეტაპი, როდესაც „ჯეოსტარი 3" პირველად, „რუსთავი 2"-ზე გავიდა). მივედი სპონსორი კომპანიის ოფისში და მკითხეს, — ჰონორარი რამდენი გინდათო? — 300 დოლარი-მეთქი. — ძვირიაო. — როდესაც კონცერტებს ატარებთ, ქართული ესტრადის ვარსკვლავებს 300 ლარს ხომ უხდით-მეთქი! — ვუთხარი (არადა, ეს ის პერიოდია, როდესაც ჩვენი „ნანული და გურამი" ქუხს), — ჩვენ რატომ არ უნდა გადაგვიხადოთ-მეთქი? — ვკითხე. მოკლედ, როგორღაც, შევთანხმდით. ამის მერე ქალბატონო მარინა, სახლში გეწვიეთ, სადაც უკვე დაიგეგმა ყველაფერი... მაშინ ჩემთვის და ვანოსთვის ეს სერიოზული რამ იყო: კონცერტები მიგვყავდა საქართველოს მასშტაბით, დიდი ტურნე გახლდათ. სწორედ მაშინ მოხდა ის, რომ მე და ვანოს ტანზე მაისურები შემოგვახიეს. მე ამას ფანობას ვერ დავარქმევ, ეს უფრო — ვანდალიზმია. რაღაცები ხანდახან საშინელებაში გადადის... ამის შემდეგ, ყველგან გაძლიერებული დაცვა დაგვყვებოდა: სადილობის პროცესშიც კი თავზე დაცვა გვედგა.

— კარგად მახსოვს, საორგანიზაციო ჯგუფის წევრებმა ვცადეთ, თქვენთვის წამყვანის ტექსტი დაგვწერა. მცდელობა წყალში ჩაგვეყარა, რადგანაც მაშინვე მივხვდით, რომ ეს ის შემთხვევა არ იყო, როდესაც წამყვანებს ტექსტი უნდა დაუწერო და მისცე. თქვენი ნიჭითა და შესაძლებლობით აღვფრთოვანდით... დღეს უკვე ერთ ტელეკომპანიაში ვმუშაობთ. ერთ სართულზე. შეიძლება ითქვას, რომ მეზობლად გვაქვს სამუშაო ოთახები, მეზობლები ვართ. კედლის იქით თქვენ ხართ, აქეთ — ჩვენ. შენი ახლოს გაცნობის შემდეგ გაკვირვებული დავრჩი — საკმაოდ სერიოზული ადამიანი ხარ, იმ პერსონაჟებისგან აბსოლუტურად განსხვავებული, რომლებსაც ეკრანზე განასახიერებ.

ჩვენ იმხელა ხელფასს ვიღებთ, უფლება არ გვაქვს, რომ ეკრანზე არასერიოზულები არ ვიყოთ

— ქალბატონო მარინა, ჩვენ იმხელა ხელფასს ვიღებთ, უფლება არ გვაქვს, რომ ეკრანზე არასერიოზულები არ ვიყოთ (*იცინის*), თორემ ცხოვრებაში აბა, უცნაური და გიჟი არც ერთი არ ვართ.

— გინდა თქვა, რომ ძალიან მაღალი ხელფასი გაქვს?.. ხომ ვერ დამიკონკრეტებ, რამდენს იღებ?

— ხელფასი იმდენი გვაქვს, ხუმრობა როგორიც გამოგვდის...

— მინდა, რომ კიდევ უფრო მოგიმატონ.

— დიდი მადლობა! მაშინ, მე უნდა მოვუმატო (*იცინიან*)...

— მიშა, მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლები გვქვია, ბევრი რამ არ ვიცი შენ შესახებ. მაგალითად, შენი ოჯახური მდგომარეობა, დაოჯახებული ხარ?

— დაოჯახებული გახლავართ. მე და ნიკა გრიგოლიას დები გვყავს ცოლებად, ქვისლები ვართ.

— მეუღლე, გრიგოლიას მეშვეობით გაიცანი?

— რაღაცნაირად, ასე მოხდა.

— იმიტომ არის, რომ ნიკა „ფავორში" გყავს, არა?

— ჰო, რა! რაც შეეხება შვილს, — არ მყავს და ვჩალიჩობ... თუმცა კი, როცა ღმერთი გვაჩუქებს, მაშინ იქნება. ხოლო რაც შეეხება ჩემს „გლდანის ოჯახს" — მყავს მშობლები და ძმა...

— ახლა ნაქირავებში ხარ?

— არა, მე და გრიგოლია — სიძეები —

შესახლებულები ვართ უძილაურების ოჯახში და შევავიწროეთ ხალხი. ამრიგად, ორთაჭალაში, ერთ სახლში ორი ვარსკვლავი ცხოვრობს: მე — ზედა სართულზე ვარ, როგორც მასზე რეიტინგული ადამიანი და ის — ქვემოთ. თუმცა ნიკა, თავის ოჯახთან ერთად, მალე გადავა ჩვენგან.

— შენს მეუღლეს იუმორში ხომ არ უჭირს?

— არა, რაც მე მინდა, ის ესმის... ანუ, სადაც საჭიროა, იმ „შუტკაში", იმ ადგილას ეცინება.

— თანამშრომლებიდან ყველაზე მეტად ვისთან მეგობრობ?

— ჩვენთან მუშაობს ჩემი მეჯვარე — თემო გაფრინდაშვილი. ჯერ მეგობარი იყო, მერე მეჯვარე გახდა...

— როგორც კი მეჯვარე გახდა, შენთან მოაწყვე სამსახურში?..

— სხვათა შორის, დათო გოგიჩაიშვილის დროს არის მოსული ანუ მაშინაც იყო მეგობრობა. დიდი ხანია, ერთად მოვდივართ მე და ვანო ჯავახიშვილი და ისინი, ვინც უნივერსიტეტში „კავეენს" ვთამაშობდით. მეგობარია ასევე ირაკლი ცქიტიშვილი, რომელიც დღეს ჩვენი მემონტაჟეა.

— ოთოსთან არ მეგობრობ?

— ოთოსთან ერთად, მე და თამუნა ლეკვეიშვილს მუსიკალური „პროდაქშენი" გვაქვს შექმნილი.

— ისე, სულ ვფიქრობ, — ბოლოს ჩვენს ფუნქციებში არ შეიქრათ... ხანდახან მეც ცოტა თქვენს ფუნქციებში შემოვდივარ. ჰოდა, მეშინია, მუსიკალურ-იუმორისტული კავშირი არ ჩამოყალიბდეს.

— მაგაზე მეც ვღელავ: ისე არ გამოვიდეს, რომ რაღაც ამბიცია გვაქვს... მე და ოთოს ცოტა სმენა მაინც გვაქვს, მაგრამ ნიკა გრიგოლია თუ ლელა წურწუმიასთან დუეტს ჩაწერდა, ეს წარმოუდგენელი რამ იყო. სიმღერას ყველა სწავლობს, ეტყობა, ნიკამაც ისწავლა.

— თქვენთვის სულ მინდოდა მეკითხა: არ გქონდათ სურვილი, რომ ჩვენთან შემოსულიყავით და „რუსთავი 2"-ის მუსიკალური რედაქციის მუსიკალური რედაქტორისთვის, მანანა მორჩილაძისთვის გეთხოვათ, — იქნებ, წაგვამეცადინო-თქო?

— დიდი სურვილი გვაქვს, მაგრამ სამწუხაროდ, მოუცლელობას ვუჩივით.

— მეგონა, უბრალოდ, ვერ ბედავდით...

— დიდი მადლობა, რომ ასეთი რამ გვირჩიეთ და შემოგვთავაზეთ, გავითვალისწინებთ.

— სიამოვნებით, თქვენთვის დრო არ დაგვენანება. მიშა, სხვადასხვა ადამიანის ტიპაჟის პაროდიას აკეთებ. რანაირად ახერხებ ამას? გაგიჭირდა ჩემი იმიტირება?

— საერთოდ, ქალთა ტიპაჟების დიდი ტრფიალი ვარ. დავიწყოთ იმით, რომ ბევრი პერსონაჟის სახის (რომელიც შემიქმნია) გასამდიდრებლად, რაღაც ფრაზა, ჟესტი თუ მიმიკა დედაჩემისგან და არაერთი ქალბატონისგან მაქვს ალებული. თუმცა ისე, რომ ამას ვერც დედაჩემი და ვერ სხვა ვინმე ვერ ხვდება, მაგრამ მე ხომ ვიცი.

— არა, მე კმაყოფილი ვარ, ჩემი იმიტაცია კარგად შეძელი. რაღაცები მართლაც დაჭერილი გქონდა.

— რამდენად კარგად გამომივიდა, არ ვიცი (*იმორცხვებს*).

— შენ ყველაფერი კარგად გამოგდის. თან, რომ მღერი, ეს არაჩვეულებრივი რამ არის. ახლა ვფიქრობ, რაიმე მუსიკალურ პროექტში ხომ არ დავაკავო-მეთქი?

— კასტინგზე მინდოდა მოსვლა, მაგრამ დუტამ მაჯობა... მაგას ვერავინ აჯობებს ამ საქმეში.

— მიშა, რა რეაქცია გქონდა, როდესაც გაიგე, რომ ჩვენი ჯგუფი თქვენს მეზობლად დასახლდა?

— ჩვენთვის პატივია, რომ „კომედი შოუს" ჯგუფს მეზობლად, მარინა ბერიძე და მისი მეგობრები ჰყვანან. „დონეები" საერთოდ, ერთად უნდა იყვნენ. კარგია!

— გიხარია, რომ „რუსთავი 2"-ში მუშაობ?

— კი, სტაბილური ტელევიზიაა.

— ჩემგან განსხვავებით, უკვე შენ მრავალი წელია, ტელევიზიაში მუშაობ. მე ახლა მივხვდი, რა არის ეს სფერო.

— საქართველოში მაინც, ყველაზე სტაბილური ტელევიზია „რუსთავი 2" აღმოჩნდა. მთავარია, ვაქოთ მთავრობა, რომ უფრო სტაბილურები ვიყოთ. ხალხი ხომ მაინც ამბობს, — „რუსთავი 2" მთავრობის ტელევიზიაო?! ისე, შევაქოთ ყველა, ვინც ამის ღირსია: მთავრობაც, ოპოზიციაც, — უბრალოდ, გარკვეულ მომენტში, როდის როგორ ჯობია.

— ისე, როგორ ახერხებთ „სამართლებლის პირზე" სიარულს: ხან მთავრობას, ხან კი ოპოზიციას კენწლავთ?..

— ...ამბობენ, რომ თურმე გიგა ბოკერია ვანოს უწერს სცენარებს. ეს აზრი ხალხში

ჟურნალისტი – მიშა ანდღულაძე
რესპონდენტი – მარინა ბერიძე

— ქალბატონო მარინა, დიდი მადლობა, რომ დამთანხმდით ინტერვიუზე. ვერც კი წარმომედგინა, რომ ჩვენ — „ჭირვეული მეზობლები" ასე შევხვდებოდით ერთმანეთს. მადლობა ამისთვის ჟურნალ „ჯაზს", რომ გაკიფა ეს ეკალი... როგორც ვიცი, პაატა ბურჭულაძესთან ხართ ნამუშევარი. თუ შეგიძლიათ, კიდევ ასეთი რანგის მომღერლის დასახელება, რომელთანაც გიმუშავიათ?

— არა, სხვა ასეთი მომღერლის დასახელება არ შემიძლია... კონსერვატორიიდან ჩემი წამოსვლის მიზეზი 90-იან წლებში — ქვეყანაში მდგომარეობის გაუარესება გახლდათ. პაატასთან ერთად, გასტროლებზე ველარ დავდიოდი. მას ასევე ჰქონდა კლასი, კონსერვატორიაში პედაგოგი იყო და იქაც ვმუშაობდი. როცა ერთხელაც ის საქართველოდან წავიდა, კარგა ხანს ველარ დაბრუნდა. მე პაატას შემდეგ, სხვასთან მუშაობა ვერ შევძელი. ის ბუმბერაზი ადამიანია. სხვათა შორის, პაატა ჩემი სტუდენტიც იყო. ერთად მუშაობის ბევრი წელი გვაკავშირებს. ასე რომ, მისი შემოქმედებითი ცხოვრება ჩემ თვალწინ დაიწყო და განვითარდა.

— ქალბატონო მარინა, რა მუსიკას უსმენთ?

— ასე გიპასუხებ: ნებისმიერი ჟანრის საუკეთესო ნამუშევრებს — ჯაზსაც, როკსაც, პოპსაც და ხალხურ მუსიკასაც. კლასიკა კი ჩემთვის, სხვა თემაა. მიყვარს ხარისხიანი მუსიკა და ჩემი საქმიანობითაც იმას ვებრძვი, რომ იყოს ბევრი ხარისხიანი მუსიკა და შემსრულებელი.

— „ჯეოსტარში" ბევრი მომჩივანი მშობელი გყავდათ?

— ისინი მე არ მინახავს, ჩემამდე არ უშვებდნენ... ისე, ვერასოდეს, ვერც ერთ მშობელს ვერ დაარწმუნებ, რომ მისი შვილი არ მღერის. თუ ბავშვი ვერ მღერის, ეს მინდა, რომ მისმა მშობელმა იმთავითვე გაიგოს — ტყუილად რომ არ ხარჯოს ფული...

— მე აღვნიშნავდი თქვენს პირდაპირობას: რაც უფრო პირდაპირი იქნები ადამიანი, ნიჭთან დაკავშირებით, ყველასათვის მით უკეთესია. მართლაც, არ მინახავს დედა, რომ შვილზე ეთქვას, — ჩემი შვილი უნიჭოაო... თქვენს კარიერაში ტელევიზია პროექტით — „ჯეოსტარი" დაიწყო?

— კი, ასეა. მერე დათო გოგიჩაიშვილმა მთხოვა, გამეკეთებინა საბავშვო პროექტი „ანა-ბანა". ძალიან მადლიერი ვარ დათოსი. საერთოდ, მეგონა, ბევრად უფრო მეტი ადრენალინი იყო იმ ქუჩის კონცერტებსა და ღონისძიებებში, რომლებსაც დოისთან ერთად ვაკეთებდი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ აქ უფრო მეტი ადრენალინი ყოფილა. შემოქმედებითადაც ბევრად უფრო მეტი თავისუფლებაა.

— „ანა-ბანასთან" დაკავშირებით მინდა გკითხოთ: ბავშვები ბევრად სწორად მღერიან ნოტებს, ვიდრე უფროსები. რაზეა ეს დამოკიდებული?

— უბრალოდ, პატარები სწორად მოგვყვებიან. შეიძლება ითქვას, რომ მათ ძერწავ. ამიტომ, თუკი ბავშვობიდან დავიწყებთ მუშაობას, უკეთეს შედეგს მივიღებთ. ჩვენი ბავშვები უკვე ბენდს არიან შეჩვეულები, რაც ძალიან მახარებს.

— რაც შეეხება ბენდს, დრამერი — გია სალაღიშვილი ადვილად დაითანხმეთ, დაეკრა პროექტში? როგორც ვიცი, ის მაგარი ინსტრუმენტალისტია. საქართველოს ფარგლებს გარეთაც მოღვაწეობს.

— ბენდის წევრებთან მე მრავალწლიანი ურთიერთობა მაქვს. მათ პიროვნულადაც ძალიან ვუყვარვარ. იციან, რომ ჩვენ იაფფასიანს არაფერს შევთავაზებთ. მერე — სიამოვნებთ ბავშვებთან მუშაობა, ურთიერთობა, გულშემატკივრობენ პატარებს.

— ძალიან კარგი, რომ პროფესიონალები დგანან ასეთი კარგი საქმის სათავეში. ქალბატონო მარინა, ჟიურიში რატომ აღარ არიან: ნიკა მემანიშვილი და ნატო მეტონიძე? ასეთი აზრია გავრცელებული, თითქოს თქვენ შორის რაღაც მოხდა.

— არა, ნიკა მემანიშვილს ისეთი დიდი წვლილი აქვს „ჯეოსტარის" არსებობაში, რომ რა გითხრთ?!. ახლა ნიკას ძალიან რთული წელი აქვს, ხანგრძლივი საგასტროლო ტურნე ელოდება. ნატოს საკითხი კიდევ — სხვაა. ნატო და ნიკა, შეიძლება ითქვას, რომ „ერთი ორგანიზმია". ნიკას გარეშე არაკომფორტულად ვიგრძნობ თავსო, — გვითხრა ნატომ და უარი თქვა მონაწილეობაზე. თან, ამ ჩვენი ლიცენზირებული პროექტით, იკრძალება ჟიურიში მოქმედი მომღერლის ყოფნა. რეკომენდაცია უფრო პროდიუსერებსა და რეჟისორებს ეძლევათ. ხოლო ნანი ბრეგვაძეს კი, როგორც მეგავარსკვლავს და ამხელა დამსახურების მქონე ადამიანს, ამის ნება დართეს. მთავარი ის არის, რომ თავად ნანი ბრეგვაძე დაგვთანხმდა.

— ვიცი, რომ ბატონი ზურაბ ლალიაშვილი — თქვენი მეუღლე — „ივერიაში" უკრავდა და ამ ანსამბლთან მჭიდრო ურთიერთობა გქონდათ. „ვია 75"-თან თუ გქონიათ შეხება?

— ნაკლებად. მაშინ, როდესაც ჩემი ქმარი „ივერიაში" იყო, მე კლასიკაში ვიყავი ჩაფლული, ჩემი საკონცერტო მოღვაწეობა მქონდა. მაგრამ ბევრი რამე ვისწავლე „ივერიის" რეპეტიციებზე ანუ ის, თუ როგორ უნდა იმუშაო საესტრადო მომღერალთან.

— ანსამბლებიდან, პირველი, მაინც „ორერა" იყო, არა?

— კი. მერე იყო „დიელო". საერთოდ, დიდი კონკურენცია არსებობდა ანსამბლებს შორის. მაგრამ დროს „ივერიამ" გაუძლო.

— მათი შემოქმედება დღეს კლასიკურ ესტრადას განეკუთვნება. მიმაჩნია, რომ „ვია 75" — ქართული საესტრადო როკი იყო. მათი ერთი ალბომი მაქვს, მეტი ვერსად ვიშოვე და მოვიპოვე. დღესაც გაკვირვებული ვარ, მათ რომ ვუსმენ, — როგორ შეძლეს, რომ როკი ისე მიეწოდებინათ ხალხისთვის, რომ პოპულარული და „სმენადი" გაეხადათ.

— მაშინ ცნება — „პროდიუსერი" არ არსებობდა. ამ საქმეში რობერტ ბარძიმაშვილი აღმოჩნდა პირველი, მას აღმოაჩნდა

ყველაფერი ცოცხლად გადის ეთერში. ვინმემ თქვას, თუ არ ვარგა ხარისხი

სწორედ შესაბამისი ყნოსვა, რომელიც გარშემო არავის ჰქონდა. „ორერა" რომ ცოტა მძიმედ გადავიდა და „ივერიამ" იმძლავრა, სწორედ ამის პარალელურად წამოვიდა „ვია 75".

— 90-იან წლებში, ცოცხალი სიმღერისადმი და ინსტრუმენტებისადმი ინტერესი დაიკარგა. ეს ფინანსების ბრალიც იყო — გაჭირდა ბენდების შენახვა. ქვეყანა თუ გამდიდრდება, ალბათ ამ მიმართულებით ისევ განახლდება მუშაობა.

— ჩვენ ეს პრეცედენტი შევქმენით. ყველაფერს ცოცხლად ვმღერით და ვასრულებთ და ყველაფერი ცოცხლად გადის ეთერში. ვინმემ თქვას, თუ არ ვარგა ხარისხი.

— არა, მართლა კარგი საქმეა.

— ახლა ჩვენი ბენდის წევრებთან გვქონდა საუბარი — იქნებ, ვიღაცები ავიყვანოთ, ვისაც დაკვრას ვასწავლით-მეთქი. ხომ გახსოვს, ადრე, საბავშვო ანსამბლებიც კი ცოცხლად უკრავდნენ და მღეროდნენ ყველაფერს. მარტო „მზიურისა" და „ნერგების" მაგალითიც კმარა.

— გმადლობ საინტერესო საუბრისთვის. ახლა ჩემს საქმეს დავუბრუნდები.

რუსი სერჟანტის „აღსარება“: „რამდენიმე წელი გვჭირდება, რომ ყველაფერი თავის კალაპოტში მოვაქციოთ...“

15 წელზე მეტია, ენგურის ხიდი აფხაზეთის მოსახლეობასა და დანარჩენ საქართველოს შორის გამყოფ საზღვრად იქცა. ვითარება ყოველთვის რთული იყო, მაგრამ არა უმეტდო. რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, გალსა და ზუგდიდის რაიონს შორის დამაკავშირებელი ხიდები ააფეთქეს. როგორც ჩანს, რუსეთის ამბიციები თანდათან იზრდება და აფხაზეთის გარდა, ზუგდიდის რამდენიმე სოფლის „ათვისების“ სურვილი გაუჩნდა. 3 ნოემბერს გალის რაიონში ანტიქართული პროკლამაციები გაავრცელეს, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას „ძლიერ და მდიდარ სახელმწიფოში ცხოვრებას“ ჰპირდებიან. ჩვენი რუსი რესპონდენტი სამხედრო სამსახურს გალის რაიონში გადის და იქ მიმდინარე ცვლილებების გაკონტროლებაშიც მონაწილეობს. იგი იმაზე მიყვება, თუ კონკრეტულად რა დავალებები მისცა სარდლობამ.

ლალი პაპასკირი

ანდრეი ანდრეევი, *უფროსი სერჟანტი:*

— აქაურობა ძალიან მომწონს. მშვენიერი კლიმატია — ზღვაც აქვეა და სანადირო ადგილებიც, უბრალოდ, ერთი პრობლემაა — ტყეებს ქართველი პარტიზანები არიან შეფარებული, რაც ცოტა არ იყოს სახიფათოა, მაგრამ არა უშავს, მათ ალყაში მოვაქცევთ და იძულებული იქნებიან, ან ჩაგვბარდნენ, ან აქედან წავიდნენ... ხალხი დაიღალა ამდენი საფრთხით და მკვლელობით, წესრიგი უნდა დავამყაროთ. თქვენს ხელისუფლებასა და ამ ხალხსაც უნდა დავანახვოთ, თუ რა შეუძლია რუსულ ჯარს.

— დარწმუნებული ხართ, რომ ამ ხალხისთვის თქვენი დამყარებული წესრიგი მისაღებია?

— ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემი სამოქმედო ტერიტორიაა და ვალდებული ვარ, წესრიგი დავამყარო... თავიდან მაშინებდნენ, — თავი დაანებე, იქ ვინ ვის კლავს, ვერ გაიგებ, მეგრელები და აფხაზები ძალიან უცნაური ხალხია და ბოლომდე ვერავის ენდობიო. ვიცი, რომ ასეა. აქ პირველად 7 წლის წინ ჩამოვედი, ნამდვილი საგიუეთი იყო და აქაურობას, როგორც კეთროვანთა ადგილსამყოფელს, ისე გაურბოდნენ. ამ ხნის განმავლობაში 50-ზე მეტი აფხაზი გამგებელი მოკლეს. ყველას, ვინც კი იქ ვითარების შეცვლას გადაწყვეტდა, ან აფხაზი კლავდა, ან ქართველი. აქ სამსახურმა ისეთი გამოცდილება მომცა, უკაცრიელ კუნძულზე კაციჭამიებთან რომ მოვხვდე, უვნებელი გადავრჩები... გალი აფხაზეთისა და საქართველოს საზღვარია, ყველა აქაურობას აფარებს თავს, ამას წინათ, თურქი კრიმინალი დავაკავეთ. აქ გაწეულმა სამსახურმა დამარწმუნა, რომ ამ რაიონში ერთი და ორი კაცი ვერაფერს გახდება — ჯარის ნაწილი უნდა ჩადგეს, „ბუნტოვშიკები“ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავიმორჩილოთ ან განვდევნოთ. ამიტომ მიიღო ჩემმა სარდლობამ გადაწყვეტილება, რომ გალი დიდი ძალებით, სრულად გააკონტროლოს. მხოლოდ ამის შემდეგ დადგება დანარჩენ აფხაზეთშიც სიმშვიდე. ამ ქვეყანამ სტაბილური კურორტის იმიჯი უნდა დაიბრუნოს.

— ეს ადამიანები საქართველოს ძირძველი მცხოვრებლები არიან და რუსეთს უფლება არა აქვს, მათ რუსული კანონებით ცხოვრება აიძულოს...

— ქართველები აქ საერთოდ არ ცხოვრობენ — ესენი მეგრელები არიან და ჩვენ მათ საკუთარი „წარსულის პოვნაში“ დავეხმარებით. აფხაზებმა კი თავიანთი არჩევანი უკვე გააკეთეს. რაც შეეხება გალის მოსახლეობას: ისინი ახლა აფხაზურ პასპორტებს მიიღებენ, მერე კი შესაძლოა, რუსულიც დაურიგდეთ.

— როგორც ვიცი, მათი „პასპორტიზაცია“ უფრო ადრე დაიწყო...

— არა, ამაზე მხოლოდ ახლა დაიწყეს ლაპარაკი და როცა თქვენი საინფორმაციო საშუალებები აცხადებდნენ, გალის მოსახლეობას რუსული პასპორტების აღებას აიძულებენო, — ცრუობდნენ. რუსეთის მოქალაქეობის მიღება ძალიან ძვირი — რამდენიმე ათასი რუბლი ღირს, ვისაც გინდათ, ჰკითხეთ... ამას აფხაზები კი იმიტომ ნატრობენ, რომ მერე თავისუფლად გადავიდნენ რუსეთში, მაგრამ მის მიღებას მხოლოდ გამონაკლისები ახერხ-

ქალთა სილამაზისა და ჯანმრთელობის ცენტრი
“ზეევთან” (ისრაელი)

*გინეკოლოგია
*ენდოკრინული გინეკოლოგია
*კოსმეტოლოგია
*ფოტოეპილაცია
*ფოტოგაახალგაზრდავება
*ისრაელის ელიტარული კოსმეტიკა
*ფიტნესი
*იოგა
*სამედიცინო ტურიზმი ისრაელში

მისამართი: თბილისი, მცხეთის ქ. №9 (ვაჯე. მრგვალ ბაღთან ახლოს)
ტელ: 23 28 93; 893 27 57 97
ელ-ფოსტა: info@microgen.ge
www.zeevs.ge

ებენ, ძირითადად — ახალგაზრდები. ისინიც კი პასპორტს მხოლოდ ბევრი წვალების შემდეგ იღებენ. ჩვენ ამ ხალხს ჩვენთან ერთად ყოფნისთვის საჭირო პირობებს ვთავაზობთ, თუ ეს მათთვის მისაღები იქნება — კი, ბატონო, იცხოვრონ, თუ არა და, შეუძლიათ, იქ იცხოვრონ, სადაც თავს უკეთ იგრძნობენ.

— კი, მაგრამ ეს მათი მიწაა, მათი სამშობლო და სულაც არ არიან ვალდებული, რუსული კანონებით იცხოვრონ...

— ეს რაიონი წლების განმავლობაში, კრიმინალების ბუდედ იყო ქცეული, არც საქართველოს შემადგენლობაში ყოფილა და არც აფხაზეთის; ცალკე, თავისთვის ცხოვრობდა, ჭაობიანი კუნძულივით იყო, სადაც ყველა იმას აკეთებდა, რაც მოესურვებოდა... იცით, რამდენ ხანს ველოდით იმ დროს, როცა შევძლებდით, რომ ეს რაიონი ჩვენს ჭკუაზე მოგვეყვანა?! ახლა კი არავის ჰქონდეს იმის ილუზია, რომ აქ რაიმეს შეცვლის. გალის ყველა სოფელში ჩვენი ჯარი დგას, ქართულ მხარესთან კი სასაზღვრო ზოლს გავაკეთებთ, რომ ერთხელ და

ქართველები აქ საერთოდ არ ცხოვრობენ — ესენი მეგრელები არიან და ჩვენ მათ საკუთარი „წარსულის პოვნაში“ დავეხმარებით

ეს რაიონი წლების განმავლობაში, კრიმინალების ბუდედ იყო ქცეული, არც საქართველოს შემადგენლობაში ყოფილა და არც აფხაზეთის

სამუდამოდ, დასრულდეს ქართველების, აფხაზების და თუნდაც ჩვენი თანამშრომლების ორმაგი თამაში.

— აფხაზები რატომ გაყარეთ ამ რაიონიდან? არ ენდობით?

— აფხაზები კანონმორჩილნი და წინდახედულები არ არიან; დღევანდელი დღით ცხოვრობენ და როგორც ჩანს, მათ რაღაცების სწავლა მოუწევთ. არ შეიძლება, ერთდროულად კარგი ურთიერთობა გქონდეს რუსთანაც და ქართველთანაც, მაშინ, როცა ერთი — შენი მტერია, მეორე კი — მოყვარე. მათ საიმედო პარტნიორის როლის თამაში უნდა ვასწავლოთ. ასეთი — მხოლოდ სათავისო პოლიტიკა მათ მწირ განათლებაზე მეტყველებს.

— ანდრეი, უფრო კონკრეტულად, რისი გაკეთება გევალებათ გალის რაიონში?

— არა მარტო იქ... პირველ რიგში, გალის რაიონში სამხედრო ქალაქი აშენდება. გარდა ამისა, ამ ხალხმა ზუგდიდის, თბილისისა და ლილოს ბაზარი უნდა დაივიწყოს.

სულ რამდენიმე წელი გვჭირდება, რომ ყველაფერი თავის კალაპოტში მოვაქციოთ... სხვათა შორის, საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა შანსი, რომ ეკონომიკა განევითარებინა და ამით, აფხაზებისთვის მიმზიდველი გამხდარიყო, მაგრამ ვერ შეძლო. ახლა ამას ჩვენ



გავაკეთებთ, ოღონდ, მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, სამხედრო მეთოდს გამოვიყენებთ... აფხაზეთთან სამხედრო და ეკონომიკური დახმარების ხელშეკრულება გავაფორმეთ. ასე რომ, აფხაზეთში რუსული რეგულარული ჯარის შესვლა სრულიად კანონიერია

და აქ მოქმედებას ვერანაირი საერთაშორისო ორგანიზაცია ვერ დაგვიშლის... ცოტა ხანში სამხედრო სამსახურში ეს ხალხიც ჩადგება.

— რუსულ სამხედრო სამსახურში ადგილობრივი ქართველების ჩაბმას აპირებთ?

— ეს რუსული კი არა — აფხაზური

ჯარი იქნება, ჩვენი დახმარებით, აღდგენილი და მოწესრიგებული. რა არის ამაში გასაკვირი, თუკი ნატოს ჯარში ყოფნაზე ოცნებობს ნახევარი საქართველო?..

— გალის სოფლებში გავრცელებული, ანტიქართული პროკლამაციები რას ემსახურება?

— იმას, რომ ხალხმა შავისა და თეთრის გარჩევა ისწავლოს. ჩვენ გვიყვარს ქართველები და ვცდილობთ, კარგი ურთიერთობა აღვადგინოთ. ჩვენ, თქვენთან თანაცხოვრების სანაცვლოდ, მხოლოდ უსაფრთხოებას გთავაზობთ.

— ვისგან გვიცავთ?

— თქვენი ხელისუფლებისგან, რომელიც საქართველოს დაშლასა და გადაშენებას გეგმავს... ყველაფერი ძალიან ადვილია — მთავარია, ჩვენ არ მოვადუნოთ ყურადღება. ჯერჯერობით სწორი გეზი გვაქვს აღებული და მისგან გადახვევა კატასტროფის ტოლფასი იქნება. ეს ხალხი უნდა შეეჩვიოს, რომ აქაური პროდუქტი ფსოუს საზღვარზე მიიტანოს, ამისთვის კი უსაფრთხო გარემო უნდა შეიქმნას.

— როგორც ჩანს, მართლა შორს არ არის ის დრო, როცა თქვენსა და აფხაზებს შორის განხეთქილება მოხდება...

— ეს დრო არასდროს დადგება. რუსეთი საქართველო არ არის, რომ მცირე ერებთან ურთიერთობისას, შეცდომები დაუშვას. რასაც ჩვენ ახლა აფხაზეთში ვაკეთებთ, თავის დროზე საქართველოს ხელისუფლებას რომ გაეკეთებინა, 1990-იანი წლების მოვლენები არ მოხდებოდა. დემოკრატია თქვენ სხვანაირად გესმით, ჩვენ — სხვანაირად. ადამიანს ჯერ სტაბილური და სოციალურად მყარი ცხოვრების პირობები უნდა შეუქმნა და მერე ის თვითონ აირჩევს, სად და ვისთან იცხოვროს. გარდა ამისა, ერთი კეთილი რჩევა მინდა მოგცეთ: არ დაიჯეროთ, რომ სადმე, თუნდაც თქვენს საყვარელ ამერიკაში დემოკრატია არსებობს, მით უმეტეს — საქართველოში. და კიდევ ერთი: თქვენს ქვეყანას გეოგრაფიულად, ისეთი მდებარეობა აქვს, რომ აქ დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების მცდელობაც კი დამანგრეველია... ■

„...ყველამ ერთად გავაკეთოთ ეს სახლი...“

თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი „სავანე“ თანდათან ლამაზდება, უმჯობესდება ბენეფიციართა საცხოვრებელი პირობებიც. პანსიონატის ახალგაზრდა და ენერგიული ხელმძღვანელი თამთა დემურიშვილი ძალისხმევას არ იშურებს იმისთვის, რომ ბენეფიციარებს ცხოვრება კიდევ უფრო გაულამაზოს.

თამუნა კვინიკაძე

— ქალბატონო თამთა, როგორ მოხვედით „სავანემდე“? რა გზა გაიარეთ, სანამ პანსიონატის ხელმძღვანელად დაინიშნებოდით?

— 1998 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ზოგადი პროფილის მკურნალი ექიმის კვალიფიკაციით. 1999 წელს დავინიშნე ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო სამსახურში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე, 2003 წელს — თბილისის მერიის პოლიკლინიკური ქსელის უფროსი გავხდი. ერთი წლის შემდეგ გადავედი ჯანდაცვის სამინისტროში, ჯანდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე. 2005 წელს მინისტრის უფროსი მრჩეველი გავხდი. შვედეთი, იაპონია, ჩეხეთი, ლიტვა, ეგვიპტე, საფრანგეთი — ამ ქვეყნებში სხვადასხვა დროს სტაჟირებას გავდიოდი. 2007 წლის 25 იანვრიდან კი ხანდაზმულთა პანსიონატ „სავანეს“ ვხელმძღვნელობ.

— თითქმის 2 წელია, რაც პანსიონატს ხელმძღვანელობთ. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამის გაკეთება შეძელით. როგორ ახერხებთ?

— სხვადასხვა ორგანიზაციის, საქველმოქმედო ფონდების, კერძო პირებისა და სახელმწიფოს თანადგომით მართლაც, ბევრი რამის გაკეთება შევძელით. მინდა, რომ გაწეული დახმარებისთვის ყველას დიდი მადლობა გადავუხადო, პირველ რიგში — ჯგუფს „ქართუ“ და მის ხელმძღვანელს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს. უკვე 2 წელია, რაც ეს ფონდი ჩვენ მიერ დახარჯული ელექტროენერგიის გადასახადს იხდის, ყოველწლიურად 100-120 ათასი ლარის ოდენობით. მათი დაფინანსებით მოხდა შენობაში ახალი ელექტროსადენების გაყვანაც. უკვე 2 წელია, მედიკამენტებით „ავერსი“ გვამარაგებს. მოთხოვნის შესაბამისად, თვეში 1.500-მდე ლარის ღირებულების წამლები შემოაქვთ. მინდა, ბატონ პაატა კურტანიძეს დახმარებისთვის დიდი მადლობა გადავუხადო. „ქართული პროდუქტი“ და „აგარის შაქარი“, ბატონი გოჩა ძასოხოვის დახმარებით, 2 წლის განმავლობაში შაქრითა და ფქვილით გვამარაგებდნენ. „ელიტ-ელექტრონიქსის“ დაფინანსებით გარემონტდა ადმინისტრაციის ოთახები, გამოიცვალა მოძველებული სანტექნიკა. დიდი მადლობა ანზორ ქოქოლაძეს ამისთვის. გულისხმიერება გამოიჩინა „სოკარ ენერჯი-ჯორჯიის“ ხელმძღვანელმა ამირ მამედოვმა, რომელთანაც ბატონმა გიორგი ანთიძემ დამაკავშირა და დღეს კომპანიისგან საჩუქრად, 200 კვმ იატაკის ფილები მივიღეთ, რომელსაც სამზარეულოსთვის გამოვიყენებთ. ხანდაზმულებისთვის მინიკინოდარბაზი „ამერიტექისა“ და „ელ-ჯი“-ს დახმარებით გაკეთდა.

— როგორც ვიცი, „სავანეს“ უცხოელებიც ეხმარებიან.

— დიახ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მეშვეობით, ამერიკის საელჩოს დავუკავშირდი. საქართველოს და ამერიკის თავდაცვის სამინისტროების წარმომადგენლები აქ ერთად მოვიდნენ. მეთიუ შენონმა შენობა პირადად დაათვალიერა, მოთხოვნები ჩაინიშნა და მითხრა, — ვეცდები, შევასრულოო. ამერიკელებმა სასადილო ოთახი, სამრეცხაო, სტილისტის ოთახი, ჰიგიენის დარბაზი მასაჟორიანი შხაპებით აღჭურვეს. სამუშაოს ოსიაურის ბატალიონის ჯარისკაცებთან ერთად, ამერიკელი ჯარისკაცებიც ასრულებდნენ.

— სახელმწიფო რამდენად გეხმარებათ?

— როცა აქ მოვედი, თითოეული ბენეფიციარი 8 ლარით ფინანსდებოდა. გამოთვლის შედეგად დავადგინეთ, რომ ეს თანხა 25 ლარამდე უნდა გაზრდილიყო. 2007 წლიდან დაფინანსების 14 ლარამდე გაზრდა შევძელით, 2009 წლიდან კი — 25 ლარამდე გაიზრდება.

— სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?

— მინდა, რომ ეს შენობა წესრიგში მოვიყვანო და გავხადო ისეთი, როგორიც წარმატებულ ქვეყნებში მინახავს. ახლახან საუბარი მქონდა პარლამენტარ კახა ოქრიაშვილთან. ის დამპირდა, რომ გოჩა გოგილაშვილთან გამიწევს შუამდგომლობას და „პი-ეს-პის“ დახმარებით, აფთიაქისა და სამედიცინო კაბინეტების გარემონტებას შევძლებთ. ცოტა ხნის წინ სანდრა რულოვსიც გვესტუმრა, დაგვპირდა, რომ ჰოლანდიელებს დაუკავშირდება და მთელ შენობაში გათბობის სისტემისა და კარფანჯრების შეცვლაში დაგვეხმარება. გიგი უგულავა, მამუკა ქაცარავა, კობა სუბელიანი, „ჩოხოსან რაინდთა დასი“, ირმა სოხაძე — ეს იმ ადამიანთა არასრული ჩამონათვალია, რომლებიც უყურადღებოდ არასდროს გვტოვებენ.

— ამ 2 წლის მანძილზე თქვენს მთავარ მიღწევად რა მიგაჩნიათ?

— როცა აქ მოვედი, ჩვენს ბენეფიციარებს პენსიის 80% ექვითებოდათ და მხოლოდ 20%-ს იღებდნენ. დავით ტყეშელაშვილის, გიგი წერეთლისა და, რაღა თქმა უნდა, ქალბატონი ნინო ბურჯანაძის დახმარებით, პარლამენტმა მიიღო დადგენილება და უკვე 9 თვეა, პანსიონატში მცხოვრები ბენეფიციარები პენსიას სრულად იღებენ. მიღწევაა ის, რომ სიკვდილიანობის მაჩვენებელი 70-80%-ით შემცირდა. 2006 წელს პანსიონატში 24 გარდაცვლილი იყო აღრიცხული. პროფესიით ექიმი ვარ და ამ მაჩვენებელმა ძალიან დამაინტერესა. აღმოჩნდა, რომ არანაირი სამედიცინო კვლევა ჯანმრთელობისთვის არ ტარდებოდა. 2007 წლიდან ყოველ 6 თვეში თითოეულ ბენეფიციარს სრულ გამოკვლევას ვუტარებთ — ანალიზები, კარდიოგრამა, ექოსკოპია.

— ბოლოს რას გვეტყვით?

— მინდა, რომ გაწეული დახმარებისთვის, მადლობა ყველას ერთად გადავუხადო. მსურს, ჟურნალ „გზის“ საშუალებით, წარმატებული სამშენებელო კომპანიების ხელმძღვანელებს ვთხოვო: იქნებ, თითოეულმა ფირმამ თუნდაც 200 კვმ გაარემონტოს!.. მინდა, მივმართო საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს და პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ბაქრაძეს თხოვნით, გაგვიწიონ შუამდგომლობა ამ სამშენებლო კომპანიებთან. და საერთოდ, მოდი, ყველამ ერთად გავაკეთოთ ეს სახლი, ვაქციოთ თითით საჩვენებელი — ისეთი, როგორიც არსად იქნება. გავაკეთოთ კეთილი საქმე ყველამ, ვისაც ხელეწიფება, ეს ხომ ჩვენს უზრუნველ სიბერეში ჩადებული ინვესტიციაა.

ელფოსტა:
tamtademurishvili@yahoo.com

აქვე გაცნობებთ სსიპ „თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის“ საქველმოქმედო ანგარიშის ნომერს, რომელიც გახსნილია საქველმოქმედო შემოწირულობებისთვის: ს/ს „საქართველოს ბანკი“, ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101502; ანგარიშის ნომერი: 300467677;

მისამართი: ძ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ, მე-2 კვ. ტელეფონი: 60-62-88

„შენი ქმარი სიბრალულს არ იმსახურებს“

„შეეცადე, მეუღლე ამ უწესობას გადააჩვიო“

„გზის“ №44-ში დაიბეჭდა ჩვენი ერთგული მკითხველის, უბედური ქალის მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ რამდენიმე ხნის წინ საზღვარგარეთ, სამუშაოდ წავიდა. მან თავისი 7 წლის შვილი აღსაზრდელად, მშობლებს დაუტოვა. უბედური ქალი ამბობდა, რომ ქმრის ერთგულებაში ეჭვი არასდროს შეეპარვია, მაგრამ: „როცა თბილისში ჩამოვედი, იგი გამომიტყდა, რომ კაცები მოსწონს. არ ვიცი, რა ვქნა. უმისობას ვერ ავიტან და ვერც ასეთს შევეგუები. ჩვენ გარეშე ისიც უბედური იქნება. მითხრა, — ამ ამბის გამო ძალიან თუ ინერვიულებ, თავს მოვიკლავო“.

ლიკა ქაჯაია

CRAZY GIRL:

„თუ შენი ქმრის გამოსწორების შანსი არაა, მოჰკიდე შვილს ხელი და სამუდამოდ მიატოვე. ვიცი, ეს გაგიჭირდება, მაგრამ სხვანაირად დაიტანჯები. ღმერთი გფარავდეთ“.

პარიშანკა:

„მაპატიეთ, მაგრამ ის, რასაც უბედური ქალი ამბობს, გულის ამრევია. რას ნიშნავს, კაცებით თავის 'გართობა? ეს გართობა კი არა, საზიზღრობაა. ნუთუ მას ჰგონია, რომ მათი შვილისთვის უმჯობესია, თუ ისეთი არაკაცის გვერდით გაიზრდება, რომელსაც კაცებთან სექსი მოსწონს?! უბედური ქალო, შენ გეშინია იმის, რომ თქვენი წასვლის შემდეგ მან თავი არ მოიკლას. მერწმუნე, ასეთ სამარცხვინო ცხოვრებას სიკვდილი სჯობს! ალბათ ძალიან მკაცრი ვარ, მაგრამ მსგავსი რაღაცის მიტევება შეუძლებელია. არ მესმის, როგორ უნდა იყო ადამიანთან, რომელიც ასე დაეცა?“

უცნობი:

„შე მართლა უბედურო ქალო, ჭკუა რომ გქონდეს, ქმარს შეხებასაც აუკრძალავდი. არ მესმის, როგორ უნდა გიყვარდეს კაცი, რომელიც ცოტა ხნის წინ კაცთან ინვა. თავი დაანებე, არ დაინდო“.

გრუზინკა:

„კარგი, რა. თუ მასეთ არარაობას კაცად მიიჩნევ, ნორმალური არ ყოფილხარ. თუ თავს მოიკლავს, ეს კარგიც იქნება, რადგან ის ისედაც, ცოცხალი ლეშია. მას უნდა გაშორდე!“

ნერტილი:

„არ არსებობს სიცოცხლე, რომელიც ღმერთისგან არ მომდინარეობს, რადგან თავად ღმერთია სიცოცხლე და ყოველგვარი სიცოცხლის წყარო. ხალხო, საჭიროა ამ სიცოცხლეს გავუფრთხილდეთ, დავიცვათ. უბედურო ქალო, შენ ახლა სწორედ ეს გევალება — შენ მეუღლის სიცოცხლე უნდა დაიცვა, რადგანაც მას უწმინდურები დეპატრონენ. შეეცადე, ქმარი ამ უწესობას გადააჩვიო. მერწმუნე, შეუძლებელი არაფერია. ასეთი ადამიანის ნორმალურ კაცად გადაქცევაში უფალი დაგეხმარება. P.S. იმ შემთხვევაში, თუ მას არაფერი ეშველა, თავი აარიდე. ასეთი მამის ყურებით, შვილს ფსიქიკას ნუ დაუმახინჯებ. კარგად“.

იკუშკები:

„გადავირიე, ლიკა, ეს რა ჭირი გვჭირს, რამ გააგიჟა ეს უბედური კაცები?! საკუთარ თავზე გული როგორ არ ერევათ? ხალხო, მალე ნამდვილად, გადავჯიშდებით!.. უბედურო ქალო, გონს მოეგე, საკუთარ ცხოვრებას მიხედე და მიატოვე ეს ვითომ ქმარი. შვილთან ერთად, საზღვარგარეთ წადი, თორემ ერთ დღეს ბავშვიც გაიგებს მამის სამარცხვინო ამბავს და შეიძლება, თავი მოიკლას. დამერწმუნე, შენი ქმარი (თუ შეიძლება, მას ქმარი ან საერთოდ, კაცი ვუწოდო) სიბრალულს და მით უმეტეს, სიყვარულს არ იმსახურებს. იმ კაცს დაშორდი, თორემ ცოტა ხანში საკუთარი თავიც შეგძულდება. არ მესმის, როგორ წევხარ ასეთი ადამიანის გვერდით, რომელიც გღალატობს, კაცს ეალერსება და ამის არ რცხვენია. წარმატებას და გამძლეობას გისურვებ! P.S. ქალებო, კაცებს თავმოყვარეობას ნუ გაათელვინებთ, გონს მოეგეთ!“

GREEN GIRL:

„ასეთ ქმარს უეჭველად გავეყრებოდი და მერე მართლა ისწავლიდა ჭკუას. ცივი გონებით იმოქმედე. რაში გჭირდება ასეთი ქმარი?“

ციცილა:

„რამ გადააგვარა ეს ქართველი მამაკაცები? გავგიჟდი, რა. ახლა ქმარი ქალ საყვარელს თუ გაიჩენს, მგონი, ეს უნდა გიხაროდეს :(“

ეშმაკუნა:

„მაპატიე, მაგრამ შენი ქმარი არარაობაა. რასაც შენ ჰყვები, საზიზღრობაა. იცი, რა მაინტერესებს? — შენ და შვილს თვალებში როგორ გიყურებთ? მისი მუქარა, — თავს მოვიკლავო, — ნუ შეგაშინებს. აბა, მითხარი, ასეთი არაკაცი სიცოცხლის რა ღირსია?! თუ იმიტომ არ მოშორდები, რომ გიყვარს, „საღოლ“, შენ. ასეთი არარაობის გვერდით ცხოვრებას სჯობს, მარტო იყო. შენი შვილი ასეთი მამის გვერდით არ უნდა იზრდებოდეს. ღმერთს ებარებოდე“.

ერეკლე:

„ქალო, ვინ ხარ, ასეთი სულელი, თავს რომ იდებილებ? ნუთუ, გგონია, რომ შენი ქმარი ამ უმსგავსობას გადაეჩვევა?! მას არც შენ უყვარხარ და არც თავისი შვილი. გირჩევ, ისევ საზღვარგარეთ წახვიდე, თორემ თუ აქ დარჩები, არ შეგეშვება, თავს შეგაცოდებს და შენც დაილუპები და შვილსაც დაღუპავ. აბა, შენ იცი. წარმატებები!“

უცნობი:

„საცოდავია ადამიანი, რომელსაც თავისივე სქესის წარმომადგენელი უყვარს. შენი ქმარი პატივს რომ გცემდეს, საკუთარ გრძნობებს მოთოკავდა და ამ საზიზღარ გართობას შეწყვეტდა. შენს ადგილას, მას უყოყმანოდ მივატოვებდი. რაში გადარდებს იმ ადამიანის ბედი, რომელიც კაცთან გღალატობს?! სასწრაფოდ დაშორდი! მერწმუნე, ოდესმე ბედნიერება შენც გეწვევა“.

ციო, *14 წლის:*

„მებრალები. შეეცადე, ქმარი გამოასწორო. ის მარტო არ დატოვო, გვერდიდან არ მოშორდე, შვილის აღზრდა კი ისევ შენს მშობლებს მიანდე. მერწმუნე, ასე უმჯობესი იქნება როგორც მისთვის, ასევე შენთვისაც“.

ბიო:

„ერთგული ადამიანი გეგონა, არა? ჰმ, ეს ყველაფერი სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს. ძალიან მინდა, შენი ქმარი გავიცნო და კარგად მივბეგვო, მაგრამ ალბათ მას ჩემი მუშტების რისხვისგან თავადვე დაიცავდი. ეჰ, მებრალება ასეთი უტვინო ქალები. კაცი ქალთან რომ გღალატობს და ამ ამბავს გაიგებ, მაშინაც უნდა ყარო ცოფები, თორემ კაცთან რომ გიღალატებს, მაშინ მისი ბედი საერთოდ არ უნდა გაღელვებდეს. რა ვიცი, მე ასე ვფიქრობ და იქნებ, ვცდები კიდეც“.

ლოლა:

„უი, უსუსურო ქალთა მოდგმავ, ეს რა უბედურება გჭირს! აქამდე იმის მეშინოდა, ქმარმა ქალთან არ მიღალატოს-მეთქი და ახლა იმის უნდა მეშინოდეს, სახლში ძმაკაცს რომ მოიყვანს ან მასთან ხელიხელგადახვეულს რომ ვნახავ?!. ღმერთო, დამიფარე! ქალებო, გონს მოეგეთ და აბსურდული სიყვარულის გამო თავს ნურავის დაჩაგვრინებთ. P.S. მოღალატე დანდობის ღირსი არაა!

„საპირისპირო სქესად ყოფნის სურვილი მოდურ ტენდენციად იქცა"

„გზის" №44-ში დაიბეჭდა მარტოსულის მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ გაორება სჭირს: ვერ გაუგია, ქალია თუ — კაცი. „ვგრძნობ, ჩემს სხეულში ერთდროულად, ქალიც ცხოვრობს და კაციც. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. მირჩიეთ რამე".

GRAZY GIRL:

„ჩვენი რჩევა არაფერს შეცვლის. ერთს გირჩევ: ფსიქოლოგთან იარე და ის აუცილებლად დაგეხმარება. თუ გინდა, შემეხმიანე, ვინ იცის, იქნებ, დავმეგობრდეთ".

გრუზინკა:

„ყველა ადამიანშია ქალური და მამაკაცური თვისებები, მაგრამ ღმერთმა როგორიც შეგქმნა, ისეთად უნდა დარჩე. განა სქესის შეცვლა ღირს იმად, რომ მშობლები, ახლობლები, მეგობრები დათმო და სხვა ცხოვრება დაიწყო?! ეცადე, შეშმაკისეული აზრები განდევნო და ღმერთს მიენდო".

იკუშკები:

„ჯობს, საკუთარ თავს ყურადღებით დააკვირდე — როგორ აზროვნებ? რომელი სქესის მიმართ განიცდი ლტოლვას? როგორ ხედავ საკუთარ მომავალს? საკუთარი თავი ჯერ სრულყოფილ ქალად წარმოიდგინე, მერე — კაცად. მერწმუნე, ამის შემდეგ დაახლოებით მაინც მიხვდები, ვინ ხარ. თუ შესაძლებლობა გაქვს, კომპეტენტურ ფსიქოლოგს მიმართე ან, თუ გყავს ჭკვიანი, ორიგინალურად მოაზროვნე და ძლიერი ნებისყოფის მეგობარი, რჩევა მას ჰკითხე. თუმცა, ყველაფერს სჯობს, ეკლესიაში ნახვიდე, შენი გრძნობებისა და ემოციების შესახებ მოძღვარს ესაუბრო და მერწმუნე, ამის შემდეგ საკუთარ „მეს" აუცილებლად იპოვი. წარმატებებს გისურვებ!

ნერტილი:

„აუ, მარტოსულ, მარტოსულ... ცოტა ხნით ადამიანებს თავი აარიდე, საკუთარ თავთან მარტო დარჩი და იქნებ, საკუთარ ცხოვრებაში თავადვე გაერკვე. მთავარია, ღმერთი იწამო. იცი, რაც უფრო გწამს, მით უფრო სანდო ადამიანი ხარ, ეკლესიური ცხოვრება გიყვარდება და ნელ-ნელა, ის ფასეულობები, რომლებიც ხორციელ და ცოდვილ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული, უმნიშვნელო ხდება. ამის შემდეგ კი, მერწმუნე, ადვილად გაარკვევ იმას, თუ ვინ ცხოვრობს შენს სხეულში. შეიყვარე ყვავილები, მოუარე და უყურე მათ სილამაზეს და დააფასე ბუნება, იცხოვრე რწმენით და სიყვარულით. იცოდე, შენი ცხოვრება უფრო საინტერესო გახდება".

ნუტელა:

„ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ. თუ ქალად გრძნობ თავს, ისე იცხოვრე, როგორც სუსტი სქესის წარმომადგენელმა, თუ არა და, იყავი კაცი და იბედნიერე. თუ სურვილი გექნება, დამიკავშირდი".

ფიფილა:

„საპირისპირო სქესად ყოფნის სურვილი თითქოს მოდურ ტენდენციად იქცა. სამწუხაროდ, სოდომ-გომორის ცოდვა გვავიწყდება... გირჩევ, მოძღვარს დაელაპარაკო. სწორ რჩევას მოგცემს".

GREEN GIRL:

„მარტოსულო, ნეტავ, ქალი ხარ თუ — კაცი? ალბათ ქალი, რადგანაც სულელური პრობლემები მხოლოდ ქალებს აწუხებთ. არანაირი გაორება არა გჭირს. უბრალოდ, კისის ინტერვიუმ გული აგიჩუყა. შენ ნამდვილი ქალი ხარ და ეს

„მეგონა, კაცი ვიყავი, ქალური გარეგნობით, მაგრამ"...

მუდამ გახსოვდეს. მგონი, ფიქრი ძალიან გიყვარს და მერე, რაღაც სისულელეებიც გიტრიალებს თავში. დამიკავშირდი".

ეშმაკუნა:

„რასაც ახლა გეტყვი, შეიძლება, არ მოგეწონოს, მაგრამ ჩემი ნება რომ იყოს, მაგრად მიგტყეპდი და სანამ აზრზე არ მოხვიდოდი, ლექციებს ჩაგიტარებდი. ჯერ ერთი, ღმერთის არ გეშინია?! არ ვიცი, ბიჭი ხარ თუ გოგო, მაგრამ ღმერთმა რომელი სქესითაც დაგაჯილდოვა, ისეთად უნდა დარჩე. პრობლემებს ეძებ? P.S. ახლა ჰერმაფროდიტობაც მოინდომეს, რა! ხალხო, აზრზე მოდით და რეალობას თვალი გაუსწორეთ. ადამიანები შრომობენ, გადარჩენისთვის იბრძვიან, თქვენ კი ის ვერ გაგირკვევიათ, ქალობა გინდათ თუ — კაცობა. ეკლესიაში მიდი და დახმარება ღმერთს სთხოვე".

ერეკლე:

„ერიჰაა... ეს ხალხი სულ გადაირია. ადამიანო, ვინ ხარ? მშობლები რას გეუბნებიან, — ქალი ხარო თუ კაცი? საერთოდაც, როგორი ტანსაცმელი გაცვია? თუ გაურკვევლობაში ხარ, სარკის წინ დადექი, გაშიშვლდი და მიხვდები, ვინც ბრძანდები. P.S. სისულელეებზე ფიქრს ყველა შეეშვას და მსგავს მესიჯებს ლიკასაც ნურავინ მისწერს, თორემ ყველას ჩემთან ექნება საქმე, — თუ, რა თქმა უნდა, ლიკა მათ ნომრებს გამიმხელს".

ლოლა:

„კარგი, რა, რას ბოდიალობ?! თავადაც არ იცი, რა გინდა. ალბათ ჩვენი გაგიჟება გინდა, არა? შენს მახეში არავინ გაებმება. ჩემო კარგო, ჩვენ ვერაფერს გირჩევთ, დახმარებისთვის ფსიქოლოგს მიმართე... საინტერესოა, მეგობრები გყავს? გოგონებთან ძმაკაცობ თუ დაქალობ? შეყვარებული არასდროს გყოლია? კარგი იქნება, თუ ამ კითხვებზე პასუხს გამცემ, მაგრამ ვიცი, ამას არ გააკეთებ იმიტომ, რომ მსგავსი პრობლემა არ გაწუხებს".

უცნობი:

„სანამ რამეს იტყვით, კარგად უნდა დაფიქრდეთ; ნუთუ, უფლის არ გეშინიათ? ღმერთმა მოგცა სქესი, დაგაჯილდოვა სიცოცხლით, რომლის ღირსიც შენ ნამდვილად არ ხარ. რატომ?.. იმიტომ, რომ არარაობა ხარ".

ნინო:

„მეც მსგავს სიტუაციაში ვიყავი. მეგონა, კაცი ვიყავი, ქალური მანერებითა და გარეგნობით, მაგრამ მეგობრის დახმარებით მივხვდი, რომ ვცდებოდი. უბრალოდ, ისეთი საქმეები მიზიდავს, რომელიც კაცებს მოსწონთ. მარტოსულო, შენი პრობლემის შესახებ მეგობრებს დაელაპარაკე და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში ისინი დაგეხმარებიან. წარმატებები! P.S. თუ გინდა, დამიკავშირდი და ვიმეგობროთ".

გიო:

„ლიკა, მგონი, მარტოსულს ცოტა „აკლია" და მას ჩვენი კი არა, ფსიქოპათოლოგის დახმარება სჭირდება. კაცი ხარ თუ ქალი, მშობლებს დაელაპარაკე და ისინი შენს განკურნებაზე იზრუნებენ. შენ ავადმყოფი ხარ და დახმარება ნამდვილად გესაჭიროება. იმედია, საკუთარ თავში მალე გაერკვევი. წარმატებები!"

ჰაფია:

„ალბათ, ძნელია, როცა ასეთი დილემის წინაშე დგახარ. ცუდია, როცა არ იცი, ქალი ხარ თუ კაცი. მშობლებს დაელაპარაკე და მერწმუნე, ყველაზე უკეთ ისინი დაგეხმარებიან. ამ მესიჯის წაკითხვის შემდეგ, თავი შენს ადგილას წარმოვიდგინე და საკუთარი უსუსურობის გამო ბევრი ვიტირე. კიდევ კარგი, მსგავსი პრობლემა რეალურად, რომ არ მაწუხებს. წარმატებებს გისურვებ!"

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 26

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სილვიო ბერლუსკონიმ ბუშთან გამართულ შეხვედრაზე მიკროფონი მოტეხა

ამ ცოტა ხნის წინ, ქრისტეფორე კოლუმბის დღესთან დაკავშირებით, თეთრ სახლში გაიმართა მიღება, სადაც კოლუმბის იტალიელობის გამო, ძირითადად, იტალიელები და იტალიური წარმოშობის ამერიკელები იყვნენ მიწვეულნი. შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლისას, იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი მიკროფონის სადენს გამოედო და პიუპიტრი (მიკროფონის დგარის ზედა ნაწილი) მოტეხა. ხელში პიუპიტრშერჩენილი ბერლუსკონი არ დაიბნა, ბუშისკენ გაემართა და რადგანაც მიკროფონი კვლავ მუშაობდა, ამერიკის პრეზიდენტის ხოტბადიდება რიხიანად განაგრძო. იტალიის პრემიერის მოხერხებულობას შეკრებილნი მქუხარე აპლოდისმენტებით შეხვდნენ.

სამუშაოსგან დროებით მოწყვეტა სასარგებლოა

ადამიანი, რომელიც სულის მოსათქმელად, სამუშაოს დროებით სწყდება, ხშირად, კოლეგებისა და ხელმძღვანელობის აღშფოთებას იწვევს. არადა, ამერიკელი მეცნიერების ბოლო გამოკვლევების თანახმად, ყურადღების დროებით სხვა რამეზე გადართვა ადამიანს არათუ სამუშაოზე გულს არ უცრუებს, არამედ მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაშიც კი ეხმარება.

„თუნდაც სულ ცოტა ხნით სხვა საქმით თუ დაკავდებით ანდა უბრალოდ, შეისვენებთ, თქვენი ტვინი „გადართვას" მოასწრებს, — ირწმუნებიან მკვლევრები. — ამიტომაც, როცა კვლავ მიუბრუნდებით საქმეს, თქვენი გონება ყველა საჭირო კითხვაზე პასუხს თავად გიკარნახებთ".

ნათქვამის დასადასტურებლად, ამერიკის ილინოისის შტატის ჩრდილო-დასავლური უნივერსიტეტის მკვლევრებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომელშიც ჩართულ 130 მოხალისეს სიტყვიერ ასოციაციებთან დაკავშირებული ტესტის შევსება სთხოვეს. ამასთან, მოხალისეთა ერთ ნაწილს ტესტზე მუშაობისას 5-წუთიანი შესვენება და სრულიად სხვა საქმეზე გადართვა შესთავაზეს. ექსპერიმენტის შედეგებმა უჩვენა, რომ მოხალისეებმა, რომლებიც დროებით სხვა საქმეზე იყვნენ ფოკუსირებული, ტესტის დავალება ბევრად უფრო ეფექტურად შეასრულეს, ვიდრე მათ, ვინც შეუსვენებლად მუშაობდა.

კვლევის შედეგად, მეცნიერებმა ის საკამათო აზრიც ბოლომდე უარყვეს, რომლის თანახმადაც, „იმეილის" გაგზავნა და „სკაიპში" „ლაქლაქი" მარიხუანის მოწევაზე ორჯერ უფრო სწრაფად აქვეითებს IQ-ს (ინტელექტის კოეფიციენტი). „შეგნებული, გულმოდგინე ფიქრი მხოლოდ ანალიტიკური დასკვნების გაკეთების დროსაა შედეგიანი, ხოლო რთული პრობლემის გადაჭრისას, გაუცნობიერებელი მოქმედება უფრო სასარგებლოა, — მიაჩნია მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელ ადამ გალინსკის. — ადამიანს სწორედ გაუცნობიერებელი მოქმედების დროს უნათდება გონება, რასაც მნიშვნელოვან აღმოჩენამდე მისი მიყვანაც შეუძლია". სხვათა შორის, კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ინტერნეტი ტვინის მუშაობას კროსვორდების ამოხსნაზე ნაკლებ სტიმულს როდი აძლევს. „მსოფლიო ქსელში ინფორმაციის ძებნა ტვინში გადაწყვეტილების მიღებასა და არგუმენტაციის ჩამოყალიბებაზე პასუხისმგებელ ცენტრებს ავითარებს", — აღნიშნავენ მეცნიერები. მათივე თქმით, ეს მონაცემები ადამიანებს ასაკობრივ ფიზიოლოგიურ ცვლილებებთან გამკლავებაშიც დაეხმარება.



ჯოლინ პაუელი რეპის ვარსკვლავად მოგვევლინა

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი, რომელსაც თანამემამულენი უამრავი დამსახურების — მათ შორის, სამხედრო წარსულისა და გამოცდილი დიპლომატობის გამო სცემენ პატივს, ახლახან საზოგადოებას რეპის ვარსკვალავადაც მოევლინა. უფრო კონკრეტულად კი სამეფო ალბერტ-ჰოლის სცენაზე გამოვიდა და შეკრებილნი ჰიპ-ჰოპის სტილში შესრულებული იმპროვიზაციით გააოცა. ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჯერ ნიგერიულ ჯგუფთან — Olu Maintai — ერთად, ნიგერიულ ცეკვაზე — Yahoo — შეასრულა, შემდეგ კი ხელში მიკროფონის აღებაც არ დაიზარა... ეს ყველაფერი აფრიკული მოდისა და მუსიკის წარმოჩენის მიზნით გამართულ ფესტივალზე — Africa Rising მოხდა, სადაც პაუელმა შეკრებილთ განუცხადა: „მე დღეს თქვენ წინაშე, როგორც აფროამერიკელი, ისე გამ-

ოვდივარ. ბევრი მეუბნება, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნობას მიაღწიე, ამის შემდეგ, აუცილებელია თუ არა, კიდევ ერთხელ იმის შეხსენება, რომ აფროამერიკელი ან შავკანიანი ხარო?.. მე კი ვპასუხობ: დიახ, აუცილებელია და ჩვენ ვალდებულნი ვართ, ეს ჩვენს შვილებსაც შევახსენოთ. ისტორიის ამ წერტილამდე მიღწევაში ბევრი ადამიანი მეხმარებოდა. რა თქმა უნდა, ციდან არ ჩამოვვარდნილვარ და არც ის დამვიწყებია, რომ ჩემი კონტინენტიდან ამერიკაში ადამიანები ბორკილდადებულნი ჩამოჰყავდათ..." ამ სიტყვების შემდეგ, პაუელი სცენაზე ავიდა და... ცეკვა დაიწყო.

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 88

რომელი ბანკის პარტნიორი გახდა „ზაკონიკების“ ცნობილი ადვოკატი ლედი ტუკვაძე და აქცევს თუ არა „LTM“ მას ცნობილ ბიზნესლედიდ

ლედი ტუკვაძე ცნობილი სახეა საადვოკატო სივრცეში. ყველაზე ცნობადი კრიმინალური ავტორიტეტების პირადი და ოჯახის ადვოკატი. მის სახელსა და გვარს მისთვის უსაყვარლეს ქალაქ ქუთაისში ხშირად გაიგონებთ. ერთ-ერთი გავლენიანი, მაღალაზღაურებადი და წარმატებული ადვოკატია. იცნობენ, ანგარიშს უწევენ და პატივს სცემენ. მისი ცხოვრების კრედოა: სხვას ისე მოექეცი, როგორც გინდა, მოგექცევენ შენ.

ლედი ტუკვაძე საცხოვრებლად თბილისში გადმოდის და ძირითადი საქმიანობის პარალელურად, ბიზნესვუმენობას გეგმავს.

ხათუნა კვინიკაძე

— ქალბატონო ლედი, როგორ მოირგეთ ახალი ამპლუა? წინასაარჩევნო ჭორებს თუ დავუჯერებთ, პოლიტიკაში წასვლას გიწინასწარმეტყველებდნენ. თქვენს მხარდამჭერად, საკმაოდ ცნობილ სახეებსაც კი ასახელებდნენ. ახლა — ბიზნესი?

— ჩემს ცხოვრებაში გაჩნდა ახალი შანსი და უარი არ ვთქვი. პოლიტიკისადმი ყოველთვის მქონდა ჩემებური დამოკიდებულება, რომელიც არაერთხელ გამიჟღერებია პრესაში. სახელმწიფო იწყება თითოეული ჩვენგანის ოჯახიდან. მე ბევრი შრომა და ჩემი ოჯახის წინაშე მომეტებული პასუხიმგებლობა მხვდა წილად. ხშირად მიფიქრია, კარგი იქნებოდა, მეტი დრო დამეხარჯა ჩემი სახის შექმნაზე, მაგრამ ამის ნებას ვერ ვაძლევ საკუთარ თავს. მიმაჩნია, რომ პოლიტიკაში, პირადი ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად არ უნდა მიდოდნენ. ეს უკვე მოგვარებული უნდა ჰქონდეთ. მე ოჯახი ისე უზრუნველყოფილი არ მაქვს, რომ თავს უფლება მივცე, მხოლოდ სახელმწიფო ინტერესებზე ვიზრუნო. ოჯახში ჯერაც სჭირდებათ ჩემგან, როგორც მატერიალური მხარდაჭერა, ასევე მზრუნველობა და ყურადღება.

— თუ საიდუმლო არ არის, რას წარმადგენს ფირმა „LTM“?

— „LTM“ საფირმო ნიშანია — სოლიდურმა ფირმებმა შეიმუშავეს ახალი პროგრამა „ჩემი ოჯახი“, საშუალო შეძლების ადამიანებისთვის მაღაზიების ქსელით. იქნება მაღალხარისხიანი საქონელი — პროდუქცია ხელმისაწვდომ ფასებში, ერთ-ერთ ბანკთან ერთად, უპროცენტო განვადების შესაძლებლობით. შენდება სასურსათო და სააფთიაქო მაღაზიების ქსელები. „LTM“-ის ფაბრიკაც გაიხსნება.

— ყველამ იცის, რას ნიშნავს თქვენთვის ქუთაისი, რატომ მოდიხართ იქიდან?

— როცა პროფესიას მეკითხებიან, ვამბობ, რომ ვარ იურისტი და ქუთაისელი, ქუთაისთან კავშირის სამუდამოდ განყვეტას არ ვგეგმავ, ის ჩემი წინაპრების ქალაქია.

— შენდება ქუთაისი თუ ისევ, დროებით ლამაზდება?

— ქუთაისი წელიწადში რვაჯერ გადაღებილა, მაგრამ არაფერი აშენებულა. მღებავები არ გვაკლდა — მშენებელი მითხარით თქვენ. ახლა ეს ახალგაზრდა კაცი — გუბერნატორი — მართლა ააშენებს ჩემი შვილის ქალაქს, კი არ ღებავს და „მასკავს“ — აშენებს.

— მასზე ამბობენ, გუბერნატორიც არის, პროკურორიც, მოსამართლეც და მშენებელიცო...

— მე რომ სკოლის ფიზიკის ლაბორატორია ჩამაბარონ, — მიგვიხედეო, — მოვკვდები. მას თუ საქმე ჩააბარეს და ჩაიბარა, ესე იგი — მაგარია მიშა.

— და მაინც, რა არის ის, რისთვისაც, თითქმის ყველგან ერთნაირად გენდობიან? არადა, თითქოს არც ხმაურობთ, ისე აკეთებთ საქმეს.

— არასდროს სხვისი უბედურების ხარჯზე ჩემი რეკლამა არ გამიკეთებია და არ გამიღიზიანებია მეორე მხარე. მე ვიცი მოწინააღმდეგის ფასი და მიმაჩნია, რომ რაც უფრო ძლიერია ის, ადვოკატის ხარისხს ზრდის. ამასთან, ალბათ ვიცი ისიც, თუ რა არ ვიცი. არა მაქვს „ვსეზნაიკას“ ამბიცია, მაქვს სურვილი — გავიზარდო, როგორც პროფესიონალი.

— ვის არ დაიცავდით არასდროს?

— ალბათ, მცირეწლოვნის მიმართ ჩადენილი, ნებისმიერი სახის დანაშაულში ბრალდებულს.

— პირადი საუბრისას ახსენეთ ოჯახური პრობლემები, რომლებიც ცხოვრებაში შეგექმნათ. იმ ფონზე, რაც გადაგიტანიათ, რამ გადაგაწყვეტინათ, ადვოკატობისთვის მოგეკიდებინათ ხელი? ხომ არ იცავთ იმ ხალხს, რომელმაც სერიოზული დარტყმა მოგაყენათ?

— თავის დროზე მამაჩემის მოტაცების, ასევე, ჩვენი ოჯახის დაყაჩაღებისა და თავდასხმების სერიალების შემდეგ, ძალიან ახალგაზრდამ მივიღე ტრავმა, როგორც კრიმინალური სამყაროს, ასევე მაშინდელი „სამართალდამცავებისგანაც“.

— და წყენა დღემდე ასე მწარედ გახსოვთ?

— სულელები არც აპატიებენ და არც ივიწყებენ, გულუბრყვილოები კიდეც ივიწყებენ და კიდეც აპატიებენ, ხოლო ჭკვიანები — აპატიებენ, მაგრამ არ ივიწყებენო, — ამბობენ ძველი ლათინები. ბევრის პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ ლათინური სიბრძნის ბოლო წინადადება — ჩემი ცხოვრების წესია.

— თქვენზე ამბობენ, ძლიერი მფარველი ჰყავსო...

— უფალია ჩემი ერთადერთი მფარველი...

წარმატებული ემიგრანტები

„ქართველი ემიგრანტის" ცნება შავი სამუშაოს შესრულებასთან ასოცირდება. რადგან მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, ჩვენი თანამემამულენი ქვეყნის ფარგლებს მიღმა უმეტესად, გალატაკებული ოჯახების სარჩენად ან სულაც გადასარჩენად, სარჩო-საბადებლის საშოვნელად, სხვისი შვილების, დავრდომილების ან მოხუცებულთა მოსავლელად მიდიან. მაგრამ არაერთ ქართველს ინტელექტუალური შრომითაც გაუტანია თავი და ევროპასა თუ ამერიკაში წარმატებით ეწევა შემოქმედებით საქმიანობას. ამჯერად, სწორედ რამდენიმე ასეთი ემიგრანტის შესახებ მოგითხრობთ.

ვენის თეატრმა თბილისელ დრამატურგს სამშობლოზე პიესის დაწერა შეუკვეთა

ქართული ნიჭიერება საქართველოს ფარგლებს მიღმაც რომ არ იკარგება, ამაზე ნინო ხარატიშვილის წარმატებული შემოქმედებითი კარიერა მოწმობს. ქართველი დრამატურგი და რეჟისორი უკვე 6 წელია, გერმანიაში ცხოვრობს. ბავშვობიდან აქტიურმა ახალგაზრდა შემოქმედმა წარმატების მისაღწევად, რთული, მაგრამ საინტერესო გზა განვლო. სამშობლოში ახლობლების სანახავად ხშირად ჩამოდის, არც აქ მუშაობაზე ამბობს უარს, მაგრამ საკუთარი სპექტაკლის დადგმა მშობლიურ ქალაქში ჯერ ისევ ოცნებად რჩება.

მაია ღუღუნიშვილი

— ნინო, გვიამბე შენ შესახებ. როგორ დაიწყო შენი შემოქმედებითი ცხოვრება?

— თეატრალური ინსტიტუტი კინოდოკუმენტალისტის სპეციალობით დავამთავრე. მანამდე, თბილისის მე-6 სკოლაში ვსწავლობდი და იქ ჩამოვაყალიბე გერმანულ-ქართული თეატრალური დასი, რომელსაც „იასამნის თეატრი" დავარქვი. მოგვიანებით, ჩვენი სპექტაკლები „თეატრალურ სარდაფში", „სამეფო უბნის თეატრსა" და კინომსახიობთა თეატრში ვუჩვენეთ მაყურებელს. 2000 წელს გასტროლზე ვიყავით ბრემენში. თეატრალურ ინსტიტუტში კინოფაკულტეტზე ჩავაბარე, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ თეატრი უფრო მყვარებია.

— მაშინ, რატომ ჩააბარე კინოფაკულტეტზე?

— არ ვიცი. კინოც მიზიდავდა და მინდოდა, ამ სფეროშიც მეცადა საკუთარი ძალები. თეატრის სიყვარულმა თავისი გაიტანა და საბოლოოდ, დრამა ავირჩიე. თანაც, საქართველოში არ არის ფილმის გადაღების არც ტექნიკური, არც ფინანსური საშუალება. ამჟამად, სცენარების წერითა და სპექტაკლების დადგმით ვარ დაკავებული. არ არის გამორიცხული, მომავალში ფილმის გადაღებაზეც ვიფიქრო, რადგან ეს სფერო ძალიან მიყვარს.

— ეი. კიდევ ერთი პროფესია შეითავსე — სცენარისტიც ხარ?

— თავდაპირველად, ჩემი საქმე სწორედ წერა იყო. ბავშვობიდან ვწერდი პროზაულ და დრამატურგიულ ნაწარმოებებს.

— გვიამბე გერმანიაში შენს საქმიანობაზე.

— 6 წელია, ჰამბურგში ვცხოვრობ, სადაც თეატრის აკადემია დავამთავრე. საკურსო სპექტაკლი ჩემი პიესის მიხედვით დავდგი, რომელმაც ძალზე წარმატებულად ჩაიარა. ვმონაწილეობდი ფესტივალებში. მოგვიანებით, გამომცემლობაში დავიწყე მუშაობა. ახლა სხვადასხვა თეატრში მიწვევენ — სცენარისტად და რეჟისორად. ჩემს პიესებს სხვებიც დგამენ. ერთ-ერთის მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერა ახლახან ვენაში გაიმართა.

— რა სპექტაკლები დადგი და როგორია გერმანიაში მუშაობის პირობები?

— ჩემი 4 პიესის მიხედვით დავდგი სპექტაკლები. ახლა მეხუთეზე ვმუშაობ. დადგმული მაქვს ასევე სპექტაკლები ჩეხოვის, შილერის, შნიცლერის ნაწარმოებების მიხედვით. გერმანიაში 2 სისტემა არსებობს: სახელმწიფო და თავისუფალი. მე ორივეში ვმუშაობ. სახელმწიფოს მეტი დაფინანსება აქვს, უფრო მასშტაბურია, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, მუდმივ დასთან გაქვს საქმე, ამიტომ პიესას თავად ვერ აირჩევ. რაც შეეხება თავისუფალი ტიპის თეატრებს — იქ ამ მხრივ, შეზღუდვა არ არის, შეგიძლია, საკუთარი დასით მიხვიდე და რაც გინდა, ის დადგა.

— ძირითადად, რა სიძნელეები გხვდება თავის დამკვიდრების გზაზე?

— საკმაოდ ბევრი. ბრძოლა გიწევს, მეტი ინდივიდუალიზმია საჭირო და ნაკლები ხელშეწყობა გაქვს ყველას მხრიდან. უმეტესწილად, ყველაფერს დამოუკიდებლად უნდა გაართ-

ვა თავი. კონკურენციაც დიდია. მაგრამ თუკი ბევრს იშრომებ, აუცილებლად დაგიფასდება. ეს კი მუშაობაში ძალზე დიდ სტიმულს გაძლევს და მეტი ენთუზიაზმით ეკიდები საქმეს.

— რამდენად კმაყოფილი ხარ მიღწეულით? თავს კარგად გრძნობ?

— ამჟამად — კი, მაგრამ იმისთვის, რომ წარმატებას მივაღწიო, მუდმივად საბრძოლო განწყობილებით მიწევს ცხოვრება. დღესდღეობით ყველაფერი კარგად მიდის. შარშან მაისში, ჰაიდელბერგის დრამის საერთაშორისო ფესტივალზე ჩემი პიესა პირველ ადგილზე გავიდა. ძალზე მნიშნელოვანი ფესტივალია, ამიტომ ამ გამარჯვებას უდიდეს წარმატებად მივიჩნევ. ჩემი პიესის — „აგონიის" მიხედვით დადგმული სპექტაკლი კი წლის საუკეთესო დადგმის პრიზით აღინიშნება ჰამბურგის ფესტივალზე. ამ დაჯილდოებებმა ბევრი პრობლემა გადამიჭრა.

— თუ გყავს საკუთარი შემოქმედებითი ჯგუფი, რომელთან ერთადაც, სისტემატურად მუშაობ?

— ძალიან კარგი დასი მყავს, რომელთან ერთადაც, უკვე 4 წელია, ვმუშაობ. ესენი არიან: მსახიობები, კოსტიუმების მხატვარი და მუსიკოსი. ისინი მეხმარებიან იმაში, რომ ჩვენი ნამუშევარი კარგი გამოვიდეს.

— ამჟამად რაზე მუშაობთ?

— „დაღლილი ადამიანები ანუ კომედიის მცდელობა" — ასე ჰქვია პიესას, რომლის ავტორიც გახლავართ. 10 ოქტომბერს გვქონდა მისი პრემიერა ჰამბურგის LICHTHOF THEATER-ის სცენაზე. ამ თეატრს მცირე დარბაზი აქვს, სადაც ძალზე საინტერესო ხელოვნები მოღვაწეობენ. ვენის თეატრმა საქართველოს ომის თემაზე პიესის დაწერა მთხოვა, რაზეც უკვე დავიწყე მუშაობა.

— საქართველოსთან არ გაქვს შემოქმედებითი კავშირები?

— ძალიან მინდა, ჩემი პიესა — „აგონია" საქართველოშიც დავდგა. გერმანიაში მას დიდი მოწონება ხვდა წილად. მასში ქართული სიუჟეტია ასახული... ძალიან რთულია საქართველოში სპექტაკლის დასადგმელად სახსრების მოპოვება, მით უმეტეს, როცა საზღვარგარეთ ცხოვრობ... იმედი მაქვს, ამ სპექტაკლს ქართველი მაყურებელი აუცილებლად იხილავს. ■



სცენები გერმანიაში დადგმული სპექტაკლებიდან

წარმატებული ემიგრანტები

ჯონ ლენონი საქართველოდან



ნიუ-ორლეანის ქუჩებში, კლუბებსა თუ მუსიკალურ საღამოებზე საზოგადოება ხშირად ხვდება ადამიანს, რომელიც საოცრად ჰგავს ლეგენდარულ მუსიკოსს — ჯონ ლენონს. აღსანიშნავია, რომ ისიც მუსიკოსია, ნამდვილი ჯაზმენი და ჯაზის სამყაროში ზაზა მარჯანიშვილად იცნობენ. დიახ, ნიჭიერმა ქართველმა მუსიკოსმა „ბითლზისადმი" სიყვარულისა და თავდაუზოგავი შრომის წყალობით დიდ წარმატებას მიაღწია ამ სფეროში. მან კარიერა ანსამბლ „ნერგებში" დაიწყო და დღეს ნიუ-ორლეანში საქმიანობს, მუშაობს ალბომებზე და იქაურ მსმენელს შესანიშნავ მუსიკას სთავაზობს.

ანი აგულავა

ზარმაცი მუსიკოსი

— მუსიკისადმი სიყვარული ბავშვობიდანვე გამომყვა. დედაჩემს თუ დავუჯერებთ, სულ რაღაც 4 წლის ვყოფილვარ, როცა რადიოში ყველასთვის კარგად ცნობილ დიჯეის ილია კევლიშვილს ლეგენდარული ჯგუფის — „ბითლზის" ერთ-ერთი კომპოზიცია გაუშვია; მოსმენის შემდეგ, თურმე თავი რადიოზე დამიდჭია და ავტირებულვარ. სწორედ მაშინ წაუშენია დედას თავში ხელი და მამაჩემისთვის შეუჩივლია, — დავიღუპეთ, ჩვენი შვილი მუსიკოსი გამოვაო... ხუმრობა იქით იყოს და, ცოტა რომ წამოვიზარდე, სერიოზულად „შევიჭერი" ამ სფეროში. მუსიკალური შვიდწლედი დავამთავრე, მერი ალავიძის პედაგოგობით. მუსიკისადმი დიდი სიყვარულის მიუხედავად, საშინლად ზარმაცი ვიყავი და დღემდე მიკვირს, როგორ გამიძლო შვიდი წლის განმავლობაში ამ შესანიშნავმა პედაგოგმა. იმავე პერიოდში ანსამბლ „ნერგებში" ვეზიარე დასარტყამ ინსტრუმენტებს. საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში ასეთმა სამუსიკო ასპარეზმა საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ჩემგან ნამდვილად მუსიკოსი დადგებოდა.

ქართული „ბითლზი" და „ყურზე დათვდაბიჯებული" ოფიცერი

— 14 წლის ასაკში „ბითლზომანია" დამეწყო: თანატოლები „ჰალსტუხჩამოკიდებულები" დავდიოდით და ვატარებდით კონცერტებს ხან სად, ხან — სად; ვასრულებდით მუსიკას „ბითლზის" რეპერტუარიდან და ვბაძავდით ამ ლეგენდარული ჯგუფის წევრებს.

იმ პერიოდში მუსიკოსობა, ცოტა არ იყოს, არაპრაქტიკულ პროფესიად იყო მიჩნეული. სკოლა როცა დავამთავრე, ოჯახში გამართულმა „კრებამ" მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, მე — ასეთ ნიჭიერ მუსიკოსს! — „გეპეიში" — საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უნდა გამეგრძელებინა სწავლა... მუსიკა მაინც არ მივატოვე, უფრო და უფრო ვეფლობოდი ამ სამყაროში. ყველაზე მძიმე პერიოდი — სავალდებულო სამხედრო სამსახურში გატარებული 2 წელი იყო. ამ ხნის განმავლობაში სულ სამ-ოთხჯერ შევეხე პიანინოს და ერთხელ, ჯაზის დაკვრისთვის დავისაჯე კიდეც: ოფიცერს მუსიკალური სმენა არ ჰქონდა და ჯაზის არაფერი გაეგებოდა. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, გადავწყვიტე, სერიოზულად მომეკიდებინა ხელი მუსიკისათვის. საამისოდ უკვე მზად ვიყავი. საქმე ჯგუფის ჩამოყალიბებით დავიწყე. ღვთის წყალობით, კარგი მუსიკოსების მოძებნა არ გამჭირვებია. ორ მათგანს — მამუკა ღაღანიძესა (შემდგომში, ჯგუფ THE SHIN-ის წევრი) და პაატა ანდრიაძეს ადრეც კარგად ვიცნობდი, ისინი ჩემი „თანანერგელები" იყვნენ და კარგად ვიცოდი მათი შესაძლებლობები... ვმუშაობდით სტუდიებში, გვქონდა ტელეგადაღებები... იმ პერიოდში მიმიწვიეს ჯგუფ ADIO-ში. სწორედ იქ მუშაობამ დამანახვა, თუ რამდენად სერიოზული საქმისთვის მომიკიდებია ხელი. და სწორედ მაშინ შევიტყვე ერთი მარტივი აქსიომის არსებობა: მუსიკა — სიყვარულის ერთ-ერთი ფორმაა. ამ რაკურსით რომ შეხედოთ, ალბათ, მიხვდებით, თუ რაოდენ საპასუხისმგებლოა თუნდაც რიგითი მუსიკოსობა.

„ამერიკა მთვარეს ჰგავს: ანათებს, მაგრამ არ ათბობს"

— ერთ მშვენიერ დღეს, ნიუ-ორლეანში მცხოვრებმა ჩემმა მეგობარმა ნიკო ბერძენიშვილმა რამდენიმე ჩემი კომპოზიცია მოასმენინა ამერიკული ჯაზური სკოლის პედაგოგებს. ამერიკელებს იმდენად მოეწონათ, რომ... ერთბაშად ორი უნივერსიტეტიოან მივიღე მოწვევა. იმ პერიოდში ინგლისური ენა თითქმის არ ვიცოდი. გამიმართლა, როცა თბილისში ერთ-ერთ წვეულებაზე გავიცანი ამერიკელი პროფესორი, აწ განსვენებული ბატონი ტომ ფელი, რომელიც საქართველოს ხშირად სტუმრობდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამარაგებდა სახელმძღვანელოებით. სწორედ ამ ადამიანმა გამიწია დახმარება ამერიკაში ჩასვლისას — თავისი სახლის ნაწილი დამითმო საცხოვრებლად... ჩასვლიდან პირველსავე კვირას დაიმსხვრა ჯერ კიდევ თბილისში წარმოდგენილი, გაიდეალებული ამერიკის სახე. ვინც ამ ქვეყანაში არაა ნამყოფი, მათ მხოლოდ ერთ რამეს ვეტყვი: ამერიკა მთვარეს ჰგავს: ანათებს, მაგრამ არ ათბობს.

ლეგენდარული ხალხის გვერდით

— ამერიკაში თითოეულ წუთს დიდ ფასი აქვს ნებისმიერი პროფესიის ადამიანისთვის. მთავარია, შენი საქმე ზედმიწევნით კარგად იცოდე. თავდაუზოგავად ვშრომობდი. უამრავ ცნობილ ადამიანთან მიმუშავია, მათ შორის, კომპოზიტორ ჯოელ გოლდსმიტის სტუდიაში, Warner Brothers-ისა და Paramount Pictures-ის ფილმებზე, ჰერბი ჰენკოქსაც მივუწვევივარ ბრაზილიური მუსიკის ფესტივალზე. მუსიკამ დამამეგობრა საქვეყნოდ ცნობილ ჩიკ კორეასთანაც... ამჟამად ჩემს ახალ ალბომს ვამთავრებ, რომელიც მალე იხილავს მზის სინათლეს. პარალელურად, როგორც პროდიუსერი, სხვა ალბომებზეც ვმუშაობ. რაღა თქმა უნდა, ვუკრავ ჩემს საყვარელ ჯაზს სხვადასხვა კლუბში თუ საღამოზე.

ქართველი ჯონ ლენონი

— საოცრად ვგავარ ლეგენდარულ ჯონ ლენონს. ბევრი ადამიანის გაოცებული თვალები მინახავს, ბევრს ჰგონებია, რომ რაიმე ნათესაური კავშირი მქონდა ლეგენდარულ მუსიკოსთან. ბევრჯერ გადაუღიათ ჩემთან ერთად სურათი.

ქართული სუფრის მადლი და ამერიკელთა აცრემლებული თვალები

— ადრე რუსს მეძახდნენ, ახლა — აღარ, რადგან იციან, რომ ოკეანის გალმა, შავსა და კასპიის ზღვებს შორის არსებობს ქვეყანა, რომელსაც გეორგია ჰქვია. ხშირად ვეპატიჟები ამერიკელ მეგობრებს, ჯერ ქართული საცივითა და ხაჭაპურით გავაოცებ ხოლმე, მერე, რამდენიმე სადღგრძელოს შემდეგ, „კლანჭებში" მოვიქცევ და გატაცებით ვუყვები ექვთიმე თაყაიშვილზე, „უსახელო უფლისციხელზე", გურამ დოჩანაშვილზე, 300 არაგველზე; ვასმენინებ ქართულ მუსიკას და სენტიმენტალური სიამოვნებით ვაკვირდები მათ აცრემლებულ თვალებს...

„მინდა, ის საქართველო დამხვდეს, რომელსაც მე დავჭირდები"

— მენატრება ჩემი ქვეყანა. დავაპირე კიდეც დაბრუნება, 2006 წელი საქართველოში გავატარე, მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი შეგრძნება დამრჩა, რომ უმნიშვნელო რაღაცებზე აქ დიდ ენერგიას ხარჯავენ... ჩვენს ქვეყანას ერთიანობა და შენება სჭირდება... უკან, ამერიკაში წავედი. მაგრამ აუცილებლად დავბრუნდები. მინდა, ის საქართველო დამხვდეს, რომელსაც მე დავჭირდები... ■

წარმატებული ემიგრანტები

ქალი რთველი ჰენსილვანიის შტატში

ქალბატონი, რომელსაც ამჯერად გაგაცნობთ, 11 წლის წინ მეუღლესთან ერთად ჩავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რათა უკეთესი პირობები შეექმნა სამშობლოში დარჩენილი შვილებისათვის. ფატი გავაშელმა პირველი 3 წლის განმავლობაში, თავდაუზოგავი შრომის შედეგად, ესპანურ-ამერიკულ ინსტიტუტში პედაგოგის სტატუსის მოპოვებას მიაღწია. არადა, საქართველოში ვერ გამოინახა სამუშაო ადგილი კარგი პედაგოგისათვის...

ანი აგულავა

ოცნების ქვეყნიდან...

— ამერიკაში ჩამოსვლამდე ჩვენი ოჯახი არაფრით განსხვავდებოდა იმ ათასობით ქართული გაჭირვებული ოჯახისგან, რომელიც სიდუხჭირის გამო წელში წყდება. პროფესიით პედაგოგი, რუსთავში სისხლის გადასხმის ცენტრში ბუღალტრად ვმუშაობდი, მაგრამ ჩემი ხელფასი, მეუღლის შემოსავალთან ერთად, დიდი ვერაფერი შვება იყო. სწორედ გაჭირვებამ გადაგვაწყვეტინა ცოლ-ქმარს, დაგვეტოვებინა საქართველო და 1997 წელს ჩამოვსულიყავით „ოცნების ქვეყნად" წოდებულ ამერიკაში — იმ იმედით, რომ აქედან უფრო მეტად მოვახერხებდით სამშობლოში დატოვებული მცირეწლოვანი შვილების უზრუნველყოფას. უცხო მიწა, რომელიც საქართველოდან აგრერიგად მიმზიდველი ჩანდა, არ აღმოჩნდა ისეთი დალოცვილი, როგორიც წარმომედგინა. თუკი სამშობლოში მატერიალური პრობლემებით ვიყავით შეწუხებული, აქ სერიოზული ფსიქოლოგიური ბარიერების გადალახვა მოგვიხდა — აბსოლუტურად განსხვავებული დაბრკოლებები აღიმართა ჩვენ წინ: ენის უცოდინარობა, განსხვავებული მენტალიტეტი და ცხოვრების სტილი. პირველად დავიბენით, ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ უკან დასახევი გზა მოჭრილი იყო — შვილებს ვერ ვუღალატებდით და ეს განცდა ბრძოლის სურვილს გვიძლიერებდა.

ჰატარა საქართველოს დიდი კულტურა მანჰეტენზე

— საკმაოდ დიდი და მძიმე შრომის შედეგად მივაღწიე იმას, რომ ამერიკაში მოღვაწეობა გამეგრძელებინა, როგორც პედაგოგს. 8 წლის განმავლობაში საშუალება მქონდა, გავცნობოდი სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს, მათი ქვეყნების კულტურას და სულ უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რომ „სხვა საქართველო" მართლაც, არსაბდაა და რომ ჩვენი „განათებული მთა-ბარი წილნაყარია ღმერთთანა". ვიფიქრე, რომ ასეთი ქვეყნის შესახებ სხვებმაც უნდა იცოდნენ და ესპანურ-ამერიკულ ინსტიტუტში, სადაც ვმუშაობ, სხვადასხვა

ქვეყნიდან ჩამოსულ სტუდენტებს შეძლებისდაგვარად, ჩემს საქართველოს ვაცნობ. ხშირად, ქართულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი, ამაყად დავაბიჯებ ინსტიტუტში, სადაც ქართული კუთხეც მაქვს გაკეთებული. დღეს უკვე წელში გამართულ ქართველებს საშუალება გვაქვს, ამერიკაში წავიკითხოთ ქართული გაზეთი, მოვაწყოთ ქართული კულტურის საღამოები. არსებობს ქართული ენის შემსწავლელი კურსები, ჩამოყალიბდა ცეკვის ანსამბლი და სულ ახლახან დაარსდა თეატრი... ნიუ-იორკში, მანჰეტენის შუაგულში, პატარა საქართველოს დიდ კულტურას დაუდევს ბინა...

კახური რთველი ამერიკაში

— დიდი მონატრება სცოდნია ქართულ მიწას და ამ მონატრებამ ერთ კახელ კაცს ამერიკაში ვენახი აპოვნინა. დიდებულმა ადამიანმა — გელა გელაშვილმა შეგვკრიბა ქართველები და პენსილვანიის შტატში მდებარე პატარა სოფელში — ლანკასტერში, ფრანგული წარმოშობის ოჯახში სტუმრად წაგვიყვანა. ამ ოჯახს ვენახი აქვს გაშენებული და ჩვენ, ქართველებმა კახური რთველი მოვაწყვეთ. ეს იყო ნამდვილი მონატრებული დღესასწაული: ყურძნის კრეფა, დაწურვა, ახალი მაჭარი, ჩურჩხელების ამოვლება, ქართული სუფრა, სადღეგრძელოები და ცეკვა-სიმღერა. შუა ლხინში, სხვებისთვის შეუმჩნევლად, ვენახის ბოლოში გავიპარე, მიწა ამოვჩიჩქნე და დავყნოსე. ჰოი, დედასა, იმასაც ქართული მიწის სუნი ასდიოდა იმ დღეს!..

...ასანთის ღერებზე აგებულ ქვეყანამდე

— დაბოლოს, მინდა ვუთხრა ყველა ქართველს, რომელსაც დღესაც ოცნების ქვეყნად წარმოუდგენია ამერიკა: არა, ბატონებო, ეს ქვეყანა — ბლეფია, ასანთის ღერებზე აგებული ხუხულაა. 10 წლის წინ ვიწინასწარმეტყველე ამ ქვეყნის დანგრევა, და აჰა, ეს პროცესიც დაიწყო, ამერიკაში დღეს უკვე კრიზისია...

■

წარმატებული ემიგრანტები

„მსოფლიო ტალანტები“, საკუთარი ვარსკვლავი მოსკოვში

და გამოჩენილი შვიდეულის კონცერტი მანჰეტენზე

მსოფლიო პრესაში მას თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო ტენორს უწოდებენ, მუსიკალური კრიტიკოსები კი მის ხმას გამოჩენილი ტენორის — პლასიდო დომინგოს ხმას ადარებენ. საქველმოქმედო ფონდ „მსოფლიო ტალანტების“ პრეზიდენტსა და სამხატვრო ხელმძღვანელს, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატსა და მოსკოვის „გელიკონ ოპერის“ სოლისტს, დავით ღვინიანიძეს მშობლიური პუბლიკა ნაკლებად იცნობს. სამაგიეროდ, მისი სახელი ხშირად ულერს ისეთი ვარსკვლავების გვერდით, როგორებიც არიან „ლა სკალის“ სოლისტი გაბრიელა მორეჯი, „მეტროპოლიტენ ოპერის“ სოლისტი პატრიშა მილერი და იტალიელი მეცო-სოპრანო ფიორენცა კოსოტო.

ნანი ბრეგვაძესთან ერთად

ემა ტუხიაშვილი

თითქმის 8 წელია, დავით ღვინიანიძე საქართველოს ფარგლებს მიღმა ცხოვრობს. მისი კარიერული აღმასვლა, მოსკოვის თეატრ „ახალ ოპერაში“ დაიწყო, სადაც ის პირველსავე საკონკურსო მოსმენის შემდეგ სოლისტად მიიღეს. რუსული პრესა წერდა, რომ ახალგაზრდა, ნიჭიერ მომღერალს იმხანად მოსკოვში საკუთარი ჭერიც კი არ ჰქონდა და თავი რომ ერჩინა, ვოკალში კერძო გაკვეთილებსაც ატარებდა. 22 წლის ქუთაისელ ბიჭს წარმატება ერთიანად „დაატყდა თავს“: ჯერ იყო და, საერთაშორისო კონკურსის „რომანსიადის“ პირველი პრემიის ღირსად და შესაბამისად, რუსული რომანსების საუკეთესო შემსრულებლად აღიარეს; ამას მოჰყვა რახმანინოვის სახელობის და იტალიური მუსიკის კონკურსების საპატიო ლაურეატის წოდება. საქმე იქამდე მივიდა, რომ ცოტა ხნის წინ კულტურის სფეროში დამსახურებისთვის, მოსკოვში, სოკოლნიკის კულტურისა და დასვენების პარკის სიმფონიურ ესტრადაზე, ღვინიანიძის ვარსკვლავი გაიხსნა. დავით ღვინიანიძის საკონცერტო რეპერტუარში მსოფლიო კლასიკის ასამდე არია (მათ შორისაა: ლენსკი, ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინში“, ხოზე — ბიზეს „კარმენში“, ალფრედი — ვერდის „ტრავიატაში“ და მალხაზი ფალიაშვილის „დაისში“), რუსი და უცხოელი კომპოზიტორების რომანსებია შესული. ამჟამად დავითი ამერიკაში, ნიუ-იორკში ცხოვრობს, მართავს კონცერტებს და ცოტაოდენი დრო ჩვენთან საუბრისთვისაც გამონახა.

პაგრიშა მილერთან ერთად

— დავით, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველები — მომღერალი ერი. მუსიკასა და სიმღერის ნიჭი თქვენც წინაპართაგან ხომ არ გერგოთ?

— სიმღერა ქართული ტრადიციის ნაწილია. მე ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ ქართველი ერი განსაკუთრებით ნიჭიერია. ქართულ მუსიკასა და


ლიანა ღურწკაიასთან ერთად

სიმღერას ჩემს ოჯახშიც განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა, მაგრამ ჩემი წინაპრებიდან პროფესიონალი მომღერალი არავინ ყოფილა. მე კი ბავშვობიდან ვმღერი. ხალისით ვმღეროდი ყველგან და ყოველთვის: სახლში, სტუმრად ყოფნისას, სკოლაში, უნივერსიტეტში. თანაკლასელი გოგონებისთვისაც კი მიმღერია სერენადები...

— როგორც ვიცი, ქუთაისში დაიბადეთ, გაიზარდეთ...

— ყოველთვის დიდი ნოსტალგიითა და სიყვარულით ვიხსენებ იქ გატარებულ წლებს. სკოლის დამთავრების შემდეგაც, უმაღლესი განათლების მიღების მიზნით თუ სამსახურის გამო, ხშირად მიხდებოდა ქუთაისის დატოვება, მაგრამ მაშინაც და ახლაც, ყოველთვის ვცდილობ, შევინარჩუნო ურთიერთობა მშობლიურ ქალაქთან და ქალაქელებთან.

— გვიამბეთ, როგორი იყო გზა ქუთაისიდან საოპერო კარიერის მწვერვალებამდე...

— სკოლის დამთავრების შემდეგ, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური აკადემიის სტუდენტი გავხდი. მეორე კურსზე ვსწავლობდი, როდესაც იმერეთისა და აჭარის ტელევიზიებით მიმყავდა საავტორო გადაცემა „ტენორი", რომელიც მაყურებელს კლასიკური მუსიკისა და მისი შემსრულებლების შესახებ მოუთხრობდა. მესამე კურსზე ვიყავი, როცა ბათუმის სახელმწიფო საოპერო თეატრის სოლისტობა შემომთავაზეს. ბათუმის ოპერის თეატრში ჩემი დებიუტი, ვერდის „ტრავიატაში", ალფრედის პარტიით შედგა. მუსიკალური აკადემიის დამთავრების შემდეგ, მიმიწვიეს ინგლისში, ქალაქ ნიუ-პორტის საოპერო თეატრში, მაგრამ მე მოსკოვში გამგზავრება ვარჩიე და არც შევმცდარვარ: პირველსავე საკონკურსო მოსმენის შემდეგ, „ახალი ოპერის" სოლისტად დამამტკიცეს. 2003 წელს კი პატივი მერგო, მოსკოვის მუსიკალური თეატრის — „გელიკონ ოპერის" სოლისტიც გავმხდარიყავი. 2002 წელს მოსკოვში დავაარსე საქველმოქმედო ფონდი „მსოფლიო ტალანტები". ამ ფონდის ეგიდით, უკვე 42 საკონცერტო პროექტი განხორციელდა, მათ შორის — „ყველა დროის კერპები". მასში მონაწილეობდნენ ისეთი ცნობილი მომღერლები, როგორებიც არიან: ქალბატონი ნანი ბრეგვაძე, მარია ბიეშუ, ირინა არხიპოვა, სვეტლანა ვარგუზოვა. კონცერტებში მონაწილეობდნენ ამერიკის პრიმადონა — პატრიშა მილერი, იტალიელი მომღერალი გაბრიელა მორიჯი და ბუქარესტის ოპერის მეცოსოპრანო ეკატერინა ცუცუ. საქველმოქმედო ფონდი „მსოფლიო ტალანტები" — ჩემი სიამაყეა! მიმდინარე წლის 1-ელ ოქტომბერს, მოსკოვში, მუსიკის სახლში გრანდიოზული კონცერტით აღინიშნა ფონდის არსებობის მეექვსე წლისთავი. მსმენელის წინაშე სცენაზე წარდგნენ როგორც რუსეთის საოპერო ვარსკვლავები, ასევე ამერიკელი, „მეტროპოლიტენ ოპერის" სოლისტი, პლაჩიდო დომინგოს აღმოჩენა — არაჩვეულებრივი ტენორი ალეხანდრო ოლმედო. 6 წლის განმავლობაში ფონდმა დიდ წარმატებებს მიაღწია და ღირსეული ადგილი დაიკავა მსოფლიო კლასიკური მუსიკის ცხოვრებაში.

— მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ ქართველ ტალანტებს თუ უწევს დახმარებას თქვენი საქველმოქმედო ფონდი?

— სამწუხაროდ, ჩემი ფონდი, გეოგრაფიულად, საქართველოდან შორსაა... მაგრამ ხშირად ხდება, რომ გამოჩენილი ქართველი მუსიკოსები მონაწილეობენ საქველმოქმედო ფონდის ეგიდით გამართულ კონცერტში. მაგალითად, შესანიშნავი დირიჟორი გოგი ჭიჭინაძე ბევრჯერ უძღვებოდა ჩვენს კონცერტებს, მოსკოვში, მუსიკის საერთაშორისო სახლში. ჩვენს კონცერტებში მონაწილეობდა აგრეთვე, დიდი თეატრის სოლისტი ოთარ კუნჭულია.

— უცხოეთში ასეთი ცნობილი ბრძანდებით. არ გეწყინოთ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ქართველი პუბლიკა განებივრებული გყავთ თქვენი შემოქმედებით...

— ვერ წარმოიდგენთ, როგორ მსურს საქართველოში ხშირად ჩამოსვლა, მაგრამ ეს გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის თანამშრომლებთან ხშირად მაქვს სატელეფონო საუბარი, შესაძლო საქმიანი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. მაგალითად, ცოტა ხნის წინ გოგი ჭიჭინაძემ შემომთავაზა, მშობლიური თეატრის სცენაზე, სპექტაკლ „ბალ-მასკარადში" რიჩარდის პარტია შემესრულებინა. მოხდა ისე, რომ სწორედ იმ დროს ამერიკაში გამგზავრება მომიხდა, ამიტომაც შემოთავაზებაზე უარი ვთქვი. რამდენიმე წლის წინ, თბილისსა და ქუთაისში გავმართე სამი ტენორის კონცერტი. ეს იყო ნამდვილი დღესასწაული ქართველი მელომანებისთვის. იმედი მაქვს, ახლო მომავალში, კვლავ შევძლებ, ასეთი კონცერტი ვაჩუქო ქართველ პუბლიკას.

— ამერიკაში თქვენი ყოფნის მიზეზი რა არის?

— უბედნიერესი ადამიანი ვარ, რომ ჩემი პროფესიის წყალობით ამერიკაში მოვხვდი. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე მინდა გითხრათ, რომ წილად მხვდა ეს განსაკუთრებული ხვედრი. მხოლოდ 6 თვეა, რაც ნიუ-იორკში ვიმყოფები და რამდენიმე ამერიკული ტელეარხის მხარდაჭერით, უკვე შედგა ჩემი პროექტი — კონცერტი მანჰეტენზე, მსოფლიოს შვიდი ცნობილი ტენორის მონაწილეობით. გარდა ამისა, ამ ექვსი თვის განმავლობაში, ამერიკაში დაახლოებით 15 სოლო კონცერტი ჩავატარე.

— დავით, ჯერ მხოლოდ 30 წლის ხართ და მოსკოვში, კულტურის ერთ-ერთ ცენტრში, უკვე თქვენი სახელობის ვარსკვლავი „აკიაფდა"...

— ეს ჩემთვის დიდი პატივია. ასეთი აღიარების შემდეგ, ყველა პროფესიონალი უფრო მეტად ხდება ვალდებული თავისი პუბლიკის წინაშე. გარდა ამისა, შარშან ჩემი სახელი შეიტანეს რუსეთის ენციკლოპედიაში — „ჩვენი ათასწლეულის ადამიანები". აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩვენმა საქველმოქმედო ფონდმა მოიპოვა გაეროს მხარდაჭერა და მე მომენიჭა დიპლომი სამეცენატო საქმიანობისთვის. ასე რომ, ჩემი რეგალიები უფრო მეტად მავალდებულებს, ვიდრე მახარებს.

— საინტერესოა, რას გრძნობდით მაშინ, როდესაც რუსი პუბლიკა ტაშს გიკრავდათ, თქვენს სამშობლოს კი ამ ქვეყნის ბომბდამშენები ბომბავდნენ?

ანასტასია ვოლოჩკოვასთან ერთად

— მხოლოდ მწუხარება და უდიდესი ტკივილი მივიღე ამ მოვლენების დროს. მართალია, ქართულ-რუსული ურთიერთობების დაძაბვა ჩემს პროფესიულ საქმიანობაზე არ ასახულა, მაგრამ პიროვნულად ჩემთვის, ყოველივე ამის გააზრება და ამასთან შეგუება, ძალზე ძნელია. პირველ რიგში, მე ხომ ქართველი ვარ და გული მტკივა, როდესაც ვხედავ, რომ ჩემი ერი განსაცდელშია... ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის

უბის წიგნაკიდან:

1. ჰანიბალს იტალიაში არც ერთი ბრძოლა არ წაუგია.

2. საგზაო მოძრაობის წესები პირველად იულიუს კეისარმა შემოიღო.

3. ინგლისი უკანასკნელად 1066 წელს ვილჰელმ დამპყრობელმა დაიპყრო.

4. ფრანსუა რაბლეს ყველა ნაწარმოები გამოცემისთანავე იქნა აკრძალული.

5. ჩინეთის დიდმა კედელმა მცენარეთა ევოლუციის პროცესზე მოახდინა ზეგავლენა.

6. გაბრიელ გარსია მარკესის „მარტოობის ასი წელიწადის“ 10 მილიონი ეგზემპლარია გაყიდული.

7. თომას ჯეფერსონი აშშ-ის პირველი პრეზიდენტი იყო, რომლის ინაუგურაციაც თეთრ სახლში გაიმართა.

8. ვენის კარლ-მარქს-ჰოფი ყველაზე გრძელი საცხოვრებელი სახლია მსოფლიოში. იგი ტრამვაის სამ გაჩერებას მოიცავს.

9. ყველაზე დიდი გარბენი 1966 წლის

ავტომანქანა VolvoP-1800S-ს აქვს. მას დღემდე 1764000 მილი აქვს გავლილი.

10. ანსამბლ „ბითლზის“ წევრებს 1966 წლის 20 აგვისტოს ქალაქ მემფისში გამართული კონცერტის დროს დამპალი ვაშლები დაუშინეს.

11. კასტური სისტემა იაპონიაში 1871 წელს გაუქმდა, თუმცა უმდაბლესი კასტის წარმომადგენელთა შთამომავალნი დღესაც განიცდიან დისკრიმინაციას.

12. უძველესი მონასტერი ჩრდილოეთ რუსეთში სვიატო-კამენნი 1937 წელს კომუნისტებმა დაანგრიეს, რათა ადგილობრივი კულტურის სასახლის ასაშენებლად აგური გამოეყენებინათ.

13. ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციას 4 ივლისს მხოლოდ ორმა პირმა — ჯონ ჰენკოკმა და ჩარლზ ტომფსონმა — მოაწერა ხელი. დანარჩენი ხელმოწერები 2 აგვისტოს გაკეთდა.

14. მაია ჩიბურდანიძე ყველაზე ახალგაზრდა ქალი იყო, რომელსაც ოდესმე ქალთა მსოფლიო საჭადრაკო ჩემპიონატზე გაუმარჯვია.

15. კიევის დიდი ლავრის სამრეკლოს საათი თავისი არსებობის მანძილზე მხოლოდ ერთხელ გაჩერდა — როდესაც მეორე მსოფლიო ომის დროს მის სიახლოვეს მდგარი, მიძინების ტაძარი აფეთქდა.

16. პერეშჩეპინას განძი 1912 წელს აღმოაჩინეს, როცა უკრაინელმა მწყემსმა ბიჭმა ოქროს ქოთანს წამოჰკრა ფეხი, წაიბორძიკა და კუბრატის, დიდი ბულგარეთის ლამაზრსებლის სამარხში ჩავარდა.

რა მოსწონს საკუთარ გარეგნობაში მაკა ზამბახიძეს

„სარკესთან კარგი დამოკიდებულება მაქვს. მასში ჩახედვისას ვხვდები, რომ ეფექტური და ეშხიანი ქალი ვარ“, — მითხრა მომღერალმა მაკა ზამბახიძემ. ის თავის მოვლას იურმალაში გამარჯვების შემდეგ უფრო მეტ დროს უთმობს.

და რამ მოუტანა წარმატება მას იურმალაში

მარეხ ჭონიშვილი

— მაკა, ახალ ამპლუაში თავს როგორ გრძნობ?

— ძალიან მომეწონა წამყვანობა, ეს საქმე სიამოვნებას მანიჭებს. ბევრი მირეკავს და მეუბნება, რომ მე და რატის „ნუცას სკოლა“ კარგად მიგვყავს. ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი კონცერტის წამყვანობაც შემოგვთავაზეს. მე მგონი, ეს იმის მანიშნებელია, რომ ახალ ამპლუას მოვერგეთ და კარგად გამოგვდის. თუ ასე გაგრძელდა, მე მგონი მომღერლობას თავს დავანებებ და ამ საქმეს გავყვები (*იცინის*).

— დილით ადრე ადგომა არ გიჭირს?

— დილით გაღვიძება მიჭირს, ამიტომ ვცდილობ, დასაძინებლად ადრე დავწვე. ჩემი დღე 7 საათზე იწყება და ყველა წუთი გათვლილი მაქვს.

— კონკურსის შემდეგ თავს უფრო მეტად უვლი?

— თავს ყოველთვის ვუვლიდი, სულ ფორმაში ვიყავი. მაგრამ „იურმალის“ შემდეგ ჩემს გარეგნობას უფრო დიდ ყურადღებას ვაქცევ. მსიამოვნებს, როცა მეუბნებიან: კონკურსის შემდეგ გარეგნულად უკეთესობისკენ შეიცვალე და ახლა უფრო ეფექტური ხარო.

— მაკა, მაკიაჟის გაკეთება რა ასაკში დაიწყე?

— როგორც ყველა პატარა გოგო, მეც პრანჭია ვიყავი. მიყვარდა დედაჩემის პარფიუმერიის ხმარება. სამსახურში რომ წავიდოდა, სარკის წინ დავდგებოდი და სახეზე ათასნაირი ფერის საღებავს ვისვამდი. დედის მოსვლის დროისთვის კი ვიშორებდი. სერიოზული მაკიაჟის გაკეთება, როცა გავთხოვდი, მაშინ დავიწყე. იმ დროს 17 წლის ვიყავი.

— თმის ფერს ხშირად იცვლი?

— არც ისე. „იმედის ტალღის“ კონკურსზე როცა მივედი, ქერა თმა მქონდა. მაია ყიფიანმა რომ დამინახა მითხრა: ეს რა ფერის თმა გაქვს, სასწრაფოდ გადაიღებეო! მეც დავუჯერე, შევიღებე და ახლა ძალიან მომწონს. ეს თითქმის ჩემი ბუნებრივი თმის ფერია, უბრალოდ, ეკრანზე უფრო ეფექტურად რომ გამოჩენილიყო, ამიტომ შევიღებე.

— სალონში ხშირად დადიხარ?

— სამსახურის გამო ამ ბოლო დროს თითქმის ყოველდღე მიწევს სალონში მისვლა და თმის დავარცხნა.

— რომელი ფირმის კოსმეტიკას ხმარობ?

— „შანელის“, „ნინა რიჩის“ „კრისტიან დიორის“. ხარისხიან კოსმეტიკაში ფულის გადახდა არასოდეს მენანება.

— სახის კანს როგორ უვლი? კოსმეტოლოგთან თუ დადიხარ?

— სახეს შინ ვიწმენდ. ნიღბებსაც ჩემით ვიკეთებ, მაგრამ ამ ბოლო დროს, ვატყობ, ბევრი მაკიაჟისაგან სახის კანი „დამეღალა“, ამიტომ შეიძლება, კოსმეტოლოგს მივაკითხო.

— მანიკიურს და პედიკიურს თავად იკეთებ?

— ადრე მე თვითონ ვიკეთებდი და კარგადაც გამომდიოდა. ახლა კი ამის დრო და ენერგია აღარ მრჩება, ამიტომ სალონში დავდივარ.

— მაკა, ჩაცმულობის როგორ სტილს ანიჭებ უპირატესობას?

— გააჩნია, სად მივდივარ და რა საქმის გაკეთება მომიწევს. თუ ვიცი, რომ დღის განმავლობაში ბევრი საქმე მაქვს, მაშინ სპორტულ სამოსს ვიცვამ. სცენაზე კი მირჩევნია, კლასიკურად გამოვიყურებოდე. კლასიკური იმიჯი „იურმალაზე“ შეგვირჩიეს, მეც მომეწონა, თანაც მოვიხდინე.

— სამოსს სად ყიდულობ?

— იმ მაღაზიაში, სადაც მომეწონება. უფრო ხშირად კი ვიკერავ.

— გულამოჭრილი სამოსი თუ გიყვარს?

— ჩემი აზრით, ქალმა უნდა გამოაჩინოს ის, რაც ლამაზი აქვს, მაგრამ ზომიერების ფარგლებში. ვულგარულობა არ მიყვარს.

— სამოსის ამოჩემება თუ გჩვევია?

— ყოველთვის ვცდილობ, სხვადასხვაგვარად მეცვას. ერთი და იგივე ტანსაცმელი მალე მბეზრდება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთხელ ჩავიცვამ და გარდერობში ჩამოვკიდებ ან გადავაგდებ. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ ვიცვამ ხოლმე.

— ჩაცმასთან დაკავშირებით ვის რჩევებს ითვალისწინებ?

— როცა რამეს ვყიდულობ, პირველ რიგში, უნდა მომეწონოს. მაგრამ დედაჩემისა და მაია ყიფიანის რჩევებსაც ვითვალისწინებ. მაიას გემოვნებას ძალიან ვენდობი.

— შოპინგი გიყვარს?

— ძალიან, როცა ცუდ გუნებაზე ვარ და მინდა, ხასიათი გამომიკეთდეს, აუცილებლად რაღაც უნდა შევიძინო. არა აქვს მნიშვნელობა, ეს ტანსაცმელი იქნება თუ აქსესური.

— აქსესუარებზე რას იტყვი?

— სათვალის ტარება არ მიყვარს. სამკაულებიც ისეთი ნაზი და პატარები მაქვს, როგორიც მე ვარ (*იცინის*). ერთადერთი, დიდთვლიანი ბეჭედი მაქვს, რომელიც ანი გოგილაძემ სპეციალურად ჩემთვის გააკეთა. ეს ბეჭედი „იურმალაზე" მეკეთა. პირველ



ამ ბეჭედმა „იურმალაზე" წარმატება მომიგანა

დღეს წარმატება რომ მომიტანა, შემდეგ თილისმასავით აღვიქვი, სამივე გამოსვლის დროს მეკეთა და წარმატებაც მომიტანა.

— ჩანთებზე რას იტყვი?

— ჩანთა და ფეხსაცმელი ჩემი სუსტი წერტილია. ამ ორ რამეში ფულის გადახდა არასოდეს მენანება. ჩანთის შეძენაზე უარს არასოდეს ვამბობ, არა აქვს მნიშვნელობა რა ზომისა და ფერისაა, მთავარია, მომეწონოს. მიყვარს, როცა ბევრი ჩანთა მაქვს.

— წონას თუ აკონტროლებ?

— თითქმის სულ ვაკონტროლებ. „იურმალისთვის" ერთ თვეში 6 კილო დავიკელი. კონკურსზე იდეალური წონის — 47 კილო ვიყავი. მერე 3 კილო მოვიმატე. ეს იმის ბრალია, რომ ბევრ ენერგიას ვხარჯავ და ამიტომ ხშირად ვჭამ. ახლა ვცდილობ, ისევ დავიკლო.

— სოლარიუმში თუ დადიხარ?

— სოლარიუმში სიარული მიყვარს და ხშირადაც დავდივარ. ძალიან მომწონს ჩემი თავი, როცა გარუჯული ვარ. ასევე შემიძლია მზეზე დიდხანს წოლა. ახლობლები მეუბნებიან ხოლმე — ადექი, არ „გახმეო"!..

— ყველაზე მეტად რა მოგწონს შენს გარეგნობაში?

— საკუთარ თავზე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ ყველა მეუბნება, რომ ლამაზი თვალები მაქვს. ამ აზრს მეც ვეთანხმები.

— პლასტიკური ოპერაციის გაკეთება თუ გიფიქრია და რას შეიცვლიდი გარეგნობაში?

— ქირურგიული ჩარევის წინააღმდეგი ვარ. მაკმაყოფილებს საკუთარი თავი ისეთი, როგორიც ვარ და ჩემს გარეგნობაში არაფრის შეცვლას არ ვაპირებ. ასაკში რომ შევალ და ნაოჭები მექნება, შეიძლება, მის მოშორებზე ვიზრუნო.

— როგორ სუნამოები მოგწონს?

— მოტკბო, ნაზი სურნელის სუნამოები მიყვარს. ახლა „ნინა რიჩის" სუნამო მაქვს. მეგობარმა მაჩუქა და ძალიან მომწონს.

— შემოქმედებით ცხოვრებაში თუ არის რაიმე სიახლე?

— მე და რატიმ ვაუა დურგლიშვილის სიმღერა ჩავწერეთ. კარგი გამოვიდა. ამ სიმღერის პრემიერა შეიძლება, „ნუცას სკოლაში" შედგეს. შემდეგ კი კლიპის გადაღებასაც ვაპირებთ. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

17. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ოთხ წელიწადში ერთხელ — ყოველი ნაკიანი წლის ნოემბრის პირველ სამშაბათს (პირველი ორშაბათის შემდეგ) ირჩევენ, ხოლო მისი ინაუგურაცია მომდევნო წლის 20 იანვარს იმართება.

18. როდესაც შვიდი წლის ასაკში მოცარტი კონცერტებს მართავდა მაინის ფრანკფურტში, მასთან თოთხმეტი წლის ბიჭი მივიდა. — რა შესანიშნავად უკრავ, მე ალბათ ვერასოდეს ვისწავლიდი ასე დაკვრას. — როგორ არა! შენ ხომ უკვე დიდი ხარ, სცადე და, თუ ვერ გამოგივა, დაიწყე ნოტების წერა. — მე ვწერ... ლექსებს... — უგეც ხომ ძალიან საინტერესოა. კარგი ლექსების წერა, ალბათ, კიდევ უფრო ძნელია, ვიდრე შუსიკისა. — რატომ, სულ ადვილია, სცადე შენც... ვოლფგანგ მოცარტის თანამოსაუბრე იოჰან ვოლფგანგ გოეთე იყო.

19. მხატვრულ ფილმში „ამაღლება" ზურა ქაფიანიძე ამ ხალხურ ლექსს ფანდურზე ამღერებს: „საბრალო დედაბრისასა, თაგვნი ყანასა მკიანო, ტახნი მიჰხვეტენ კალოსა, მელები კუდითა გვიანო... დათვებს ჰკიდიათ ტომრები, ორმოში პურსა ჰყრიანო, მგლები წისქვილში დაგზავნეს, პურს მალე დაგვიფქვიანო... მტრედნი ჩააკვრნენ ლავაშსა და გვრიტნი ამოჰყრიანო, ერთად სმენ, ჭამენ, ლხინობენ, „ჰარალოს" დასძახიანო..."

20. ალექსანდრე მაკედონელი მეცნიერებისა და კითხვის დიდი მოყვარული იყო. ჰომეროსის „ილიადას" იგი სამხედრო ხელოვნების საუკეთესო ძეგლად მიიჩნევდა და ამ დარგში გზის გამკვლევ სახელმძღვანელოს უწოდებდა. მას ხელთ ჰქონდა ამ პოემის არისტოტელეს მიერ შესწორებული ვარიანტი, რომელიც მარადჟამს მახვილთან ერთად ჰქონდა ბალიშქვეშ ამოდებული.

21. ერთხელ გოგი ცაბაძე ჩაილურში საქეიფოდ დაპატიჟეს. იქაური მეტყევე უთვლიდა: შველი მყავს დაჭერილი და მწვადებზე გეპატიჟები მეგობრებთან ერთადო. მეორე დღეს კომპოზიტორი კახეთში ჩავიდა. ადგილზე მისულებმა ნახეს, შველი დაბმულია და იქვე კუნძზე ალესილი დანა დევს. გადაირია ცაბაძე, მივიდა და ფერება დაუწყო. არ დააკვლევინა არაფრის დიდებით. — აბა, რა უნდა ვჭამოთო? — შეწუხდა მასპინძელი. — ბევრი არაფერი გვინდა, ღვინო ხომ გაქვთ, ყველი და შოთის პურიო! ცაბაძის ერთმა მეგობარმა ვეღარ მოითმინა: — კარგი, რა, გოგი, ამხელა გზა გამოვიარეთ და შვლის მწვადი არა ვჭამოთო?! — არა გრცხვენია, ბიჭო, — გაუწყრა მეგობარს ცაბაძე, — სარკეში არ იყურები? მაგ სიფათის პატრონმა ასეთი სილამაზე როგორ უნდა შეჭამოო?!

როგორ ტრუსს ანიჭებს უპირატესობას ჯიჯი რევჯინი

და ქალად ლაბალების შემთხვევაში ვის მიჰბაძავდა

ჯიჯი რევჯინი ფიქრობს, რომ ქალებს კარგად იცნობს. თავად ქალი რომ ყოფილიყო, ბევრ რამეში მიჰბაძავდა ბასა ფოცხიშვილს. ჯიჯის უყვარს წიგნის კითხვა, მაგრამ ამისთვის არ სცალია. მოსწონს გასული საუკუნის 20-იანი წლები, მაგრამ ჩვენს ეპოქაში ცხოვრებას ვერაფრით დათმობდა. ალბათ უკვე მიხვდით, რომ ჯიჯი რევჯინთან სტუმრად, გემოვნებაზე სასაუბროდ მივედით.



მერი კობიაშვილი

— ჯიჯი, როგორ ფიქრობ — რა არის ადამიანისთვის გემოვნება? ქუჩაში შემხვედრ ადამიანზე შეგიძლია თქვა, გემოვნება აქვს თუ — არა?

— ყველამ უნდა გაიგოს, რომ გემოვნებიანობა და მოდურობა აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისგან. მე შეიძლება მეცვას სრულიად უცნობი დიზაინერის შეკერილი სამოსი, მაგრამ — გემოვნებით. შეიძლება, „მაიკა“ იყიდო „სექენდ-ჰენდში“ ან შარვალი ვინმე უცნობ დიზაინერთან შეიკერო 15 ლარად; ფეხსაცმელი ბებიას გამოართვა და იქნები ზეგემოვნებიანად ჩაცმული. გემოვნება, ჩემი აზრით, არის ფერების შეგრძნება. ისიც შესაძლებელია, რომ ადამიანი გემოვნებიანი იყოს, მაგრამ უგემოვნოდ ეცვას.

— ასე რატომ უნდა მოხდეს?

— ოო, ასე, როგორც წესი, ძალიან ცნობილ დიზაინერებს ემართებათ. მათ იმისთვის აღარ რჩებათ ხოლმე დრო, რომ კარგად ჩაიცვან.

— შენ გემოვნებიან ადამიანად მიიჩნევ თავს?

— ძალიან იშვიათად ვარ გემოვნებიანი: რამდენჯერმე სრულიად მოულოდნელად აღმომიჩენია, რომ მაგარ საღამოზე მიმავალს, აბსოლუტურად შეუფერებლად მეცვა... ნებისმიერ ადამიანს, შემიძლია, იდეალური სამოსი შევურჩიო, მაგრამ მე თვითონ ხშირად ვერ ვახერხებ კარგად ჩაცმას. ვერც იმას ვიტყვი, რომ გოიმი ვარ. ჩემს თავზე შემიძლია ვთქვა, რომ მოდური არ ვარ.

— როგორ ფიქრობ — დღეს, როცა ძალიან დაძაბული ცხოვრება გვაქვს, შესაძლებელია გემოვნებიანად ჩაცმა? იქნებ, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ქუჩაში ბევრ უგემოვნოდ ჩაცმულ ადამიანს შეხვდები?

— უნდა ვაღიაროთ, რომ საბჭოთა კავშირში თბილისი ყველაზე გემოვნებიან ქალაქად მიიჩნეოდა. ასე იმიტომ ხდება, რომ ჩვენ ვგრძნობთ სილუეტს და ტენდენციას. საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში ჩვენნაირი კარგი გემოვნება არავის ჰქონდა. ამის მომსწრე მეც ვარ. საქართველოში თბილისის ომამდე ვცხოვრობდი, მერე მოსკოვში ვიყავი წლების განმავლობაში. ჩემი ნათქვამის დასადასტურებლად, შემიძლია გითხრა, რომ დედაჩემის ახალგაზრდობის დროინდელი გარდერობი დღემდე გამოსაყენებელია. სწორად აღნიშნე — ეკონომიკურმა მდგომარეობამ ჩვენი გემოვნება დააქვეითა. ქართველებს ბევრი პრობლემა გვქონდა და ისიც გასაკვირია, საერთოდ, რაღაცას რომ ვიცვამთ და ახალ კოლექციებს ვქმნით... მე ვიტყოდი, რომ საქართველოში პოლიტიკოსებშიც იგრძნობა დიდი გემოვნება. მაგალითად, ნინო ბურჯანაძე არაჩვეულებრივად იცვამს.

— ქალბატონ ნინოს ცოტა ხნის წინ ინტერვიუს ჩასაწერად შევხვდი. მითხრა, რომ საკუთარი თავის იმიჯმეიკერი თვითონვეა...

— ე.ი. ქალს აქვს არაჩვეულებრივი გემოვნება. მას ყოველთვის მაგარი სათვალე უკეთია. აქსესუარებიც არაჩვეულებრივი აქვს. ვერ ვიტყვი, ეს ყველაფერი რამდენად მოდურია, მაგრამ გემოვნებიანად რომ არის შერჩეული, ამას წყალი არ გაუვა.

— ფულის დახარჯვა რაში არ გენანება?

— ტანსაცმელში დიდ ფულს არასდროს ვიხდი. ბევრ ფულს ვხარჯავ ჩანთებში. ეს ჩემთვის მთავარი აქსესუარია. იქ ვინახავ ყველაფერს, რაც მჭირდება, ამიტომ ჩანთის გარეშე არსად დავდივარ. ასევე დიდ ფულს ვხარჯავ „ნიუნეე ბელიოში“. როცა კარგი ხარისხის ტრუსი მაცვია, თავს კომფორტულად ვგრძნობ. პრინციპში, ფეხსაცმელშიც დიდ თანხას ვიხდი ხოლმე. დანარჩენ შემთხვევაში, მივმართავ დათუნა სულიკაშვილს და ავთანდილ ცქვიტინიძეს. ხშირად მიწევს საზღვარგარეთ წასვლა. იქ კი თუ გემოვნება გაქვს, იოლია გემოვნებიანად ჩაცმა. ამ შემთხვევაში, ბრენდომანია არ მჭირს. ბრენდომანია მხოლოდ ტრუსებთან დაკავშირებით მაქვს. ძალიან მომწონს „ლევისის“, „დიზელის“, „ფერესა“ და „პიერ კარდენის“ მარკის ტრუსები. სხვა დანარჩენი ფირმის ტრუსი ჩემთვის არ არსებობს.

— თქვი, რომ ნინო ბურჯანაძის სტილი ძალიან მოგწონს. შეგიძლია გამოიჩინო გაბედულება და დაასახელო ცნობილი ადამიანი, რომლის ჩაცმის სტილიც არ მოგწონს?

— (*ფიქრობს*) ოო, ძალიან რთული კითხვა დამისვი. მოდი, იმას ვიტყვი, ვინ მომწონს და ვის მივიჩნევ ყველაზე ინდივიდუალურად. ასეთი ადამიანი ჩემთვის არის ბასა ფოცხიშვილი. აშკარად ჩანს, რომ ეს ადამიანი ფიქრობს იმაზე, რა უნდა ჩაიცვას. ბასას ჩემთვის არ უთქვამს, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ მის გარდერობში ყველაფერი დიდი ფიქრის შედეგადაა შეძენილი. ეს ადამიანი ქუჩაში რომ გამოდის, თავიდან ბოლომდე „აწყობილია“. ქალი რომ ვიყო, აუცილებლად ბასას მსგავსად ჩავიცვამდი.

— როგორც მივხვდი, ქალი რომ ყოფილიყავი, ბასა ფოცხიშვილს ბევრ რამეში მიჰბაძავდი...

— ნამდვილად ასე იქნებოდა. მეტსაც გეტყვი: ქალებს ვურჩევ, ბასასნაირი, გამორჩეული ინდივიდუალიზმი ჰქონდეთ.

— როგორც ფოტოგრაფი, რომელ ქვეყანაში და რომელ საუკუნეში ისურვებდი ცხოვრებას?

— „თიში“ მჭირს გასული საუკუნის 20-იან წლებზე. მაშინ მოიფიქრეს ყველა ახალი „ობრაზი“. დღეს თუ ვინმე რაიმეს აკეთებს, იმ წლებში შექმნილს იყენებს საფუძვლად. მოდა 60-70-იან წლებში კიდევ უფრო განვითარდა, ხოლო მერე — ყველაფერი გაჩერდა. მას შემდეგ ყველაფერი ახალი — ძველია... ვერ ვიტყვი, რომ იმ წლებში ცხოვრებას ვისურვებდი, ძალიან მომწონს ჩემი ასაკი და ის ეპოქა, რომელშიც დავიბადე. ისიც მომწონს, რომ საქართველოში ვცხოვრობ და თავისუფლად შემიძლია ნებისმიერ ქვეყანაში წასვლა და შემდეგ აქ დაბრუნება.

— საკუთარ გარეგნობას რაიმეს უწუნებ?

— მხოლოდ წონას. მომწონს ჩემი „კარტოშკა“ ცხვირი, ღია ფერის თვალები და თმის ხარისხი. ვერ ვიტყვი, რომ რაიმეს შევცვლიდი. ზედმეტ წონას კი ნელ-ნელა ვიშორებ — უკვე 22 კგ დავიკელი. ერთ ამდენსაც დავიკლებ და „ჩემი წონა“ მექნება. თუ მომავალში ჩემს გარეგნობაში რაიმე არ მომეწონება, აუცილებლად შევიცვლი. მგონი, ამის უფლება ყველას აქვს. ოღონდ შემდეგ არ უნდა დამალოს, რომ პლასტიკური ოპერაცია აქვს გაკეთებული...

— ფოტოგადაღების დროს, განწყობილების შესაქმნელად, მუსიკას უსმენ ხოლმე?

— რა თქმა უნდა. სხვაგვარად ვერ ვმუშაობ. ასე რომ არ მოვიქცე, ისეთ შედეგს ვერ მივიღებ, როგორიც მჭირდება.

— ამ შემთხვევაში, რა მუსიკას ანიჭებ უპირატესობას?

— ბევრჯერ მიმუშავია კლასიკის თანხლებით. გადამიღია როკზეც, მინიმალურ ტექნოზეც. ეს ყველაფერი დამოკიდებულია მოდელსა და იმ თემაზე, რომელზეც ვმუშაობ.

— როგორია შენი ლიტერატურული გემოვნება?

— სამწუხაროდ, კითხვისთვის დრო არ მრჩება და ვერც იმას დავიკვეხნი, რომ ბევრი წიგნი წამიკითხავს. ძალიან მომწონს ემილ ზოლა და მისი ყველა ნაწარმოები წაკითხული მაქვს. მიხაილ ბულგაკოვზეც ვგიჟდები. პროფესიიდან გამომდინარე, ძალიან დატვირთული ვარ, თორემ აუცილებლად ბევრ წიგნს წავიკითხავდი. მე ხომ ჩვეულებრივი მკითხველი არ ვარ. პირველსავე გვერდიდან ჩემ თვალწინ ნახატები ჩნდება და იმ სამყაროში გადავდივარ, რომელიც წიგნშია. ამიტომ შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ ემილ ზოლას მოთხრობები და რომანები „ფილმებად მაქვს ნანახი“.

— შენი აზრით, კარგი ფოტოგრაფი, უპირველესად, როგორი ნიჭით უნდა იყოს დაჯილდოებული?

— ფოტოგრაფისთვის პირველ რიგში, აუცილებელია ხედვა. უგემოვნო ადამიანი ვერასდროს გადაიღებს კარგ ფოტოს. თუ საჭიროება მოითხოვს, მასთან ერთად კარგი სტილისტი და მოდელი უნდა მუშაობდნენ. მაშინ ფოტოგრაფი მოვა და მხოლოდ ფოტოაპარატს გააჩხაკუნებს. ყველა იფიქრებს, რომ კარგი ფოტოგრაფია...

— ბოლოს, ქალებზეც ვისაუბროთ...

— ვისაუბროთ, ვგიჟდები ამ თემაზე. ისინი რომ არა, მე დღეს ჯიჯი რეჯინი არ ვიქნებოდი. ქალებზე საუბარს დედაჩემით დავიწყებ. ის რომ არ ყოფილიყო ჩემ გვერდით, წარმატებას ვერ მივაღწევდი. მეორე ქალი ჩემს ცხოვრებაში ჩემი ასისტენტი ლენაა, რომელიც უკვე წლებია, გვერდში მიდგას და ყველაფერში მეხმარება. შემდეგ, სოფო ჭყონიას დავასახელებ. მან ერთ მშვენიერ დღეს დამირეკა და მითხრა, — მინდა, ჩემთან იმუშაოო. სოფომ ისეთი პირობები შემიქმნა, რომ საკუთარ თავში უფრო მეტი შესაძლებლობები აღმოვაჩინე. ამ რიგს ემატებიან „ჩემი პირადი ქალები“. ქალის თმის ღერმაც კი შეიძლება, მუზა მომიყვანოს. აქედან გამომდინარე, მათთან მუშაობას არაფერი მირჩევია. ქალებს კარგად ვიცნობ; ვხვდები, როდის რა ესიამოვნებათ. ამიტომ უყვართ ჩემთან მუშაობაც და დროს ტარებაც...

— როგორი გოგონები მოგწონს?

— ამ შემთხვევაში, ვიზუალურ მხარეს ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. ახლა ვერაფრით აღვწერ, როგორი ქალი შეიძლება შემიყვარდეს... ერთხელ ჩემზე 13 წლით უფროსიც კი შემიყვარდა.

— რატომ არ არის ის ქალი შენ გვერდით?

— ალბათ იმიტომ, რომ ყველაფერი კარგი ოდესმე უნდა დამთავრდეს. ეს ურთიერთობა კარგად იმიტომ მახსენდება, რომ დიდხანს არ გაგრძელებულა... ძალიან რთულია ისეთი ადამიანის ნახვა და მოძებნა, როგორიც მინდა.

— მაინც, როგორი ხასიათის გოგოს ეძებ?

— ძალიან უბრალოს და გემოვნებიანს. რაც მთავარია, უნდა გავუგო. მე აბსოლუტურად ყველა გამიგებს: ძალიან „იოლი“ ადამიანი ვარ და თუ ვუყვარვარ, ჩემს ყველა ახირებას გაუძლებს.

— რა ახირებები გაქვს?

— ცოტა ეჭვიანი და აუტანელი ვარ — ანუ ისეთი, როგორიც ყველა მამაკაცია. ჩემი „წიკები“ მაქვს. მაგრამ ამავე დროს, სამართლიანიც ვარ. ვნატრობ იმ დროს, როცა რომელიმე ურთიერთობაში დამნაშავე ვიქნები...

— როგორც მივხვდი, ქალებმა ბევრჯერ გატკინეს გული...

— ეს არასდროს მომხდარა, იმიტომ, რომ ქალთან ურთიერთობის დასაწყისშივე ყველაფერს ვარკვევ, თავიდანვე ყველაფერს თავის სახელს ვარქმევ. ვერც ერთი ვერ იფიქრებს, რომ ხელში ჩამიგდო და რასაც უნდა, იმას გამაკეთებინებს. ამ მითს, თავიდანვე ვანგრევ. ქალს მხოლოდ ღალატს ვერ ვაპატიებ. — არა აქვს მნიშვნელობა, ეს აზრობრივად მოხდება თუ — ფიზიკურად.

— შენ ოდესმე გიღალატია?

— მხოლოდ ერთხელ ვუღალატე და როცა მივხვდი, ამით როგორ ვატკინე გული ადამიანს, მე გავხდი

აშკარად ჩანს, რომ ეს ადამიანი ფიქრობს იმაზე, რა უნდა ჩაიცვას

ცუდად. მის ადგილზე ჩემი თავი რომ წარმოვიდგინე, მივხვდი — ღალატს ადამიანს ვერ ვაპატიებდი. მას მერე, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არავისთვის მიღალატია...

„ეს „რაღაც“ პოეზიის მოყვარულებისთვის სიურპრიზი იქნება“

მას ძალიან უყვარს პოეზია, ლექსებს თავადაც წერს. ყველაზე ხშირად ბიოგრაფიულ რომანებს კითხულობს. ამჟამად, ალექსანდრე ყაზბეგის კრებულს ეცნობა. „ეს არის წიგნი, რომელშიც მისი თანამედროვეების მოგონებებია თავმოყრილი და ძალიან საინტერესოდ იკითხება“. 12 წლის იყო მაშინ, როცა ოჯახის წევრებთან ერთად ესენტუკიში ისვენებდა და ბიბლიოთეკიდან მოიპარა წიგნი, რომლის დასახელებასაც ახლა ვერ იხსენებს. ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად ქართული ეპოსის გმირს — ამირანს და „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავლის“ მთავარ გმირს — მიუნჰაუზენს ირჩევს. მაშ ასე, „ერუდიტის“ სტუმარია პოეტი ზურა რთველიაშვილი. მას რუბრიკა იმდენად მოსწონს, რომ კითხვების დასრულების გამო სინანულს გამოთქვამს და შემდეგი რესპონდენტების შერჩევაშიც მეხმარება.

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგიერ

— ზურა, შენს შემოქმედებით საქმიანობაში რა სიახლეა?

— ახალ წიგნზე მუშაობა თითქმის დავასრულე. ყდაც კი გამზადებულია. ბოლო კორექტურა მაქვს გასაკეთებელი, მაგრამ ვერა და ვეღარ მოვიცალე. პრეზენტაცია, თუ მანამდე არა, იანვარში მაინც იქნება. თან არ მინდა, რომ ეს იყოს ჩვეულებრივი, ტრადიციული ლიტერატურული საღამო. რაღაც მაქვს ჩაფიქრებული.

— საინტერესოა, ასეთი რა მოიფიქრე?

— ეს „რაღაც“ პოეზიის მოყვარულებისთვის სიურპრიზი იქნება. ვერ გაგიმხელ. წიგნს „პოეზიის დიქტატურა“ ერქმევა.

— ეს ცნობილი ქალაქი ამერიკაში მდებარეობს. ამბობენ, რომ იგი მაფიამ ააგო და ამ ქალაქში უფრო მეტი მლოცველია, ვიდრე მექაში. რომელია ეს ქალაქი — ბოსტონი, ლას-ვეგასი თუ ატლანტა?

— ლას-ვეგასი.

— რომელი ქართველი მეფე იყო სტუმრად რომის იმპერატორ ანტონიუს პიუსთან?

— რომში ამ მეფეს ძეგლიც დაუდგეს. იმპერატორი ქართველი მეფის ჯირითით მოიხიბლა, მაგრამ იმ მეფეს რა ერქვა?

— ამას შენ გეკითხები.

— არ მახსოვს (*ფიქრობს*), ფარსმანი, არა?

— ფარსმან II 1815 წლის 1-ელ მარტს ათასკაციანი რაზმი სამხრეთ საფრანგეთის სანაპიროდან პარიზისკენ გაემართა. 20 მარტს უკვე პარიზში იყვნენ. ისტორიაში ეს ფაქტი „100 დღის“ სახელით შევიდა. რა ისტორიულ მოვლენაზეა ლაპარაკი?

— 1815 წლის 1-ელ მარტს ნაპოლეონი თავის რაზმთან ერთად კუნძულ ელბიდან სამხრეთ საფრანგეთის სანაპიროზე გადავიდა. მისი მმართველობა 100 დღეს გაგრძელდა.

— დასახელე რელიგია, რომელიც ჩვ.წ. აღ-მდე VI საუკუნეში ინდოეთში აღმოცენდა და შემდეგ მრავალ ქვეყანაში გავრცელდა. იგი მისი დამაარსებლის სახელით იწოდება.

— ბუდიზმი.

— ერთ-ერთი საფეხბურთო მატჩის შემდეგ, ესპანელები საკუთარ ფეხბურთელებზე ისე გაცოფებულან, სარეკლამო პლაკატები იმ ღამესვე ჩამოუხსნიათ. დილით მხოლოდ ბრაზილიური ყავის სარეკლამო ბილბორდები იდგა ხელუხლებელი, საიდანაც იცქირებოდა...

— პელე.

— „დიდი“, „რეგვენი“, „მცირე“, „კისკასი“, „ეკელა“ — ვინ არიან ისინი?

— (*ფიქრობს*) მეფეები?

— მეფე-მთავრები. ინდიელები მას უნივერსალურ ბალაზად მოიხსენიებენ. მისი ღეროსგან ავეჯს ამზადებენ, ფოთლებით ქოხებს ხურავენ, ნაყოფს საკვებად იყენებენ, ხოლო მისი წვენისგან ღვინოს ამზადებენ. რას უწოდებენ ინდიელები „სიცოცხლის ხეს“?

— არ ვიცი.

— ქოქოსის პალმას. დასახელე ვენესუელის დედაქალაქი.

— გეოგრაფიაში ვიჭედები (*ფიქრობს*). კარაკასი, არა?

— დიახ, რომელი სახელმწიფოს დროშაზეა გამოსახული თეთრი ჯვარი წითელ ფონზე?

— რამე მინიშნებას ვერ მეტყვი?

— მისი დედაქალაქია ბერნი.

— შვეიცარიის დროშაზე, გამოვიცანი.

— სანდრო ბოტიჩელი, მიქელანჯელო ბუონაროტი, ტიციანი, ლეონარდო და ვინჩი — რა აქვთ მათ საერთო?

— მხატვრები არიან.

— გარდა მაგისა?

— (*ფიქრობს*) წარმოშობა — იტალიელები არიან.

— ვინ არის ავტორი ქანდაკებისა „კიდევაც დაიზრდებიან“?

— მერაბ ბერძენიშვილი.

— რომელ ოკეანეშია კუკის კუნძულები?

— ვერ გიპასუხებ.

— წყნარ ოკეანეში. რომელმა მოგზაურმა გამოიგონა აკვალანგი?

— ზუსტად არ ვიცი. ამ წუთში მოგზაურებიდან ჟაკ ივ კუსტო მახსენდება. მაგან ხომ არ გამოიგონა?

— ამ კითხვაზე პასუხი ჩაგეთვალა. რას უწოდებდა თინეიჯერს სულხან-საბა ორბელიანი?

— ეს მართლა არ ვიცი.

— ნინველს. რომელი ქვეყნის საპორტო ქალაქია ბილბაო?

— ესპანეთის.

— რომელი ჩანჩქერი მდებარეობს მდინარე ზამბეზზე?

— გინდა, გეორაფიაში გამჭედო? (*იცინის*) სწორი პასუხი ვიცი, ვიქტორია.

— რომელი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა დიდი სახელმწიფო ხურალი?

— მონღოლეთის.

— ეს ბევრმა პარლამენტრამაც კი არ იცის. „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ლატავრა,“ „თქმულება შოთა რუსთაველზე“ — ამ ოპერებიდან რომელი არ არის ზაქარია ფალიაშვილის?

— „თქმულება შოთა რუსთაველზე“. თუ არ ვცდები, მისი ავტორი არაყიშვილია.

— დიახ. მარმარილოს ზღვასთან რომელ ზღვას აერთებს დარდანელის სრუტე?

— არ ვიცი.

— ეგეოსის ზღვას. რომელი ქვეყნის ტერიტორიაზეა ამჟამად ბასიანი, სადაც 1203 წელს საქართველოს სამეფო ლაშქარი თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ იბრძოდა?

— თურქეთის ტერიტორიაზე.

— „ჭინკები", „ძაღლი", „მონატრება", „კორიდა" — ვინ არის ამ მოთხრობების ავტორი?

— (ფიქრობს) ვერ ვიხსენებ.

— ჩამონათვალს კიდევ ერთ მოთხრობას მივუმატებ — Hellados.

— ნოდარ დუმბაძე.

— „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში", რა გვარი იყო ილიკო?

— არ მახსოვს.

— ჩიგოგიძე. რომელი მოგზაური იკვლევდა პაპუასების ცხოვრებას?

— არ ვიცი.

— მიკლუხო მაკლაი. რა გვარია ბორის აკუნინი?

— ჩხარტიშვილი.

— რომელმა ამერიკელმა მწერალმა დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა ციხეში?

— ო`ჰენრიმ. მის ნაწარმოებებში ძალიან კარგი იუმორი იგრძნობა.

— ვინ დააარსა პეტრიწონის მონასტერი და რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარეობს დღეს იგი?

— დღეს იგი ბულგარეთის ტერიტორიაზეა და იოანე პეტრიწმა დააარსა.

— ცდები. მონასტერი მართლაც ბულგარეთის ტერიტორიაზეა, მაგრამ იგი გრიგოლ ბაკურიანის ძემ დააარსა. რა ჰქვია შორენას მამას „დიდოსტატის მარჯვენაში"?

— გვარად კოლონკელიძეა.

— მე მის სახელს გეკითხები.

— (ფიქრობს) ვერ ვიხსენებ, თვალები რომ დასთხარეს, ხომ იმაზე მეკითხები?

— მას თალაგვა ერქვა. რომელი ნახევარკუნძულია ყვითელ და იაპონიის ზღვებს შორის მოქცეული?

— არ ვიცი.

— კორეის ნახევარკუნძული. 1952 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში I ადგილზე გასულ კოლმეურნეს ჯილდოდ ოქროს საათი აჩუქეს. რით დაჯილდოეს I ადგილზე გასული?

— ალბათ, ლენინის ორდენით.

— ლენინის სურათით. რას გიწოდებდათ ძველი რომაელი, თუ მას მარათონზე შეხვდებოდით?

— მარათონელს.

— სწორი პასუხია — კონკურენტს. რა ეწოდება ეპოქას ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის წარმოქმნიდან ეგვიპტის დაპყრობამდე?

— არ ვიცი.

— ელინისტური ხანა. რომელ ქალაქშია წმინდა სოფიას ტაძარი?

— სტამბოლში.

— რა საკითხს მიუძღვნა ილიამ 1871 წელს დაწერილი პუბლიცისტური წერილი „გამოცანები"?

— მამათა და შვილთა ბრძოლას.

— სად გარდაიცვალა ლესია უკრაინკა?

— საქართველოში, მაგრამ რომელ რაიონში, არ მახსოვს.

— სურამში. ვისი სიტყვებია — „მედიცინა ჩემი კანონიერი ცოლია, ლიტერატურა კი საყვარელი"? (ფიქრობს). მიგანიშნებ, ეს რუსი მწერალი პროფესიით ექიმი იყო.

— ანტონ ჩეხოვი.

— დედამიწა, მარსი, მერკური, ვენერა: ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე პატარა პლანეტა?

— ვენერა.

— ცდები. ყველაზე პატარა პლანეტა მერკურია. სად მდებარეობს მამისონის ულელტეხილი?

— არ ვიცი.

— რაჭაში.

— სამწუხაროდ, რაჭაში ნამყოფი არ ვარ.

— რომელ ქვეყანაში აგებენ ყოველწლიურად ყინულის სასტუმროს?

— მგონი შვედეთში, არა?

— დიახ. როდის შეღებეს თეთრად ამერიკის პრეზიდენტების რეზიდენცია ვაშინგტონში?

— ვერ გიპასუხებ.

— 1812 წელს, იქ მომხდარი ხანძრის შემდეგ. რომელ ცნობილ ნაწარმოებს აქვს წამძღვარებული — „მოყვარეს პირში უძრახე და მტერს პირს უკანო"?

— ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანს?!".

— ეს მხატვარი ტალეირანის უკანონო შვილი იყო.

— ვერ გიპასუხებ.

— დელაკრუა. რამდენი შავი კლავიშია ფორტეპიანოს თითოეულ ოქტავაში?

— 7 თეთრი კლავიშია, შავი რამდენია, არ ვიცი.

— 5. რომელ ბრძოლაში დაილუპა რუსეთის არმიის გენერალი პეტრე ბაგრატიონი?

— ბოროდინოს ბრძოლაში.

— რომელ ზღვაზე აქვს გასასვლელი აზერბაიჯანს?

— კასპიის ზღვაზე.

— თამაშის დაწყების დროს, რამდენი პაიკია საჭადრაკო დაფაზე?

— 8 ანუ ორივე მხრიდან 16 პაიკი.

— რა ჰქვია სატყორცნ იარღს, რომელიც აცდენის შემთხვევაში, მსროლელს უკან უბრუნდება?

— ბუმერანგი.

— თავდაპირველად, რომელ ქალაქში დაიწყეს სახლების დანომრა?

— არ ვიცი.

— ლონდონში. რატომ ატარებდა იულიუს კეისარი ყოველთვის დაფნის გვირგვინს?

— (*იცინის*) ამის მიზეზი არსებობდა?

— დაფნის გვირგვინს ის სიქაჩლის დასაფარავად ატარებდა.

რომელ ქვეყანას ეძახიან ნიდერლანდს?

— ჰოლანდიას. რამდენი შტატისგან დაფუძნდა ამერიკა?

— 13 შტატისგან.

— ჭოროხი, მტკვარი, ენგური, თერგი — ჩამოთვლილთაგან რომელი მდინარე მიედინება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე?

— ენგური.

— რაგბიში ლელოს შემდეგ, დამატებითი დარტყმის წარმატებით შესრულებისას რამდენი ქულა ეწერება გუნდს?

— 2 ქულა.

— დასასრულეთ კონფუცის ცნობილი გამონათქვამი: „საშინელება ის კი არაა, რომ მოგატყუეს ან გაგაძურდეს, საშინელება ისაა, რომ...

— ციტატა ზუსტად არ მახსოვს.

— „...რომ შენ ეს არ გავიწყდება".

— კითხვები დასრულდა? ცუდია, აზარტში შევედი... „გზას" ყოველთვის დიდი სიამოვნებით წავიკითხავ.

■

ერუდიტი +

- ადამიანი წელიწადში საშუალოდ 750 ლ წყალს სვამს, ხოლო მთელი სიცოცხლის მანძილზე 40 ტონამდე საკვებს იღებს.
- თუ „რულეტკაზე" გამოსახულ ყველა ციფრს ერთმანეთს მივუმატებთ, ჯამში ეშმაკის ციფრად წოდებულ 666 მივიღებთ.
- ჯოჯოხეთში ტემპერატურა 718 გრადუსია — ეს დასკვნა მეცნიერებმა „ბიბლიის" ციტატების შესწავლის შემდეგ გამოიტანეს.
- 2738 წლის 28 ნოემბერს ჩვენი ერის დაწყებიდან მემილიონე დღე აღინიშნება.
- მთელი სიცოცხლის მანძილზე ადამიანს დაახლოებით 725 კილომეტრი თმა ამოსდის.

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

მკითხველის შეკითხვები

მშვიდი ძილი

შეკითხვა: „ბოლო დროს უძილობა დამჩემდა, თითქოს ჯანმრთელი ვარ, არაფერი მაწუხებს, მაგრამ ღამე დაძინება მაინც მიჭირს. ზოგჯერ ძილი მხოლოდ გამთენიისას მერევა. ძალიან გთხოვთ, მირჩიოთ რომელიმე საძილე წამალი, თანაც ისეთი, რომ არ შეეჩვიო და უფრო ძლიერზე გადასვლა არ დამჭირდეს; ან რაიმე სხვა საშუალება, თუკი არსებობს ასეთი“.

პატივისცემით, დალი ჭელიძე

მიუხედავად იმისა, რომ უძილობა გაწუხებთ, მაინც ნუ იჩქარებთ საძილე საშუალებების მიღებას, მით უმეტეს, ექიმის კონსულტაციის გარეშე. მეცნიერების აზრით, ამ პრობლემის მოსაგვარებლად არსებობს სხვა, ეფექტური საშუალებები და თან, აბებისგან განსხვავებით, გვერდითი ეფექტებიც არ აქვს. ალბათ, გაგიგონიათ, რომ ახალი ყოველთვის კარგად დავიწყებული ძველია და თანამედროვე მკვლევრებიც ბევრს დაესესხნენ ხალხურ მედიცინას.

პირველ რიგში, უნდა გაარკვიოთ, თუ რა გიშლით ხელს დაძინებაში.

როგორც სამედიცინო გამოკვლევებმა აჩვენა, ზრდასრულ ადამიანთა მესამედს დროდადრო ძილის პრობლემა ექმნება. ასაკის მატებასთან ერთად, უძილობისადმი უფრო მიდრეკილნი ვხვდებით. მაგალითად, 40 წლის შემდეგ, ქალებში უძილობა 40%-ით მატულობს, რაც ორგანიზმში მიმდინარე ჰორმონულ ცვლილებებს უკავშირდება. ეს პრობლემა მოგვარებადია და ამაში გინეკოლოგი დაგეხმარებათ.

ზოგჯერ უძილობას რაიმე დაავადება იწვევს, მაგალითად — შაკიკი. ამ დროს ირთვება ე.წ. უკუკავშირის მექანიზმი (მანკიერი წრე): თავის ტკივილი დაძინებაში გვიშლის ხელს, ხოლო უძილობა თავის მხრივ თავის ტკივილს განაპირობებს. ასეთ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვუმკურნალოთ ძირითად დაავადებას. ამიტომ თუ უძილობის გარდა სხვა ჩივილებიც გაქვთ (ტკივილი, გულის ფრიალი, გულძმარვა და სხვა), რაც დაძინების საშუალებას არ გაძლევთ, ექიმს უნდა მიმართოთ. თუ გაირკვა, რომ უძილობა განპირობებულია რაიმე დაავადებით, მაშინ მასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება ამ დაავადების მკურნალობაა. სამკურნალო საშუალებების, მათ შორის, საძილე პრეპარატების შერჩევა და დანიშვნა უნდა მოხდეს ექიმის მიერ, რადგან ისინი, ჯერ ერთი, შეჩვევას იწვევს, მეორეც — გვერდითი ეფექტები აქვს. სამკურნალო საშუალებებით მკურნალობის დაწყებამდე, პაციენტმა უნდა შეცვალოს ცხოვრების წესი და კვება. კერძოდ, კარგი იქნება კვების რაციონში ცილების, მცენარეული ცხიმის, საკვები ბოჭკოების (მარცვლეული, ახალი ბოსტნეული) ვიტამინებისა და მიკროელემენტების ჩართვა. აუცილებელია დასვენებისა და მუშაობის ჰარმონიული შეთავსება, ძილის წინ გადამეტებული გონებრივი მუშაობისგან თავის შეკავება (ეს ტვინს აღაგზნებს).

უძილობას მრავალი სხვა მიზეზიც აქვს. ის შეიძლება დაკავშირებული იყოს გარემო ფაქტორებთან, ადამიანის ორგანიზმის თავისებურებებთან, ცხოვრების წესთან და სხვა. მაგალითად, უძილობას იწვევს:

- ამინდის ცვალებადობა, გადამეტებული ხმაური, ოთახში უჰაერობა, მოუხერხებელი საწოლი, არასასიამოვნო გარემო საძინებელში;
- ძილის წინ კოფეინის შემცველი პროდუქტების მიღება (ჩაი, ყავა, შოკოლადი და სხვა);
- ძილის წინ მაღალკალორიული საკვების მიღება;
- დღის განმავლობაში არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა;
- ცხოვრების ჩვეული წესის შეცვლა (მაგალითად, სამუშაოდ ღამის ცვლაში გადასვლა, დროის სარტყლის შეცვლა);
- სტრესი და ემოციური გადაძაბვა;
- დეპრესიულობა და ნევროზი;
- მოხუცებულობის ასაკი;
- ტკივილი;
- რომელიმე წამლის გვერდითი ეფექტი.

უძილობის ყველაზე გავრცელებული მიზეზია სტრესი და გადაუჭრელი პრობლემები, რომლებზე ფიქრიც დღედაღამ თან გდევთ. თუ თავს ვერ დაირწმუნებთ, რომ პრობლემების გადაწყვეტა დღისითაც შეგიძლიათ, მაშინ მიმართეთ შემდეგ საშუალებას:

√ ბალიშის ქვეშ დაიდეთ გამხმარი ლავანდის ყვავილებით სავსე პატარა ტომსიკა. ეს მცენარე გადაღლასა და დაძაბულობას მოგიხსნით, დაგეხმარებათ დეპრესიის, უმიზეზო შიშების დაძლევაში. ამასთან, ლავანდა ასტიმულირებს გულში სისხლის მიმოქცევას და მის რიტმს არეგულირებს.

√ ღამით მიირთვით ღუმელში „გამომცხვარი“ ერთი ხახვი. ის ცნობილია, როგორც საძილე ეფექტის მქონე, დამამშვიდებელი საშუალება. გარდა ამისა, ხახვი აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მუშაობას, რაზედაც ბევრადაა დამოკიდებული ჯანსაღი ძილი.

√ საათი ციფერბლატით კედლისკენ მიაბრუნეთ. ღამით საათზე ხშირად ყურებით მხოლოდ ბრაზდებით — უკვე გვიანია, თქვენ კი მაინც ვერ იძინებთ და მოუსვენრობა კიდევ უფრო გიპყრობთ. შეეცადეთ, მშვიდ და სასიამოვნო ფიქრებზე გადაერთოთ.

√ მიმართეთ აუტოტრენინგს. მოეშვით და წარმოიდგინეთ, რომ ხართ თქვენთვის სასურველ გარემოში — მაგალითად, ირუჯების ზღვის სანაპიროზე. თანდათანობით ამაფორიაქებელი ემოციები გაგიქრებათ და იოლად დაგეძინებათ.

გისურვებთ მშვიდ ძილს! ■

 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. ოჯახის მკურნალი	0.80	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.00	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო „ელვასერვისი“

ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

ამინდის ცვლილება იმუნიტეტზე მოქმედებს

ამინდის მკვეთრი ცვლილება იმუნიტეტის დაქვეითებას იწვევს. ამიტომ ხშირდება ამ პერიოდში, მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექცია — ბევრ ადამიანს აქვს სურდო, ხველა, ცემინება. ეს რომ არ დაგვემართოს, პირველ რიგში, უნდა გავიკაუოთ ორგანიზმი და C ვიტამინის გაზრდილი დოზის მიღებით გავიძლიეროთ იმუნიტეტი. სასურველია, ჩვეულებრივზე ორჯერ მეტი მივიღოთ ნატურალური ვიტამინებით მდიდარი ლიმონი, გრეიპფრუტი, მოცვი, ასკილი, მოცხარი.

● შეეცადეთ, ჩაიცვათ სეზონის შესაფერისად — ზაფხული ხომ დიდი ხანია, დაგვემშვიდობა და დროა, უფრო თბილად ჩაიცვათ.

● ორგანიზმის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სინათლის დეფიციტი, რაც შემოდგომა-ზამთრის პერიოდში საკმაოდ მძაფრად ვლინდება. ეცადეთ, ოთახში რაც შეიძლება მეტი სინათლე შემოუშვათ. სინათლე, თუნდაც ელექტრონათურისა, აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას, ამაღლებს ორგანიზმის ტონუსს და აძლიერებს მის დამცველ ფუნქციებს.

● ხშირად დაიბანეთ ხელები: ვირუსი გადადის არა მარტო ჰაერით, არამედ ჭუჭყიანი ხელების მეშვეობითაც.

● ეპიდემიის პერიოდში მაქსიმალურად მოერიდეთ საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებს.

● იმუნიტეტის სტიმულაციისათვის არსებობს საკმაოდ ეფექტური მცენარეული საშუალებები: ექინაცეა, ჟენშენი, იმუნალი.

სვით ციტრუსთა წვენები

გარე სამყარო რომ მეტისმეტად დაბინძურებულია, ყველასთვის ცნობილია. ამიტომაც ადამიანები ყოველწლიურად ტეხენ განგაშს და ძალისხმევას არ იშურებენ გარემოს დასასუფთავებლად. მაგრამ ჩვენს ორგანიზმს ხომ არანაკლებად ესაჭიროება განმენდა — ამაზე კი არავინ ფიქრობს. შექმნილ საგანგაშო სიტუაციაში ადამიანის ორგანიზმს მხოლოდ თვითგანმენდის უნარი შველის. თუმცა მასში მაინც გროვდება ტოქსინები (შხამები), მძიმე ლითონთა მარილები.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ორგანიზმს ტოქსინებისაგან მშვენივრად წმენდს ციტრუსების წვენები. ამიტომ სპეციალისტები გვირჩევენ დროდადრო გავისუფთაოთ ორგანიზმი ფორთოხლის, გრეიპფრუტისა და ლიმონის წვენების ნარევით, რომელიც ასე უნდა დავამზადოთ: თითო ჭიქა ფორთოხლისა და გრეიპფრუტის და 1/2 ჭიქა ლიმონის წვენების ნარევი განაზავეთ 4 ჭიქა წყალში და სვით ცოტ-ცოტა დღის განმავლობაში. გახსოვდეთ, წვენი ახალგამოწურული უნდა იყოს.

ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პაპარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

შეკითხვები პედიატრს

0-დან 1-მდე

ბავშვის ფსიქოლოგია

როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

ნუ მოიწყენთ

სევდა ჯანმრთელობისთვის საზიანოა — ეს ჰიპოთეზა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ინგლისელმა მეცნიერებმა. თურმე ხანგრძლივი დეპრესია ხელს უწყობს ძვლოვანი ქსოვილის დარბილებას, რაც მოტეხილობების წინა პირობაა. თურმე დეპრესიის დროს მკვეთრად ქვეითდება ესტროგენებისა და სხვა სასქესო ჰორმონების დონე, რომლებიც ძვლების მდგომარეობაზეა პასუხისმგებელი. ამიტომ თუ „ქრონიკული სტრესი" განუხებთ, აუცილებლად შეიმოწმეთ ორგანიზმში მინერალური მარილების დონე და ამასთან, იზრუნეთ, რომ ორგანიზმმა ყოველდღიურად მიიღოს კალციუმის პროფილაქტიკური დოზა.

ნაკლები ძილი — მეტი ავადმყოფობა

ხშირად ჯან-ღონით საკმაო ახალგაზრდები არ აქცევენ ყურადღებას ქრონიკულ „გამოუძინებლობას", ფიქრობენ — მერე რა, რომ ღამის ძილზე მხოლოდ 5 საათს ვხარჯავთ, განწყობილება ხომ შესანიშნავი გვაქვსო! მაგრამ ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერები გვაფრთხილებენ: მათ, ვისაც დღე-ღამეში 6 საათზე ნაკლები სძინავთ, დიაბეტის განვითარების რისკი 35%-ით მეტი აქვთ. ეს იმიტომ ხდება, რომ ძილის უკმარისობისას ორგანიზმში იკლებს ჰორმონ ლეპტინის დონე, რომელიც ხელს უშლის ზედმეტი წონის განვითარებას. ჭარბი წონა კი ზრდის მეორე ტიპის დიაბეტით დაავადების რისკს. სწორედ ამიტომ ექიმები ერთსულოვნად გვირჩევენ: აუცილებელია, იძინოთ დღე-ღამეში არანაკლებ 8 საათისა.

გზა სილამაზისაკენ

მსოფლიოს ყველა ქალს მათი წარმომავლობის, ასაკის, პროფესიის, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებების მიუხედავად, აერთიანებს სურვილი — იყოს ლამაზი. კაცობრიობის მშვენიერი ნაწილი ძალ-ღონეს არ იშურებს, მიმართავს ათასგვარ ხერხს და საშუალებას იმისათვის, რომ უნაკლოდ გამოიყურებოდეს.

პრობლემები სახეზეა

სილამაზის უმთავრესი საწინდარი არის ჯანმრთელობა, მაგრამ სტატისტიკას კავკასიელი ქალებისათვის შემაშფოთებელი განაჩენი გამოაქვს. „სუსტი სქესის" წარმომადგენელთა დაახლოებით ნახევარს მამაკაცის ჰორმონების — ანდროგენების სიჭარბე (ჰიპერანდროგენია) ან მათი მომატებული აქტივობა აღენიშნება. ამ პროცესების ხილული გამოვლინებაა, ბევრი ქალისათვის კარგად ნაცნობი ჭარბთმიანობა, გამონაყარი სახესა და სხეულზე (აკნე), კანის მომატებული ცხიმიანობა (სებორეა), თმის ცვენა თავზე და გამელოტებაც კი.

თხელი თმა და ხშირი ულვაში

ხშირად იბადება შეკითხვა, — რატომ სცვივათ თმა თავზე, თუ კი სახესა და სხეულზე ამოსული თმის ღერები უფრო ხშირი, გრძელი, უხეში და მუქი ხდება? ამის მიზეზად თავსა და სახეზე თმის ძირების გასხსხვავებული აგებულება და შესაბამისად, თმის ამოსვლის სხვადასხვა მექანიზმი უნდა ჩაითვალოს.

თავზე თმა თხელდება, კარგავს ფერს, ბზინვარებას და საბოლოოდ ცვივა.

სად მთავრდება გენეტიკა...

ცალკე აღებული ჭარბთმიანობა, შეიძლება ჩვენი კავკასიური გენით იყოს განპირობებული და რაიმე დაავადების არსებობას არ გულისხმობდეს. თუმცა ჭარბთმიანობის თანხვედრა გამონაყართან, კანის მომატებულ გაცხიმოვნებასთან, თავზე თმის ცვენასთან ან მენსტრუალური ციკლის მოშლასთან სცილდება კოსმეტიკური პრობლემის ფარგლებს და ჰორმონული დარღვევების არსებობაზე მიგვითითებს.

მამაკაცის ჰორმონები ქალის ორგანიზმში

ჩვეულებრივ, მამაკაცის ჰორმონები (ანდროგენები) გარკვეული რაოდენობით გამომუშავდება ქალის ორგანიზმში და მასში მნიშვნელოვან როლსაც ასრულებს. პარადოქსია, მაგრამ სწორედ ანდროგენებიდან წარმოიქმნება ის სასქესო ჰორმონი (ესტროგენი), რომელიც ქალს ქალად აქცევს, მის გარეგნულ სახეს, ორგანიზმის სრულფასოვან ფუნქციონირებას და შვილოსნობას განაპირობებს.

თუ რაიმე ფაქტორმა მამაკაცის ჰორმონების დონის ან მათი აქტივობის მომატება განაპირობა, თავს იჩენენ ანდროგენიზაციის სიმპტომები, რომლებზეც ზევით ვისაუბრეთ.

ჭარბთმიანობა, აკნე, მუდმივად ცხიმიანი თმა ქალების და განსაკუთრებით მოზარდების განცდების, მათში არასრულფასოვნების კომპლექსის განვითარებისა და საკუთარ თავში ჩაკეტვის მიზეზი შეიძლება გახდეს.

ვის მივმართოთ?

ანდროგენული დარღვევების მქონე ქალები კოსმეტოლოგიური კაბინეტების ხშირი სტუმრები არიან. ისინი პრობლემის მოგვარებას საკმაოდ ძვირად ღირებული და მტკივნეული მეთოდების (წესით ეპილაცია, ლაზერული ეპილაცია და სხვ.) გამოყენებით ცდილობენ. მაგრამ ამ შემთხვევაში დროებითი ეფექტია მოსალოდნელი, რადგან ჭარბთმიანობა და გამონაყარი მხოლოდ შედეგია, მიზეზის დადგენა კი გინეკოლოგ-ენდოკრინოლოგის კომპეტენციას წარმოადგენს.

მკურნალობის სწორი გზა

ჰიპერანდროგენული მდგომარეობების სამკურნალოდ **მამაკაცის ჰორმონების საწინააღმდეგო მოქმედების** მქონე ფარმაკოლოგიური პრეპარატები გამოიყენება. მათ შორის განსაკუთრებით ეფექტურია გერმანული წარმოების პრეპარატი **დიანე-35**, რომელიც მოქმედებს როგორც ჰიპერანდროგენიის შედეგებზე (ჭარბთმიანობა, აკნე, სებორეა, გამელოტება), ასევე მის მიზეზებზეც.

დიანე-35 მსოფლიოს დაახლოებით 170 ქვეყანაში წარმატებით გამოიყენება. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. **დიანე-35**-ს კარგად იცნობს, როგორც სამედიცინო სფერო, ასევე ჩვენი ქალბატონების ფართო წრეც.

დიანე-35-ით მკურნალობის საჭიროება ექიმმა უნდა გადაწყვიტოს. მანვე უნდა შეარჩიოს პრეპარატის დანიშვნის სქემა და გადაწყვიტოს მკურნალობის ხანგრძლივობა სათანადო გამოკვლევების საფუძველზე.

მოჩქარეს მოუგვიანდესო

კანისა და თმის პათოლოგიური ცვლილებები თანდათანობით ყალიბდება და ასევე ნელა განიცდის უკუგანვითარებას. ყველაზე სწრაფად (2-4 თვე) მკურნალობას აკნე და სებორეა ემორჩილება. რაც შეეხება სახეზე ამოსულ თმას, ის რბილდება და უფერულდება, მაგრამ სახიდან თმის ცვენა მოგვიანებით იწყება. თმის ძირებზე პრეპარატის სრულყოფილი ზემოქმედებისათვის მინიმუმ 6 თვეა საჭირო.

კიდევ უფრო ხანგრძლივი პროცესი არის გამელოტების (ალოპეციის) მკურნალობა. ის პაციენტისაგან განსაკუთრებულ მონდომებასა და მოთმინებას ითხოვს, რადგან გამელოტებულ უბნებზე თმის ზრდის აღდგენას 2 წელიც შეიძლება დასჭირდეს. შემდგომში, აუცილებელია მიღებული ეფექტის გამყარება თვეების მანძილზე.

ამდენად, ანდროგენული დარღვევების სამკურნალოდ **დიანე-35** ხანგრძლივად გამოიყენება. მკურნალობის ნაადრევი შეწყვეტა არადამაკმაყოფილებელი შედეგის და პაციენტის უსაფუძვლო იმედგაცრუების მიზეზი შეიძლება გახდეს.

ქალბატონებმა, რომლებსაც აწუხებთ ჭარბთმიანობა, გამონაყარი კანზე და კანის მომატებული ცხიმიანობა, უნდა მიმართონ ექიმს, დაადგინონ პრობლემის გამომწვევი მიზეზები, ჩიტარონ სათანადო მკურნალობა და დაიბრუნონ სილამაზე.

მეან-გინეკოლოგი
ია დათუნაშვილი
ექიმის უფასო სატელეფონო კონსულტაცია: 30-80-99.

ოჯახური ძალადობა

ეფუძნოვის, ქალბატონებო!

ცრემლიანი, რომელიც ეჭვიანობას მოჰყვა

მარინა ბაბუნაშვილი

„ეჭვი ერთგვარი სენია, თუ კაცმა შთაგონებით არ განიკურნა თავი, სხვაგვარად ის მკურნალობას არ ექვემდებარება“, — მითხრა ერთმა ჭკვიანმა მამაკაცმა, რომელმაც თავად გამოიარა ამ სენთან დაკავშირებული უსიამოვნებები და ეს ბრძნული დასკვნაც მანვე გააკეთა. როცა ჩემმა ერთ-ერთმა რესპონდენტმა ეჭვიანობის თემაზე დამიწყო საუბარი, უმალ იმ მამაკაცის ნათქვამი გამახსენდა, მაგრამ ქალბატონი თამარის შემთხვევაში ეს „შეგონება“ დაგვიანებული აღმოჩნდა („ეჭვიანობამ დამილუპა შვილი“ — „კვირის პალიტრა“, 2007 წლის 19 მაისი).

ამბავი პირველი

ულანაშაულო მსხვერპლი

ძნელია, შვილმკვდარ დედასთან საუბარი... ქალბატონი თამარი საბუთებით, სასამართლო განჩინებით „აღჭურვილი“ მოვიდა ჩემთან. ძლივს დავარწმუნე, რომ მე კრიმინალურ ისტორიებს არ ვაშუქებდი და არც ჟურნალისტურ გამოძიებას ვაწარმოებდი.

— მაშინ, უბრალოდ, ჩემს ამბავს გიამბობთ, მკვდარს ვეღარ გავაცოცხლებ, მაგრამ იქნებ, შვილიშვილები მაინც დავიბრუნო და სხვებმაც ჭკუა ისწავლონ, რომ ეჭვიანობით უბედურებას არ გადაეყარონო, — მითხრა მან.

შევთანხმდით, რომ სახელებს შევცვლიდით, სამაგიეროდ ყველაფერს, რასაც მიამბობდა, დაწერდი.

მის ოჯახში ტრაგედია 13 წლის წინ დატრიალდა. იმ დღიდან, არც შავი გაუხდია და არც ცრემლი შეშრობია.

ამონარიდი წერილიდან: „უბედნიერესი ქალი ვიყავი. ქმარიც კარგი მყავდა და შვილებიც. უფროსები დიდები იყვნენ (ბიჭი 9 წლის, გოგონა კი 6-ის), როცა მესამე, ნაბოლარა გავაჩინე. თაია თბილი და მოსიყვარულე იყო. 14 წლის ისე დამშვენდა, ქუჩაში თვალს აყოლებდნენ. მეშინოდა და მარტო ვერსად ვუშვებდი... როცა მითხრეს, გოჩას უყვარსო, თავზარი დამეცა. გოჩა ჩვენი უბნელი იყო, თაიაზე 8 წლით უფროსი. ჩემს თაიას აჩრდილივით უკან დაჰყვებოდა, ან მისი რომელიმე ძმაკაცი ადევნებდა თვალყურს. ჩემს ბიჭს ვუსაყვედურე, იმ ავაზაკს რატომ არ ეუბნები, რომ შენს დას ჩამოშორდეს-მეთქი?! გაოცებულმა მხრები აიჩეჩა, — რა ვქნა, დედა, უყვარს, ხომ არ აწუხებს? თანაც, უბანში მაგარი ავტორიტეტი აქვსო. შევატყვე, ჩემს უფროს შვილებს რაღაცნაირად ეამაყებოდათ, რომ მათი უმცროსი და „გავლენიან ბიჭს“ უყვარდა.

თამარმა მოსვენება დაკარგა. თითქოს გული უგრძნობდა, რომ გოჩასგან კარგი არაფერი ელოდა. დრო გავიდა და თაიასაც შეატყო ბიჭისადმი სიმპათიები. როცა გოჩაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, თვალები გაუბრწინდებოდა ხოლმე. ერთხელაც, დედას გამოუტყდა: ჯერ არ მიყვარს, მაგრამ მომწონს და პატივს ვცემ, მისი შიშით უბატონოდ ხმას არავინ მცემს. დღე არ გავა, საჩუქარი არ მომიტანოსო. დაინტერესდა დედა სასიძოს საჩუქრებით და თაიამაც გამოუტანა ვერცხლისა და ოქროს სამკაულები, ძვირფასი სუნამოები. გაგიჟდა ქალი — ოცდახუთი წელია, გათხოვილი ვარ და ამის ნახევარი არ მოუძღვნია მამაშენს, რა სახსრებით ყიდულობს გოჩა ამ ყველაფერსო?! შვილს ურჩია, მხოლოდ სუნამოები დაეტოვებინა, სამკაულებს კი ხელი დასტაცა და გოჩას ოჯახისკენ გასწია.

გოჩას დედა და ბებია თბილად დახვდნენ. როცა თამარმა სამკაულები აჩვენა, ბიჭის დედას არ გაჰკვირვებია, მე ვაძლევდი ფულს, რომ თაიასთვის ეყიდაო. თამარი ცოტა დამშვიდდა... სამძახლოც მოეწონა და ოჯახიც. გოჩას დედამ წამოსვლისას შეაპარა: ჩემს შვილს ძალიან უყვარს თაია, არც გოგოა გულგრილი გოჩას მიმართ. თაია ერთი წლის მერე სკოლას დამთავრებს. მოდი, ახლა დავნიშნავთ გოგოს, სხვა მხრივ გოჩა ვერ მოისვენებს, ერთი წლის მერე კი ქორწილი გადავიხადოთო. თაიას ისე მივხედავ, როგორც საკუთარ ქალიშვილს და სწავლაშიც ხელს შევუწყობო.

შინ მისულმა თამარმა გოჩას დედის წინადადება ქმარს და უფროს შვილებს გააცნო. ყველამ მოიწონა. აღარც თამარს უჭოჭმანია, რადგან გოჩას ოჯახით მოხიბლული დარჩა.

თუმცა, მარტო ოჯახი და მატერიალური კეთილდღეობა რად გინდა, კაცი კაცად თუ არ ვარგა და საშინელი ხასიათით ცოლშვილს გაამწარებს?

...თაია დანიშნეს, სკოლის დამთავრების შემდეგ კი, როგორც შეთანხმდნენ, ქორწილი გადაიხადეს. ჯერ ვაჟი შეეძინათ, ორი წლის შემდეგ — გოგონა.

გოჩა ადრეც ეჭვიანობდა, ცოლს მარტო არსად უშვებდა, აფხაზეთის ომის მერე კი საშინლად შეცვლილი დაბრუნდა. თუკი მანამდე, მის უარყოფით თვისებაზე თვალის დახუჭვა შეიძლებოდა, თანდათან, გოჩას ეჭვიანობის ატანა შეუძლებელი აღმოჩნდა. როცა ერთად იყვნენ, მაშინაც კი დაძაბული იყო გოჩა, ეჩვენებოდა, რომ ყველა მის ცოლს უმზერდა და ეარშიყებოდა. ამიტომ, თაია ქმრისადმი სიყვარულს ვეღარც კი გრძნობდა, იმდენად ეშინოდა მისი.

ვოჩას ხშირად უწევდა მივლინებები. სადაც უნდა ყოფილიყო, იქიდან დღეში სამჯერ მაინც ურეკავდა, თაიაც „ანგარიშს“ აბარებდა.

ერთ-ერთი მივლინების დროს, თაიას კლასელებმა გამოუარეს.

თურმე საქეიფოდ ემზადებოდნენ. დედამთილს შეეცოდა და გაუშვა: ჩემს შვილს მე დაველაპარაკები და ყველაფერს ავუხსნი, ნუ იდარდებო.

სკოლის იუბილე იმ ტრაგედიის მიზეზი გახდა. თაია ბევრს მოსწონდა. მართალია, სკოლის ბოლო წლებში გოჩას შიშით, ვერ უტყდებოდნენ გოგოს, მაგრამ უთქმელ და გაუმჟღავნებელ გრძნობას ვინ აღუდგებოდა წინ?

ყველამ კი ყველაფერი იცოდა. იმ ბანკეტზე, თაიას კლასელი თაზოც იყო, რომელსაც გოგო ლამის პირველი კლასიდან უყვარდა. თავის დროზე, გოჩამ ის გააფრთხილა, არ გაბედო თაიასთან მიახლოებაო. სიყვარული სიყვარულად დარჩა. ბანკეტზე მეგობრებთან უთქვამს, თაიასნაირი გოგო ველარ ვნახე და ამიტომაც ვარ დაუოჯახებელიო.

არავინ იცის, საიდან და რა წყაროებით გაიგო გოჩამ თაზოს იქ ყოფნის ამბავი. დამალვას აზრი არ ჰქონდა და თაიამაც აღიარა, კი იყო თაზო, მაგრამ ნორმალურად არც დავლაპარაკებივარო. გოჩას მოსმენაც კი არ უნდოდა მისი. მათი ჩხუბი იმით დამთავრდა, რომ თაიამ ბავშვებს ხელი მოჰკიდა და მშობლებთან გადაბარგდა. ორი თვის მერე კი გოჩა სადარბაზოსთან ჩაუსაფრდა ცოლს და ესროლა. გოჩა მიიმალა. გავიდა კიდევ რამდენიმე თვე და ბავშვებიც გაქრნენ. გოჩამ იმდენი მოახერხა, რომ შვილები გადაიბირა და მათთან ერთად რუსეთში გადაიკარგა. გოჩას მშობლებიც უსაზღვროდ განიცდიდნენ ამ უბედურებას, მაგრამ რა ექნათ? საშინელი ტრაგედია უკვე მომხდარი იყო...

ამონარიდი წერილიდან: „...ვიცი, *რომ მათთვისაც დიდი უბედურებაა ის, რაც მოხდა, მაგრამ ჩემნაირ დღეში ხომ არ არიან? მათი შვილი ცოცხალია და თავის შვილებთან ერთადაა, ჩემი ანგელოზივით გოგო კი მკვდარია. ვერც შვილიშვილებს ვნახულობ. იმედს არ ვკარგავ, რომ ადრე თუ გვიან, შვილიშვილები თბილისში ჩამოვლენ და ჩვენს ნახვას მოისურვებენ. ძალიან ცუდად ვარ, მაგრამ იმ დღემდე როგორმე გავძლებ".*

ამბავი მეორე

ეკლესიური ცხოვრება ცოდვის შესამსუბუქებლად?

თამარის შვილიშვილები კარგა ხანია ირლანდიაში, მამასთან ერთად ცხოვრობენ. ბიჭი უკვე 17 წლისაა, გოგონა კი — 15-ის. თამარმა მათ შესახებ გოჩას დეიდაშვილისგან შეიტყო... მას ეგონა, წლების განმავლობაში სიძე რუსეთს აფარებდა თავს, არადა რუსეთში მხოლოდ 3 წელი იყო. მერე კი, ყალბი საბუთები მოაგროვა, პოლიტიკური დევნილის სტატუსი „მოიპოვა" და ირლანდიის მთავრობას თავშესაფარი სთხოვა. ასე და ამგვარად მოახერხა მან შვილებიანად უცხოეთში წასვლა. ერთხანს ძებნა იყო გამოცხადებული, მაგრამ მის ასავალ-დასავალს რომ ვერ მიაკვლიეს, თავი დაანებეს. ირლანდიაში ყოფნაც სულ ახლახან გაიგო თამარმა. შეეცადა შვილიშვილებთან დაკონტაქტებას. მათ პასუხი დააგვიანეს. იმედი გადაეწურა და როცა აღარ ელოდა, მაშინ დაურეკეს. საწყალ ქალს ეგონა, შვილი გაუცოცხლდა, ისეთი გახარებული იყო... ნავსი გატყდა და იმ დღიდან განახლდა მათი ურთიერთობა. მართალია, მათ შორის დიდი მანძილია, მაგრამ ინტერნეტმა თითქოს შეამცირა ათასობით კილომეტრი. გიო და მარიამი ბებია-ბაბუას და დედის ნათესავებს ჰპირდებიან, რომ ახალ წელს თბილისში ჩამოვლენ და ერთი თვე დარჩებიან.

თამარი: *სხვა სანატრელი და საოცნებო აღარაფერი მაქვს, გარდა ბავშვების ნახვისა. თაიას სიკვდილმა ისე დაგვთრგუნა ყველანი, რომ საზეიმო სუფრა აღარ გაშლილა ჩემს ოჯახში. არადა, უფროსმა შვილებმა ან მათმა შვილებმა რა დააშავეს? ცხოვრება გრძელდება და დაუწერელი კანონია, რომ ჭირის მერე, ლხინიც იყოს და ზეიმიც. მე და ჩემი ქმარი კი ცოცხალმკვდარი ვართ. მართლმადიდებლობა რომ არ მიკრძალავდეს, თავს მოვიკლავდი, მაგრამ მეშინია, მძიმე ცოდვის გამო, ვაითუ, იმ ქვეყნადაც ველარ ვნახო ჩემი შვილი. შვილიშვილებთან ვერიდები მამაზე ლაპარაკს. როცა ეს უბედურება მოხდა, ისინი ძალიან პატარები იყვნენ, შეიძლება, არ იციან, დედის მკვლელობის ნამდვილი მიზეზი. უდედობაც ჰყოფნით, მე აღარ დავუმძიმებ გულს, მაგრამ ვინ იცის, გოჩას რა აქვს მათთვის ნათქვამი?! ბავშვებმა თავისი სურვილით წამოიწყეს საუბარი და ისე სხვათა შორის, მითხრეს, — მართლმადიდებლური ეკლესიაა აქ და მამა სტიქაროსნად აკურთხა მღვდელმაო. აღარაფერი მითქვამს. ნეტავ, კაცს ადამიანის მოკვლის მერე ეკლესიური ცხოვრება მძიმე ტვირთს და ცოდვისთვის სასჯელს მოუხსნის?*

გაუგებარია ამ კაცის საქციელი

„ვეთანხმები თქვენი წერილის „გმირს" (ანუ როგორც ჟურნალისტები ამბობთ — რესპონდენტს), რომელსაც სჯერა, რომ ნამდვილ სიყვარულს დასასრული არა აქვს... მეც ასაკოვანი კაცი ვარ, ცოლ-შვილიც მყავს, მაგრამ „ის" ვერ დავივიწყე. არ მინდა, ვინმემ დამცინოს, ჩვენში ხომ ოჯახიანი კაცის (ან გათხოვილი ქალის) წრფელი სიყვარული (თანაც, თუ იგი 40-ს გადაშორებულია) ღიმილის მომგვრელია და დაცინვის საგანი ხდება. კაცს თუ საყვარელი ჰყავს, თურმე ეგ არაფერი! მთავარია, ნამდვილი სიყვარულით არ იდაგებოდეს. ამიტომაც, ჩემს ვინაობას არ გაგიმხელთ და ნუ დამძრახავთ.

დიახ, მეც იმ თქვენი „გმირივით" უსაზღვროდ მიყვარდა გოგონა (დღეს ის 3 შვილის დედაა), რომელსაც სისულელის გამო დავშორდი. ჩემი ბრალი იყო, მან კი ერთი პატარა შეცდომა არ მაპატია. ვიცი, დღემდე ნანობს, რომ შენდობა ვერ შეძლო, მე კი მთელი სიცოცხლე სატანჯველად გამიხადა. ბევრისგან გამიგონია: კაცს თუ კარგი ცოლი შეხვდა, შეყვარებული აღარც გაახსენდებაო. არ არის ასე. ცუდი მეუღლე სულაც არ მყავს, მაგრამ რა ვქნა, რომ „მისი" სიყვარული გულიდან ვერ ამოვიღე? ზურაბისგან ის გამიკვირდა, რომ ვერ საყვარლად გაიხადა საოცნებო გოგო, შვილზეც უარი უთხრა, მერე კი როგორც ძმამ — და, ან მამამ შვილი, — ისე გამზითვა. მე ამას ვერ გავიგებდი; როგორ? ის ქალი, რომელიც მთელი ცხოვრება მიყვარდა, ნათქა�გამქალებია და საქორწინო სუფრა გამემალა? ყველა-ყველა და ბავშვის მოცილება როგორ მოსთხოვა? ეგ არ არის კაცობა. მაპატიეთ, მაგრამ ამას ლაჩრობა უფრო ჰქვია, ვიდრე კაცური საქციელი. მე ვერც საყვარლად გავიხდიდი ძვირფას ადამიანს და თუ საქმე იქამდე მივიდოდა, რომ ჩემგან შვილის გაჩენას გადაწყვეტდა, უარს კი არ ვეტყოდი, თან გადავკვებოდი, ხელისგულზე ვატარებდი... ძალიან, ძალიან გული მწყდება, რომ ჩემთვის ძვირფასი ადამიანი ასე შორსაა ჩემგან. ლ.ს."

სიყვარული ყველითვის რიდი „ეკასმესლეებს"

„ჩვენ ასე გვისწავლია (და გვჯეროდა ამის), რომ „სიყვარული აგვამაღლებს", მაგრამ თურმე მთლად ასეც არ ყოფილა. სიყვარულმა (განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი ცალმხრივია) შეიძლება გააბოროტოს კაცი და ისეთი ცოდვა ჩაადენინოს, რომ სამუდამოდ დაიმახინჯოს სული.

ჩემი მეგობარი ეკა ძალიან უყვარდა ერთ ბიჭს. მას საბა ერქვა. ეკა არ თანაუგრძნობდა მას. მეგობრები ერთხანს ჩაჩჩიჩინებდით, რას უწუნებ საბას, გადასარევი ბიჭია, რაც მთავარია, ასეთი სიყვარული უნდა დააფასო-თქო, მაგრამ ეკა ხელებს ასავსავებდა, — როგორიც უნდა იყოს, რა ვქნა, ჩემთვის მიუღებელია მისი სიყვარული, რაღაც აქვს ისეთი, რაც მაღიზიანებსო. მერე ხელი ჩავიქნიეთ. გავიდა დრო და საბამ გამოამეღავნა „ის", რასაც ეკა სახელს ვერ უძებნიდა, არადა აღიზიანებდა. საბა ეკას უარმა ძალიან გააღიზიანა. დედისერთა ბიჭი იყო, განებივრებული და ცოტათი გათავხედებულიც. თუ თავდაპირველად ფიანდაზად ეგებოდა გოგოს და ჩვენ მიმართაც ზრდილობიანი იყო, მერე ისე გადაირია, რომ აშანტაჟებდა ეკას, ჩვენ კი ცუდად გვიხსენიებდა. ერთხელაც, დავიმარტოხელე და ვკითხე: რას ერჩი ეკას, დაგპირდა რამეს, არ შეგისრულა, მოგატყუა, თუ რა გაგიკეთა იმისთანა, ასე ცუდად რომ ექცევი, ან ჩვენგან რას მოითხოვ-მეთქი? იცით, რა მიპასუხა? მე ეკა ძალიან მიყვარს და ცივად რომ მექცევა, არ ვაპატიებ, თქვენზე კი იმიტომ ვარ ნაწყენი, რომ მის მხარეზე ხართო. აბა, ვის მხარეზე უნდა ვყოფილიყავი, არ მესმის! არ უყვარდა გოგოს და ძალით ხომ არ შევაყვარებდით?

ბოლოს, ეკას სიყვარულიც ეწვია და როცა ეს ამბავი საბას ყურს მისწვდა, მთლად გაგიჟდა. აღარ იცოდა, რით ევნო ეკასა და მისი რჩეულისთვის. თავის ამბიციას ვერ ერეოდა — მე უარი მითხრა და ეს ვინ შეიყვარაო. ქუჩის ბიჭები დაახვედრა ლუკას (ეკას შეყვარებულს) და ისე აცემინა, ლამის სიკვდილის პირას მიიყვანეს. თვითონ არ გამოჩენილა, მოერიდა შარში გახვევას. ამანაც რომ არ გაჭრა და კვლავ გაგრძელდა ეკასა და ლუკას ურთიერთობა, გადაწყვიტა, ბიჭთან მისულიყო. მივიდა და უთხრა, ეკა ჩემი საცოლეა, უთანხმოება მოგვივიდა იმაზე, რომ ჩემგან ორსულად იყო და ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, აბორტი მაინც გაიკეთა. შენთან კი იმიტომ დადის, რომ მე გამაბრაზოს. ჩვენ მაინც ერთად ვიქნებით, ამიტომ შუაში ნუ გვიდგებიო. ხომ იცით, კაცები ზოგჯერ როგორი სულელები არიან?! ლუკა სიმართლის დადგენას ეკასთან კი არ შეეცადა, გაბრაზდა და „ველად" გაიჭრა. ორი თვის მანძილზე თბილისში აღარ გამოჩენილა. სად დახეტიალებდა, ღმერთმა იცის. აქ კი ეკა ლამის გაგიჟებულიყო. ვერ გაეგო, რისთვის გაურისხდა შეყვარებული. ბოლოს ყველაფერი გაირკვა და ახლა ეკა გაებუტა ლუკას — ასეთი სიბინძურე, ამხელა ტყუილი როგორ დაიჯერე ჩემზეო? ეს არ აკმარა საბამ... ძლივს შევარიგეთ წაჩხუბებული წყვილი, ქორწილის დღეც დაინიშნა. საბა დაუპატიჟებლად მობრძანდა, ერთი-ორი ჭიქის დალევის მერე კი დედოფალი გაიწვია საცეკვაოდ. რა თქმა უნდა, ეკა არ ადგა. ალბათ, წინდაწინ იცოდა საბამ, რომ გოგოსგან უარს მიიღებდა და შეიარაღებული მოვიდა. მან რევოლვერი დააძრო და სროლა ატეხა. ისე იყო გაბოროტებული, ეკას მოკვლა უნდოდა, მერე კი თვითმკვლელობით აპირებდა მთელი ამ ორომტრიალის დასრულებას, მაგრამ ბედად, პირველი ნასროლი ეკას ასცდა, ატყდა წივილ-კივილი, ბიჭებმა იმარჯვეს და გაბოროტებულ საბას ხელები გაუკავეს. იგი დღესაც გაიძახის, რომ ეკა უსაზღვროდ უყვარს და რა დროც უნდა გავიდეს, არასოდეს აპატიებს, რომ გოგომ მის თავს სხვა არჩია. გაგონილა ამისთანა ძალადობა? თუ გიყვარს, მისი ბედნიერება გულით უნდა გიხაროდეს, მისთვის კარგი გინდოდეს. საბა კი ისედაც ეგოისტი იყო და ცალმხრივმა სიყვარულმა უფრო გააეგოისტა, გააბოროტა და ათასი სისაძაგლე ჩაადენინა.

ელისო. თბილისი".

ზოგი ტყუილად იბრალებს ვაჟკაცობას

„ვეხმაურები წინა ნომერში დაბეჭდილ წერილს „როდის იწყებ" ან მთავრდება სიყვარული?"

თუ ნამდვილ გრძნობაზეა ლაპარაკი, იგი ერთ მშვენიერ დღეს გეწვევა, მაგრამ დამშვიდობებით ველარ დაემშვიდობები.

თუ ჩემს ერთ-ერთ თაყვანისმცემელს დავუჯერებთ, სიყვარული მარადიულიაო, კი ამტკიცებს, მაგრამ ამ მარადიულობაში რა შედის, იმას აღარ აკონკრეტებს.

ერთმანეთს ოცი წლის წინ დავშორდით. ადრეც დიდგულა და ყოყოჩი იყო, წლების მერე კი უარესობისკენ წავიდა მისი საქმე. წლების მერე ჩემთან რომ მოვიდა, მეც ოჯახი მქონდა და მასაც. შემომთავაზა, უბრალოდ, ხანდახან მოგიკითხავ და გინახულებ, მეტი არაფერი მინდაო... მერე და მერე, როგორც დღეს ხშირად ვხმარობთ ხოლმე ტერმინს, მაგრად „გაჭედა". ისეთი პრეტენზიები წამომიყენა, კინაღამ გამაგიჟა და სული ამომხადა: შენ გამო ვერ ავაწყვე ცხოვრება. შენი ბრალია, რომ ბედნიერებას ვერ ვეღირსეო და ა.შ. მოკლედ, სითბოსა და პატივისცემის ნაცვლად, პირს რომ დააღებდა, ბოღმას და გესლს აფრქვევდა მხოლოდ და მხოლოდ. არადა, იცით, სხვებთან როგორ ბაქიბუქობს? სადაც უნდა მოხვდეს, სიყვარულზე იმისთანა რამეებს ამბობს, ყველა აღტაცებული უსმენს თურმე, ვაჟკაცად მოაქვს თავი და აცხადებს: ის ქალი (ჩემზე!) უგონოდ მიყვარს და მთელი სიცოცხლე მეყვარება, მაგრამ გზაზე არ ვეღობები, რადგან ოჯახი აქვსო... რეალობაში ეს რომ მართლაც ასე იყოს, მართლაც მოსაწონი და მისაბაძი მაგალითია, მაგრამ მე ხომ ვიცი, რაც სჭირს მას?

თეორიულად იცის, ღირსეული კაცი როგორ უნდა მოიქცეს, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში მცირეოდენი „მსხვერპლის" გაღებაც კი არ უნდა, რადგან მის მეუღლეს ჰყავს კურდღელივით ჩაჭერილი. ქალია ოჯახში ძირითადი მარჩენალი და მისი დაკარგვით მატერიალურ კეთილდღეობასაც დაკარგავს. აი, მთავარი მიზეზი იმისა, რომ მე „გზაზე" არ მეღობება. იმას კი არ ამბობს, მე მივიღებდი თუ არა მის სიყვარულს, ან მენდომებოდა თუ არა მასთან ყოფნა... არა!

ქ.გ. თბილისი"

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61ან ელფოსტით: mbabunashvili@mail.ru

ᲐᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲘᲜᲐᲚᲘ ᲐᲗᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲜᲐᲕᲘ

იმ ღამით მარჩელო შინ, ბუხართან, ნაცემი ძაღლივით იჯდა და თბებოდა. მისი ოჯახის დანგრევა ვერც ერთმა ქალმა ვერ შეძლო. არადა, მის ცხოვრებაში ათასობით ქალი იყო. როდესაც ასეთი ლამაზი და უამრავი ადამიანის კერპი მამაკაცის ცოლი ხარ და ქმარი უზომოდ გიყვარს, ისღა დაგრჩენია, ჭკუა მოიხმარო და ყველა ღალატი წინასწარ აპატიო. ფლორამ ქორწინების პირველსავე დღეებიდან იცოდა, რომ მარჩელო მისი ერთგული ვერ იქნებოდა. ის ქმრისთვის მეგობარი და მრჩეველიც იყო. მანვე მშვენივრად იცოდა ერთი ხალხური სიბრძნე — „იტალიელს შეუძლია ცოლი გააღმერთოს, მსუბუქად გაერთოს საყვარელთან, მაგრამ მთელი გულით მხოლოდ ერთი ქალი უყვარს — დედა“.

თუმცა, მარჩელოს ბოლო საყვარლის, კატრინ დენევის გამოჩენის შემდეგ ფლორა შეშფოთდა, რადგან მათი ურთიერთობის პირველსავე დღეებიდან ჩანდა, რომ მარჩელო მთელი სერიოზულობით იყო შეყვარებული. ქორწინების 20 წლის მანძილზე ფლორამ პირველად იგრძნო, რომ მის ქმარს ამ ქალის გულისთვის ყველაფრის გაკეთება შეეძლო — ოჯახის მიტოვებაც კი. მარჩელო ნახევარი წელი „ეგდო“ ფლორას ფეხებთნ მუხლმოყრილი და განქორწინებას სთხოვდა. ფლორა ემუქრებოდა, სინდისზე აგდებდა, აფიცებდა, ტიროდა, მაგრამ მარჩელო შეუვალი იყო და გაუჩერებლად იმეორებდა — „ფლორა, გამიშვი, მის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია“. მაშინ მარჩელო 49 წლის იყო. საბრალო ფლორა დანებდა.

...და კატრინმა ფლორას საყვარელ მამაკაცს უარი უთხრა! ახლა ფლორას ქმარი მთელი გულით ეცოდებოდა. „ის ქალი ნამდვილი არანორმალურია, — ეუბნებოდა ის ქმარს, — თუმცა, ფრანგი ქალისგან სხვას რას უნდა ელოდე?“ მარჩელო ღრმად ამოიოხრებდა ხოლმე და მხრებს იჩეჩდა. მას ვერაფრით გაეგო, რატომ ჰქონდა მათ „უღრუბლო“ რომანს ასეთი ფინალი.

მარჩელომ დენევი პირველად 1970 წელს, ფილმის — „ეს მხოლოდ სხვებს შეემთხვევათ“ — გადაღების დროს გაიცნო. „პროფესიონალი მზეთუნახავი“, თქვა მან, როდესაც კატრინის დახვეწილ სახესა და ტანს თვალი შეავლო. მარჩელოს ამ შეხვედრის შემდეგ ყველაზე მძაფრად სუნამოს სურნელი დაამახსოვრდა. მას სუნზე გამძაფრებული რეაქცია ჰქონდა. საკუთარი მამაც კი სუნით ახსოვდა.

გადაღებების დროს „სამსახურებრივი რომანის“ წამოწყებას მარჩელო არ აპირებდა, რადგან ჯერ კიდევ წინა საყვარელთან, ფეი დანაუეისთან განშორებას განიცდიდა და მოძალებულ სევდას არც მალავდა. ამის ნიშნად თმა მოკლედ შეიკრიჭა და შავი სათვალე მოირგო. ასე იმის გამო იქცეოდა, რომ რეჟისორებსა და პროდიუსერებს მისი სულიერი ტრავმა არ დავიწყებოდათ. ის საათობით იკეტებოდა ავტოფურგონში და ვიდრე თავად არ ინებებდა, სამუშაო მოედანზე ვერავითარი ძალა ვერ გამოიყვანდა.

მარჩელოს თავის ახალ, 27 წლის პარტნიორზე, კატრინ დენევზე ბევრი რამ უამბეს. თურმე ისიც სევდიან განწყობილებაზე ყოფილა იმის გამო, რომ რეჟისორ ფრანსუა ტრიუფოს სულ რამდენიმე კვირის წინ დაშორდა. მარჩელო გააფრთხილეს, რომ თუ კატრინთან ურთიერთობის გაფუჭება არ სურდა, მისთვის პირად ცხოვრებაზე კითხვები არ უნდა დაესვა. საერთოდ, კატრინთან მიმართებაში ხშირად იყენებდნენ ეპითეტებს — „ჩაკეტილი“ და „ცივი“.

„შერბურული ქოლგების“ შემდეგ ფრანგებმა კატრინი ქალურობის ეტალონად აღიარეს. მის გამოხედვაში საოცარი კდემამოსილება და სიმორცხვე მოჩანდა მიუხედავად იმისა, რომ მისი საყვარლების რაოდენობას ვეღარ ითვლიდნენ.

„არა უშავს, ჩვენ მას „დავადნობთ“, — საკუთარ თავს

მისცა მარჩელომ და კატრინის მოხიბვლა გადაწყვიტა.

მათი ურთიერთობა გადაღებების დროს ნათამაშებმა ერთმა ეპიზოდმა რადიკალურად შეცვალა. კატრინი და მარჩელო ცოლქმარს ასახიერებდნენ, რომელთაც შვილი დაკარგეს. იმისათვის, რომ მტკივნეული შეგრძნებებით გამოწვეული მარტოობის სცენა დამაჯერებლად ეთამაშათ, რეჟისორმა მსახიობები, რამდენიმე დღით, ნახევრად ბნელ, უავეჯო, უტელეფონო, უტელევიზორო ოთახში გამოკეტა და იმდენ საკვებს აწვდიდა, შიმშილით გული რომ არ წასვლოდათ. როდესაც „პატიმრობის" ვადა გავიდა, ისინი ოთახიდან თვალებგაბრწყინებული გამოვიდნენ. სცენა პირველსავე დუბლით შესანიშნავად გადაიღეს, მაგრამ მსახიობების გამოხედვაში შორს მიმავალი გეგმები იკითხებოდა.

ერთხელ, კატრინის ფურგონში, სადაც ის გადაღებებს შორის ისვენებდა ხოლმე, წყალი და დენი გამორთეს. ქალს ბევრი აღარ უფიქრია, თავისი ნივთები მოაგროვა და მარჩელოს ვაგონში გადაბარგდა. საიდუმლო, რომელსაც ბევრი ისედაც ხვდებოდა, გაცხადდა. მარჩელომ და კატრინმა ერთმანეთის ალერსში უცებ დაივიწყეს ყოფილი საყვარლები და მათთან განშორებით გამოწვეული სევდა.

მარჩელო რომში ცხოვრობდა, კატრინი — პარიზში. მამაკაცი ყოველდღე ურეკავდა, საამისოდ კი ათასგვარ მიზეზს იგონებდა, შეხვედრას სთხოვდა და მოითხოვდა, რომ გადაღებებზე უარი ეთქვა. „ყოველდღე ვყიდულობდი ყვავილს, — იგონებდა შემდეგ მარჩელო, — სულერთი იყო, გვირილა იქნებოდა თუ ვარდი, ვაცლიდი სათითაო ფურცელს და „ვმკითხაობდი" — ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ, ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ..." რომში, ამის დამნახავი გამვლელები ჩერდებოდნენ და გაოცებული უყურებდნენ, როგორ დაბორიალებდა მათი კერპი ქალაქში და მეოცნებე სახით ყვავილებს პუტავდა. მისი თავშეკავებული კატრინი კი ტელეფონის ყურმილში მშვიდი ხმით კითხულობდა — „ხვალ შეგხვდე? სპეციალური მატარებლით ჩამოხვალ? არა, არ შემიძლია, გადაღება მაქვს. როდის გავთავისუფლდები? 1 კვირის შემდეგ. მარჩელო, რატომ გაჩუმდი? ცუდად ხომ არ ხარ?" — „არა, კარგად ვარ, მე უკვე მოვკვდი", — სამწუთიანი პაუზის მერე უპასუხა მარჩელომ. ღამღამობით ბალიშს კატრინის საყვარელ სუნამოს აპკურებდა და ისე იძინებდა. იშვიათი შეხვედრები და ალერსი კატრინს კიდევ უფრო სასურველს ხდიდა. წინათ მარჩელოს ასეთ ქალთან ურთიერთობა არასოდეს ჰქონია. მისი საყვარლები ტემპერამენტიანი ქალები იყვნენ და თავის გრძნობებს არასოდეს მალავდნენ. კატრინის სხვისი თვალისთვის დაფარული ვნებიანობა კი მამაკაცის გულში ნამდვილ ხანძარს აჩენდა.

ბოლოს და ბოლოს, მარჩელომ ვერ აიტანა ამდენი ხნით განშორება და პარიზის ლათინურ კვარტალში ბინა იქირავა. ფლორამ მხოლოდ ხელი ჩაიქნია და შინიდან მიმავალ მარჩელოს მიაძახა —

>>>16

მოკლე ჩართვა

როგორ ბიჭს (გოგოს) შევიყვარებდი?

• მე შევიყვარებ „ცისფერს", რომელიც ამავდროულად იქნება პოპულარული პარლამენტარი და კიდევ, ჩემზე ძალიან რუსები უნდა უყვარდეს. კინაღამ გამომრჩა, ვაუიშვილი უნდა იყოს. თუ ვინმე ასეთი არსებობს ბუნებაში, დამიმესიჯეთ ან მომწერეთ. გრუზინკა.

• ფუფუნებით ცხოვრება ქალების საქმეა, ხოლო ვაჟკაცებს მხოლოდ შრომა და ბრძოლა ამშვენებს. ისეთ ბიჭს შევიყვარებდი, ამ პრინციპით რომ ცხოვრობს, შრომობს, იბრძვის და ცოლს ფუფუნებაში აცხოვრებს. თაისი.

• იცით, როგორ ბიჭს შევიყვარებდი? უნდა იყოს... ეჰ, დახასიათება შორს წაგვიყვანს. ისე კი ეჭვი მაქვს, მე როგორიც მინდა, ასეთი 100-ში ერთია. სწორედ ამიტომ ვარ გამოუსწორებელი რომანტიკოსი და ამიტომ ვარ ჯერჯერობით „სული ობოლი".

• ანუ, როგორი მინდა იყოს ჩემი ოცნების გმირი? აი ისეთი, მე რომ ცუდად ვიქნები, ის კი ჩამეხუტება და დამამშვიდებს. შევიყვარებდი მხოლოდ მას, ვისაც ვეყვარებოდი, ვინც დამაფასებდა, არ მომატყუებდა და ყოველთვის ჩემი ერთგული იქნებოდა. ერთგულება ჩემთვის ყველაფერზე ძვირფასია და როდესაც „ოცნების გმირი" ჩემს მისამართს იპოვის და ჩემთან მოვა. მე მას ძალიან, ძალიან დიდ სიყვარულს ვაჩუქებ. ლუნა.

• დიდი სიამოვნებით შევიყვარებდი ისეთ გოგონას, რომელსაც ჩემი გემოვნების დაკმაყოფილებასთან ერთად, ენაგრძელი ადამიანების ჭორებზე იმუნიტეტი ექნებოდა გამომუშავებული და მათ უაზრო „ჩერჩეტს" ერთი ყურიდან მეორეში, გონებაში შეუშვებლად, „გამტარობის ტაქტიკით" მიუდგებოდა. მოკლედ, დამლალეთ, რას მაესტრო.

• შევიყვარებდი ვაჟკაცურ მამაკაცს, ალერსითა და სიკეთით სავსეს, ლამაზლიმილიანს და ძლიერხელებიანს. p.s. სამწუხარო ისაა, სიყვარული არჩევანის საშუალებას რომ არ გვაძლევს და რომ მეც უკვე მიყვარს საძაგელი არსება. მე

მარჩელოს ყოველდღიურმა სიყვარულის ახსნამ და ცეცხლოვანმა ვნებამ თავისი გაიტანა და მუდამ მოწყენილი კატრინი შეიცვალა. მისი მელანქოლიური განწყობილება საოცარმა მხიარულებამ შეცვალა. მას სულ უფრო ხშირად ხედავდნენ რესტორნებში, მიღებებსა და საცეკვაო მოედნებზეც კი.

მსახიობი მიშელ პიკოლი იხსენებს, როგორი ფურორი მოახდინა კატრინისა და მარჩელოს წყვილმა მათი ერთობლივი ფილმის, „ძუკნას“ პრეზენტაციაზე. პარიზის საუკეთესო რესტორნის უზარმაზარ, განათებულ დარბაზში მარჩელომ ქალი საცეკვაოდ დემონსტრაციულად გაიწვია. მოცეკვავე დენევი იშვიათი სანახავი იყო. ყველა მხოლოდ მათ უყურებდა. „ჩვენ თავი უხერხულად ვიგრძენით, რადგან არ ვიცოდით, თვალები სად წაგვეღო“, — იხსენებს პიკოლი.

სამაგიეროდ, მარჩელო თავს სიამოვნების მწვარვალზე გრძნობდა — მისი დედოფალი ყველას გასაგონად ამბობდა, რომ მარჩელომ ის დაიმორჩილა. რამდენიმე ხნის შემდეგ მარჩელო სოფი ლორენის შენიშვნის გამო გაბრაზდება — ვახშმის შემდეგ სოფიმ წამოროშა — „კატრინი ისეთი ნეიტრალური და გაწონასწორებულია, თითქოს შეყვარებული არაა“. „შეყვარებულია!“ — ხმამაღლა წამოიძახა მარჩელომ და წამოწითლდა. ამის დასტურად, მეორე დღეს ჟურნალისტებს განუცხადა: „წარმოგიდგენიათ, ის ჩემს საყვარელ ლობიოს მიმზადებს! კატრინი და ლობიო!“ რაც მართალია, მართალია, სამზარეულოს მოძულე კატრინმა მარჩელოს გამო ლობიოს მომზადების 34 რეცეპტი შეისწავლა.

მარჩელოს სურდა, საყვარელი ქალი გაენებივრებინა. მან იცოდა, რომ ქალებს ყველაზე მეტად საჩუქრების მიღება უყვართ. სხვა საყვარლებისგან განსხვავებით, კატრინი მას პირდაპირ არაფერს სთხოვდა. თუ რამე მოეწონებოდა, უბრალოდ, იმ ნივთს შეაქებდა. როდესაც სასურველ ნივთს საჩუქრად მიიღებდა, სხვებივით სიხარულისგან არ აჭყლოპინდებოდა ხოლმე.

ყველაზე მთავარი საჩუქარი კატრინმა დაბადების დღის აღსანიშნავად მიიღო. ეს იყო საუცხოო ვილა, ნიცაში. ზღვასთან ახლოს მდებარე სახლი მწვანეში იყო ჩაფლული. მარჩელო ოცნებობდა, რომ ეს სახლი მათი სიყვარულის ბუდე გამხდარიყო. კატრინმა გულითადი აღფრთოვანება გამოხატა და მარჩელოს მადლობა გადაუხადა, მაგრამ — „რატომ დახარჯე ამდენი ფული?“ — ჰკითხა და განწყობილებაც მაშინვე გაუფუჭა. პარიზში დაბრუნებულმა მარჩელომ „საპასუხო“ საჩუქარი აღმოაჩინა. ეზოში ახალთახალი, წითელი „იაგუარი“ იდგა. ასეთ მანქანაზე ის ყოველთვის ოცნებობდა, მაგრამ სიხარულის ნაცვლად უსიამოვნო გრძნობამ შეიპყრო. ეს ჟესტი ვილის სანაცვლოდ გადახდილ ვალს აგონებდა.

ნიცაში ისინი სრულად მიეცნენ ბედნიერებას. ყველა და ყველაფერი დაივიწყეს და ერთმანეთით ტკბებოდნენ. მათ იდილიას მხოლოდ ერთი გარემოება არღვევდა. მარჩელოს ძალიან უყვარდა სტუმრები, კატრინს კი მარტოობა ერჩივნა. ერთხელ მან მხიარული წვეულება გამართა. დიასახლისს მთელი საღამო ხმა არ ამოუღია. დილით კი ისეთ განწყობილებაზე იყო, რომლისაც მარჩელოს ყველაზე მეტად ეშინოდა — კატრინი ხმას არ სცემდა და მის გამოხედვაში გულგრილობა იგრძნობოდა. „მითხარი, რა გაწყენინე? შენი სადღეგრძელო 30-ჯერ შევსვი, მთელი გონება მოვიკრიბე, რომ უამრავი კომპლიმენტი მეთქვა და აი, ჯილდო...“ მარჩელო სახლში დაბორიალებდა, ბრაზობდა და მაგიდაზე მუშტს ურტყამდა, მკერდზე მჯიღს იცემდა, ორ ენაზე იგინებოდა. კატრინი კი ქანდაკებასავით გაუნძრევლად იჯდა და სახეზე გულგრილობა აღბეჭდვოდა. მოგვიანებით კი თქვა: „მე ვერ ვიტან ხმაურიან წვეულებებს და მთვრალი ადამიანების ბუტბუტს. მეზიზღება ეს სუნი, რომელიც სახლში წვეულების მერე ტრიალებს. ბავშვობაში მთვრალმა კაცმა გამაუპატიურა და იმის მერე მთვრალების მეშინია“.

კატრინს მხოლოდ მთვრალი მამაკაცების კი არა, ფოტოგრაფებისა და ჟურნალისტებისაც ეშინოდა. ერთხელ, წვეულებაზე ყოფნის დროს, ერთი ჟურნალისტი გადაეკიდა და მიამიტი სახით ჰკითხა — „ბოლოს და ბოლოს, როდის აპირებთ დაქორწინებას? სინიორა მასტროიანმა პრესას განუცხადა, რომ განქორწინებაზე თანახმაა“. მარჩელოს სამუდამოდ დაამახსოვრდა ის მზერა, რომელიც კატრინმა ჟურნალისტს ესროლა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დედა ჩამოკიდა!



ჩემი მეგობრების საყვარელი ფრაზა (ჩემ შესახებ) ასეთია — „მაგასთან არაფერი წამოგცდეს, „გზაში“ „გამოგაბნელებს!“ ჰმ, რა ვქნა, რა ჩემი ბრალია, რომ „სიტუაციისთვის“ ისეთ სიტუაციებს „მთავაზობენ“, თავს ვერ ვიკავებ,კომპიუტერს რომ არ მივუჯდე და კლავიატურაზე თითები არ ავაკაკუნო. ასე და ამგვარად, ჩემმა მკითხველმა თითქმის ყველა ჩემი მეგობარი გაიცნო და შეიყვარა კიდეც. მადლობა მითხრან, ბატონო, ახლა, ამ შუაღამის 2 საათზე ძილს რომ ვიტეხ და ერთ-ერთი ჩემი მეგობრის, მისი მეუღლისა და დედის (ანუ მეგობრის მეუღლის სიდედრის) პოპულარობაზე ვზრუნავ. დღეს — ერთი ჩვეულებრივი ოჯახი, ხუთშაბათს გაიღვიძებს და პოპულარობის ზენიტში იქნება. საამისოდ ხალხი უამრავ ფულს ხარჯავს, მათ კი (ეჰ, მეგობრობის ხათრით, თორემ...) ლანგრით მივართმევ (ასეა,უწვალებლად გაკეთებულ საქმეს ფასი არ აქვს).

ჩემი მეგობარი, რომელზეც დღევანდელი სიტუაცია უნდა ავაგო, შუაგულ ჩოხატაურში გაიზარდა და ნაღდი გურულია. უკვე 15 წელია, თბილისში ცხოვრობს, მაგრამ გურული კილოთი ლაპარაკობს და მინდა გითხრათ, რომ ძალიანაც უხდება. წინა კვირაში, უამრავი ზარის, საყვედურისა და — „გოგო, არ გრცხვენია, რომ დეიკარგე“, „რაია, ქალო, თლათ ამოგვირეცხე გულიდან?“ და „ვსიო“, ჩვენი მეგობრობა აქანე დასრულდა“-ს შემდეგ, როგორც იქნა, მასთან სტუმრად მივედი. ის იყო, ერთმანეთი მოვიკითხეთ, რომ კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

— დედაა! ჩამოდი, დედა? უი, რაფრა გამიხარდა... — სიხარულით აჭყლოპინდა ჩემი მეგობარი, როდესაც კართან ჩოხატაურიდან ჩამოსული დედა დახვდა.

ქალბატონი გულიკო გულით მოვიკითხე, ვკითხე, როგორ ბრძანდებით-მეთქი? — და მორჩა, იმის მერე სიტყვა ვეღარსად ჩავაკვეხე.

— კარქათ ვარ დედა, კარქათ, შენ ხომ კარქათ ხარ? დედა, ნატო, — შვილს მიუბრუნდა, — როგორ ხარ? სამსახურში დეიარები? სადაა ჩემი აბდალა სიძე? უი, სამსახურში იქნება, ალბათ... რა ჰქვია დედა, მის სამსახურს? ისთევე იქანა მუშაობს თუ საცხა გედევიდა? ტელეფონი რეკავს, დედა, თუ შენი ქმარია, გაახარე, დედიკო ჩამევიდათქვა, უთხარი. თუ გკითხოს, უკან როის მიდისო, კიდო გაახარე, დედა და უთხარი, ჯერ არა-თქვა! დედიკო მაშინ წავა, როცა ახალ „მაშინას“ იყიდი-თქვა, ხომ გახსოვს, მაშინ რომ ჩამევედი, მაგის „მაშინაში“ ძლივს რომ შევეტიე და ვეღარ გამევეტიე? სადგურზე რომ წევედით, გზაში 2 ფენოვანი ხაჭაპურის მეტი არაფერი მიჭამია, მაგრამ ვერ გამევეტიე კარში. ერთი ხელი და ფეხი გამოვყავი და „ვსიო“! შენი აბდალა ქმარი „მაშინის“ გარშემო დარბოდა და „მარშრუტკის“ მძღოლს უყვიროდა, არ წახვიდე, მეიცადე, წავალ, „სვარკას“ მევიტანო. „მარშრუტკა“ მაინც ქე წევიდა და მე კიდო 2 კვირა დავრჩი თქვენთან.

...მშია, დედა, წავალ, ვნახავ, რა გაქვს. უი, დედა, გუშინდელი ბორში გქონია. თუ გააცხელებ, კი შეიძლება ამის ჭამა... ამას აჭმევ ქმარ-შვილს? სულაც არ მიკვირს, სახლში გვიან რომ მოდის ის კაცი. ჩვენი მეზობელი რომ იყო, ქსენია, ხომ გახსოვს? იცი, ბოვშებს რა დოუბარა? რასაც კატა ვერ შეჭამს, არ გადაყაროთ, მამას ვაჭმევო, აპა? — გულიანად ხითხითებს ქალბატონი გულიკო. — ნუ იცინი გოგო და დეიჯერე, რასაც დედა გეუბნება. კაცების ამბავი ხო იცი, მთელი დღე მუშაობენ, საღამოს კი სადაც კარგი ვახშამი ელოდებათ, იქ წავლენ. მომეცი „კარტოშკა“, უცებ შევწვავ, უყვარს ჩემს სიძეს ჩემი დაბრაწული „კარტოშკა“.

...ეს რა „მაიკა“ გაცვია ან შარვალი რას გავს, ნენაააა, გედევირიე ქალი! „ელასტიკი“ რაა გოგო, ასეთი შარვლები კინოში მინახავს, საფრანგეთში ჯარისკაცებს ეცვათ.

— კარგი, რა, დედა, — გაპროტესტება სცადა ნატომ.

— რა კარგი, რა კარგი, აგერ, შენს შარვალს უკან ნახვრეტიც აქვს, მტრის ხანჯლის ნაკვალევი, შენ კიდო ამბობ, კარგიო. აა, სამსახურში დეიღალე? უჰ, თოხი არ გეკაოს და ყანას არ თოხნიდე, ჯდიხარ გაპარპალებულ (ალბათ კეთილმოწყობილს გულისხმობდა) ოფისში და კომპიუტერზე აკაკუნებ. გარეთ რომ გაპრანჭული დეიარები, აქანე არ გჭირდება გაპრანჭვა? დედას დოუჯერე, თუ გინდა, რომ ყოლიფერი კარქათ იყოს. ან თმა რას გიგავს, ყვავის ბუდესავით რომ გაქვს თავზე წამოკოკოლავებული? კაცის მთავარი ინსტინქტი, ჭამის მერე, გამრავლებაა (გულიკო დეიდა პროფესიით ბიოლოგია)! ვინ მოინდომებს შენთან გამრავლებას, რას გავხარ, ჩეიხედე სარკეში... იმიტომაც ვერ მრავლდები, ერთი ბაღანე გააჩინე მარტო და „ვსიო“! ქმარი რაფრა დაწვება შენთან, დიდი-დიდი, ქსეროქსზე თუ გაგამრავლებს ვინმე... მესმის ჩემი სიძის, მესმის... საწყალი, მოვა სახლში და დახვდება „პოლის

ჯოხი“, გახვრეტილი შარვლით. უკან რომ არ გარბის, იგი მიკვირს! კარზე აკაკუნებს ვინცხა, შენი ქმარი მევიდა, ეტყობა. მეიცა, მე გავაღებ... აააა, ქალბატონო ნინო (მეზობელი), როგორ ბრძანდებით? დიახ, ცოტა ხნით ჩამევედი, ბოვშებს დავხედავ-თქვა, „სასწრაფოს“ გამოძახება გინდათ (გულიკოს წინა სტუმრობისას ნინო ავად გამხდარა და „სასწრაფო“ გამოუძახიათ)? აბა, რამ შეგაწუხათ? აააა, მწვანილი კი გვაქვს, წელან მაცივარში შევიხედე და იყო. ყავას ხომ არ მიირთმევთ? არა? რატომ? არა, არა, ჩემი სიძე სახლში არ არის, მუშაობს, რომ ახალი მანქანა იყიდოს. თქვენი ბიჭი რაფრაა? რაფერი კაი ბიჭია, ნამდვილი ლენინია, დედა ენაცვალოს... რატომ? იმიტომ, რომ სულ ციხეში და გადასახლებაშია, საწყალი ბაღანე...

— დედა! — წყრომით შესძახა ნატომ.

— რა დედა, რა დედა, რავა ტყვილს ვამბობ თუ? დატანჯეს ბოვში, ამ საზიზღარმა პოლიციელებმა და მოსამართლეებმა. იყავით, ქალბატონო ნინო, რეიზა გარბიხართ, კაი, მერე შემოით, კიდო, ჯერ აქანე ვარ და წასვლას არ ვაპირებ...

...წეეთრა გველი, მაგას რაფრა უშობ სახლში, რავარი ბოროტი თვალები აქვს... დავამყარებ აქანე წესრიგს, სანამ წავალ...

...კიდო ვინცხაა კარზე, უი, მოხვედი, ნენა? დეიღალე, ნენა?

ბევრი იმუშავე? ახლა ნატო თავის შემწვარ კარტოფილს გაჭმევს, ხომ იცი, რაფრა კარქათ იცის კარტოფილის შეწვა. კაი, ნენა, ასთე რატომ მიყურებ? წავალ ახლა, დევიძინებ, დევიღალე გზაში. „ვსიო“, წევიდა დედა დასაძინებლად, ხვალ ადრე უნდა ავდგე და ნატოს ტვინი უნდა გავუხვრიტო, რომ თმა შეიჭრას, ბოვშიც მოსავლელია, ამდენი საქმეა გასაკეთებელი... უჰ, მე რომ არ გყავდეთ, რა გეშველებოდათ?

ამ სიტყვებით ქალბატონი გულიკო საძინებელში გაუჩინარდა. ამ დროს მის „აბდალა“ სიძეს შევხედე, რომელიც სამზარეულოში, მაგიდასთან იჯდა, წინ ოხშივარადენილი, შემწვარი კარტოფილით სავსე თეფში ედგა, მაგრამ ვერ ხედავდა — თავი ხელებში ჰქონდა ჩარგული და გაშტერებული მზერით ფანჯარაში, სადღაც შორს, სივრცეში იყურებოდა და ვინ იცის, რას ხედავდა...

ელენე საბაშვილი: ლამაზი და უცვლელი ქალი საზოგადოებას მალე აბეზრდება

ელენე ბასილიძე

ელენე საბაშვილი „მის საქართველო 2008“-ის ერთ-ერთი მონაწილე და „მის ფოტოგენურობის“ ტიტულის მფლობელია. იგი 53-ე სკოლის მე-12 კლასელია. აბიტურიენტ მომავალ ბიზნესლედის მოუცლელობის გამო ძლივს შევხვდი და მომხიბვლელ „მისს“ რამდენიმე კითხვა დავუსვი.

— ელენე, როდის დაიწყე სამოდელო კარიერა?

— 14 წლის ვიყავი, როცა დედამ სამოდელო სააგენტო „ნატალიში“ მიმიყვანა. მანამდე ქუსლიანი ფეხსაცმელი არასოდეს მცმია და კინაღამ თავ-პირი დავიმტვრიე (*იცინის*), თუმცა მალვე შევეჩვიე „ქუსლებთან ურთიერთობას“. ახლა „იმიჯცენტრის“ მოდელი ვარ.

— რა არის შენთვის მოდელობა, პროფესია თუ ჰობი?

— ამ ეტაპზე — ჰობია, მომწონს ჩემი საქმე. ამ სფეროს საშუალებით გავხდი ცნობილი სახე და კმაყოფილი ვარ.

— როგორ ფიქრობ, დღესდღეობით შეიძლება,

მოდელმა საკუთარი პროფესიით თავი იარსებოს?

— დღესდღეობით საქართველოში სამოდელო ბიზნესი იმ დონეზე არ არის განვითარებული, რომ მოდელმა საკუთარი პროფესიით, მოდელობით თავის გატანა შეძლოს, რასაც საზღვარგარეთის ქვეყნებზე ვერ ვიტყოდი. ამიტომაც ვცდილობ, ისეთი პროფესია



ავირჩიო, რომელიც თავის გატანის საშუალებას მომცემს.

— რა პროფესიის დაუფლებას აპირებ?

— ეროვნული გამოცდებისათვის ვემზადები. არქიტექტორობა მინდა, ინტერიერის დიზაინის განხრით. საკმაოდ პერსპექტიული პროფესიაა, ბიზნესლედობას ვაპირებ. არც მოდელის პროფესიას დავივიწყებ, მართალია, ჯერჯერობით, მისთვის დრო არ მრჩება, მაგრამ ჩაბარების შემდეგ, მასაც მივხედავ.

— დაძაბული გრაფიკი თუ გაძლევს გართობის საშუალებას?

— ოოო, ეს რა რთული კითხვაა? (*იცინის*) ხშირად ვერ ვახერხებ გართობას. მაგრამ ვცდილობ, დრო მეგობრებისთვის ყოველთვის გამოვნახო. გული მწყდება, რომ ბევრ რამეს ვერ ვასწრებ. მეგობრებთან ყოფნა კი განტვირთვისთვის ძალიან კარგი საშუალებაა.

— თაყვანისმცემლებთან როგორი ურთიერთობა გაქვს, არ გაწუხებენ?

— თუ გოგონა „პაკლონიკს" შეწუხების საშუალებას მისცემს, მას აუცილებლად შეაწუხებენ. ამჟამად არავინ მაწუხებს, არც დრო მრჩება მათთვის და არც სურვილი მაქვს პირად ცხოვრებაში სიახლეებისთვის.

— როგორი უნდა იყოს ბიჭი, შენი ყურადღება რომ მიიპყროს?

— პირველ რიგში, ჩემს ყურადღებას გარეგნობა იქცევს. მერე კი ხასიათისა და პიროვნული თვისებების ჯერიც დგება. ბიჭი, საინტერესო თუ არაა, მასთან ურთიერთობის გაგრძელების სურვილი აღარ მიჩნდება.

— არსებობს დამკვიდრებული აზრი, თუ ლამაზი ხარ, ეი. სულელი ხარ.

— (*მაწყვეტინებს*) დღესდღეობით უამრავი გოგონაა, რომელიც არაჩვეულებრივი სილამაზით გამოირჩევა, მაგრამ ინტელექტის დონე გარეგნულ მომხიბვლელობას აშკარად ჩამოუვარდება. თუმცა არიან ქალები, რომლებიც ლამაზებიც არიან, ჭკვიანებიც და დიდი დაფასებაც აქვთ. მარტო სილამაზე არაფერს წყვეტს, ლამაზი და უჭკუო ქალი, ძალიან მალე ჰბეზრდება საზოგადოებას.

— რატომ გადაწყვიტე „მის საქართველოს" კონკურსზე გასვლა?

— პირველად ახლობლებმა შემომთავაზეს კონკურსზე გასვლა. თავიდან წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ მერე დავთანხმდი.

— რა შეცვალა „მის საქართველოს" კონკურსმა შენს ცხოვრებაში?

— კონკურსმა „მის ფოტოგენურობის" ტიტული მომანიჭა. მისი მეშვეობით გავხდი ცნობილი სახე. მქონდა შემოთავაზებები, ვყოფილიყავი სარეკლამო სახე, მიწვევდნენ საზღვარგარეთ. „აბიტურიენტობამ" კი ხელი შემიშალა გამგზავრებაში. რაც მთავარია, ძალიან ბევრი კარგი მეგობარი შევიძინე კონკურსანტების სახით.

— კიდევ ხომ არ აპირებ მონაწილეობას „მის საქართველოს" კონკურსზე?

— ვნახოთ, ეგ საკითხი ჯერ კიდევ სათუოა...

— რამდენიმე „მის საქართველო" გვყავს, მათ შორის, რომელია შენი ფავორიტი?

— ირინა ონაშვილი ძალიან მომწონს, ასევე ხათუნა სხირტლაძეც.

— ქართულ ტრადიციებზე რა აზრის ხარ?

— ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე და პატივს ვცემ ქართულ ტრადიციებსაც. თუმცა არ ვეთანხმები აზრს, რომ ქალი სახლში უნდა იჯდეს, ბავშვებს უვლიდეს და სადილს ამზადებდეს. ქალებსაც გვაქვს სრული უფლება, საყვარელი საქმე ვაკეთოთ.

— რას შეცვლიდი ქართულ ტრადიციებში?

— ცუდია, რომ საქართველოში გართობის ერთადერთი „ცენტრი" რესტორანია. კარგია ისეთი სიტუაცია, სადაც საზოგადოება ჭამის პარალელურად ერთობა კიდეც, ულერს ცოცხალი მუსიკა, გიტარის აკომპანემენტით მღერიან... მარტო კუჭზე არ უნდა ფიქრობდეს ადამიანი. საშინელებაა წვეულება, სადაც მხოლოდ სადღეგრძელოები ისმის.

— სპორტული ცხოვრებით თუ ცხოვრობ?

— 11 წელია, რაც თხილამურებით სრიალი ვისწავლე და მას შემდეგ, თითქმის ყოველ ზამთარს დავდივარ სასრიალოდ. ბავშვობიდანვე იპოდრომზე დავდიოდი, ცხენები მიყვარს ძალიან და ვჯირითობდი. ვცდილობ, დრო ხშირად გამოვნახო

ჰიპნოზის მაგიური ძალა

უკვე რამდენიმე კვირაა, ერთ-ერთი მკითხველი მთხოვს, ჰიპნოზის შესახებ ვუამბო. მეუბნება, რომ მისთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანია და შესაძლოა, საკითხი მის ყოფნა-არყოფნასაც ეხებოდეს. თუმცა, სათქმელს ბოლომდე არ ამბობს. ვუსრულებ თხოვნას. ვფიქრობ, ამომწურავ ინფორმაციას მივაწვდი და მის ცნობისმოყვარეობას დავაკმაყოფილებ.

ბრაუნ თარხანი

ჰიპნოზს პრაქტიკაში ჯერ კიდევ ძველი შუმერები იყენებდნენ. ანტიკურ ხანაში მას მთელი მაგიური სისტემა ეყრდნობოდა. ცნობილი ფაქტია, რომ ძველრომაელ ფილოსოფოსებს თანამედროვენი ბრალს სდებდნენ, რომ ისინი მონებს ჰიპნოზურ ტრანსში აგდებდნენ, მომავლის წინასწარმეტყველება რომ შესძლებოდათ.

მეცნიერები ადამიანის ორგანიზმის ჰიპნოზურ ძილში ყოფნას, მისი ცნობიერების ცვლილებას (რომელიც ჰიპნოზს თან ახლავს), გარე სამყაროსგან მოწყვეტასა და აღქმის უნარის დროებით შეზღუდვას ჰიპნოტიზმს უწოდებენ. ეს გარე გამღიზიანებლის ან სმენითი და მხედველობითი აღქმის საშუალებით მიიღწეოდა. ჰიპნოზის ფენომენი ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა და აზრი მის შესახებ კაცობრიობის არსებობის სხვადასხვა ეტაპზე ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებოდა. ანტიკურ ხანაში ის აღფრთოვანებას იწვევდა, შუა საუკუნეებში — შიშს (მიმდევრებს კოცონზე წვავდნენ). თანამედროვე ცხოვრებაში ჰიპნოზი მეცნიერების განუყოფელი ნაწილია, ხოლო ჰიპნოტიზიორები ძირითადად, ექიმები არიან. მის მიმართ თანამედროვე საზოგადოებაც სხვადასხვაგვარადაა განწყობილი. ერთნი ამბობენ, რომ ჰიპნოზი მეცნიერების (კერძოდ — მედიცინის) უდიდესი მიღწევაა, მეორენი ირწმუნებიან, რომ ჰიპნოზი წინაპრებისგან მემკვიდრეობით გადმოცემული უნიკალური შესაძლებლობაა, მესამენი ვარაუდობენ, რომ ეს თაღლითობაა, ხოლო კიდევ ერთი მოსაზრების თანახმად, ჰიპნოზი „დანგრეული" ფსიქიკის მქონე ადამიანებისთვისაა გათვლილი, რომელთა გავლენის ქვეშ მოქცევა ძალზე იოლია. იმასაც ამბობენ, რომ ჰიპნოზი გართობის უწყინარი საშუალებაა, მაგრამ მათ ოპონენტებიც ჰყავთ, რომლებიც ირწმუნებიან, რომ ვინც ჰიპნოზის ქვეშ იმყოფება, მას სატანასთან აქვს კავშირი.

სპეციალისტები, რომლებიც თვითონ აწარმოებენ ჰიპნოზურ სეანსებს ან შეისწავლიან მას, მიიჩნევენ, რომ ჰიპნოზი მეცნიერების ნაწილია და მისი საშუალებით კავშირი მყარდება სამყაროს სხვა განზომილებასთან.

ჰიპნოზური მდგომარეობის გამოწვევა შესაძლებელია, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური ზემოქმედებით. პირველი თავს ზემოთ ხელების თავისებური მოძრაობით ან თავზე თითების ერთგვაროვანი დაჭერით, უძრავ საგანზე თვალის გაშტერებით მიიღწევა. ფსიქიკური ზემოქმედება კი სიტყვებითაა შესაძლებელი.

საერთო ჰიპნოზის დროს, ერთმანეთის მონაცვლე 3 ფაზა შეინიშნება.

1. კატალეპტიკური ფაზა, რომლის დროსაც ადამიანი უძრავ მდგომარეობაშია, თვალები გახელილი და მზერა ერთ წერტილზე აქვს შეჩერებული, კიდურებიც უძრავადაა.
2. ლეთარგიული ფაზა — მგრძნობიარობის დაკარგვა, კუნთოვანი სისტემის მოდუნება, ღრმა ძილი.
3. სომნაბულური ფაზა — ადამიანი მოშვებულია, უმოქმედო, მაგრამ კუნთების აქტიურობას ინარჩუნებს.

ადამიანი ამ დროს დამოუკიდებელი აზროვნების უნარს კარგავს და სომნაბულად — ავტომატურად ყველაზე წარმოუდგენელ ბრძანებებს ასრულებს. გაღვიძე-



ბის შემდეგ არაფერი ახსოვს, შთაგონების შედეგი კი მაინც რჩება. ნებისმიერ შემთხვევაში, ჰიპნოზის ქვეშ მყოფი ადამიანი ჰიპნოტიზიორის ხელში რობოტად, მარიონეტად გადაიქცევა, რადგან გაღვიძების შემდეგ ცხოვრებას იმ „დავალებით" აგრძელებს, რომელსაც ჰიპნოტიზიორი შთაგონებს. მილიონობით ადამიანი იყო იმის მოწმე, როგორ აიძულებდა ჰიპნოტიზიორი სახალხო სეანსების დროს ჰიპნოზში მყოფებს ცეცხლის ალში ხელის გაჩერებას, საკუთარი სხეულისთვის დაზიანების მიყენებას, მაგრამ ამ დროს ისინი ტკივილს არ შეიგრძნობდნენ. ჰიპნოტიზიორი არწმუნებდა ხალხს, რომ დარბაზში ყინავდა და აიძულებდა მათ, სიცივისგან აკანკალებულიყვნენ ან პირიქით, არწმუნებდა, რომ ძალიან ცხელოდა და ხალხიც ტანისამოსის გახდას იწყებდა. როგორც ექიმები ირწმუნებოდნენ, ჰიპნოზში მყოფი ადამიანების სხეულები მართლაც შეიგრძნობდნენ სიცხეს (ოფლიანდებოდნენ, სხეულის ტემპერატურა იმატებდა) ან სიცივეს (კანკალებდნენ, კიდურები ეყინებოდათ).

ცნობილია, რომ ექსპერიმენტის დროს, ჰიპნოტიზიორის ბრძანებით, მოსიყვარულე დედა შვილის მოსაკლავად დანით იწევდა. არსებობს ჰიპნოზურ მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობისა და ძალადობის ფაქტები. ამას გაწონასწორებული, კეთილსინდისიერი ადამიანები სჩადიოდნენ. ჰიპნოზიდან გამოსვლის შემდეგ კი ვერაფრით იჯერებდნენ, რომ ეს საშინელება მათ ჩაიდინეს. აღწერილია შემთხვევები, როდესაც ჰიპნოზის შემდეგ ადამიანს შეეცვალა ხასიათი და ჩვევები.

ასე რომ, ჰიპნოზი რეალურ ძალას წარმოადგენს. მასში მთავარია ერთი ადამიანის მეორისადმი მორჩილება და ეს მორჩილება უხეში ძალის ჩარევითა და სიყვარულით კი არა, ჰიპნოტიზიორის იდუმალი ძალის გამოყენებით მიიღწევა. არც ერთ დიქტატორს არ შეეძლო, ქვეშევრდომების აზრების გაკონტროლება, ჰიპნოტიზიორს კი ეს შეუძლია. ძველ დროში ტირანები ადამიანებისგან მანკრუტებს ქმნიდნენ. მათ ბავშვობაში თავზე ახალგატყავებული აქლემის, ჯერ ისევ სისხლიან ტყავს ახურავდნენ და მჭიდროდ აკრავდნენ. ტყავი თავის კანს შეეზრდებოდა და განვითარების საშუალებას არ აძლევდა. შედეგად, ასეთი ადამიანის ტვინი ზომითა და ფუნქციებით ისეთივე რჩებოდა, როგორიც ბავშვის ტვინი იყო. ამრიგად, ზრდასრული ადამიანები დამჯერ, მორჩილ არსებებად გადაიქცეოდნენ და ნებისმიერ ბრძანებას უსიტყვოდ ასრულებდნენ. ჰიპნოტიზიორებმა ტირანებს აჯობეს. ისინი ტვინის ანატომიურ და ფიზიოლოგიურ მდგომარეობას არ ცვლიან. ადამიანი ისეთად რჩება, როგორიც ჰიპნოზამდე იყო, მაგრამ მისი ტვინი სხვა ადამიანის ზეგავლენის ქვეშ ექცევა. ჰიპნოტიზიორს ნებისმიერ დროს შეუძლია მისი გათავისუფლება და ისევ დაუფლება.

ტრანსი, შთაგონება, ჰიპნოზური ძილი — ფსიქიკური ფენომენია. შამანები და ჯადოქრები ჰიპნოზურ მდგომარეობას სხ-

<<< 5

მოკლე ჩართვა

როგორ ბიჭს (გოგოს) შევიყვარებდი?

• როგორს და, ვისთვისაც ვიქნები მზის სხივი — რათა გაიშალოს, წვიმის წვეთი — რათა გაგრილდეს; სიმშვიდე, რომელსაც ნევროზით და წელკავით არასოდეს ააფეთქებს; ტაბუ, რათა მან, ერთადერთმა ამხსნას ბორკილი, რასაც თვისი ნებით დაადებს თავის პატიოსნებას; იმედი, რათა სხვაგან არ ეძებოს. მოკლედ, ჩემს ნეკნზე ვსაუბრობ, რაა... სად არის, როო? ენიგმა.

• როგორ გოგოს შევიყვარებდი? პრინცესასნაირს. ჰო, მიყვარს კაცო, თქვენ გგონიათ, მას არ ვუყვარვარ? ასე მითხრა — ისე მიყვარხარ, როგორც მაწონიო. „პროსტა", ერთი პრობლემაა — მაწონს არ ჭამს. 9717.

• მალალს, გამხდარსა და წითურს.

• უბრალოდ, მინდა, რომ მიყვარდეს უბრალო სიყვარულით, ერთი უბრალო ბიჭი, რომ არც ქონება და არც სილამაზე არ მიზიდავდეს მისი. მინდა ვიპოვო ასეთი უბრალო და თუ ვიპოვე, გაგაგებინებთ. ვიკა.

• შევიყვარებ ადამიანს, ვინც დამაფასებს ერთგულს, სიყვარულს დამიმტკიცებს და მეც მივისაკუთრებ სამარადისოდ. ჩემი ცხოვრების სუნთქვად ვაქცევ. ნეტავ, მელირსება? ტირიფი73.

• როგორ ბიჭს? აი, ვენტვორტ მილერის მაგვარს. ძაან მიყვარს... ნეტავ, საქართველოში თუ დაიარება ასეთი ტიპი? თუ სადმე წააწყდით, გამოუშვით ჩემკენ... :-) მოვეშვები ფანტაზიებს და შევიყვარებდი არც ისე მალალს, შავგვრემანს, ჭკვიანსა და ზრდილობიანს, რადგან მეც ასეთი ვარ. :-) შავტუხელა.

• ჩემთვის მთავარია, ბიჭმა გამიგოს, მენდოს და არ მომატყუოს. მიმტევებელი ვარ და სხვა ყველაფერს ვაპატიებ. უხეში ბიჭები მომწონს, რომლებიც ცრემლებით არ ქმნიან თავის სიყვარულს. ვიკა.

• შევიყვარებდი უბრალოდ, კარგ ბიჭს, რომელიც თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით მთლიანად მისაღები იქნებოდა ჩემთვის, როგორც პიროვნება. ჰორიზონტზე კი ასეთი ჯერ არავინ ჩანს, თუმცა, იმედი არ გადამიწურავს. სვანის ასული.

• უნდა იყოს მალალი, სიმპათიური, ჭკვიანი, საინტერესო ადამიანი, რომანტიკული, თბილი, მოსიყვარულე, ყურადღებიანი. რა იყო, თქვენც გინდათ? ნწუ! ერთი იყო და უკვე მე ვიპოვე. ეშმაკუნა.



ვადასხვა მეთოდით აღწევენ (რიტმული დარტყმები, ფსიქოტროპული ნივთიერებები). რაც შეეხება ოკულტიზმს, ტრანსი ბევრი მაგიური რიტუალის შეუცვლელ ნაწილად მიიჩნევა.

ჰიპნოზის „მამად" ფსიქოთერაპევტი, მესმერი მიიჩნევა. 1780 წელს, პარიზში მან პირველი ლექცია წაიკითხა, „ცხოველური მაგნეტიზმის" თეორიის შესახებ. ის ლეგენდარული პიროვნება გახლდათ, გრაფ კალიოსტროსაც კი ადარებდნენ და მასზე ათასგვარ, საშინელ ამბავს ჰყვებოდნენ, ჯადოქრისა და სატანის მოციქულს უწოდებდნენ. მის მიერ ჩადენილი საქმეები მართლაც ფანტასტიკური და უჩვეულო გახლდათ. შეეძლო, შთაგონების საშუალებით გაუტკივარება გამოეწვია, წყალი „დაემუხტა". ქუჩაში გამოჩნდებოდა თუ არა, ავადმყოფი ადამიანების ბრბო დაედევნებოდა ხოლმე და განკურნებას სთხოვდა. მათ მესმერის ტანისამოსზე ხელის შეხებაც კი აკმაყოფილებდა. ეს კი გარკვეულ წრეებში უკმაყოფილებას იწვევდა.

ბოლოს, მესმერის პაციენტთა რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ მის შესაძლებლობებს გადააჭარბა. მესმერმა გადაწყვიტა, რაღაც ეღონა. ადგა და მთვარე „დამუხტა" და ხალხი დაარწმუნა, რომ მთვარის შეხედვით განიკურნებოდნენ. მისმა საქციელმა ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა და პარიზის მეცნიერებათა აკადემიამ 1784 წელს მესმერი შარლატანად შერაცხა, მისი საქმე კი მისმა მოსწავლემ, მარკიზმა დე პუისეგიურმა განაგრძო.

ჰიპნოზის პრობლემით აბატი ფარიაც იყო გატაცებული (ეს ის ფარიაა, რომლის შესახებაც დიუმა-მამა „გრაფ მონტე-კრისტოში" წერდა). პოლიტიკურ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის ის დააპატიმრეს და 17 წელი იფის ციხეში გაატარა. მთელი ამ დროის მანძილზე ის თვითშთაგონების მეთოდებს ხვეწდა. გათავისუფლების შემდეგ, მესმერის საქმე განაგრძო და პარიზში „მაგნეტიზმის" სეანსებს ატარებდა. ეკლესიის აკრძალვის შემდეგ თავისი მოღვაწეობა შეწყვიტა და „ცოდვები" მოინანია. თუმცა, სიცოცხლის ბოლო წლებში წიგნი გამოსცა — „ნათელი ძილის მიზეზები". მასში თავისი კვლევის შედეგები და შეხედულებებია გადმოცემული.

ჰიპნოზის მიმართ სრულიად ახალი მიდგომა აღმოაჩინა იოჰან შულცმა (1884-1970). მან ინდოელი იოგების თეორია და პრაქტიკა ევროპულ მეცნიერებასთან დააკავშირა. ამის შემდეგ წარმოიშვა ავტოგენური მეთოდი, რომლის გარეშეც თანამედროვე ფსიქოთერაპია წარმოუდგენელია.

ფსიქოთერაპევტები ირწმუნებიან, რომ ჰიპნოზის ყველა საიდუმლო ამოხსნილია. ისინი ამტკიცებენ, რომ ჰიპნოზი ადამიანის ფსიქიკის განსაკუთრებული მდგომარეობაა, რომელიც ჩვეულებრივი ძილისაგან განსხვავდება. ამ დროს ჰიპნოტიზიორს ადამიანის ტვინში შეაქვს ის ინფორმაცია, რომელსაც გარკვეული მიზანი აქვს და შთაგონებისთვის აუცილებელია. ახალი ინფორმაცია გაცილებით მნიშვნელოვანი ხდება და ძველ ინფორმაციას თრგუნავს. ამ დროს სინამდვილის ახალი სახით ფორმირება ხდება და ახალ მისაღწევ მიზნად აღიქმება.

ბევრმა ადამიანმა არ იცის ჰიპნოზის არსი და ჰგონია, რომ არასოდეს ჰქონია მასთან შეხება და არც ექნება. სინამდვილეში, ჰიპნოზის დროს ადამიანის ცნობიერების ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა ხდება. ცნობიერების ცვლილება კი ყოველი ადამიანის ცხოვრებაში ყოველდღე ან დღეში რამდენჯერმე ხდება. მაგალითად, თუ წარსულიდან საინტერესო და სასიამოვნო ამბებს გაიხსენებ, გულისცემა აჩქარდება, სახეზე კი ღიმილი გადაგირბენს. ეს კი იმის ნიშანია, რომ შენი ცნობიერება წარსულის ზემოქმედების ქვეშაა. მსუბუქი ჰიპნოზით შესაძლებელია, წარსული აწმყოში დააბრუნო, „იმოგზაურო" წარსულში ან მომავალში, შეცვალო შენი აზრი ამა თუ იმ მოვლენის შესახებ, დაივიწყო მავნე ჩვევები და შეიძინო ახლები. ●

ჭოტ, რომელიც თეთრეს ღაჯარგა



• „აუუ, ახლა ეს ბურთები დამაჭერინა ხელში!“

• „ქალო, ხომ გითხარი, დაეტიე სახლში-მეთქი?“

• „...და ნომერი სად აწერია?“ ნია.

• „ნუ ი სუკინ სინ ეტოტ კრისტიანუ რონალდუ, იშო ი რაზდეტიმ ზახატელ იგრაც“.

• „თავი დამანებე, რა ჩემპიონთა ლიგა, რი ჩემპიონთა ლიგა?! ფრეზე შევთანმხდეთ!“ ბაქარ რამიშვილი.

• „ნეტაი მას, ვის კარშიც შენ შეხვალ“... აგრესიონერა.

• „ასეთი ბურთი ჯერ არ მინახავს“. აგრესიონერა.

• „ახლა ოცი კაცი ბურთის ნაცვლად ამ ფიგურას დაუწყებს დევნას“.

• „ყველა იმას გაიძახის, სიშიშვლეა მოდამიო, მაგრამ სტადიონზე გაგონილა? გადაგვრიეს ფეხბურთელები და მერე ხელფასებს დაგვიქვითავენ, რატომ გაგაქვთ ავტოგოლებიო“. ვიკა.

• „მიყურეთ ბიჭებო, მიყურეთ და ამასობაში ჩემი ქმარი, რომელიც თქვენი მოწინააღმდეგე გუნდის კაპიტანია, გამარჯვებას იზეიმებს. თუმცა, იქნებ არც თქვენ ხართ წაგებულები, ა?“ ენიგმა.

• „აქ რამ მოგიყვანა, შე დალოცვილო შენა, ა?“ გა-მა.

• „მგონი, ჩვენც თუ არ გავიხდით, ეწყინება გოგოსაო, ნეტავ, შენი თავი მამცა, ჩემს ვენახის ბოლოსაო“. გა-მა.

• „თვალო კაცისავ, ხარბი ხარ, გულო, ხარ ბევრის ამტანი, ლამის შაირი წამომცდეს — ხელში მეჭირა ბატკანი... ამ სტადიონზე მოგინდა დედიშობილა ტანტალი?“ ენიგმა.

• „აუუ, არ გამოგვალენჩაა?!“ ნარჩიტა.

• „კარგად დავუკვირდე, მგონი სილიკონია“... ნარჩიტა.

• უნახავმა რა ნახაო, ასეთი სიფათები აქვთ. განსაკუთრებით — პირველს. გიჟ-ხიფათა.

• „აქ რამ მოგიყვანა, შე მადლიანო, შენა, ჰა?“ გამოუსწორებელი რომანტიკოსი.

• „ეგრე არ დარჩეთ, ხალხნო!“ გამოუსწორებელი რომანტიკოსი.

• „მოატყუა ერთი, მოატყუა ორი“...

• „ქალავ შენი ტიტლიკანა, არვის არ შეევადაროო, „ლაივში“ ვართ, „ლაივში“ ვართ, გოლი უნდა გიყარო“...

• „ბიჯო, შენა პირველადა ხარ? ჰო! შენა? მეცა. ოე, მწვრთნელო, ეს რატომ არ გვასწავლე?“ კოზანოსტრა.

• „დეიდა, თქვენთან რძე რა ღირს? 3 გოლი, ტაიმში“. კოზანოსტრა.

• „ვააუუ, შენა და, ხომ არ იცი, რა ნომერი მკერდი ექნება? — კაი, მოიცა რა, რა დროს მკერდია, მგონი, ჩემკენ მოდის, დამაჰიპნოზა. — ნეტავ, როგორი უკანალი აქვს ამ დალოცვილს? მაგას ფოტორეპორტიორები დააფიქსირებენ. ახლა მთავარია, დაცვა არ შემოვიდეს მოედანზე, ცოტა ხნით“. მაესტრო.

• „დოპინგის ბრალია, თუ მართლა ქალია?“ აგენტი 8-07.

• „აი, თურმე რატომ ვაგებთ“. იკუშკები.

• „არა მგონია, ეს „ბურთი“ ვინმეს გადავულოცო. რა დრო დაგვიდგა?!“ წარმოსადეგი.

• „დაცვას მიხედე, ხვედელიძე, დაცვას!“ ბესიკი.

• „ქალბატონო, რა ლამაზი... თვალები გაქვთ!“ პანურგი.

• „კრიმინალური ქრონიკა: როგორ შეიპარნენ ფეხბურთელები ქალების აბანოში“. კატანი.

• „მატჩის შემდეგ მაისურების გაცვლა ვიცით და არა — შორტების“. მრ. რეალი.

• „ბიჭო, მეკარეე, სად იყურები, გოლი გაგიტანეს, გოლი! ეგ ქალია, ბურთი შენგან მარცხნივაა!“ იკუშკები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო, რომელიც ნეიტრალ ღაჯარგვე

ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61

ჩემეული ვერსია ესეთია:

– „სლუშაი, დოცენტ,
ტი ბილ ჯოგდა-ნიბუდ მალენჯი"?
– „ბილ".
– „უ ტებია პაპა,
მამა ბილ"?
– „ბილ".
– „ზაჩემ ტი ტაჯოი ზლოი?
ზაჩემ ჯაჯ საბაჯა"?

ეშმაკის მოქიქული

დასაწყისი — „გზა", №38-44

მარი ჯაფარიძე

ამ პატარა ეშმაკუნამ კარგი აზრი შემოაგდო. თუმცა, ის, რომ ოპერაციას ის დაგეგმავს და მერე მონაწილეობასაც მიიღებს, რა თქმა უნდა, სისულელეა.

— სად წავიდეთ? — ვკითხე იმ იმედით, რომ რაიმე კარგ აზრს შემომთავაზებდა.

— სადაც გინდა, არჩევანი შენზე იყოს. მაინტერესებს, შენ სად დადიხარ.

— მაშინ ჯერ ერთ ადგილზე მივიდეთ, ერთი ადამიანის მდგომარეობა მაინტერესებს და მერე მოვიფიქროთ რამე.

ნიცა დამთანხმდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მანქანა საავადმყოფოს ეზოში გავაჩერე და მიმღებში ნიცასთან ერთად შევედი.

როდესაც იმ კაცის ამბავი ვიკითხე, რომელიც დილით მივიყვანე, ექთანი წამოხტა, მომაძახა, — ერთი წუთით მოიცადეთო — და დერეფანში გავარდა.

ცოტა ხნის შემდეგ იმ ექიმთან ერთად დაბრუნდა, ვინც პაციენტს ოპერაცია გაუკეთა.

— კარგია, რომ მოხვედით, — კეთილად გამიღიმა მამაკაცმა.

— პრობლემაა რამე?

— არა, არა, იმის თქმა მინდოდა, რომ აუცილებლად უნდა მიხვიდეთ მილიციაში.

— რატომ? დავაშავე რამე?

— არა, თქვენ არაფერი დაგიშავებიათ, მაგრამ ხომ გესმით, წესია ასეთი, როდესაც ნაავარიევ პაციენტს მოიყვანენ, ჩვენ ვალდებული ვართ, მილიციას შევატყობინოთ. თანაც, საქმე ის გახლავთ, რომ ეს კაცი ნაავარიევი კი არა, ნაცემია. კიდურებიც წამების შედეგად აქვს მოტეხილი, თავშიც ბლაგვი საგანი აქვს ჩარტყმული...

— ერთი წუთით, ერთი წუთით, — ხელის აწევით გავაჩერე ექიმი, — იცით, რას გეტყვით? მე ეს კაცი გზაზე დაგდებული ვნახე და მეგონა, რომ მანქანამ დაარტყა. მეტი არაფერი ვიცი ამ საქმის შესახებ და არც სურვილი მაქვს, რომ ვიცოდე. და საერთოდ, მეგონა, სიკეთეს ვაკეთებდი და აღმოჩნდა, რომ შარში გავეხვიე.

ექიმი უხერხულად შეიშმუშნა. თითქოს თავი დამნაშავედ იგრძნო.

— ახლა მე წავალ და აქ აღარ მოვალ. უბრალოდ, მისი ამბის კითხვა მინდოდა, მეტი არაფერი.

— კარგი, როგორც გენებოთ, თქვენ მიერ მოყვანილი პაციენტი ალბათ გადარჩება. სამწუხაროდ, მისი ვინაობა ჯერ კიდევ ვერ დაადგინეს, მაგრამ იმედია, პატრონი გამოჩნდება.

— კარგად, — ექიმს დავემშვიდობე, ნიცას ხელი ჩავავლე და იქაურობა დავტოვე.

გუნება გამიფუჭდა. ახლა მარტო ყოფნა მერჩივნა, მაგრამ ნიცას ეწყინებოდა, შინ რომ წავსულიყავი. ამიტომ წყნარი ბარი შევარჩიე და მე და ნიცამ რამდენიმე საათი იქ დავყავით.

— შინ წასვლის დროა, — ვთქვი ღამის 11 საათზე და წამოვდექი.

— ჯერ ადრეა, — წინააღმდეგობის გაწევა სცადა ამ „მანანწალა" ეშმკუნამ, მაგრამ ისე შევუბღვირე, რომ მაშინვე გაჩუმდა და დამემორჩილა.

— იცი, რით განსხვავდები ჩემი ნაცნობი მამაკაცებისგან? — მკითხა, როდესაც მანქანა ადგილიდან დავძარი.

— რით? — მართლა დავინტერესდი.

— შენს ადგილზე სხვა შინ კი არ წავიდოდა, გვიანობამდე კარგად მოილხენდა, მერე მეც თავის სახლში წამიყვანდა.

— რომ მოილხინო, საამისოდ მიზეზი უნდა გქონდეს. ჩვენ რა მიზეზი გვაქვს?

მხრები უსიტყვოდ აიჩეჩა.

— გუშინ რა მიზეზი გვქონდა? — მკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— გუშინ გაცნობა აღვნიშნეთ, ამაზე მეტი მიზეზი რა უნდა ყოფილიყო? ისე, სულ მინდა

ეს კაცი ნაავარიევი კი არა, ნაცემია. კიდურებიც წამების შედეგად აქვს მოტეხილი, თავშიც ბლაგვი საგანი აქვს ჩარტყმული...

გკითხო, ჩემ შესახებ ინფორმაცია ვინ მოგაწოდა? — ვკითხე და დავიძაბე.

— იქ, ღამის კლუბში მითხრეს. როცა ოფიციანტი რამდენჯერმე გამოგზავნე და შენს მაგიდასთან დამპატიჟე, ბარმენმა მითხრა, მაგას ასე იოლად ვერ მოიშორებ, სანამ თავისას არ გაიტანს, არ მოგეშვებაო. ვინ არის-მეთქი? — ვკითხე და სულ დაწვრილებით ჩამიკაკლა ყველაფერი.

— გასაგებია... მოვედით, — მანქანა იქ გავაჩერე, სადაც დილით შევხვდი.

— ეზოში შემიყვანე, — ჭირვეული გოგონას ტონით მითხრა.

— როგორც მიბრძანებთ, მის...

ნიცა რომ წავიდა, რაღაცნაირი სიცარიელე ვიგრძენი. კარგა ხანს ვიდექი გაუნძრევლად და არაფერსა და ყველაფერზე ვფიქრობდი.

თვალწინ ჩემი პირველი სიყვარული წარმომიდგა, რომელიც მაშინ, როცა მიყვარდა, სწორედ ნიცას ტოლი იყო. საშინლად მომინდა საქართველოში წასვლა... ისე მომინდა, რომ ჩემი სახლის სუნიც კი შევიგრძენი. სუნმა ცხვირში შემიღიტინა, მერე მთელ სხეულში გამიჯდა და თვალზე ცრემლი მომადგა. ცრემლმა კი გონებაში ერთი მოგონება ამოატივტივა.

მაშინ IV კლასში ვიყავი. სკოლიდან მისულს კარი უბრალოდ, მოხურული დამხვდა. დედას დივანზე ჩასძინებოდა. რაღაცნაირად, დაპატარავებული მომეჩვენა. სახე შესჭმუხნოდა და თვალებიდან ცრემლი სდიოდა. მძინარე ტიროდა... უზომოდ შემეცოდა დედა და მეც ტირილი დავიწყე. მაშინ არ ვიცოდი, რა იყო მისი ტირილის მიზეზი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ დედას ვიღაცამ ძალიან ატკინა გული. ფეხებთან მივუწექი, მოვიკუნტე და ტირილში ჩამეძინა. ვიდრე დამეძინებოდა, გულში დავიფიცე, რომ ყველას სამაგიეროს გადავუხდიდი, ვინც ჩემს დედიკოს აატირებდა. როცა გამეღვიძა, დედა უკვე ამდგარიყო და სამზარეულოში ფუსფუსებდა. ფეხაკრეფით შევიპარე. დედამ მხოლოდ მაშინ შემნიშნა, როცა კარში გამოვჩნდი. ცრემლი ხელით ისე მოიწმინდა, მე რომ არ დამენახა და საქმიანობა გააგრძელა.

— დედა, რატომ ტირი? — კიდევ ერთხელ ამომიჯდა გული.

— არ ვტირი, — მიპასუხა და ცრემლიანი თვალები ისევ დამალა.

— როგორ არა, წეღან ძილშიც ტიროდი, ახლაც ტირი...

მამაკაციც ჩვეულებრივი ადამიანია და ტირილი მასაც შეუძლია. ისინი მაშინ ტირიან, როცა მარტონი არიან

დედამ ხელში ამიყვანა და სკამზე დამსვა. თვითონ ჩემ წინ ჩაიმუხლა და ცერა თითით თვალზე მომდგარი ცრემლი მომწმინდა.

— შენ რატომ ტირი ხოლმე? — მკითხა და ხელები ფეხებზე მომხვია.

— მე... მე იმიტომ, რომ მაბრაზებენ ხოლმე და კიდევ, შენ რომ ტირი, იმიტომ.

— ჰოდა, მეც მაშინ ვტირი, როცა ვინმე მაბრაზებს. დიდი ბიჭი რომ გაიზრდები, მაშინ ყველაფერს უკეთ გაიგებ.

— რას გავიგებ უკეთ?

— რას და... არის ცხოვრებაში ისეთი მომენტები, როცა ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც შენ გინდა.

— ამ დროს ყველა ტირის ხოლმე?

— კი, ყველა ტირის. ქალები უფრო ხშირად ტირიან, მაგრამ თუ ძალიან ეტკინა გული, მაშინ მამაკაციც ტირის.

— კაცმა რომ იტიროს, ხომ სირცხვილია? — გამიკვირდა მე.

— ცრემლი მხოლოდ მაშინ სდის ადამიანს, როცა ძალიან დამწუხრებული ან ძალიან გახარებულია. მამაკაციც ჩვეულებრივი ადამიანია და ტირილი მასაც შეუძლია. ისინი მაშინ ტირიან, როცა მარტონი არიან. როცა ვინმე ხედავს, მაშინ ტირილს ერიდებიან, რომ სისუსტეში არ ჩაუთვალონ.

თუმცა, ეს სისუსტე სულაც არ არის.

— ახლა რატომ ტიროდი, ვინ გაგაბრაზა?

— ახლა ალბათ იმიტომ ვტიროდი, რომ ცუდი სიზმარი ვნახე.

მივხვდი, რომ დედამ მომატყუა, მაგრამ მეტი კითხვა აღარ დამისვამს. საღამოს, ჩვეულებისამებრ, დასაძინებლად 10 საათზე დამაწვინა, ოთახში შუქი ჩამიქრო და გავიდა. თვალებს ვაჭყეტდი, რომ არ ჩამძინებოდა. არ მინდოდა, მამას მოსვლა გამომპარვოდა, რადგან ვფიქრობდი, რომ მას აუცილებლად გაუმხელდა ტირილის მიზეზს და მინდოდა, მეც გამეგო.

ბევრი ვიწრიალე ლოგინში და ის იყო, უნდა ჩამძინებოდა, რომ მამის ხმა გავიგონე.

— რა გატირებს? — დაბალი ხმით ჰკითხა დედას. მომეჩვენა, რომ ცოტა უხეშად ელაპარაკებოდა.

— მაგ კითხვის პასუხი უკვე იცი. სხვა რამ გეკითხა, ჯობდა.

— მაგალითად?

— მაგალითად, მინდა თუ არა შენთან ცხოვრება, — დედას ხმა უთრთოდა.

ღამის გული გამისკდა, როცა მისგან ეს სიტყვები მოვისმინე. ორივე მშობელი ძალიან მიყვარდა და ერთ-ერთის დაკარგვა ჩემთვის ნამდვილად კატასტროფის ტოლფასი იყო.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში

მოსწონალი ვენერალი
მეშვიდოსნიან დროს სიცოცხლს
იწვევს, ომის დროს — ჯანიკას.

მზეკვნილები

მარი ჯაფარიძე

სხვისი საიდუმლო

გამარჯობა, ჩემო ტანჯულო და მრავალჯერნახულო მკითხველო. რატომ „შეგამჯეთ" ასეთი ეპითეტებით? იმიტომ, რომ რაც აგრესიულ მესიჯებს ჟურნალში ალარ ვბეჭდავ, იმ მკითხველთა რიცხვმა იმატა, რომელიც მწერს, რომ ამა თუ იმ მკითხველისგან (თუ ყოფილი მკითხველისგან) საშინელი მესიჯი მიიღო – სალანძღავი სიტყვებით „გაჟღენთილი" და ბოღმით სავსე... ასეთ შემთხვევაში მე უძლური ვარ, რაიმე ზომები მივიღო. სანუგეშოდ კი მხოლოდ ერთ რამეს გეტყვით – ბუნებამ შხამი არგუნა მათ, ვინც დაცოცავს, ძლიერებს კი ის არ სჭირდება. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ თემად „სხვისი საიდუმლო" გვაქვს, მე არ გავთქვამ „სხვის" საიდუმლოს და „ცოდვილ" მკითხველებს ამჯერად საუბარაოზე არ გამოვიყვან.

არც ბევრს ვილაპარაკებ და თქვენს მესიჯებს გაგაცნობთ.

ტაცების ქორწილი და ლუდით შესმული მგზავნელების სადღეგრძელო



აისბერგი

„კაცს საკუთარი საიდუმლოს შენახვა გიჭირს და სხვისი საიდუმლოს გამხელა გაგვიჭირდება? დეიდაჩემის სოფელში ერთი მაგდანას ლურჯასავით ჯიუტი კაცი ცხოვრობდა, — ბეჟანა. დასასვენებლად ჩასულს გადამეკიდა, წამო ჯოო, დავლიოთო. უარზე ვიდექი, მაგრამ — შენს გამომშრალ ტვინს დატენიანება არ აწყენს, მე კიდევ — თანამეინახეო, ისეთი ურყევი მორალისტის ტონით მითხრა, რომ მასავით ველარ გავჯიუტდი და კაპიტულაციის ნიშნად სახლში გავყევი. მისმა ფუფალასავით სახეშეთითხნილმა და ცისარტყელას ფერებში შემოსილმა, პუტკუნა ცოლმა კასკადიორის სისწრაფით გაშალა სუფრა და კაი დამრტყმელი, პურის მჭამელივით, თამადადაც დაჯდა. მე-15 სადღეგრძელოზე ბეჟანას ყინწი მოსწყდა და ტახტზე გადავათრიეთ. მეც უკვე გვარიანად „მაქანავებდა“ და წამსვლელ-დამრჩენისა ვთქვი, მაგრამ არც ბეჟანას ცოლი ჩამოუვარდებოდა სოჯიუტეში მაგდანას ლურჯას და ცოტა ხანში ისე დამათრო, თავი ჯორდანო ბრუნო და გალილეო გალილეი მეგონა და — ის მაინც ბრუნავს და მეც მაბრუნებს-მეთქი, გავყვიროდი. კოცონზე არავის ავუყვანივარ, მაგრამ გულსა და ტვინში იმხელა ცეცხლი მენთო, გარეთ რომ გამომეშვა, ჩამქრალ პროჟექტორს ეყოფოდა ენერგიის წყაროდ. ეზოში გამოვბანცალდი ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. თივის ზვინთან შარვლის ღილებს დავუწყე წვალება და — ბიჭო, მოიხედეო, — აზამ დამიძახა. მობრუნებულმა, სანამ გავიაზრებდი, რა ხდებოდა, ერთი კი დაიჩხავლა მარტის კატასავით — ჰოპლაა! და ისეთი „რაზგონით“ შემახტა, რომ ეგრეევე თივის ზვინში აღმოვჩნდით და ქვეშიდან მოქცეული უშნოდ ავბლუყუნდი:

— მე შენ პატიოსანი ქალი მეგონე, თან შენთან ბავშვი ვარ, თან ბეჟანას ამას ვერ ვკადრებ-მეთქი.

— შე სულელო, ბეჟანას არა, მე მაკადრე... ჰა-ჰა-ჰა, მაშ, ბავშვი ვალოო? — მომიჩლიქა ენა.

— ადე ქალო, არა ვარ მე მაგის კაცი, — ერთხელ კიდევ ვცადე უნიათოდ წამოდგომა, მაგრამ ჩემი პროტესტი ქალს სასაცილოდ არ ეყო.

— ეეჰ, ჩემო ბიჭო, ბეჟოს კაცობა არა აქვს და მეც ზემოდან აისბერგივით რომ ვჩანვარ, აბა, ქვედა სართულებში ნახე, რა ხდება, ასეთი ცეცხლი მოედოს ბეჟოს საგვარეულოს და იმასაც, ვინც არ ჩამიქროსო. კიდევ წყევლა მინდოდა მეე? მოკლედ, ჩემი ცხოვრებისეული იდეალიზმი ტურტლიან რეალიზმში აირია — ჯერ ქმარმა დამიპყრო, დასალევად და მერე ცოლმა — სექსინდუსტრიისთვის. ჰოდა, ბაბულასავით, „იი ღამე თივი ზვინში გავატარე“. დილით ბეჟანაანთ ეზოდან რომ გამოვიძურწე, ორლობეში სოფლის მენახირე შემხვდა — რაო, ძიას კაცო, გაჩვენა აზამ, რაც ხდება აისბერგის ქვედა სართულებშიო? — ჩაიცინა ულვაშებში და დამორცხვება რომ შემნიშნა, დაუმატა: — შენ არ ინერვიულო, შვილოსან, მაგ აისბერგის ქვედა სართულების საიდუმლო სოფლის ყველა ბიჭს გამორკვეული აქვსო. — მერე, ბეჟანამ არაფერი იცის, რატომ არ აგდებს მაგ ძუკნას-მეთქი? — არა, ძიას გულო, ხომ იცი, ქმარი ცოლის ბოზობას ყველაზე გვიან იგებს. ეგ კი არა და, სოფლის საშაირიოდ გაიხადეს საქმეო, — მითხრა ნიკალა ძიამ და „განდაგანას“ მოტივებზე აღილინდა — „უკაცობის კოცონი სწვავს, ბეჟო, თურმე შენს ცოლს, აზას, მიდი, შლანგი მიაშველე, აისბერგის ქვედა ბაზას“. დანამდვილებით ვიცი, ბეჟანა ჟურნალებს არ კითხულობს და ცოლის საიდუმლოს ვერც ახლა გაიგებს. ენიგმა“.

ცხონებული პაპის საიდუმლო

„შემოდგომით მოსავლის აღების დრო იყო და ცხონებული პაპაჩემი ვენახის საყარაულოდ იყო წასული, *ყურძენი* არ მოიპარონო. საღამოს მიდიოდა და დილას ბრუნდებოდა. ჰოდა, საჭმელი დაავიწყდა სახლში და საღამოს მე წავუღე. ვაა, მივედი და რას ვხედავ? პაპა და ერთი მეზობელი სოფლელი ბებო გრიალებდნენ და სიყვარულობდნენ. ჰოდა, დავადექი თავზე, თან ომახიანად დავუყვირე: — პაპა, საჭმელი დაგრჩა-მეთქი. უუ, გაშრა კაცი, ეს ქალი ადგა და წავიდა. პაპამ — დაჯექი, შვილოო. დავჯექი. არსად არ თქვა, კაიო? ჰოდა, მეც რაღა მინდოდა? იმწუთას ვაჯახე — პაპა, 20 ლარი მინდა-მეთქი. საიდუმლოს კი

ხანდახან ადამიანები ონდა გაიცინო, რომ შენი ჩამოხრჩობა გადაიფიქრონ.

ეშმაკის მოქმედება

დასაწყისი — „გზა", №38-44

მარი ხაფარიძე

ამ პატარა ეშმაკუნამ კარგი აზრი შემოაგდო. თუმცა, ის, რომ ოპერაციას ის დაგეგმავს და მერე მონაწილეობასაც მიიღებს, რა თქმა უნდა, სისულელეა.

— სად წავიდეთ? — ვკითხე იმ იმედით, რომ რაიმე კარგ აზრს შემომთავაზებდა.

— სადაც გინდა, არჩევანი შენზე იყოს. მაინტერესებს, შენ სად დადიხარ.

— მაშინ ჯერ ერთ ადგილზე მივიდეთ, ერთი ადამიანის მდგომარეობა მაინტერესებს და მერე მოვიფიქროთ რამე.

ნიცა დამთანხმდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მანქანა საავადმყოფოს ეზოში გავაჩერე და მიმღებში ნიცასთან ერთად შევედი.

როდესაც იმ კაცის ამბავი ვიკითხე, რომელიც დილით მივიყვანე, ექთანი წამოხტა, მომაძახა, — ერთი წუთით მოიცადეთო — და დერეფანში გავარდა.

ცოტა ხნის შემდეგ იმ ექიმთან ერთად დაბრუნდა, ვინც პაციენტს ოპერაცია გაუკეთა.

— კარგია, რომ მოხვედით, — კეთილად გამიღიმა მამაკაცმა.

— პრობლემაა რამე?

— არა, არა, იმის თქმა მინდოდა, რომ აუცილებლად უნდა მიხვიდეთ მილიციაში.

— რატომ? დავაშავე რამე?

— არა, თქვენ არაფერი დაგიშავებიათ, მაგრამ ხომ გესმით, წესია ასეთი, როდესაც ნაავარიეევ პაციენტს მოიყვანენ, ჩვენ ვალდებული ვართ, მილიციას შევატყობინოთ. თანაც, საქმე ის გახლავთ, რომ ეს კაცი ნაავარიეევი კი არა, ნაცემია. კიდურებიც წამების შედეგად აქვს მოტეხილი, თავშიც ბლაგვი საგანი აქვს ჩარტყმული...

— ერთი წუთით, ერთი წუთით, — ხელის აწევით გავაჩერე ექიმი, — იცით, რას გეტყვით? მე ეს კაცი გზაზე დაგდებული ვნახე და მეგონა, რომ მანქანამ დაარტყა. მეტი არაფერი ვიცი ამ საქმის შესახებ და არც სურვილი მაქვს, რომ ვიცოდე. და საერთოდ, მეგონა, სიკეთეს ვაკეთებდი და აღმოჩნდა, რომ შარში გავეხვიე.

ექიმი უხერხულად შეიშმუშნა. თითქოს თავი დამნაშავედ იგრძნო.

— ახლა მე წავალ და აქ აღარ მოვალ. უბრალოდ, მისი ამბის კითხვა მინდოდა, მეტი არაფერი.

— კარგი, როგორც გენებოთ, თქვენ მიერ მოყვანილი პაციენტი ალბათ გადარჩება. სამწუხაროდ, მისი ვინაობა ჯერ კიდევ ვერ დაადგინეს, მაგრამ იმედია, პატრონი გამოჩნდება.

— კარგად, — ექიმს დავემშვიდობე, ნიცას ხელი ჩავავლე და იქაურობა დავტოვე.

გუნება გამიფუჭდა. ახლა მარტო ყოფნა მერჩივნა, მაგრამ ნიცას ეწყინებოდა, შინ რომ წავსულიყავი. ამიტომ წყნარი ბარი შევარჩიე და მე და ნიცამ რამდენიმე საათი იქ დავყავით.

— შინ წასვლის დროა, — ვთქვი ღამის 11 საათზე და წამოვდექი.

— ჯერ ადრეა, — წინააღმდეგობის გაწევა სცადა ამ „მაწანწალა" ეშმკუნამ, მაგრამ ისე შევუბღვირე, რომ მაშინვე გაჩუმდა და დამემორჩილა.

— იცი, რით განსხვავდები ჩემი ნაცნობი მამაკაცებისგან? — მკითხა, როდესაც მანქანა ადგილიდან დავძარი.

— რით? — მართლა დავინტერესდი.

— შენს ადგილზე სხვა შინ კი არ წავიდოდა, გვიანობამდე კარგად მოილხენდა, მერე მეც

ეს კაცი ნაავარიეევი კი არა, ნაცემია. კიდურებიც წამების შედეგად აქვს მოტეხილი, თავშიც ბლაგვი საგანი აქვს ჩარტყმული...

თავის სახლში წამიყვანდა.

— რომ მოილხინო, საამისოდ მიზეზი უნდა გქონდეს. ჩვენ რა მიზეზი გვაქვს?

მხრები უსიტყვოდ აიჩეჩა.

— გუშინ რა მიზეზი გვქონდა? — მკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— გუშინ გაცნობა აღვნიშნეთ, ამაზე მეტი მიზეზი რა უნდა ყოფილიყო? ისე, სულ მინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გკითხო, ჩემ შესახებ ინფორმაცია ვინ მოგაწოდა? — ვკითხე და დავიძაბე.

— იქ, ღამის კლუბში მითხრეს. როცა ოფიციანტი რამდენჯერმე გამოგზავნე და შენს მაგიდასთან დამპატიჟე, ბარმენმა მითხრა, მაგას ასე იოლად ვერ მოიშორებ, სანამ თავისას არ გაიტანს, არ მოგეშვებაო. ვინ არის-მეთქი? — ვკითხე და სულ დაწვრილებით ჩამიკაკლა ყველაფერი.

— გასაგებია... მოვედით, — მანქანა იქ გავაჩერე, სადაც დილით შევხვდი.

— ეზოში შემიყვანე, — ჭირვეული გოგონას ტონით მითხრა.

— როგორც მიბრძანებთ, მის...

ნიცა რომ წავიდა, რაღაცნაირი სიცარიელე ვიგრძენი. კარგა ხანს ვიდექი გაუნძრევლად და არაფერსა და ყველაფერზე ვფიქრობდი.

თვალწინ ჩემი პირველი სიყვარული წარმომიდგა, რომელიც მაშინ, როცა მიყვარდა, სწორედ ნიცას ტოლი იყო. საშინლად მომინდა საქართველოში წასვლა... ისე მომინდა, რომ ჩემი სახლის სუნიც კი შევიგრძენი. სუნმა ცხვირში შემიღიტინა, მერე მთელ სხეულში გამიჯდა და თვალზე ცრემლი მომადგა. ცრემლმა კი გონებაში ერთი მოგონება ამოატივტივა.

მაშინ IV კლასში ვიყავი. სკოლიდან მისულს კარი უბრალოდ, მოხურული დამხვდა. დედას დივანზე ჩასძინებოდა. რაღაცნაირად, დაპატარავებული მომეჩვენა. სახე შესჭმუხნოდა და თვალებიდან ცრემლი სდიოდა. მძინარე ტიროდა... უზომოდ შემეცოდა დედა და მეც ტირილი დავიწყე. მაშინ არ ვიცოდი, რა იყო მისი ტირილის მიზეზი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ დედას ვიღაცამ ძალიან ატკინა გული. ფეხებთან მივუწექი, მოვიკუნტე და ტირილში ჩამეძინა. ვიდრე დამეძინებოდა, გულში დავიფიცე, რომ ყველას სამაგიეროს გადავუხდიდი, ვინც ჩემს დედიკოს აატირებდა. როცა გამეღვიძა, დედა უკვე ამდგარიყო და სამზარეულოში ფუსფუსებდა. ფეხაკრეფით შევიპარე. დედამ მხოლოდ მაშინ შემნიშნა, როცა კარში გამოვჩნდი. ცრემლი ხელით ისე მოიწმინდა, მე რომ არ დამენახა და საქმიანობა გააგრძელა.

— დედა, რატომ ტირი? — კიდევ ერთხელ ამომიჯდა გული.

— არ ვტირი, — მიპასუხა და ცრემლიანი თვალები ისევ დამალა.

— როგორ არა, წეღან ძილშიც ტიროდი, ახლაც ტირი...

მამაკაციც ჩვეულებრივი ადამიანია და ტირილი მასაც შეუძლია. ისინი მაშინ ტირიან, როცა მარტონი არიან

დედამ ხელში ამიყვანა და სკამზე დამსვა. თვითონ ჩემ წინ ჩაიმუხლა და ცერა თითით თვალზე მომდგარი ცრემლი მომწმინდა.

— შენ რატომ ტირი ხოლმე? — მკითხა და ხელები ფეხებზე მომხვია.

— მე... მე იმიტომ, რომ მაბრაზებენ ხოლმე და კიდევ, შენ რომ ტირი, იმიტომ.

— ჰოდა, მეც მაშინ ვტირი, როცა ვინმე მაბრაზებს. დიდი ბიჭი რომ გაიზრდები, მაშინ ყველაფერს უკეთ გაიგებ.

— რას გავიგებ უკეთ?

— რას და... არის ცხოვრებაში ისეთი მომენტები, როცა ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც შენ გინდა.

— ამ დროს ყველა ტირის ხოლმე?

— კი, ყველა ტირის. ქალები უფრო ხშირად ტირიან, მაგრამ თუ ძალიან ეტკინა გული, მაშინ მამაკაციც ტირის.

— კაცმა რომ იტიროს, ხომ სირცხვილია? — გამიკვირდა მე.

— ცრემლი მხოლოდ მაშინ სდის ადამიანს, როცა ძალიან დამწუხრებული ან ძალიან გახარებულია. მამაკაციც ჩვეულებრივი ადამიანია და ტირილი მასაც შეუძლია. ისინი მაშინ ტირიან, როცა მარტონი არიან. როცა ვინმე ხედავს, მაშინ ტირილს ერიდებიან, რომ სისუსტეში არ ჩაუთვალონ. თუმცა, ეს სისუსტე სულაც არ არის.

— ახლა რატომ ტიროდი, ვინ გაგაბრაზა?

— ახლა ალბათ იმიტომ ვტიროდი, რომ ცუდი სიზმარი ვნახე.

მივხვდი, რომ დედამ მომატყუა, მაგრამ მეტი კითხვა აღარ დამისვამს. საღამოს, ჩვეულებისამებრ, დასაძინებლად 10 საათზე დამაწვინა, ოთახში შუქი ჩამიქრო და გავიდა. თვალებს ვაჭყეტდი, რომ არ ჩამძინებოდა. არ მინდოდა, მამას მოსვლა გამომპარვოდა, რადგან ვფიქრობდი, რომ მას აუცილებლად გაუმხელდა ტირილის მიზეზს და მინდოდა, მეც გამეგო.

ბევრი ვიწრიალე ლოგინში და ის იყო, უნდა ჩამძინებოდა, რომ მამის ხმა გავიგონე.

— რა გატირებს? — დაბალი ხმით ჰკითხა დედას. მომეჩვენა, რომ ცოტა უხეშად ელაპარაკებოდა.

— მაგ კითხვის პასუხი უკვე იცი. სხვა რამ გეკითხა, ჯობდა.

— მაგალითად?

— მაგალითად, მინდა თუ არა შენთან ცხოვრება, — დედას ხმა უთრთოდა.

ღამის გული გამისკდა, როცა მისგან ეს სიტყვები მოვისმინე. ორივე მშობელი ძალიან მიყვარდა და ერთ-ერთის დაკარგვა ჩემთვის ნამდვილად კატასტროფის ტოლფასი იყო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მოშშენალი გენიალი მშვიდობიან დროს სიკვდილს იწვევს, ომის დროს — ჭანიკას.

კურიოზული საიდუმლო უნდა გავთქვა. არ მეშინია, იმიტომ, რომ დედა „გზას“ არ კითხულობს და წლებია, რომ მაშინებდა, არ თქვა, არ თქვაო. ჰოდა, ახლა უნდა ვთქვა. ჩემი ჯანმრთელობის გამო ქალაქ ქობულეთის ერთ-ერთ სანატორიუმში წლების განმავლობაში ვმკურნალობდი. სახლში მხოლოდ დღესასწაულებზე შემეძლო წამოსვლა. 4 იანვარს არდადეგები დამიმთავრდა. თბილისში ჩავედით და იქიდან თბილისი-ბათუმის მატარებელს უნდა გავყოლოდით ქობულეთში. ჩავსხედით მატარებელში და დაიძრა. მგზავრობისას მოგვშივდა. დედამ ამოალაგა კერძები. მე ძალიან ცუდი მჭამელი ვიყავი. უცებ „შევკიკნე“ ცოტა, აი, დედას კი, გაგიხარია, ჭამა უყვარდა. საჭმელი რომ მოათავა, დავინახე, ის ორი ნაჭერი ნამცხვარი ამოიღო, რომელიც სახლიდანვე ვეჩიჩინე, ძველია, არ წამოიღო-მეთქი. თურმე, მაინც წამოუღია. ვკითხე, ეს ნამცხვარი უნდა შეჭამა-მეთქი? დააღო პირი და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო — არაფრის ყადრი არ იცი, რა გენაღვლება, ჯერ მშობლები გინახავენ, რატომ არის გადასაყრელი კერძი ან ნამცხვარიო? გავისუსე. თავისი გაიტანა და შეჭამა. ამასობაში დაბნელდა და დასაძინებლად დავწექით. ღამე ოხვრამ და ხმაურმა გამაღვიძა. თვალი გავახილე და რას ვხედავ? ისედაც ჩაპუტკუნებული დედა უარესადაა გასუქებული. თვალებიც კი არ უჩანს. შემოხვევიან გარს აქეთ-იქიდან მეზობელი კუპის ბინადარნი და ეკითხებიან — აბა, გაიხსენე, რა ჭამე, ასე რომ გაწყინაო. უცებ მე, როგორც სიმართლის მთქმელმა, ის იყო, პირი გავაღე და უნდა მეთქვა, ერთი კვირის ნამცხვარი-მეთქი, რომ დამასწრო და თავად თქვა — რა ვიცი, ბავშვმა მაყიდვინა თბილისში ნამცხვარი, თვითონ არ შეჭამა და მე შევჭამეო. ითათბირეს და გადაწყვიტეს, სისხლი არ მოეწამლოს, უბედურება არ დატრიალდეს, მატარებელი გავაჩეროთ და საავადმყოფოში წავიყვანოთო. არ მახსოვს, მატარებელი რამდენ ხანს გაჩერდა, მაგრამ დედა გარკვეული დროის მერე ბოიყვანეს და ჩვენც გავუდექით ქობულეთისკენ მიმავალ გზას. წლებია, ამ ამბავს მალავდა და მაშინებდა, იცოდე, არ წამოგცდეს არავისთან, განსაკუთრებით — მამაშენთან, თორემ სანატორიუმში დაგტოვებო. P.S. რა გიყო, დედაჩემო, დამალული და დაფარული არაფერია და ერთხელ საიდუმლოსაც ეხდება ფარდა. გრუზინკა“.

ძუნწი და ღუმელი

„მეზობელი მყავდა, ღმერთო არ მიწყინო, მაგრამ მეტისმეტად ძუნწი — ისეთი, თოვლიან ზამთარში თოვლს რომ არ გასესხებდა. ერთხელაც, ამ ჩემს მეზობელს მეორე მეზობელი ქალი ესტუმრა. არადა, ის-ის იყო, სუფრას შლიდა და ხაჭაპურს დებდა მაგიდაზე. ჰოდა, როგორც კი ხმა გაიგო, სხვა ვერაფერი მოიფიქრა, ერთი კი გაიხედა ფანჯრიდან და ხაჭაპური საჩქაროდ შედო შეშის ღუმლის „დუხოვკაში“. გადის დრო, მეორე მეზობელს გაუტკბა ჭორები, დაიწყო და აღარ ამთავრებს, ზის ტახტზე ლუარსაბის დარეჯანასავით და აზრადაც არ მოსდის სახლში წასვლა. არადა, „ფეჩი“ ღულუნებს, ხაჭაპურს უკვე „სცხელა“, მაგრამ არ ემეტება მასპინძელს, რომ აჭამოს უდროო დროს თავზე დამდგარ სტუმარს. დრო კი გადის, გადის, გადის და ხაჭაპურმაც ჯერ ოდნავ შეავსო ოთახი სურნელით. არ მიდის სტუმარი, ან როგორ წავა, მუშტისოდენა ნერწყვს ყლაპავს. მასპინძელი უკვე ნერვიულობს. არ დაადგა საშველი და აბოლდა და რას აბოლდა ღუმელი?! ნეტავ ასე აბოლებულ-აოხრებული მანახვა რუსის ტექნიკა, როგორც ჩაიწვ-ჩაიბუგა ჩემი მეზობლის მეზობლისთვის ვერგამეტებული ხაჭაპური. ასე გასცა ღუმელმა მიბარებული საიდუმლო. მე“.

ცხოვრებას მსოფლიო
დამოკიდებულება აქვს ადამიანს.

ფარული მაზოხისტი

„ამ ბოლო დროს ადამიანებზე დაკვირვება დავიწყე და მათი ფსიქოლოგიის იმდენგვარი ანომალია დავაფიქსირე, რომ არა უფლის განყენებული პოზიცია, ამდენი რეგენირებული ფსიქოლოგიის მფლობელი ადამიანი არ იქნებოდა. მოკლედ, დავიწყე: თურმე, არსებობენ ადამიანები, რომელთაც მსხვერპლის როლი მოსწონთ (ახალი ამბავი)! ასეთია რამდენიმე მოქმედი ოპოზიციონერი, რომელიც უკვე მეორე ხელისუფლებას უდგას კრიჭაში (თუ პირიქით). არსებობენ ადამიანები, რომელთაც მოსწონთ მსხვერპლის როლი, მაგრამ არ იმჩნევენ. ასეთია ჩემი მეზობელი ქეთო დეიდა, რომლის „ცათამბჯენ“ (მრავალსართულიან) წყევლას ყოველ ცისმარე დღეს მოისმენთ, ხოლო წყევლის უშუალო ადრესატი ყოველ დილით, წინა დღის არყით ჩამწვარ ყელს ლოდით იშუშებს ბარში. ახლა, ქეთო ფარული მაზოხისტი რომ არ იყოს, ხომ დაანებებდა თავს „ანდროს გვამით გატენილი“

(სტილი დაცულია) კუბოს ოთახიდან ოთახში თრევას? ვააჰ, კაცო, ყოველ დილით აწვენს და აყენებს იმ მარადიული სამყოფლიდან. არ მოჰბეზრდა მაინც? დაანებეთ, ქეთო დეიდა, თავი, აღარ წამოაყენოთ, იქნებ

საიმედო მესაიდუმლე

„ჩემი სოფლის განაპირას ერთი უზნეო ქალი ცხოვრობდა. ქმარი საგიჟეთში ჰყავდა გამოკეტილი და 3 პატარა შვილი ჰყავდა, მაგრამ არავის ერიდებოდა, „ყირაზე" გადადიოდა მაინც. დაღამდებოდა თუ არა, რიგის მიხედვით მიდიოდნენ კუროები. ამბობდნენ, მთელი უბნის ბიჭები მაგ ქალზე არიან „დავაუკაცებულიო". ამ დალიასთან ერთი „სტარიკა" მეზობელი მურთაზაც დაძვრებოდა, თურმე. ჰოდა, ერთ დღესაც, მორიგი „ვიზიტის" შემდეგ, როცა „თვალებდაწმენდილი" მურთაზა ღობიდან გადაბობღდა და ის იყო, მდინარის არხს ქურდულად უნდა ჩაჰყოლოდა, რომ უეცრად ჩვენი სოფლის ყველაზე ჭორიკანა მეწისქვილე მიშას შეეფეთა პირისპირ (მოგვიანებით სოფელში ამბობდნენ, მურთაზამ პაპისეული ვენახი აჩუქა მიშას, საიდუმლოს შენახვაშიო). ერთი სიტყვით, მიშამ პირი ამოიკერა იმ დღეს, ქრთამის სანაცვლოდ. თუმცა, ერთ ავბედით დღეს მაინც გამოსჭრა ყელი საწყალ მურთაზას. ზამთარი იყო, წისქვილში რამდენიმე კაცი შეიკრიბა, მერე არყით შეხურდნენ და სამუსაიფოც გაეხსნათ. ერთს უთქვამს — მოდი, ბიჭებო, ჩვენი ძველი „გრეხები" გავიხსენოთ ვაუკაცურადო. მეორემ მეწისქვილე დაგესლა, თურმე — არა, თუ ძმა ხარ, არაფერი თქვათ, ხომ იცი, მიშამ თუ რამე გაიგო, მთელმა რაიონმა იცის მერეო. მიშას ეწყინა და თავისი „გულუბრყვილობით" თავი იმართლა — ნუ იკბინები შენ, ნუგზარია ამოსაგდებო, მიდი ერთი და ჰკითხე მურთაზას, ერთი თვის წინ დალიას ეზოში რომ წავუსწარი, თუ დამცდენია ჯერ კრინტი ვინმესთანო. სიცილმა შეარყია წისქვილის ჭერი. კაცების ხარხარზე გამოფხიზლდა, მიხვდა თურმე, მეზობლის საიდუმლო რომ „წამოაჩერჩეტა" ამოსაგდები ენით და თავზარი დაეცა. — ვაი, რა ვენახი დავკარგეო, — ჩაილულლულა და გაშლილი ხელი იტაკა მელოტ შუბლში. ჰო, მართლა, ვენახიც უკან დარჩა „ვაიმესაიდუმლეს" და ერთი კვირა სახლიდან ვერ გამოდიოდა. მოსაკლავად დასდევდა თურმე, შერცხვენილი მურთაზა. მაესტრო".

იმანაც დაისვენოს, თქვენც და მეც ა?! ჩიხტიკოპიანი დილეტანტი".

ბიჭის მამა

„ერთი მეზობელი კაცი მყავს. რაც ასაკი მოემატა, სულ გასულელდა. ჰოდა, ერთ დღესაც მისი სახლიდან ცოლის დამანგრეველი წივილ-კივილის ხმა გამოდის. არის

მრავალსართულიანი გინება და წასულების იმ ქვეყნად მოკითხვა. ქმრის ხმა კი არ ისმის. მეზობლებმა პატრული და „სასწრაფო" გამოიძახეს და ამბის გასაგებად ინციდენტის ადგილს მიაშურეს. იქ კი აი, რა სიტუაცია იყო: იჯდა თავჩაქინდრული, ვეებერთელა, ჭაღარა კაცი, თავზე კი თმაგაწეწილი, ხალათგადაღეღილი ქალი დასდგომოდა და ავად აკვესებდა თვალებს. როგორც კი მეზობლები დაინახა, მაშინვე ხელმეორედ ჩართო „პლასტინკა" და წავიდააა... სულ წყევლა და აგინა, აგინა და წყევლა ის უბედური და სანამ პატრული არ მოვიდა, მანადმე არ დაუსვენია არც მის ენას და არც მეზობლების ყურებს. პატრულმა ბიძიებმა კი სიტუაცია უცებ ჩააწყნარეს. საქმე კი აი, რა ყოფილა: მოკლედ, ეს ჩვენი ფულიანი, მოხუცი რომეო ვიღაც 20 წლის გოგოს გამოუჭერია და ფულებიც „აუხევია", მაგრამ ბინა და მანქანა ვერ აყიდვინა და ამის გამო შვილი გაუჩინა. გადარეულა კაცი, 3 ქალიშვილის მამა სიბერეში ბიჭს მოესწრო და რას არ გააკეთებდა ამის ხათრით. დატრიალდა, ბინა და მანქანა უყიდა მეორე ცოლს, ბიზნესის წილიც გადაუფორმა და რომ ეგონა, გავახალგაზრდავდი და ცხოვრებას თავიდან ვიწყებო, სწორედ მაშინ ჩამოჰკრა განგაშის ზარმა. ერთმა „კეთილმა" ნათესავმა ქმრის საიდუმლო და საგმირო საქმეები პირველ ცოლს ჩაუკაკლა და იმანაც, სრულიად სამართლიანად, „მეორედ მოსვლა" მოუწყო ქმარს. მეორე ცოლმა დრო იხელთა და ბებერს განუცხადა — ან ცოლს გაშორდები, ან არა და, ჩემგან წახვალო. თავის მხრივ პირველმა ცოლმა განუცხადა — გავშორდეთ, მაგრამ იმ ბიზნესს, რომელიც ჩემს სახელზე გაქვს გაფორმებული, დაემშვიდობეო. ასე დარჩა ბებერი კაცი მოტყუებული და გალახული, ცოლი — ოჯახის უფროსად ქცეული, საყვარელი კი გამდიდრებული. მადლობა ნათესავ ქალს! იკუშკები".

ადამიანს, პოეტსაც ცხოვრებაში გაუმართია, ოცოლი ჰქვია.

„გუშინ მოსწავლეს ვთხოვე, ფანქარი ეთქვა ინგლისურად და „კარანდაშ“, — წამოიძახა. მეორეს ვთხოვე, დამითვალე-მეთქი და — „ადინ“, „დვა“, „ტრიო“, — დაიწყო. ნეტავ, ასე ვასწავლე? :)“.

ლუდით ნადღეგრძელები მგზავნელები

„ჰო, ჰოოო... ამ ბოლო დროს მე ამბები მესმიიის, ყურო ნუ გაიგონებ! ჰოდა, ახლა ლუდი ჩამივარდა ხელში და მოდი, მგზავნელების სადღეგრძელოებს მოგწერ, მარი...

ჰმ... დავიწყე: ამ პატარა ბოკალითა და დიდი გულით იმ მგზავნელებს გაუმარჯოს, ახალ მგზავნელს რომ ეტყვის — თუ გინდა, რომ „მობილი-ზაციაში“ მოგიკითხო, მობილურზე ფული ჩამირიცხეო!

მეორე ჭიქით კი იმ მგზავნელს გაუმარჯოს, ძლივს შექმნილი ავტორიტეტი ხელში რომ შემოადნება შარშანდელი თოვლივით და სხვების გინებით დაიწყებს ძველი „დიდების“ აღდგენას...

მოდი, ახლა იმ მგზავნელს გაუმარჯოს, „გზიდან“ თავისი ნებით რომ წავა და „გზავნილების“ ერთ ნომერსაც არ ტოვებს წაუკითხავს, მოქმედ მგზავნელებს კი ეუბნება, გზავნილებში სიტუაცია მაგრად გაბანძდა და აღარ დავბრუნდებიო, თან ჩუმ-ჩუმად სხვა ნიკით (ან უნიკოდ) რომ ამესიჯებს!

ამით, იმ მგზავნელებს გაუმარჯოს, სხვისი სახელით საკუთარ თავს სიყვარულში რომ უტყდებიან გულმოკლული...

დაბოლოს, იმ მგზავნელებს გაუმარჯოს, მესიჯებს გაურკვეველი შრიფტით რომ გზავნიან და მარის მჩხიბავის იმედად ტოვებენ, იქნებ რამე გაარკვიოს და დაბეჭდოსო. ჩიხტიკოპიანი დილეტანტი“

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„ეჰ, ჩემი ყველაზე ცუდი მოგონება ისაა, რომ სახლში წასვლა დამეზარა და ცოლად ისეთ კაცს გავყევი, რომელიც არ მიყვარდა და ვერც შევიყვარე, მაგრამ არ ვნანობ, ანგელოზივით შვილი შემრჩა. კუსკუსა“.

„როცა მიტოვებული ფეხმძიმე დავრჩი საყვარელი ადამიანისგან, მთელი ქვეყანა ჩემ წინააღმდეგ განეწყო, მაგრამ ახლა მყავს 15 წლის მარი, რომელიც იმ მოწინააღმდეგე მხარეს სიგიჟემდე უყვარს. სოფიო“.

„ჩემმა დაქალმა თავის მეზობელზე მითხრა, 600-კაციანი ქორწილი გადაიხადაო. მისმა პატარა დამ გაკვირვებულმა შეხედა და — როგორ, ქალი სულ არ იყოო? — ჰკითხა. :) ნიკოლი“.

„ჩემმა მულმა არ იცის, მე თუ ვიცი, რომ მისი რჩეული მუსლიმანია და მაგის გამხელა არ უნდა. რომ გამიგოს, მომკლავს. მულო, მიყვარხარ. ცრემლი“.

„თინეიჯერობისას ჩემს კლასელზე ვიყავი უზომოდ შეყვარებული და ასე გაბრუებული დავიარებოდი. ჰოდა, ერთხელ კლასის ქეიფზე ჩემმა უახლოესმა დაქალმა, რომელსაც რაღაც ვაწყენინე, ყველას და მათ შორის ჩემი სიყვარულის ობიექტის თანდასწრებით „დაფქვა“ სხვისი ანუ ჩემი, მისთვის საიდუმლოდ ნათქვამი ის განცდები, რასაც ვუყვებოდი ჩემს შეყვარებულზე. რა თქმა უნდა, შემრცხვა, მაგრამ მეგობრულმა სიყვარულმა გადაწონა. ვაპატიე და ჩვენ დღესაც უახლოესი მეგობრები ვართ. გაუმარჯოს მეგობრობას! გამოუსწორებელი რომანტიკოსი“.

„4 წელია, რაც მე და თემო ვმეგობრობთ. ყოველთვის მიყვებოდა ვიღაც გოგოზე, რომელიც ცალმხრივად უყვარდა. ერთი თვის წინ კი მითხრა, რომ ის გოგო, ვისზეც ამდენი წელი ვლაპარაკობდით, მე ვიყავი. შოკში ჩავვარდი, მით უმეტეს, რომ რამდენიმე დღით ადრე, მისი ძმა გამომიტყდა სიყვარულში. თავს დამნაშავედ

ადამიანი ნამდვილად მაიმუნისგან წარმოიშვა

ვგრძნობ, ალბათ ზედმეტად თბილად ვექცეოდი და არასწორად გაიგეს. საშინლად ვარ და არ ვიცი, როგორ გავაგებინო ძმებს ერთმანეთის საიდუმლო. ეშმაკუნა“.

მომდევნო ნომრის თემად გთ ვაზობთ — მოულოდნელი ბედნიერება. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com „მოკლე ჩართვის“ კითხვა კი ასეთია — არსებობს თუ არა სიცოცხლე ქორწინების შემდეგ?

დალოცვილი ოთახი და გემშვიდი ჯახშამი იმას ნიშნავს, რომ ყომჭირეული გათეთქდა.

სთრიტბოლი

ჯანსაღი ცხოვრების ფასის გაფლენა საზოგადოებრივ საზოგადოებაზე ქვეთბურთი?

სთრიტბოლის ტურნირები ხმამაღალი მუსიკითა და გულშემატკივართა სოლიდური რაოდენობით საზოგადოების დიდ ყურადღებას იქცევს. საქართველოში ერთ-ერთ პოპულარულ თამაშზე სასაუბროდ, სთრიტბოლის ფედერაციის დამფუძნებელთან ***გიორგი ზამბახიძესთან*** *(სუპერლიგის პრეზიდენტი) მივედი:*

ელენე ბასილიძე

— სთრიტბოლი ამერიკული კალათბურთის ერთ-ერთი მიმდინარეობაა, რომელიც თავად ამერიკელებმა შემოიღეს და მას ამერიკაში უკვე სოციალური დატვირთვა აქვს. ეს მარტო სპორტი არაა, ამერიკაში სთრიტბოლი ქუჩაში მყოფ ე.წ. მაწანწალა ბავშვებს ძალიან ეხმარება საკუთარი თავის რეალიზებასა და პროფესიული კალათბურთისკენ გზის გაკაფვაში. ტარდება ტურნირები, რომელსაც ესწრებიან NBA-ის სელექციონერები. კლუბებისა და გუნდების ხელმძღვანელები არჩევენ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშეებს, თავისთან მიჰყავთ და წარმატების მიღწევაში ეხმარებიან. NBA-ში უამრავი ასეთი „ქუჩიდან აყვანილი" მოთამაშეა, რომელმაც წარმატებასაც მიაღწია და ვარსკვლავიც გახდა. დროთა განმავლობაში სთრიტბოლი ევროპაშიც გავრცელდა და მას სუფთა სპორტული დატვირთვა მიენიჭა.

— როდის „შემოდგა ფეხი" სთრიტბოლმა საქართველოში?

— 10 წელია უკვე, რაც საქართველოში სთრიტბოლს თამაშობენ. არის ასეთი ორგანიზაცია WMCA, რომელმაც საქართველოში „სთრიტბოლი" პირველად შემოიტანა. ამ თამაშში მე და ჩემი მეგობრები ვმონაწილეობდით. ერთხელაც, როცა ჩემპიონატში პირველად ვმონაწილეობდით, მეორე თუ მესამე დღეს, ასეთ ფაქტს შევესწარით: მოედანზე ბავშვები კალათბურს თამაშობდნენ, თან გაიძახოდნენ: „მე ვარ ზამბახა, არა მე ვარ ზამბახა, მე უფრო მაგრად ვთამაშობ". პირველივე ტურნირმა პოპულარულები გაგვხადა (*იცინის*). მოგვივიდა იდეა, რომ შეგვექმნა ქუჩის კალათბურთის ფედერაცია. ჩვენი მიზანია, კალათბურთს პოპულარიზაცია გავუწიოთ, ქუჩას მოვაშოროთ ბავშვები და ჩავრთოთ ისინი ჯანსაღი ცხოვრების წესში. საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა ჩვენს იდეებს. ეს ერთი წელია, როგორც სთრიტბოლის ფედერაციის პრეზიდენტს, „ჩავარდნა" მაქვს, სუპერლიგაზე გადავერთე და სთრიტბოლისათვის იმდენად ველარ ვიცლი. ჩვენი ტურნირები ტარდება, მაგრამ იმ რაოდენობით აღარ, როგორითაც ადრე. სხვათა შორის, ქუჩის კალათბურთში საქართველომ აქტიურობითა და ორგანიზებულობით მსოფლიოში მეხუთე ადგილი აიღო. მოწვევაც გვქონდა, ევროპის ღია ჩემპიონატში უნდა მიგვეღო მონაწილეობა, მაგრამ ფინანსების მოუძიებლობის გამო, გამგზავრება ვერ შევძელით. საზღვარგარეთ არ ტარდება ისე ხშირად ტურნირები, როგორც ჩვენთან. ძალიან უკვირთ ჩვენი აქტიურობა უცხოელ ჟურნალისტებს.

— რამდენი წელია, რაც საქართველოში სთრიტბოლის ფედერაცია დააარსეთ?

— დაახლოებით 3 წელია, რაც საქართველოში სთრიტბოლის ფედერაცია არსებობს. უკვე 50-ზე მეტი ღონისძიება ჩავატარეთ, ჯამში კი — 200-მდე ტურნირი. ასევე — „საქართველოს ჩემპიონატი", „პრეზიდენტის თასი", პრესის წარმომადგენლებს შორის ჩემპიონატი, — „ერთა უმცირესობის თასი", რომელიც კონფლიქტურ რეგიონში, ცხინვალში ჩატარდა. ახლა „ლტოლვილთა თასის" ტურნირს ვატარებთ (აღსანიშნავია, რომ ჩვენც ტურნირებში მონაწილეობისათვის თავად მონაწილეები საწევროს არ იხდიან, თან საკმაოდ სოლიდური თანხებიც თამაშდება). აქტიურები ვართ, თუმცა მივიჩნევთ, რომ გაშუქება არ გვჭირდება, რადგან თამაში ქუჩაში იმართება, მოსახლეობის ფართო მასები ხედავენ და ინტერესდებიან.

— საქართველოში სთრიტბოლს მხოლოდ თბილისში თამაშობენ?

— არა, ჩვენ ფილიალები გვაქვს გურიაში, აჭარაში, იმერეთში,

კახეთსა და ქალაქ რუსთავში. ფინანსურად ცოტა გვიჭირს, სხვადასხვა კომპანია იშვიათად ასპონსორებს ჩვენს ტურნირებს, ძირითადად, ჩვენი სახსრებით ვატარებთ თითოეულ ტურნირს.

— რამდენადაა საზოგადოება ინფორმირებული სთრითბოლის შესახებ?

— ჩვენი წრე საკმაოდ ინფორმირებულია. რაც შეეხება რიგით მოქალაქეებს, ერთბაშად ყველა ვერ გაიგებს სთრითბოლს, ეს ეტაპობრივად ხდება. ჩვენი ტურნირები დიდ ყურადღებას იპყრობს საზოგადოების მხრიდან. როგორც იცით, თამაში ხმამაღალი მუსიკის თანხლებით მიმდინარეობს. გამვლელს, რომელიც მუსიკას მოისმენს, თავიდან უკვირს, მერე თანდათანობით ხვდება, რომ ეს თამაში „სხვანაირი კალათბურთია". ჩვენ არ გვაქვს იმის საშუალება, რომ თითოეულ მოქალაქეს სთრითბოლის დებულება დავურიგოთ და დეტალურად გავარკვიოთ თამაშის პრინციპში. ალბათ, ეს არცაა საჭირო. დაინტერესებული ადამიანი თავად მოიპოვებს ინფორმაციას ჩვენზე ისე, როგორც თქვენ (*იღიმება*).

— თამაშის დროს ხმამაღალი მუსიკა აუცილებელია?

— კი, იმიტომ, რომ მუსიკა მოთამაშეებს სტიმულს აძლევს, აუიტირებულები, თავიანთ სტიქიაში არიან და უკეთესადაც თამაშობენ.

— რა განსხვავებაა კლასიკურ კალათბურთსა და სთრითბოლს შორის?

— სთრითბოლში თამაში შეიძლება 4-4-ზე, 5-5-ზე, 1-1-ზე იყოს. უფრო უხეში თამაშია, ვიდრე კლასიკური კალათბურთი, დაშვებულია ე.წ. „ბრძოლა". ქულების ათვლაც სხვა პრინციპით ხდება, დროშიც განსხვავებაა, სთრითბოლში აქცენტი ფინტებზეა გადატანილი, დასაშვებია ბურთის ხელზე გაგორება, მაისურში დამალვა, მოთამაშეს შეუძლია ბურთი დამალოს და ისე იაროს, რომ ბურთი ვერ შენიშნოს მისმა მოწინააღმდეგემ. თუ მოთამაშე „ლამაზად" მოატყუებს მოწინააღმდეგეს და დააბნევს, მაშინ მისი მოქმედება „გარბენში" არ ჩაითვლება. ასევე სთრითბოლში კალათბურთის უამრავი წესიც მოქმედებს.

— იმ შემთხვევაში, თუ მოთამაშეს ქა თუ ის ფინტი არ გამოუვა...

— მაშინ, ჩვეულებრივად მოქმედებს საკალათბურთო „კანონი" და მოთამაშე ისჯება. სთრითბოლში ხშირად სპორტული ინტერესი უფრო მეტია, ვიდრე სურვილი იმისა, რომ ესთეტიკური დატვირთვა მიანიჭონ თამაშს და ფინტები აკეთონ. არიან გუნდები, რომლებიც მხოლოდ მოგებისათვის თამაშობენ და მათთვის უცხოა სანახაობრივი მხარის ჩვენება. ეს იგივეა, ეზოში და ოფიციალურ მატჩზე ნათამაშები ფეხბურთი რომ შევადაროთ ერთმანეთს. ეზოში „ფინტაობა" „მოსულა," მატჩზე — არა. ისეთი მოთამაშეებიც არიან, რომლებსაც ფინტების კეთებას ორქულიანი ბურთის ჩაგდება ურჩევნიათ.

— სთრითბოლში რომელი გუნდია უკეთესი — ის, ვინც მოგებისათვის თამაშობს, თუ ის, რომელიც თამაშს სანახაობრივად ალამაზებს?

— ვინაიდან თამაშში გადამწყვეტი მაინც გუნდის ქულათა რაოდენობაა, მოგებაზე მოთამაშეებს უფრო უმართლებთ. თუმცა ქომაგების მხარდაჭერა ყოველთვის მათკენაა, ვინც ლამაზად თამაშობს. თუ გუნდი კარგადაც თამაშობს და ფინტებითაც ათამაშებს თამაშს, მაგას რა სჯობს?!

— ლტოლვილთა თასის ტურნირში მხოლოდ ლტოლვილები მიიღებენ მონაწილეობას?

— კი, მხოლოდ ცხინვალის რეგიონიდან დევნილ ახალგაზრდებს შორის გაიმართება თამაში. მათ ჩვენი გვერდში დგომა და დახმარება სჭირდებათ არა მარტო მატერიალურად, მორალურად და ფსიქოლოგიურადაც! მით უმეტეს, ბავშვებს... ვფიქრობთ, მათ დახმარებას შევძლებთ.

ვერის ბაღთან გამართულ ჩემპიონატზე საგანგებოდ მივედი, ცხინვალის რაიონიდან დევნილი მოთამაშეები ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს თამაშში, მით უმეტეს, რომ პრიზები საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. ჩემპიონატის ორგანიზება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ და კომპანია „მაგთიმ" ითავეს.

კოტიკო თოლორაია

— ტურნირის წამყვანი:

— აქ იმიტომ ვარ, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაში საკუთარი წვლილი შევიტანო (*იცინის*). ახალგაზრდებს საშუალება აქვთ, თავიანთი შესაძლებლობები გამოავლინონ და პრიზებით დასაჩუქრდნენ. კარგი იქნებოდა, სხვა კომპანიებიც თუ დაინტერესდებოდნენ მსგავსი ღონისძიებებით და ასეთ კარგ საქმეს დაასპონსორებდნენ. მე მსგავსი ტურნირის წამყვანი უკვე მესამედ ვარ. წელან ვამბობდი, რა ცუდია ჩემს ბავშვობაში რომ არ იყო მსგავსი თამაშები-მეთქი?!

— ახლა შენთვის გვიანია თამაში?

— (*იცინის*) არა, გვიანი არ არის, მაგრამ მე რომ ვითამაშო, კომენტარს ვინ გააკეთებს?! ისე, სხვა დროს თუ ჩატარდება, დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი.

ირაკლი ქაპანაძე, *მონაწილე ავნევიდან:*

— ძალიან მოგვწონს თამაში. უფრო „კომფორტული" კალათბურთია, გაგვიხარდა, ტურნირზე რომ მოგვიწვიეს, გამარჯვების იმედიც გვაქვს და ცოტა გულს მაინც გადავაყოლებთ...

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილიზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო 28 წლამდე ასაკის მამაკაცი. ვარ 25 წლის, მქვია მაიკო. არასერიოზულებმა თავი შეიკავონ.

2. ვარ 33 წლის, რომანტიკოსი გოგო, კეთილი და თბილი. ვეძებ მამაკაცს, 40 წლამდე, ოჯახის შექმნის მიზნით, ვისაც შეუძლია ჩემი გაგება. უგულოებმა თავი შეიკავონ. დამიმესიჯეთ.

3. მინდა გავიცნო ახალგაზრდა პიროვნება, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 23 წლის, მქვია ნანა.

4. გთხოვთ, გამომიგზავნოთ 21-ე მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. გმადლობთ.

5. გამომეხმაუროს დამოუკიდებელი მამაკაცი, 45 წლიდან, ჯანმრთელი, ყურადღებიანი. სერიოზულად და არა — გასართობად.

6. ვარ 50 წლის, ქვრივი მანდილოსანი. ვეძებ ისეთ ადამიანს, ვისაც ქალის დაფასება შეუძლია. მესიჯებით არ გაგეცნობით. ნანი.

7. ვარ ტრადიციული, პატიოსანი, სიმპათიური და კარგი მეოჯახე, უმაღლესი განათლებით. გავიცნობ 33-44 წლამდე ასაკის, გამრჯე, პატიოსან, დასაქმებულ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით.

8. ვარ 34/165. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ნორმალური გარეგნობის, უცოლშვილო, 40 წლამდე ასაკის მამაკაცს.

9. ვარ მოხდენილი გარეგნობის, განათლებული, დასაქმებული, გაუთხოვარი. გავიცნობ შესაფერის, განათლებულ, მატერიალურად უზრუნველყოფილ მამაკაცს, 45-50 წლამდე, ვისაც ენატრება ოჯახი.

10. ვარ 24 წლის ქალიშვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ მამაკაცს, 25-35 წლამდე. ნინო.

კაცები

11. ვარ 34/182/80, თბილისში დასაქმებული მამაკაცი, აღმოსავლეთ საქართველოდან, სუფთა წარსულით. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 25-35 წლის, პატიოსან, სიმპათიურ გოგოს.

12. ვარ 33 წლის, სიმპათიური, სერიოზული, ქვრივი მამაკაცი. მყავს 2 შვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სიმპათიურ მანდილოსანს. ვარ ბათუმელი.

13. ძალიან მჭირდება მანდილოსანი, სექსუალური, გამგები და მცხოვრები ქალაქ ფოთში. ვარ 35/175/65. დათო.

14. ვარ 42 წლის, თბილისელი მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, თბილისელ, ეშხიან მანდილოსანს. გოგა.

15. თბილისში მცხოვრებ უცოლო მამაკაცს დაუმესიჯეთ მხოლოდ თბილისში მცხოვრებმა, 40 წლამდე ასაკის, ნორმალურმა მანდილოსნებმა.

16. დიდი სიამოვნებით გავიცნობდი ნახევრად უკრაინელ სტიუარდესას. ვარ 32 წლის, სამხედრო. ვმუშაობ ელიტალურ ქვედანაყოფში. გოგა.

17. ვარ 27 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ლამაზ, სულით პატიოსან გოგოს, 22-25 წლისას, ბათუმელს. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ. ვარ აფხაზეთიდან. ზაზა.

18. ვარ 34/180/70, სერიოზული, დასაქმებული მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, განათლებულ, აჭარელ გოგოს. ამირანი.

19. ვარ მაღალი, ცისფერთვალება მამაკაცი, სპორტსმენი. გავიცნობ 20-30 წლის, დასაქმებულ და სერიოზულ ქალბატონს, ვისაც სურვილი გაუჩნდება, გამომეხმაუროს. აკო.

20. მყავს გადასარევი, უცოლო მეგობარი, 170/70/32, ბინით, მანქანითა და სამსახურით უზრუნველყოფილი. დაურეკეთ მხოლოდ ლამაზმა გოგონებმა.

ოჯახები

21. ვარ 55 წლის, ენერგიული, სიმპათიური ქვრივი. მყავს ერთი ვაჟი.

22. გამარჯობა, ამბობენ, ცდა ბედის მონახევრეაო. ჩვენც ვცადოთ ლამაზი და მყარი ოჯახის შექმნა. ალბათ, უკვე დროა, რას იტყვი (ერთმანეთზე მხოლოდ ერთმანეთს ვესაუბროთ)?

სავარაუდოდ

• ლამაზი მოკითხვები, ათენელო მგზავნელებო. მინდა მოვიკითხო დიდი, დიდი

სიყვარულით ბოტოტა.

• ახლა მთელ საქართველოს მოვიკითხავ. ხალხო, უფალი გვფარავდეს მთელ საქართველოს. ჩვენ შორის მტრობა არ ყოფილიყოს. მაიკო, ათენიდან.

• ჩემს საყვარელ ოჯახს მოვიკითხავ გეგუთში და ვეტყვი, რომ ძალიან მენატრებიან. მიყვარხართ ძალიან. მინდა, ეს წლები მალე გავიდეს და გნახოთ. თქვენი მაიკუკუნები.

• მოდი უცნობო, ერთ მეგობრულ რჩევას მოგცემ — თუ „ერთი ადგილი" არ გაქვს და გამბედაობა, რომ შენი ვინაობა გაამხილო, მაშინ დააყენე! ...და კიდევ ერთი — შემეტენე ხალხი არ მევასება. ტატუსია.

• კაცობრიობის მტრებში მე მგულისხმობ, ლანდი? ეს უბრალოდ, ხუმრობა იყო, თორემ გუგამ კარგად იცის, ვინ ვარ და როგორი. ერთი კი მაინტერესებს, შენ ვინ ხარ? მადლობა მოკითხვისთვის.

• ტკბილად და თბილად არავის გავხსენებივარ და ერთი ხუმრობა წყენის ფასად დამიჯდა. რა იყო ხალხო, მეც გადმომწვდით? გუგა, ძმაო, გეწყინა რამე?

• ოლე, ბოა, 9717, მის რეალ, კახელო, კახელი სალო, ლიმონა, აპოლონი, მაესტრო, სესი, კიკო, კაკუ, ნონ სტოპ, green girl, დადუ, უკარებას უყვარხართოოო! რა თქმა უნდა, სხვებიც.

• ჰოდა, ჩემო კარგო მარი, გადავწყვიტე, გული გადაგიშალო და სხვისი არა, მაგრამ ჩემი საიდუმლო გაგიმხილო. რა იცი, რა ხდება? გზაზე ისე გადავდივარ ხოლმე, დარწმუნებული ვარ, დღეს თუ არა, ხვალ მანქანა გამიტანს და წავალ მერე მიქელასთან, საჭორაოდ. :) კი გვეწუწუნები, ჩემთან სიყვარულის ახსნაში ნუ ხარჯავთ ნურც დროს და ნურც ფინანსებსო, მაგრამ... ახლა რომ არ გითხრა, მერე ვინ გეტყვის, ნიკოლს უყვარდი და შენთვის გიჟდებოდაო? მართალი ხარ, არც არავინ... ჰოდა, სანამ ცოცხალი ვარ, გაგიმხელ საიდუმლოს და ისევ მე გეტყვი, რომ ძალიან, ძალიან, ძალიან მიყვარხარ! ამ 2 წლის განმავლობაში მართლა საშინლად შემიყვარდი. უფალი გფარავდეს, მარიამულ! რაც მართალია, მართალია, შენ ნამდვილად იმსახურებ ბედნიერებას... მიყვარხარ. ნიკოლი.

• მარი, არ მეგონა, რომ სხვისი საიდუმლოს ასე ადვილად გაშიფვრა შეგეძლო. წავიკითხე რა „ჩვენი სასაცილო ჩვევები", დავფიქრდი, თუ ვის შეეძლო ამ ინფორმაციის გაცემა, ჩემი ნებართვის გარეშე. რა ამის პასუხია და „ადნაკლასნიკებში" გეძებდი, უშედეგოდ. :(სხვათა შორის, ეს საიტი აშკარად „სხვების საიდუმლოს" მატარებელი, ერთი დიდი სკივრია. კიდევ ერთხელ აღმოვაჩინე, თუ რა პატარაა ეს საქართველო. თითქმის ყველა ყველას ნაცნობია. ასე რომ, სხვისი საიდუმლოს გაგება არცთუ რთულია. სხვა საქმეა, რამდენად საინტერესოა ის ჩვენთვის. :) ბურუსით მოცული ადამიანები რატომღაც მეტად დამაინტრიგებელი ჩანან გარშემო მყოფთათვის. თუმცა, ვფიქრობ, უმრავლესობა იმიტომ იქმნის ამოუცნობის იმიჯს, რომ მასში ამოსახსნელი არც არაფერია. სინამდვილეში ზოგი კიდევ ერთი ბანალური განმეორებაა საუკუნეების წინ შექმნილი „ორიგინალისა". 6262.

• მარი და მგზავნელებო, 3 კვირა რა გამაძლებინებს უთქვენოდ ბაქოში? ეჰ... ენიგმა.

• იცი, მარ, ერთმა შენმა კოლეგამ, ოლონდ სხვა ჟურნალიდან, ძალიან გაქო, როცა შენზე ვკითხე. ეჭვიც არ მეპარება, რომ კარგი და გულისხმიერი ადამიანი ხარ, თუნდაც იმიტომ, რომ ახალბედა ჟურნალისტებს „გზაში" გზაზე აყენებ და გზას ულო-

მის საიქიო

სინდისი ზაზუნას ჰგავს.
ან ცქინავს, ან ვიბრინის.

ცავ დიდი ჟურნალისტიკისკენ. ძალიან მომწონს ელენესა და ეთოს ინტერვიუები. მოკლედ, უმაგრესი ჟურნალისტი ხარ. მიიღე კომპლიმენტი, სიმპათია, ერთი აქტიური მგზავნელისგან, რომლის აუხდენელ ოცნებად ჟურნალისტობა დარჩა და ამიტომაც განსაკუთრებით მიყვარხართ ჟურნალისტები. გკოცნით, თქვენი გამოუსწორებელი რომანტიკოსი.

• დღეს ვისაც არ ეზარება, ქალების დაკარგულ ფასეულობებზე წერს. „ქალების კდემამოსილება და სათნოება წარსულს რომ ჩაჰბარდა და სამუზეუმო ექსპონატად იქცა“, ამაში დამნაშავე მხოლოდ მანდილოსნები არ არიან. ეს ყველაფერი იმ ფუნქციადაკარგული მამაკაცების ბრალია, რომელთაც საკუთარ მოვალეობებზე გრანდიოზული უარი თქვეს და რომელთა მოვალეობებიც, ქალებმა შეითავსეს ნებსით თუ უნებლიეთ! ჩიხტიკოპიანი დილეტანტი.

• მგზავნელებო, მე ახალი ვარ, მიმიღეთ და გული არ მატკინოთ, მე ხომ პატარა ვარ და მოფერება მინდა. ნუ ჩხუბობთ, მიმიღეთ და გული არ მატკინოთ.

• აბეზარას, ენიგმას, crazy girls, იკუშკებს — გმადლობთ იუბილეს მოლოცვისთვის. ნიკოლ, 9 ნოემბერს, იუბილეს გილოცავ და შენს გულს როგორც უნდა, ისე ყოფილიყავი. გრუზინკა.

• იკუშკებს: მე ვხედავ ნიჭიერ და კარგ ადამიანს, შენი სახით. ლუნას, ენიგმას, ედელვაისს, crazy girls, ეთოს, კამიკუნას, ლორეს და მაესტროს: სიგიჟემდე უყვარხართ გრუზინკას.



გავიღიმე, მაგრამ ჩიტი არ გამოფრინდა

• ზესტაფონელ ლამაზმანს: მადლობის მეტი რა მეთქმის? ძალად გრუზინკა ვარ და ადამიანების გულებს ვიპყრობ. ზოგმა კარგი გაგებით შიდსიც კი მიწოდა. მადლობა დაიკო, გრუზინკა.

• შინაბერას მოსვლის შანსიო?/ ფუი, ეშმაკს, ჯვარი გვწერია,/ ერთხელ რომ იყავ ქვეყანაზე,/ ისიც ბევრია./ ხმა ჩაიგდე და მაგ ძვლებს/ ლექსად ნუ მიჩხარუნებ,/ რადგან „უმოტობით“ ჯოჯოხეთი დაიმსახურე! p.s. ნერეიდა, ხვალ ბაქოში მივდივარ, 3 კვირით და აბა, მიპოვეე! ანუშკა, რა სისათუთე ხარ? ბაქოდან რომ ჩამოვალ, ვიმეგობროთ! 5200, გაკოცე დაი, ენიგმა.

• გამარჯობა და მგზავნელებო, მიხარია, რომ თქვენს სამყაროში მიმიღეთ. ნიკიც უკვე შევარჩიე და „გზის“ აფთიაქარი ვიქნები. ასე რომ, ჯანმრთელობას გისურვებთ.

• მირჩიეთ რამე, ნაცნობმა გამაუპატიურა, გამამწარა. მერე ქურდობაზე დაიჭირეს და ჩასვეს. ახლა სხვა მთხოვს ცოლობას და უარს ვეუბნები, რადგან ციხიდან მაწუხებს.

• ჰე, ჰეე, მოგესალმებით. რაო, გრუზინკაო, მანაველმა თარგმნოსო? კარგი, ვთარგმნი, მაგრამ გრუზ, თუ რამე შემეშალა, მაპატიე, მე ხომ მანაველი ვარ. ყველას გეხვევით და გკოცნით ბეევრს.

• მარი, შენ ძალიან ტკბილი ადამიანი ხარ, ჩემო სიყვარულოო, მეო ძალიან მიყვარხარო... :-) გრუზ, რა ნიშანს მიწერ? :-) აუ, სეს, ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს, ფშაველო! მანაველი.

• ტ-ირიფს ცრემლები არ ახლავს მხოლოდ და
ი-სევ ტკივილი ცრემლებად მიჯობს,
რ-აკი ხვალ ღმერთი მიმზადებს ჯილდოს,
ი-ქნებ ცხოვრებას ჯიუტად ვებრძვი,
ფ-ურცლებს და კალამს გავანდობ ფიქრებს,
ი-მედმა ფართოდ გაშალოს ფრთები და ყველას მარად გვწყალობდეს ღმერთი. მიყვარხართ და გულებში გკოცნით, დროებით შემოხიზნული ტირიფი73.

• ჩემი სიქალულები, როგორ ხართ? მოვიკითხავ პავლიკას, ჭრიჭოს, ვალიკოს, :)

ჭალი სიცოცხლ, დაიცვეოლი
ამსეშაა, შოიმოლს ყოანტეშიდან
თავის დახსნა შეუძლეშელია.

ოლეგარიოს, ლიმონას, დუჩის, მამაც თოჯინას და მის რეალს. მომენატრეთ, ჯიგრებოოო! სიკვდილა.

• გამარჯობა, როგორ ხართ, ჩემო კარგებო? :-) დაბრუნებას ვცდილობ დაააა... მეჩვენება თუ? მგონი სიტუაცია წყნარდება. ჰოდა, აღარ გინდათ ჭკუის დარიგება, ნუ ჩხუბობთ!

• ნიკოლ, დიდი სიყვარულით გილოცავ იუბილეს. მუდამ ლამაზად გეცხოვროს. ედელვაის, კამი, crazy girl, მიყვარხართ. აზიელო, მენატრები! ლუნა.

• ენიგმა, არ გინდა, შენი ჭკვიანური პერსონა ჩემს დისტანციაზე გადმოვამისამართო? ოლონდ, ამისთვის გლადიატორის სიმამაცე უნდა გქონდეს. ხომ არ შეგაშინე? ანკა.

• ამ შუაღამისას შენ რომ მოხვიდოდე და რომ მეტყოდე რამეს, ამ შუაღამისას შენი ხმის გამგონე შევშლიდი თვით ამ ღამეს... ავაწიოკებდი, ავაწიოკებდი, მხიარულებით ქალაქს, შენი შემხედვარე, შენი ხმის გამგონე, ჭკუას დავკარგავდი, ალბათ... ახლა რომ მოხვიდე? ახლა რომ დარეკო? ახლა რომ შემეხო წამით, ალბათ ჩავიდენდი ათას სისულელეს, თუ კი შენ გარგებდი ამით... ამ შუაღამისას შენ რომ მოხვიდოდე და რომ მეტყოდე რამეს, ამ შუაღამისას შენი ხმის გამგონე, ავაწიოკებდი ღამეს... შაკო მაჭარაშვილო, მალე გამოჯანმრთელებას გისურვებ, სიხ და მალე ჩამოდი თბილისში. მომენატრე. გაკოცე. ედელვაისი.

• მანაველო, ტელეფონი ჩართე. აბეზარა, ციცქნა და crazy girls, გამიხარდა თქვენი გაცნობა. ლუნა, პრინცესავ, მომენატრე. გრუზი, სიცოცხლე ხარ. ენიგმა, მალე დაგვიბრუნდი. ედელვაისი.

• ენიგმავ, გიქებ წერასო, ერგები ყველა თემასო, რომ უძლებ ბზიკს და კელასო, შეგასხამ შენს ღირს ქებასო, გისურვებ მუდამ ლხენასო, რადგან გვიყვარხარ ყველასო. ანისიტა.

• სიმართლე გითხრა, მომენატრა შენი ხუშტურები. იმედია, ჭკუაზე მოხვალ. ჩემზე არ იდარდო, მაგრად ვარ. ბევრი არ ინერვიულო, თავს გაუფრთხილდი. მგონი, მიცანი. მანაველი.

• ბიჯო, ბიჯო, ბიჯო! რა ხალხი ვართ შეკრებილი! სულ ბაჯაღლო და ბრილიანტი! გაიხარეთ, მგზავნელებო! მოვიკითხავ ლუნას და გრუზინკას, სხვებს არ გიცნობთ. :(ვიკა.

• ღმერთო, მიცოცხლე მეგობრები, ვინც დღემდე მომყვა, რა სიცოცხლეა სიცოცხლე, თუ უმეგობროა?! მიყვარხართ, ჩემო სიხარულებო, ჩემო მეგობრებო. გაიხარეთ. თქვენი ო... ნერტისი.

• ნეც. კა, ეს რა დამთხვევაა? გურული მე ვარ, სვანი კი შეყვარებული მყავს. ასე რომ, გავიცნოთ ერთმანეთი, ჩემო კარგო. იკუშკები.

• მაგვართ ხარი, მარი? მეც 50 წლის, ძალიან მხიარული, თინეიჯერი ბებია ვარ, თქვენი აქტიური მკითხველი. ენიგმა მომწონს ძალიან. ნიჭიერია. ასე გააგრძელე, ენიგმა! მწარე.

• ედელვაისი ჩემი კლასელი აღმოჩნდა. აუ, რა გამახარაა... მერე ვნახე კიდეც. გაზრდილხარ, მაგრამ მაინც ის პატარა ციკო ხარ, მე რომ მახსოვხარ. შემოგევლე, მიყვარხარ. მანაველი.

• „მობილი-ზაციის“ წაკითხვის შემდეგ პირველი, რაც წამოვიძახე, იყო: როგორც იქნა... და წინა კვირის ჟურნალს გადავავლე თვალი, სადაც მგზავნელები ერთმანეთს ჭამდნენ და გამახსენდა, რომ მარიმ თქვა უარი ასეთი მესიჯების დაბეჭდვაზე. კაია ძაან... იცით? იკუშკების ნიკს ამდენ ხანს იკუშკებად ვკითხულობდი. ნუ, დებილი ვარ, რა... აბეზარა.

• იკჩო-სიხჩოს მოვიკითხავ. ჯიგაროოო! ოლეგარიოს ვულოცავ შვილის გაბედნიერებას. სულ გახარებული გეყოლოს. ჩორი, მაგარი დავთვერი ისევ უშენოდ, როდის მოვსხდეთ? სიკვდილა.

• „გზავნილების“ ისტორიას ქმნიან ერთეულები./ ზოგს ლიდერობა მოუნდა, რწმენით აივსეს გულები./ უნდა უმტკიცოს გზავნილეთს, ვითომ ახალი გმირია./ მგზავნელნო, ნუ მოტყუვდებით...

• ერთი მოშარაფე კაცი ცუდად გახდა და „სასწრაფოთი“ გააქანეს ქირურგიულში და ოპერაცია გაუკეთეს. ერთი თვის შემდეგ ძმაკაცმა დაურეკა. ყურმილი მისმა ცოლმა აიღო. — „ალო, გისმენთ!“ — გამარჯობათ, გივის მეუღლე ბრძანდებითო — „დიახ“. — რას შვება გივი, როგორაა, გადაიტანა ოპერაცია, ცოცხალიაო? — „დიახ“. — ღვინის სმის ნება დართესო? — არა. — აბა, მაგი ჩემთვის მკვდარიაო, უთხრა და გაუთიშა ტელეფონი. ჯეჯე.

• ეზოში ჯოკერს ვთამაშობდით. გავხედეთ და ჩემი მეზობელი ნოდარი მოდის, ხელში „მსოფლიო სპორტი“ უჭირავს და რაღაცას ბუზღუნებს. თურმე, მისმა ბილეთმა წააგო და გაბრაზებული იგინება, თავისთვის. აქედან ერთმა დაუძახა — საიდან მოდიხარ ნოდარ, საიდან? იმანაც გულმოსულმა უპასუხა, საიქიოდანო. — აბა, მამაჩემს ნახავდი შენ და მითხარი, როგორ არისო? ნოდარმა უთხრა, ვერ ვნახე, იქაც მომკვდარა, საწყალიო. მერე ნოდარმა ცოლს გასძახა — რა გვაქვს სადილიო? ცოლმა უპასუხა, ისევ ისო. ამან უთხრა — ქალო, ბავშვებს რომ ვეკითხები, რა გაქვთ დღეს გაკვეთილად, ისინი აღარ მეუბნებიან, იგივეო და ახლა შენ მიეჩვიე ამას? რა გახდა ქალო, სადილის გამოცვლა, ბოლოს და ბოლოს, არღანში ცვლიან სიმღერებს და შენ ვერ გამოცვლი სადილსო? მოვიკითხავ ყველა ჯიგარ და გაგებულ ხალხს. იაკამანის და ვინც მე ამ მესიჯებს მიბეჭდავს, მათი თამადი ით. ჯეჯე.

• უჰ, ნეტავ იცოდე, უნიკო ლაჩარო, სულ არ მაინტერესებს, რას იზამთ. დაგიხოცავთ ერთმანეთი, სულ არ მაინტერესებს! ჯანდაბამდე გზა გქონიათ! არ გააწყალეს გული?! დუჩი.

• უნიკოვ, სხვათა შორის, მის რეალი გულში მიყვარს. როგორც თქვენ გიყვართ ერთმანეთი გულუკაში და სულუკაში. განსხვავება ისაა, რომ თქვენნაირი აფერისტი არ ვარ. დუჩი.

• როგორ ხართ, მგზავნელებო? კანიბალკა, ბაო, ეთო, ბოტოტა, გრუზინკა, მიყვარხართ. კოკო.

• ძალიან მინდა აპოლონის გაცნობა. მასზე იმდენს ჭორაობენ და ლაპარაკობენ, რომ მომინდა, ეს ადამიანი უფრო ახლოს გავიცნო. მართალია, რომ ბევრი იყო შენით მოხიბლული? დაფნე.

• მიხარია, რომ თურმე ძალიან ბევრი ქუთაისელი ამესიჯებს „გზაში“. უცნობს ვეტყვი, რომ შენ კი არა, შენს ხელებში მოკალათებულ „გზა“-ს გავუღიმე. სოხუკა.

• გაუმარჯოს, როგორ ხართ? ახალი რა არის? კარგი, წავედით. ნათი და ლელაჩო.

ვალენტინობა

• არ დაიჯერო, რომ სიშორე გრძნობას ანელებს და რომ ფიქრები ახლა უკვე ვინმე სხვისია, არ დაიჯერო, რომ სიშორე შენს თავს მავიწყებს და დაიჯერე, რომ უშენოდ არ შემიძლია. ეძღვნება თამუნა ფეტვიაშვილს. ზეზვა.

• თემო, ისეთი კარგი ხარ, როგორც სილაში კირიო, ძილშიაც გამახსენდები, წამოვჯდები და ვტირიო. თეთრი ვარ, მწვანე მინდორზე, თეთრსა გავიშლი კარავსა, მე შენგან მოუწონებლად, ბერძნებს არ მივცემ სალამსა. გაიგე, კორტავა? ნათათო.

• ნონკა, მიყვარხარ და მინდა, რომ მალე ლამაზი, ქართული ოჯახი შექმნა და დედოფლად გნახო, პატარა ფერიავ. ნესტანი.

ვალენტინობა

• გიორგი მაჭარაშვილს და მაიკო ხვედელიძეს ვულოცავთ გაბედნიერებას. უფალი გფარავდეთ. სიყვარული იყოს თქვენი ცხოვრების მეგზური. მზია და ოლეგარიო.

• ბესო მახარაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ თავის მეუღლესთან ერთად ბედნიერ და უზრუნველ სიცოცხლეს. მუდამ მფარველი ყოფილიყოს მამა-პაპის სალოცავები და უფალი ღმერთი. ია და ნანული.

• დაბადების დღეს ვულოცავ ათენში მარინას და ზემო ქედში — ბესო კენკაძეს. სიყვარულით, სიხარულით და ჯანმრთელობით შეაბერდით თქვენს მეუღლეებს, გიმრავლოთ მაღალმა ღმერთმა თქვენი ლამაზი ანგელოზები. გკოცნით და ძალიან მიყვარხართ. ლელა ჭიკაიზე.

• ჩემს მამიდაშვილს, ლაშა ბოდოკიას ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო ძამიკო, მრავალ კარგ დღეს დაესწარი, შენს ოჯახთან ერთად. ღმერთი გფარავდეს. შენი მამიდაშვილი, მაიკო.

• ლია ობოლაძეს დაბადების დღეს, 29 ოქტომბერს ულოცავს რძალი, ფიქრია გელაშვილი. ჯანმრთელობასადა ბედნიერებას გისურვებ, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

• ჩემს უცნობ მეგობარს, თეა კირეულიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 31 ოქტომბერს. ვუსურვებ ბედნიერებას, ოჯახთან ერთად. ფიქრია.

• პირველ ნოემბერს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს მძახალს, ლელა კუჭავას. ჯანმრთელობას, გახარებას და ულევ სიხარულს გისურვებ, შენს ქმართან, შვილებთან, რძალ ნათიასთან და პატარა შვილიშვილ, ცოტნესთან ერთად. ძალიან მენატრებით ყველა. გკოცნი უამრავს. თიაკო.

• ჩემს მეგობარს, მზევინარ ცხადაძეს დაბადების დღეს, 29 ოქტომბერს ვულოცავ. ვუსურვებ ჯანმრთელობას და მშვიდობიან საქართველოში, მონატრებულ ოჯახთან ერთად ცხოვრებას. ფიქრია გელაშვილი.

• მცხეთაში, ირმა მეხაშიშვილო, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ცხრათვალა მზეს, მზის შუქის ყველა ფერს, სიხარულს, სიყვარულს ბევრს და მანც გისურვებ ერთს, უზომოდ უყვარდე ღმერთს. დიდი სიყვარულით, მზია.

• კინკრეს და კოკორიჩ ჯიმშიტაშვილებს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთმა აყვავებულ, გაერთიანებულ საქართველოში გაცხოვროთ. დიდი სიყვარულით, ნათათო.

• მარი ნონ სტოპ, დაგვიანებით გილოცავ დაბადების დღეს, 28 ოქტომბერს. ბედნიერებასა და ღვთის მფარველობას გისურვებ. შენთვის ნაცნობი უცნობი, დაკარგული მეგობარი.

• ანანო, ჩემო პრინცესავ, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და ლამაზ ცხოვრებას. ძალიან გვიყვარხარ. ინგა და სალომე.

• ანა ბებო, გილოცავ იუბილეს. ჩემი გახარებისთვის უფალი კიდევ დიდხანს გაცოცხლებს. ასევე ოლესაც ვულოცავ და კარგად ყოფნას ვუსურვებ. ლუნა.

• ნიკოლ, ჩემო უსაყვარლესო გოგონა, დაბადების დღეს გილოცავ. ულევ ბედნიერებას გისურვებ, შტერუკ, მალე სტუდენტობა მომელოცოს, დაიკო. უზომოდ მიყვარხარ, გაგიჟებით. მეგი.

• ანანო პაპუკელაშვილს, ჩემ პატარა ანგელოზს ვულოცავ დაბადების დღეს, დიდი და ჯანმრთელი გოგო გაიზარდე. შენი ბებიკო, ხათუნა.

• მარი ჩაფიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 8 ნოემბერს. გისურვებ ყველა ლამაზი ოცნების ასრულებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. ოლეგარიო.

ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

დახედე სურათს და რამდენიმე წუთის განმავლობაში ყარგად დაკვირდი. ყური მიუგდე საკუთარ აზრს და დაიმახსოვრე, რა გაიფიქრე ამ დროს. შემდეგ ფოტოტესტის პასუხები იხილე.

1. თუ ფოტოზე დაკვირვების დროს გაიფიქრე, რომ მასზე გამოსახული მამაკაცი დაღლილია და ჩაეძინა, სავარაუდოა, რომ ბევრს შრომობ. საინტერესო ისაა, შრომის შედეგით კმაყოფილი თუ ხარ. თუმცა, ამის გამოცნობასაც არ სჭირდება დიდი ფილოსოფოსობა და მიხვედრა — ალბათ, არა! ცნობილია, რომ ვინც ბევრს მუშაობს, მას მწირი ანაზღაურება აქვს.

2. თუ გაიფიქრე, რომ ეს მამაკაცი უსახლკაროა და ღამეს ოფისში ათევს, სავარაუდოდ, საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული პრობლემები გაქვს. არა უშავს, ყველაფერი კარგად იქნება. წელს თუ ოფისში გამოიზამთრებ, გაისად დაგაწინაურებენ და მშენებარე ბინას იყიდი.

3. თუ ფიქრობ, რომ ეს კაცი ცოლმა შინიდან გამოაგდო და ღამეს გარეთ ამიტომ ათევს, ალბათ, ასე, 40 წლის მამაკაცი ბრძანდები და ოჯახის უფროსი შენ ხარ — როცა გინდა, შინ მიხვალ, როცა გინდა, . — არა!

4. თუ გაიფიქრე, რომ ეს კაცი სადღაც ძმაკაცებთან ერთად „გამოძღა“ და სახლამდე ვარ მიაღწია, სავარაუდოა.... სავარაუდო კი არა, დანამდვილებით ვიცი, რომ ძმაკაცებში ყოველდღიურ ქეიფზე არც შენი ქმარი ამბობს უარს. ჰოდა, ახლა ვისარგებლებ შემთხვევით და ერთგვარ ტესტს შემოგთავაზებ, როგორ უნდა დაადგინო სიმთვრალის „ზომა“ (როგორც წესი, ყველა მამაკაცი ამტკიცებს, რომ 2 ჭიქა აქვს დალეული და მთვრალი არაა).

ა) სიტყვები, რომლის გამოთქმაც ნასვამ მდგომარეობაში ძნელია:

სოციოლოგია;

ლაპლანდია;

პროფესიონალი.

ბ) სიტყვები, რომლის გამოთქმაც ნასვამ მდგომარეობაში ძალზე ძნელია:

ჰიბრალტარი;

ტრაბეკულოტომია;

ჯასპერიზაცია;

კინემატოგრაფია.

გ) სიტყვები, რომლის წარმოთქმაც ნასვამ მდგომარეობაში საერთოდ შეუძლებელია:

არ გაიხადო, არ მომწონხარ!

ვა, პატრულს ვახლავარ! როგორ მიხარია, რომ გამაჩერეთ და მართვის მოწმობა მომთხოვეთ!

არა, სადღეგრძელოს აღარ ვიტყვი, რადგან არავინ მისმენს!

მეტს აღარ დავლევ, ახლა ავდგები და შინ წავალ!

თუ პირველი და მეორე პუნქტი წარმატებით გაიარა და მესამე პუნქტზე „დატორმუზდა“, მაშინ შენი ქმარი მთვრალი კი არა, მაგარი „დალეულია“ და თუ ამ დროს ახალი წელი არ არის, შეგიძლია, „ფოტოტესტის“ მე-2 პუნქტის „გმირად“ აქციო.

ქაღალდის ქალი



მედიკოსები შეისწავლიან კანის იშვიათ დაავადებას, რომელიც ავადმყოფს საშუალებას აძლევს, თავისი კანი უბის წიგნაკად გამოიყენოს. ხელოვნური დასუსტვის სინდრომის მქონე ადამიანებს შეუძლიათ, კანზე ფრჩხილით ნებისმიერი სიტყვა ან წინადადება დაწერონ. ნაწერი კანზე ამოიბურცება და არასოდეს ქრება.

ერთ-ერთი ავადმყოფის, მოხუცი ჩინელი ქალბატონის, ხუანგ ქსიანგუის კანი თითქმის მთლიანად ლექსებითაა დაფარული. „ქაღალდის ქალი" ირწმუნება, რომ მისი დაავადება ძალზე „სასარგებლოა". მას შეუძლია, თავისი ხელის ზედაპირზე მაღაზიაში საყიდელი პროდუქტის სია ჩამოწეროს. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული სინდრომი ორგანიზმს ზიანს არ აყენებს. როდესაც ხუანგი კანზე ჩანაწერს აკეთებს, კანი რამდენიმე წამის შემდეგ ამოიბურცება ხოლმე.

— „უკვე წლებია, რაც ჩემს კანს ბლოკნოტად ვიყენებ", — აცხადებს პაციენტი, — არასოდეს მიწევს ქაღალდისა და კალმის ძებნა.

ექიმების აზრით, ეს ძალზე იშვიათი დაავადებაა, რის გამოც არც ერთი ავადმყოფი უკმაყოფილებას არ გამოთქვამს. ●

ყველა ქალწ

დი მეჭესიკაუი

43 წლის მანუელ ურიბე, რომელიც გინესის რეკორდების წიგნში მოხსენიებულია როგორც ყველაზე „მძიმე" ადამიანი, თავის მეგობარ გოგონაზე დაქორწინდა. ისინი ერთმანეთს 2 წლის განმავლობაში ხვდებოდნენ. ქორწინების ცერემონიაზე მანუელი საწოლით მიიყვანეს, საიდანაც ის 6 წლის განმავლობაში არ ამდგარა. 2006 წელს ურიბე 560 კილოგრამს იწონიდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც კლაუდიას შეხვდა, წონაში 250 კილოგრამი დაიკლო ●

ხულიგნად ქცეული დაჩაგრული ბიჭის, რუსული კლასიკის ნუალოგით „მოქცევისა“ და ტრიუმფად ქცეული დებიუტის ამბავი

მიუხედავად ასაკისა, ის და მისი შემოქმედება დღესაც თანამედროვეა. „დათა თუთაშხია“ სწორედ ზაფხულის იმ ცხელ დღეებში გადიოდა ერთ-ერთი ქართული ტელეარხით, როდესაც რუსეთის ჯარი უკვე ლამის იყო საქართველოს დედაქალაქს უმიზნებდა ქვემეხებს და თბილისში პანიკა სუფევდა. ალბათ, დამეთანხმებით, წინა საუკუნეში დაწერილი და გადაღებული „დათა თუთაშხია“ დღესაც ისეთივე საინტერესო და აქტუალურია, როგორიც პირველად ნახვისას. სიმბოლურია, რომ სწორედ ამ ფილმის რეჟისორმა დადგა ასევე „წიგნი ფიცისა“, რომელიც რუსეთთან დადებული, კაბალური „გეორგიევსკის ტრაქტატის“ მე-200 წლისთავს მიეძღვნა...

ისევე, როგორც ბევრი ქართველი შემოქმედის, გიგა ლორთქიფანიძის ცხოვრების გზამაც რუსეთზე გაიარა — კულტურული კავშირები, ადამიანური ურთიერთობები — ეს ჩვენი ისტორიაა...

მანანა ჭირაქაძე

— ბატონო გიგა, თუ არ ვცდები, თქვენი ცხოვრების გზა 1927 წელს დაიწყო...

— არ ცდებით, დავიბადე 1927 წლის 19 ოქტომბერს თბილისში, რეპრესირებულის ოჯახში. დედა მიქელაძის ქალი მყავდა, მამა — დავით ლორთქიფანიძე. როდესაც მამის გარშემო თითქმის ყველა დაიჭირეს, ის სახლიდან წავიდა და იმალებოდა. კარგა ხანს ვერ აპატიმრებდნენ, ორჯერ ჩამოვიდა თბილისში ჩვენს სანახავად. ერთხელ, მაშინ, როდესაც ფეხი მომკვეთეს, მამა ჩემს სანახავად შუა აზიიდან ჩამოვიდა მალულად და საავადმყოფოში მოულოდნელად დაგვადგა თავზე. პალატაში ამ დროს დედაჩემი და ქირურგი, პროფესორი შოთა ჭეიშვილი იყვნენ... მამა მალე წავიდა, რადგან ვიცოდით, რომ უთვალთვალებდნენ. ჩემი საწოლი ფანჯარასთან იდგა და დავინახე მამაჩემი, რომელიც ასეთი ვაჟკაცური და ღიმილიანი იყო პალატაში, როგორ ისტერიკაში ჩავარდა და მეგობრებმა ძალით ჩატენეს მანქანაში... ეს იყო და ეს, ამის შემდეგ, მამა აღარასოდეს მინახავს...

— ამის შესახებ უშიშროებას არავინ შეატყობინა?

— რას ამბობთ?! მამა ახალი წასული იყო, როცა პალატაში სამი კაცი შემოვიდა. დედაჩემს ჰკითხეს, თუ ვინ იყო პალატაში ცოტა ხნის წინ? პროფესორმა ჭეიშვილმა უპასუხა — აქ ჩვენს მეტი არავინ ყოფილაო, ხოლო ჩემი დაკითხვის უფლება კატეგორიულად აუკრძალა. ეს საქციელი მაშინ გმირობის ტოლფასი იყო.

საკმაოდ ლამაზი ბავშვი ვიყავი

— ალბათ, ეს პერიოდი ორმაგად რთული იყო თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის: მოზარდმა ფეხი დაკარგეთ, ოჯახი მარჩენლის გარეშე დარჩა...

— მაშინ მეექვსე კლასში გადავდიოდი. საკმაოდ ლამაზი ბავშვი ვიყავი და ამიტომ, რომ დამინახავდნენ, ხმამაღლა შეიცხადებდნენ: დედა, ამისთანა ბიჭს ეს რა დაემართაო?!. ყავარჯნებით დავდიოდი. პროთეზის გაკეთება ჯერ არ შეიძლებოდა. გამიჩნდა პროტესტის გრძნობა, — არ მინდოდა, ვინმეს შევცოდებოდი — და ყველაფერს ვაკეთებდი იმისათვის, რომ გარშემო მყოფებში საპირისპირო გრძნობა გამომეწვია.

— მერე, რას სჩადიოდით?

— დავიწყე ხულიგნობა. იმდენად ავურიე, რომ მეშვიდე კლასში სწავლისას, სკოლიდან გამომაგდეს... ამასთან დაკავშირებით, ერთი საინტერესო ამბავი მახსენდება. მე და ნიაზ დიასამიძე ბავშვობის მეგობრები ვიყავით, ერთად დავდიოდით საბავშვო ბაღში, შემდეგ — სკოლაში, რომელიც ბარნოვის ქუჩაზე მდებარეობდა. იქიდან რომ გამომაგდეს, პეტრიაშვილის ქუჩაზე, მე-15 საშუალო სკოლაში გადავედი. როგორც მოსალოდნელი იყო, მეორე დღესვე ნიაზი ამ სკოლის დირექტორთან, ანიკო მახარაძესთან მივიდა და სთხოვა, — მეც მიმიღეთ გიგასთან ერთადო, რაზეც უარი მიიღო, — კლასში ადგილი არ მაქვსო. სინამდვილეში, ქალბატონი ანიკო გაფრთხილებული იყო, რომ ჩემი და ნიაზის ერთად ყოფნა არ შეიძლებოდა... ნიაზი რა ნიაზი იქნებოდა, გამოსავალი არ ეპოვა?! ჰოდა, მეორე დღეს ისევ მიადგა სკოლის დირექტორს, ამჯერად — ოთხ ბიჭთან ერთად. ბიჭებს მერხი და სკამი მოჰქონდათ და დირექტორს უთხრა: აი, პატივცემულო, ადგილი მოვიტანეო... მერე ამ სკოლიდანაც გამომაგდეს. იმდენი სკოლა მაქვს გამოცვლილი, რომ სირცხვილიც კია ვთქვა: ალბათ, შვიდი-რვა. ბოლოს, როცა აღარსად მიღებდნენ, საბუღალტრო კურსებზე მოვეწყვე და იქიდან საკუთარი ნებით რომ ვაპირებდი წამოსვლას, ამ კურსების ხელმძღვანელი მივიდა დედაჩემთან და უთხრა: ხელი შეუწყვეთ ამ ბიჭს, არ შეეშვას კურსებს, მისგან კარგი ბუღალტერი დადგებაო.

— ეი. ბატონო გიგა, საბუღალტრო კურსებით დამთავრდა თქვენი საშუალო განათლება?

— (*იცინის*) დაიცა, ჯერ სადა ხართ?!. მეათე კლასში, სოფელში გადავედი. არის ასეთი სოფელი, ხონსა და სამტრედიას შორის, ღანირ-ქვიტირი, იქ ცხოვრობდა მარტოხელა ბიძაჩემი — აპოლონ ლორთქიფანიძე, ბრწყინვალე პიროვნება, მამაჩემის ძმა, რომელიც მასზე 16 წლით უფროსი იყო. კაცი, რომელმაც მთელი ცხოვრება ჩოხასა და ნაბადში გაატარა. პრინციპულად არ იცვამდა სხვა ტანსაცმელს. საოცრად განათლებული პიროვნება იყო, თუ რაიმე მნიშვნელოვანი წამიკითხავს — იქ, სოფელში; ისეთი მდიდარი ბიბლიოთეკა, როგორიც მას ჰქონდა, იშვიათობაა. იქ დავიწყე ტოლსტოის,

ავიკიკაგე — მოსკოვში უნდა წაეყვანე სწავლის გასაგრძელებლად-მეთქი

დოსტოევსკის, პუშკინის კითხვა, თან — რუსულ ენაზე, დედანში ჰქონდა... სკოლა სოფელში ბრწყინვალედ დავამთავრე. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას კი მასწავლებლებზე ჩემი რუსულის ცოდნით ვახდენდი.

— თქვენმა დამ, ქალბატონმა მარიკამ განსაკუთრებული სითბოთი გაიხსენა ბებიები: დედის დედა — ანა მიქელაძე და მამის დედა — მარიამ თავდგირიძე, რომელიც თურმე გურიის მთავართა ოჯახის შთამომავალი იყო, დედა კი ბაგრატიონი ჰყავდა.

— დიახ, ორივენი არაჩვეულებრივი მანდილოსნები იყვნენ. მე კი ამჯერად ანა მიქელაძეზე მინდა მოგითხროთ. ულამაზესი ქალი იყო, განათლებული, ტოლსტოის საზოგადოების წევრი.

— ასეთი საზოგადოებაც არსებობდა მაშინდელ საქართველოში? საინტერესოა, ვინ ხელმძღვანელობდა მას, თუ გახსოვთ?

— ბატონი ივანე მაჩაბელი. ამაზე საინტერესო ამბავსაც გეტყვით. ხომ ცნობილია, რომ ივანე მაჩაბელი გაურკვეველ ვითარებაში გაქრა. ბებიაჩემი კი მიყვებოდა, რომ ივანემ, ტოლსტოის საზოგადოების საშუალებით, საქართველოდან ციმბირში გადასახლებული დუხობორებისთვის (ისინი კატასტროფულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ — შიმშილით იხოცებოდნენ) შეაგროვა დახმარება — ფული, ნივთები და გადაწყვიტა ჩაეტანა მათთვის ეს ყოველივე. ბებია მიყვებოდა, — სადგურზე მე თვითონ და ჩვენი საზოგადოების სხვა წევრებმა გავაცილეთო. ჰოდა, იქ წავიდა და დაიკარგა... მერე კი შეიტყვეს, რომ ამ დროს ციმბირში შავი ჭირი მძვინვარებდა.

— თეატრმა როდის გაგიტაცათ?

— ეს ამბავიც ბებია ანასთან არის დაკავშირებული. ის ქუთაისში ცხოვრობდა, მე კი ყოველ ზაფხულს ჩავდიოდი მასთან. ქუთაისში მაშინ თეატრალური ცხოვრება დუღდა. ბებიაჩემი დიდი თეატრალი იყო. კვირაში ორჯერ ან სამჯერ უსათუოდ მივდიოდით თეატრში. მაშინდელი საზოგადოებისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, პრემიერა იყო თუ უკვე ნანახი სპექტაკლი, თეატრში, როგორც დღესასწაულზე, ისე დადიოდნენ... ახლა ომამდელ ამბებს გიყვებით. ბებია ჩემთვის იარუსის ბილეთს (იქ ახალგაზრდები ვისხედით) იყიდდა, თვითონ კი პარტერში ჯდებოდა, სადაც ნამდვილი არისტოკრატები იყრიდნენ თავს.

— იმდროინდელი სპექტაკლები თუ გახსოვთ ან მსახიობი, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე?

— ყველაფერი საუცხოოდ მახსოვს. ქუთაისი ნამდვილი თეატრალური ქალაქი იყო, არაჩვეულებრივი სპექტაკლები იდგმებოდა, განსაკუთრებით კი — ჩემი აზრით, გენიალური ქართველი არტისტი — ალექსანდრე იმედაშვილი მახსოვს. ის თამაშობდა „ოტელოში", „მეფე ლირში"... რაც შეეხება თეატრით ჩემს გატაცებას, — ჯერ თბილისში მოზარდებმა ჩამოვაყალიბეთ ე.წ. „ეზოს თეატრი" და ვდგამდით პიესებს: „კაკო ყაჩაღი", „არსენა მარაბდელი"... რატომღაც, ყაჩაღები გამორჩეულად გვაინტერესებდა (*იცინის*)... დავდიოდით მოზარდ მაყურებელთა თეატრში, სადაც მთელი თაობები აღიზარდა, მათ შორის, მეც. ჰოდა, სკოლის დამთავრების შემდეგ, გადავწყვიტე — რადგან, მსახიობობას (ფეხის გამო) ვერ შევძლებდი, რეჟისორი გამოვსულიყავი...

და-ძმა მარიამ და გიგა ლორთქიფანიძეები

— რომელი წელი იყო, თქვენ რომ თეატრალურში აბარებდით?

— 1944 წელი. სულ 4 ადგილი იყო ამ ფაკულტეტზე და 85-ნი ვაბარებდით. მიგვიღეს: მე, მიშა თუმანიშვილი, აკაკი დვალიშვილი და აჩიკო გამსახურდია. მიშა თუმანიშვილი — ეს ფანტასტიკური პიროვნება და რეჟისორი — ჩვენ შორის ყველაზე უფროსი გახლდათ, ის-ის იყო, ფრონტიდან დაბრუნდა.

— თქვენი მეგობარი ნიაზ დიასამიძე როგორ შეხვდა თქვენს არჩევანს?

— (*იცინის*) კარგი გამახსენეთ!.. ერთ დღეს ვდგავართ გამოცდების დროს, თეატრალური ინსტიტუტის წინ, მე და მიშა თუმანიშვილი და მოდის ნიაზი, რომელიც მანამდე ორი კვირა არ მენახა. ო, გამარჯობა, აქ აბარებო? — ჩამეკითხა. კი, ბატონო-მეთქი, — დავუდასტურე. — რამდენ კაცს იღებენო?

„დათა თუთაშხიას" გადასაღებ მოედანზე

— ოთხს-მეთქი. — ვუპასუხე. — და რა იყო, კაცო, „ლოტკაამ“?.. — ხელი გაშალა ნიაზმა და თავის ქნევით გააგრძელა გზა. ამ ამბავს მიშა თუმანიშვილი ჰყვებოდა ხოლმე ყველგან და თვითონაც გულიანად იცინოდა.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, თქვენ არა თბილისის, არამედ მოსკოვის თეატრისა და კინოს ინსტიტუტი დაამთავრეთ. რამ განაპირობა ეს?

— 1945 წელს ომი დამთავრდა და, ამ მშიერ ქვეყანაში, ავიკვიატე, — მოსკოვში უნდა წავიდე, სწავლის გასაგრძელებლად-მეთქი. პირველი კურსი თბილისში დავხურე, მაგრამ ჩემი სურვილით, იქ ისევ თავიდან დავიწყე ყველაფერი — ისევ მისაღები გამოცდები ჩავაბარე და კვლავ პირველკურსელი გავხდი.

— ახალომგადახდილი ქვეყნის დედაქალაქში მარტოდმარტოს როგორ გაგიძნდათ თავი?

— ძალიან გამიჭირდა. მამაჩემის დაღუპვის შემდეგ ჩვენს ოჯახს ძალიან გაუჭირდა. დედაჩემმა — გენერლის ოჯახში სათუთად აღზრდილმა გოგონამ, — იმისათვის, რომ შვილები ფეხზე დავეყენებინეთ, სამკერვალო ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა (ამ მძიმე სამუშაოს გამო შემდგომ დაყრუვდა). მოსკოვში მიგზავნიდა თვეში ერთ ამანათს, სადაც იყო: სიმინდის ფქვილი, ცოტა პროდუქტი და 600 მანეთი. მაშინ ეს თანხა ორ ულუფა ხარჩოს არ ჰყოფნიდა, მაგრამ რაღაცნაირად, გამოვდიოდი მდგომარეობიდან. მერე მუშაობა დავიწყე მოსკოვის უნივერსიტეტის თვითმოქმედებაში, ვიღებდი ხელფასს და 1947 წელს გავხდი უბედნიერესი კაცი, როდესაც დედაჩემს მივწერე: „დედა, ფული აღარ გამომიგზავნო, ჩემს თავს თვითონ ვინახავ, ჯამაგირს ვიღებ“.

— ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ საქართველოში დაბრუნდით?

— არა. ლიტვაში, ვილნიუსში წავედი და იქ ორი სეზონი ვიმუშავე რუსულ თეატრში, შემდეგ, კაუნასში მიმიწვიეს. მაშინ 21 წლის ვიყავი.

— საქართველოში როდის დაბრუნდით?

— მიხეილ კვესელავამ — საზოგადო მოღვაწემ, თეატრალური ინსტიტუტის მაშინდელმა რექტორმა მომძებნა და პედაგოგობა შემომთავაზა. სიხარულით დავბრუნდი სამშობლოში, ვმუშაობდი თეატრალურში და პარალელურად, გორის თეატრში. მაშინ ამ თეატრს დიდი რეჟისორი, არაჩვეულებრივი პიროვნება — ვასო ყუშიტაშვილი ხელმძღვანელობდა, რომელიც მანამდე, ჯერ საფრანგეთში, ხოლო შემდეგ ამერიკაში მუშაობდა. ეს იყო კაცი, რომლისთვისაც გეოგრაფიას მნიშვნელობა არ ჰქონდა... იქ ორი სპექტაკლი დავდგი და მერე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მიმიწვიეს. მუშაობა დავიწყე „სასტუმროს დიასახლისზე“ — შესანიშნავი კომედიაა. მაშინ თეატრის მთავარი რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი გახლდათ. როდესაც მან მომთხოვა, როლების განაწილება მომიტანეო, ვიფიქრე, — ოცნებას კაცი არ მოუკლავს-მეთქი, — და ჩავწერე ყველა ბუმბერაზი მსახიობი, რომელიც იმ დროს დასში ირიცხებოდა. ვერიკო ანჯაფარიძე, ალექსანდრე ჟორჟოლიანი, აკაკი კვანტალიანი... თქვენ წარმოიდგინეთ, ტაბლიაშვილმა წაიკითხა, შესანიშნავი განაწილებაა, — თქვა და დავიწყე მუშაობა ტიტანებთან...

— თქვენს შემოქმედებაში იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა, განსაკუთრებული სპექტაკლი — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონ“.

— მართალს ბრძანებთ. როგორც ჩემთვის, ისე იმ მსახიობებისთვის, ვინც მასში მონაწილეობდა, ცხოვრება თითქოს ორ ნაწილად გაიყო: ამ

ლორთქიფანიძეების ოჯახი

სპექტაკლამდე და მას შემდეგ. ნოდარ დუმბაძისთვისაც ის დიდი პოპულარობისა და სიხარულის მომტანი აღმოჩნდა. არადა, ჩემს იდეას, მისი ნაწარმოების სცენაზე გადატანის თაობაზე, თავიდან ის სკეპტიკურად მოეკიდა.

— თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით გვიამბეთ ამ ლეგენდარული სპექტაკლის შესახებ.

— ნოდარ დუმბაძე ჩემი მეზობელი იყო და ვმეგობრობდით კიდეც. ერთხელ, საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი რომანი — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ მომცა და მთხოვა, წამეკითხა. მთელი ღამე ვკითხულობდი, ვიცინოდი და ვტიროდი, დილით კი ნოდარს გამოვუცხადე, — ეს ადამიანები სცენაზე უნდა ავალაპარაკო-მეთქი. მან მიპასუხა: ხომ არ გადაირიე, ბიჭო, შენ? რა უნდა ილიკოს და ილარიონს სცენაზეო?! ბოლოს, ძალიან რომ დავიჟინე, — კაი, ძმია სცადეო.

— ახლა შევახსენოთ მკითხველს ის მსახიობები, რომლებიც ამ სპექტაკლში მონაწილეობდნენ.

— დიდი სესილია თაყაიშვილი — ბებია, ლეო ანთაძე (ის მაშინ 18 წლის იყო) — ზურიკელა, ალექსანდრე (სანდრო) ჟორჟოლიანი — ილიკო და გრიშა კოსტავა — ილარიონი... თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სპექტაკლმა ფურორი მოახდინა. იცით, ის თვეში ოცჯერ გადიოდა სცენაზე და ეს იყო რეკორდი; ფაქტობრივად, მხოლოდ ამ სპექტაკლს ვთამაშობდით.

— თქვენს თეატრალურ ცხოვრებაზე ბევრი შეიძლება ვილაპარაკოთ, მაგრამ შეუძლებელია არ შევეხოთ ფილმს — „დათა თუთაშხია“. თუ არ ვცდები, კინოში ეს თქვენი დებიუტი იყო, არა?..

— მართალია, ეს დებიუტი იყო, ბედნიერი დებიუტი და მე ამით ვამაყობ. ხალხმა შეიყვარა ეს ფილმი, მასში ამა თუ იმ როლის შემსრულებელ მსახიობებს ახლაც კინოგმირის სახელებით მიმართავენ. არ დაგიმალავთ და ეს, შემოქმედისათვის დიდი ბედნიერებაა...

— თქვენი მეუღლე, ქალბატონი ქეთევან კიკნაძე, როდის და როგორ გაიცანით?

— ეს მოხდა 1958 წელს. ქეთინო სცენაზე მიშა თუმანიშვილის სპექტაკლში ვნახე. ფრანგული პიესა იყო — „მეექვსე სართული“. არაჩვეულებრივი იყო სცენაზე და მაშინვე გადავწყვიტე, ცოლად უნდა შევირთო-მეთქი. ქეთინო 12 წლით არის ჩემზე უმცროსი, მაგრამ მაინც შევძელი მისი გულის მონადირება და ის ჩემი ცოლი და მეგობარი გახდა...

კიდევ ბევრი ვისაუბრე ბატონ გიგასთან მის შემოქმედებაზე, სპექტაკლებზე, ფილმებსა თუ სამომავლო გეგმებზე. როცა ვესტუმრე, ბატონი გიგა ახალი ფილმის სცენარზე მუშაობდა, რაც იმას ნიშნავს, რომ რეჟისორი ჩვეული შემოქმედებითი ენერგიითაა დამუხტული... ■



სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგზავნოთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

რაც დრო გადიოდა, მით უფრო ვფრთხილობდი ნატასთან შეხვედრისას. არ მინდოდა, ვინმეს თვალში მოხვედროდა ჩვენი ერთად ყოფნა. ვიცოდი, ერთი მითქმა-მოთქმა ატყდებოდა. ერთადერთი, ვისაც არაფერს ვუმალავდი, გოგა იყო, ჩემი ბავშვობის მეგობარი. მას კარგად ესმოდა ჩემი, ხედავდა, რომ შეყვარებული ვიყავი. თვითონაც გამოცდილი ჰქონდა ჩემი სიტუაცია, მთელი ექვსი თვე დასდევდა ერთ გოგოს, ნათიას, მაგრამ თავი ვერ შეაყვარა. ნერვიულობისგან გახდა, რა გზას დასდგომოდა, არ იცოდა. ვაიმედებდი, ცოტაც მოითმინე, ხომ იცი, ქალებს თავის დაფასება უყვართ, არ მოეშვა და აუცილებლად მიაღწევ მიზანს-მეთქი, მაგრამ ვერ შევასმინე. აიჩემა, გინდა თუ არა, უნდა მოვიტაცოო. შენ გვერდით ვარ, როცა იტყვი, მაშინ გავაკეთოთ ეგ საქმე-მეთქი. ქალის მოტაცებაში „სტაჟიანი“ ვიყავი. ვერ ვიტყვი, რომ ეს ძნელი საქმეა, სხვებიც ახერხებდნენ ამას, მაგრამ ყველაზე რთული პროცესი მერე იწყებოდა — ანუ საპატარძლოს დარწმუნება იმაში, რომ უკან არ გაქცეულიყო და ბედს შერიგებოდა. ამაში მართლა არ მყავდა ბადალი. ნახევარი საათი საკმარისი იყო, მოტაცებული რომ დამეთანხმებინა და სასიძოსთვის ჩამებარებინა. ვინ იცის, რამდენი ქალი მომითვინიერებია ასე და რამდენი ქორწილი გვიჭამია. გოგას ბოლო იმედიც მე ვიყავი. თვის ბოლომდე დავიცადოთ-მეთქი, ვთხოვე და დავითანხმე კიდეც. ჩემი გულისნადებიც გავანდე. ვუთხარი, რომ ნატას მიმართ გულგრილი არ ვიყავი. მიხვდა, რომ ამ გულგრილობის უკან უფრო სერიოზული რამ იმალებოდა. თუ რამეში დაგჭირდე, აქ კარო, მხარზე დამკრა ხელი...

ნატას ყოველლამე ვურეკავდი. გვიან, როცა დასაძინებლად დაწვებოდა, თავის ოთახში შეიტანდა ტელეფონს, ლოგინში დამალავდა და ასე, ბაას-ბაასში დაგვათენდებოდა ხოლმე. ასაკით პატარა იყო, მაგრამ ძალიან ჭკვიანი. ზრდასრული ქალივით მსჯელობდა. მსიამოვნებდა მასთან საუბარი. სიყვარული არ ამიხსნია, მაგრამ ხვდებოდა, რომ ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა, თუმცა ეს არ იყო საკმარისი. ისიც, როგორც ყველა ქალი, სიტყვიერ სითბოს მოითხოვდა საპირისპირო სქესისგან. მე კი ეს არ შემეძლო. მწარე გამოცდილება მქონდა მიღებული ღრმა წარსულში. ერთი გოგო მიყვარდა, რუსიკო. ის ჩემი პირველი სიყვარული იყო. რაც მე მისთვის მითქვამს, რამდენი სასიყვარულო სიტყვაც დამიხარჯავს მისი გულის მოსანადირებლად, ალბათ ას ქალს მაინც ეყოფოდა, რომ გამენაწილებინა. ორი წელი ვხვდებოდით ერთმანეთს. მერე ჩავირიცხე, თბილისში წავედი. ისე ხშირად ვეღარ ვხედავდით ერთმანეთს. წერილებს მწერდა, მეც ვწერდი. ყველა ბარათში სიყვარულად ვიღვრებოდი. რამდენიმე თვეში მისმა წერილებმა იკლო. ცუდად მენიშნა. უფრო მოვუხშირე წერას, ყოველ კვირა თითო ბარათს ვუგზავნიდი, თანაც დაზღვეულს, რომ არ დაკარგულიყო. ბოლოს საერთოდ აღარაფერს მწერდა. ვერ მოვითმინე და ჩამოვედი...

ჩამოვედი და დაუჯერებელი ამბავი დამხვდა — გათხოვილა ჩემი რუსიკო, რაიკომის მდივნის ძმისშვილს გაჰყოლია ცოლად, ერთი თვის გაცნობილ ბიჭს...

მოიწყო ცხოვრება, მე რაღაში ვჭირდებოდი, როცა ყელამდე ფულში ჩაფლული სასიძო მოადგა კარს. მაშინ დავიფიცე, არასდროს არავინ შემეყვარებინა და თუკი ოდესმე ასეთ სისულელეს ჩავიდენდი, სიყვარული არასდროს ამეხსნა ქალისთვის...

ცხოვრების ბოლომდე შევასრულე ეს პირობა. ამიტომაც...

ნატა ყველანაირად ცდილობდა, როგორმე გამოეტყუებინა ჩემთვის სამად სამი სიტყვა — „მე შენ მიყვარხარ“, მაგრამ უშედეგოდ. სიყვარულზე კრინტს არ ვძრავდი.

კვირაში ერთხელ ვხვდებოდით ერთმანეთს, შაბათობით. რეპეტიცია რომ დაუმთავრდებოდა, მანქანით დავხვდებოდი თეატრისგან ოდნავ მოშორებით, ქუჩის ბნელ კუთხეში და იქ ვუცდიდი. მსუბუქი ნაბიჯებით მოირბენდა და უსიტყვოდ ჩამისტებოდა მანქანაში სახეგაბადრული. თუ ეჩქარებოდა, მაშინვე მიმყავდა სახლში, თუ არ აგვიანდებოდა, ერთხანს გაჩერებულ მანქანაში ვისხედით, მისი თითები ხელებში მქონდა მომწყვდეული და ვლაპარაკობდით. ერთხელაც არ მიცდია, მეკოცნა, ან მოვფერებოდი, ხელიც კი არ გადამიხვევია. რაღაცნაირად ვებრძოდი ჩემს თავს. მეშინოდა, ჩემი სიყვარულით მისთვის ცხოვრება არ დამენგრია. ნაცნობები ამბობდნენ, რომ პერსპექტიული ბავშვი იყო, კარგი მომავალი ელოდა, ჩემთან ყოფნით კი ყველა ოცნება სამუდამოდ დაენგრეოდა. არადა, ისიც არ შემეძლო, ზურგი მექცია. მის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომედგინა. ერთი დღეც რომ არ გამეგონა მისი ხმა, ცუდად ვხდებოდი...

ამასობაში ახალი წელი მოახლოვდა. ოცდაათი დეკემბერი იყო. დიდხანს ველაპარაკე ტელეფონზე. მინდოდა, ახალ წელს მენახა და მაინტერესებდა, რა გეგმები ჰქონდა. მამაჩემი ჩამოდის და სახლიდან ვერ გამოვალო, შემომჩივლა. ორში წავა და მერე თავისუფლად შევძლებო. შევპირდი, კვირადღეს, სამ იანვარს, აუცილებლად სოხუმში წაგიყვან და კარგ დროს გაგატარებინებ-მეთქი. სიხარულით მეცხრე ცას ეწია.

გვიან დავემშვიდობეთ ერთმანეთს. მეც ერთობ ნასიამოვნები დავრჩი, მთელი ღამე მასზე ფიქრში გავატარე.

მეორე დილით გოგამ დამირეკა, უთენია გამაღვიძა. ღამენათევმა ძლივს ავიღე ყურმილი.

— ზაზა, ან დღეს, ან არასდროს! — პირდაპირ დამაჯახა.

ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა.

— რა დღეს, რა არასდროს...

— დღესვე უნდა მოვიტაცო, ბათუმში წავიყავენ დეიდაჩემთან. დამეხმარები?

— მოიცა...

— რა მოიცა, ძმაო, ხომ მითხარი, თვის ბოლომდე დავიცადოთო. ერთი დღეღა დარჩა, გადადებას აღარ ვაპირებ, იცოდე.

— მანქანის საქმე როგორ გაქვს?

— ყველაფერი რიგზეა, გოჩა მოდის თავისი „დვადცატჩეტირეთი“.

— მერე? როგორ უნდა შემოიტყუო მანქანაში, გიფიქრია?

— მიფიქრია, ნონა გამოიყვანს სახლიდან.

— მაშინ წავედით, ძმაო, რაზეა ბაზარი.

ავდექი და ნაჩქარევად ჩავიცვი. ცენტრში გამოვედი და ცენტრალური ფოსტის შენობასთან მომლოდინე ბიჭებს მივუახლოვდი.

— მზად ვართ? — ვკითხე ორივეს.

— წავედით, წავედით, საავადმყოფოსთან გველოდებიან, — ჩქარობდა გოგა.

გოჩას ნელა მიჰყავდა მანქანა. ხმას არც ერთი ვიღებდით.

— ეგერ მიდიან! — იყვირა გოგამ და წინ გადაიხარა.

მე უკან ვიჯექი. გზაზე ტაატით მიმავალი გოგოები შევნიშნე. გოჩამ სვლას უმატა და ოდნავ რომ გადაუსწრო, მკვეთრად დაამუხრუჭა.

— გამარჯობა, ნონაჩკა, საით გაგიწევიათ? — მხიარულად შესძახა გოგამ, მაგრამ შევნიშნე, როგორ აუკანკალდა ხმა ნერვიულობისგან.

— კბილის ექიმთან მივდივარ, ნათია მომყვება.

— დასხედით, წაგიყვანთ, — თავი დაღუნა გოჩამ და ჩამოწეული ფანჯრიდან გახედა ორივეს.

— აუ! თქვენ გაიხარეთ, რა კარგი ბიჭები ხართ, — წამოიძახა ნონამ და მანქანისკენ გამოემართა. ნათია წამით შეყოყმანდა, მაგრამ, როგორც ჩანს, შერცხვა და დაქალს მიჰბაძა. რამდენიმე წუთიც და ორივე ჩემ გვერდით მოკალათდა. მანქანა დაიძრა და გოჩამ ნელ-ნელა უმატა სიჩქარეს...

ერთი სიტყვით, ორ საათში უკვე ბათუმში ვიყავით. ნათია მალევე მიხვდა, რომ ვიტაცებდით და ერთი წიოკი ატეხა, მაგრამ ვინ მოუსმინა, მთელი სისწრაფით მივქროდით, მაგნიტოფონი ბოლო ხმაზე იყო ჩართული და მისი წივილ-კივილი არავის ანაღვლებდა. მთელი რისხვა საცოდავ ნონას დაატყდა თავს, ლანძღვით აიკლო ნათიამ.

გოგას დეიდასთან სუფრა გაშლილი დაგვხვდა. თადარიგი წინასწარ დაუჭერია ჩემს ძმაკაცს. დიდის ამბით შეგვხვდნენ, თეფშიც კი დაგვახვედრეს კართან. გაჯიუტდა საპატარძლო, ზღურბლზე ნაბიჯი ვერ გადავადგმევინეთ. სიძემ ხელში აიტაცა გოგო, თეფში გატეხა და ძუნძულ-ძუნძულით შეიყვანა საცოლე ბინაში.

ერთ ოთახში ქეიფი გაჩაღდა, მეორეში — პატარძლის „დამუშავება". ჯერ გოგას დეიდა შევიდა და ერთი საათი უკითხა „ნოტაციები", მაგრამ ვერაფრით დაითანხმა. გამოვიდა ქალი და ხელები ეაასაჭსავა, სასტიკ უარზეა, შინ დაბრუნებას ითხოვსო.

ჯერი ჩემზე მიდგა, როგორც ამ საქმის „უდიდეს სპეციალისტთან". იქ მდგომთ თვალი ჩავუკარი, კარი შევაღე და შევედი. საწოლზე ჩამომჯდარიყო საწყალი და ტიროდა, თვალები ჩასწითლებოდა აცრემლებულს.

— კიდევ ტირი? — თბილად ვკითხე და გვერდით მოვუჯექი.

— ზაზა, გთხოვ, წამიყვანე სახლში, გემუდარები.

— აბა, აბა, ეგეთები არ გამაგონო. შენ გესმის, რას მეუბნები? გინდა, რომ სამი კაცი ციხეში ჩაგვსვან? — შორს დავიჭირე მისი მუდარა.

— არ გიჩივლებთ, დედას გეფიცები, არავის ვეტყვი, ოღონდ...

— ახლა გაჩუმდი და კარგად მომისმინე. ნუ ტირი, მოიწმინდე ცრემლები და შემომხედე. — მხარზე მზრუნველად გადავხვიე ხელი და გულზე მივიკარი.

— ზაზა, გთხოვ...

— ნათი, ხომ მცემ პატივს და ხომ გჯერა ჩემი?

— კი, როგორ არა.

— მაშინ უნდა დარჩე. გოგა არ არის ცუდი ბიჭი, შენც კარგად იცი. ფუტკარივით მშრომელია, კარგი ქმარი იქნება. რაც მთავარია, ძალიან უყვარხარ.

— სამაგიეროდ, მე არ მიყვარს, არა! — იყვირა სასონარკვეთილმა.

— ვიცი, რომ არ გიყვარს, მაგრამ არც გეზიზღება, ხომ მართალი ვარ?

— ჰო, რა ვიცი...

— რა იცი კი არა, კარგად იცი. ამიტომ ჩვენც დაგვინდე და შენი თავიც. ტეხავს, უკან რომ გაგაბრუნოთ. რას იტყვიან უბანში, მოტაცებული ქალი გაექცაო. არც შენ დაგადგება უკეთესი დღე. ვინ დაიჯერებს, რომ ხელუხლებელი ხარ, სახელი გაგიტყდება...

— არ მაინტერესებს, რაც იქნება, იქნებაااااა! — ბღაოდა ნათია.

— შენები მიგიღებენ კი? ამაზე გიფიქრია? სამუდამოდ ჩაგკეტავენ სახლში და გარეთ კარგა ხანს აღარ გამოგიშვებენ, გოგო, არ იცი მშობლების ამბავი? ჩვენც მოგვარჭობენ შვიდ-შვიდ წელს, თუ მეტს არა და მეყოლე ვარდივით...

— არ მინდა აქ, სახლში მინდაااااა!

— მორჩი ახლა ისტერიკას. დავუძახებ გოგას და დაელაპარაკე. ერთხელ მაინც შეხედე ადამიანურად, იქნებ მოგიბრუნდეს გული. დამიჯერე, კარგი?

ასე და ამგვარად, დიდხანს „ვამუშავებდი" ნათიას. საათზე მეტი დამჭირდა, რომ დამეთანხმებინა. მერე გოგა შემოვიყვანე, შენთვის ჩამიბარებია-მეთქი და კარი გამოვიხურე...

კიდევ ერთი ოჯახის შექმნაში მივიღე მონაწილეობა. საღამო ხანს, როცა ქეიფი გახურდა, პატარძალი უკვე ნაზად იღიმებოდა და სადღეგრძელოებზე მორცხვად იხდიდა მადლობას მეუღლის მხარზე მიყრდნობილი. გოგას ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა.

მერე ნათიას მშობლებიც მოვიდნენ. ატყდა ერთი რია-რია, მაგრამ საბოლოოდ ისინიც დაშოშმინდნენ და ბედს შეურიგდნენ.

ქეიფი ლამის ერთი კვირა გაგრძელდა. გამოფხიზლებას ვერ ვასწრებდით, რომ მორიგი სტუმარი მოდიოდა და ისევ თავიდან ვიწყებდით თრობას.

ამასობაში ხუთი იანვარი გათენდა. ნაბახუსევზე რუმბივით გასივებული თავი ძლივს ავწიე. ახლაღა გამახსენდა ნატა, რომელიც სამი რიცხვიდან ჩემს ზარს ელოდა...

მაშინ სად იყო მობილურები, რომ დაერეკა ადამიანს და ვინმესთვის რამე ეთქვა. ახალი წელიც არ მიმილოცავს. შეკვეთის მიცემის თავი ვის ჰქონდა, ან კი ხომ არ დავიწყებდი — ახლა, საყვარელი ქალი მელოდება და თუ შეიძლება, დავურეკავ-მეთქი. სრულიად უცხო ხალხში ვიყავი, უცხო ქალაქში...

სიძე-პატარძალი იქ დავტოვეთ და მე და გოჩა უკან გამოვბრუნდით. ერთი სული მქონდა, როდის ჩამოვიდოდით. გზა გაიწელა. ასე მეგონა, მთელი დღე მოვდიოდით. თან უგუნებოდ კიყავი, თავი მისკდებოდა ნამთვრალევზე. არც გოჩა იყო უკეთეს დღეში, ამიტომ გზად რამდენჯერმე შევცვალეთ ერთმანეთი — ხან ის იჯდა საჭესთან, ხან — მე.

შინ შევედი თუ არა, მაშინვე ტელეფონს ვეცი. ნატამ პირველსავე ზარზე აიღო ყურმილი, თითქოს ჩასაფრებული იყოო.

— მე ვარ, — ძლივს ამოვთქვი ორი სიტყვა.

— ვიცი, — ცივად ჩაილაპარაკა.

— შეგიძლია მაპატიო? არ აღმოვჩნდი სიტყვის კაცი, — თავის გამართლება ვცადე.

— სად იყავი?

— გოგამ ცოლი მოიყვანა და...

— გავიგე, მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობს. შენ ხარ ის მთავარი მოქმედი გმირი, ვინც მოატაცებინა? — ტონს არ იცვლიდა ნატა.

— კი, მე ვარ.

— გილოცავ, შენი პოპულარობა ერთიორად გაიზარდა. ამიერიდან უფრო დაგეხვევიან ქალები, — ხმამაღლა წარმოთქვა და გამითიშა.

გამშრალმა ხელმეორედ დავრეკე. ზარი გადიოდა, მაგრამ ყურმილს არავინ იღებდა. ამაოდ ვცდილობდი დაკავშირებას...

არც მომდევნო ორ დღეს გამიმართლა. არც ნატა და არც სხვა ვინმე ტელეფონთან არ მოდიოდა. ალბათ საერთოდ გამორთო აპარატი, თორემ ვიღაც მაინც ხომ გამცემდა ხმას. მერე თენგოსთან დავიწყე ჩასაფრება, ვერც იქ ვნახე. ბოლოს ვერ მოვითმინე და თენგოს ვკითხე, ნატა თუ დადის-მეთქი? რეპეტიციები ათიდან გვწყებაო, მითხრა.

ათი იანვარიც გათენდა. რადგან სკოლაში ჯერ კიდევ არდადეგები იყო, ანსამბლის მოცეკვავეებს რეპეტიციები თორმეტზე ეწყებოდათ. ეს უკვე ვიცოდი, ამიტომ პირველ საათზე თეატრში მივედი და დავუდარაჯდი. ჩემდა ჭირად, მამაჩემმა დამინახა დერეფანში და თავისთან მიმიხმო კაბინეტში. მთელი საათი მელაპარაკა, საყვედურებით ამავსო, მუშაობა როდის უნდა დაიწყოო. გამოუძებნია ჩემთვის ადმინისტრატორის ადგილი თეატრში და უნდა მოგაწყოო, დამიჟინა. ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე, რაღაც კაპიკებზე ვერ ვიმუშავებ-მეთქი. ამ კამათში დამაგვიანდა. როცა გარეთ გამოვედი, რეპეტიცია უკვე დამთავრებულიყო. გიუვით გამოვვარდი ქუჩაში. ვერსად დავლანდე. ავტობუსების გაჩერებისკენ გავეშურე, რომ იქ მაინც მიმესწრო... მოულოდნელად დავინახე... ვიღაც ბიჭთან ერთად იდგა და ღიმილით შესაციცინებდა თვალებში. სისხლმა ტვინში ამასხა. ერთხანს გახევებული ვიდექი და შორიდან ვუყურებდი. ახლოს მისვლა არ მიცდია. კარგა ხანს ისაუბრეს, ორი ავტობუსი გაუშვეს, ბოლოს იმ ბიჭმა ხელი ჩამოართვა და წავიდა.

მეც დრო ვიხელთე და „სამალავიდან" გამოვედი. რომ დამინახა, შეკრთა, არ ელოდა ჩემს გამოჩენას.

— როგორ ხარ? — შუბლშეკრულმა ვკითხე.

— კარგად, — მშრალად მიპასუხა და თვალი თვალში ნიშნის მოგებით გამიყარა.

— შენ ზრდილობას არ გასწავლიან სკოლაში ან სახლში? — უკვე ბოღმას ვანთხევდი, ისე ვიყავი გაბრაზებული.

— ვინ გითხრა, რომ არ მასწავლიან? — ამრეზით ამომხედა.

— მაშინ რატომ დამიკიდე ყურმილი, რატომ არ მაცალე სიტყვის დამთავრება?

— ღირსი არ იყავი და იმიტომ, — ცივად მომახალა.

თავი მოვთოკე, სილა რომ არ გამეწნა. ცოტა შევიცადე, რათა დავწყნარებულიყავი.

— ის ბიჭი ვინ იყო? — იქითკენ გავიხედე, საითაც ჩემი „მეტოქე" წავიდა.

— ჩემი კლასელია.

— აქ რა უნდოდა?

— მაცილებდა. რა იყო, რამე პრობლემაა?

— შენს გასაცილებლად სპეციალურად მოვიდა?

— რა თქმა უნდა, დიდი ხანია, მოვწონვარ. ის კი არა, დღეს სიყვარული ამიხსნა.

— მართლა? — გასაგები იყო, ჩემს გასაღიზიანებლად ამბობდა ამ ყველაფერს.

— მართლა, მართლა, თანაც ძალიან კარგი ბიჭია.

— რაო, მერე, ძალიან მიყვარხარო?

— ძალიანო, — თავი დააქნია ნატამ.

— მერე შენ?

— რა მე?

— შენ რა უთხარი?

— ჯერ არაფერი... — და ისევ ამარიდა მზერა.

— ანუ?

— რა ანუ?

— შენც გიყვარს?

პასუხი არ გამცა, ფეხსაცმლის ჭვინტით ასფალტს დაუწყო წვალება, თითქოს უნდა ამოჩიჩქნოსო.

— მიპასუხე, შენც გიყვარს?

— შენ რაში გაინტერესებს, რატომ უნდა ჩაგაბარო ანგარიში? — უხეშად შემომიბრუნა კითხვა კითხვაზე.

— იცი, რატომაც.

— არა, არ ვიცი.

— მეგონა, მეგობრები ვიყავით... — სხვა ვერაფერს ვეტყოდი.

— ვიყავით... — იმავე ტონით გაიმეორა.

— უკვე აღარ ვართ?

— არ ვიცი, — მხრები და წარბები ერთდროულად აზიდა.

— გასაგებია. ესე იგი, შენც გიყვარს, მაგრამ ჩემთვის ამის თქმას საჭიროდ არ მიიჩნევ. ასეა?

— არა, არ არის ასე. არ მიყვარს, მაგრამ მომწონს, — თქვა უცებ, შემომხედა და გააგრძელა, — და თუ იაქტიურებს, ალბათ კიდევაც შემიყვარდება.

— კარგია... — ხმა წამერთვა, — გილოცავ... ვატყობ, შენც არანაკლებ პოპულარული ხდები.

— სწორად ატყობ.

— ესე იგი, წავიდე? ზედმეტი ვარ? — ვთქვი და ლამაზ, სევდიან თვალებში ჩავხედე.

— ზედმეტი არ ხარ, — შეშინებულმა ჩაილაპარაკა და აწითლებულმა თავი ჩაღუნა.

გულში გამეცინა. ერთდროულად ისიც უნდოდა, წონასწორობიდან გამოვეყვანე, გავემწარებინე და ისიც, არ მიმეტოვებინა და შემრიგებოდა.

— აბა, წავიდე?

დავინახე, როგორ მოეშვა, უმწეოდ ჩამოყარა მხრები. მუდარით სავსე მზერა მომაპყრო, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს. მისი შემოხედვა ნიშნავდა, რომ უნდა დავრჩენილიყავი.

— ხომ აგიხსენი, რა მდგომარეობაშიც ვიყავი, — ხმა შემირბილდა.

— წინასწარ უნდა გეთქვა, არ მიყვარს, როცა მატყუებენ, — ტუჩები გაბუსხა.

— მაგის დრო არ მქონდა.

— ერთი წუთიც არ გქონდა? არ შეგეძლო, დაგერეკა და გეთქვა?

— არ მქონდა, ნატა, მართლა გეუბნები. არ გჯერა?

— არ ვიცი, — ჩურჩულით თქვა და ამოიოხრა.

— მოდი, შევრიგდეთ, არ მინდა შენთან ჩხუბი. შემირიგდები? ოღონდ არ ვიციო, არ მითხრა!

გაეღიმა. გაშლილი თმა უკან გადაიყარა და მარცხენა ხელით ცალ მხარეს ყურზე გადაიწია. ყველაზე ლამაზი სანახავი ასეთ მომენტში იყო. რაღაც უცნაურ ჰაეროვან მოძრაობას აკეთებდა ამ დროს. მთელი რიტუალი იყო მისი პატარა თითებით ყურზე თმის გადაწევა. ყველაზე მეტად ეს მიყვარდა მასში.

— შევრიგდეთ, — მორცხვად თქვა და გამიღიმა.

უცნაურმა სითბომ დამიარა სხეულში. თვალებით მივეფერე.

— გინდა, კინოში შევიდეთ? — მეტი არაფერი მომივიდა თავში.

— მინდა, — უცებ დამთანხმდა.

გამოვცოცხლდი. წავიდეთ-მეთქი, თავით ვანიშნე და კლუბისკენ მიმავალ გზას დავადექით.

— მართლა მოგწონს ის ბიჭი, თუ მომატყუე? — დავარღვიე გაწელილი დუმილი.

— მგონი კი, — ისე თქვა, ვერ მივხვდი, იყო თუ არა გულწრფელი.

— კიდევ მოგწონს ვინმე? — ხუმრობა ვცადე.

— არა, მეტი არავინ.

— არც მე?

ამის გაგონებაზე გაჩერდა. მეც შევანელე ნაბიჯი და პასუხის მოლოდინში დავმუნჯდი.

— შეეენ... შენ არ მომწონხარ, — თქვა ბოლოს.

ის იყო, მორიგი შეკითხვის დასმა დავაპირე, რომ გააგრძელა.

— შენ მიყვარხარ, ზაზა.

თითქოს დენმა დამარტყაო... რაღაც საშინელება დამემართა. შემეშინდა, ამხელა კაცი არ შევტორტმანდე-მეთქი. უფრო სასიამოვნო სიტყვები, წლები იყო, არ მომესმინა. არა, განა ასეთი რამ არ უთქვამთ ჩემთვის, უამრავჯერ უთქვამთ, უფრო ლამაზადაც, შეიძლება მეტი გრძნობითაც, მაგრამ... განსხვავება იმაში იყო, რომ ამას ნატა ამბობდა — გოგონა, რომელიც მეც მიყვარდა.

— მე ცუდი ბიჭი ვარ, ჩემი შეყვარება არ შეიძლება, — „რჩევა მივეცი".

— ვიცი, მაგრამ რა ვქნა, ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული. თავისით მოხდა ყველაფერი.

— ცუდია... არ იფიქრო ამაზე, კარგი? უფრო საყვარელი ბიჭებიც არიან, რომ იცოდე.

— ვიცი, — მშვიდად მომიჭრა და გზა გააგრძელა.

მეც მივყევი.

— იცი? აბა, მომიყევი ერთი, „როგორ იცი“? — გახუმრება ისევ ვცადე.

— ერთი ტიპი გავიცანი გუშინწინ... ისეთი გალანტური იყოოო... — და ეშმაკურად გამომხედა.

— ვინ ტიპი? — ელდა მეცა, სეიფა არ იყოს-მეთქი.

არ შევმცდარვარ.

— ასაკით დიდია, შენზე დიდიც კი. რუსეთიდან ჩამოსულა ახლახან.

— ვახო ჰქვია, არა? — სიმწრით გამეღიმა.

— იცნობ? — თვალები გაუფრთოვდა.

— აქ ყველას ვიცნობ, რატომ გიკვირს?

— რა ვიცი, ლევანი ვერ იცანი და...

— ვინ ლევანი?

— აი, ის, წეღან რომ მაცილებდა.

— ჰოო... ის... ის პატარაა, ჩემი თაობის არ არის. მე უფრო ასაკოვნებს ვიცნობ... ესე იგი, მოგეწონა!

— კი, რა ვიცი, არ ჩანს ცუდი ადამიანი.

— ეგ იცი, ვინ არის? — ვთქვი და ენას მაშინვე დავაჭირე კბილი.

— ვინ? — ისევ გაჩერდა.

— არა, ისეთი არავინ... თუმცა აჯობებს, შორს დაიჭირო მისგან თავი.

— რატომ?

— ასეა საჭირო და იმიტომ, — მეტის თქმა არ შემეძლო, არაკაცური საქციელი გამოდიოდა.

— ეჭვიანობ?

— არა, რატომ. შენი უფლებაა, როგორ მოიქცევი, მაგრამ მე ჩემი გითხარი.

— კარგი, გავითვალისწინებ, — ეშმაკურად გაიღიმა და ისევ გავაგრძელეთ გზა.

სალაროსთან ორიოდე კაცი იდგა. მე ბილეთი არასდროს მიყიდია, ყოველთვის უბილეთოდ შევდიოდი კინოში. აფიშას შევხედე. არასდროს დამავიწყდება, იმ დღეს რა ფილმიც გადიოდა. „იავნანა“ მამაკაცებისათვის“ — წითელი ასოებით ეწერა ყავისფერჩარჩოიან დაფაზე, რუსული სურათი იყო.

შესასვლელში ნოდარი იდგა, ბილეთიანებს და უბილეთოებს აკონტროლებდა. თვალი ჩავუკარი და გავიარე, თან ხელით ვანიშნე ნატას, მომყევი-მეთქი. დარბაზში რომ შედევით, მკლავზე მომქაჩა, ფეხის წვერებზე აიწია და ყურთან მიჩურჩულა.

— ბილეთი არ უნდა ვიყიდოთ?

გამეცინა.

— არა, ჩვენ არ გვეკუთვნის.

— რატომ?

— იმიტომ, რომ იმიტომ, — არ დავაკონკრეტე, ხელი ჩავავლე და თითქმის ცარიელ დარბაზს მოვავლე თვალი, მოხერხებულ ადგილს ვეძებდი.

სულ ბოლოს ფარდებით გამოყოფილი ორივე ლოჟა ცარიელი იყო. იქითკენ წავიყვანე. გული გამალებით მიცემდა, გუგუნი გაუდიოდა ყურებს. ნატას გავხედე, არც ის იყო უკეთეს დღეში, სახე აფორაჯებოდა.

წინ მე წავედი და ლოჟის კარი შევაღე. აქ სულ ექვსი რიგი იყო, თითო რვაადგილიანი. მესამე რიგს რომ მივუახლოვდი, გავჩერდი და პირველი ნატა გავატარე. გვერდულად გაუყვა სკამებს და ბოლოში დაჯდა. მეც გვერდით მივუჯექი. შეშინებულივით იყურებოდა აქეთ-იქით.

— აქ იყავი, ახლავე მოვალ, — ვუთხარი და პასუხს არ დავლოდებივარ, ისევ დარბაზში ჩავედი. არ მინდოდა, შუქის ჩაქრობამდე ვინმეს მასთან ერთად შევემჩნიე.

ათ წუთში ნათურები მიყოლებით ჩაქრა დარბაზში. მე ჩემს ადგილს დავუბრუნდი. ჯერ კინოჟურნალი აჩვენეს, ბრეჟნევი გვიქნევდა ხელს, მერე კი ფილმი დაიწყო... ტიტრებს შევხედე, მაგრამ ვერაფერი გავარჩიე, თვალები ამიჭრელდა. ამწუთას მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდი — უნდა მეკოცნა მისთვის და ეს როგორ მომეხერხებინა, იმაზე ვიმტვრევდი თავს. არ ვიცოდი, რა რეაქცია ექნებოდა გოგონას ამაზე.

არ მახსოვს, რაზე იყო ფილმი. ან კი საიდან გამახსენდება, როცა ერთი სიტყვაც არ გამიგონია, მხოლოდ მსახიობთა ლაპარაკის ხმები მესმოდა. ეკრანს მივჩერებოდი, მაგრამ გონებით ნატასთან ვიყავი, რომელიც გვერდით მეჯდა და ერთიანად მობუზულიყო. მხოლოდ თვალები მივატრიალე მისკენ, არ გავნძრეულვარ. ისიც უაზროდ მისჩერებოდა ეკრანს. დარწმუნებული ვიყავი, ისიც იმავეს განიცდიდა, რასაც მე.

ცოტა ხანი რომ გავიდა, შეირხა და მხარი მხარზე მომადო. ერთიანად დამბურძგლა. მივხვდი, ჩემი მოქმედების დრო რომ დადგა. საზურგეს მივაწექი და მარცხენა ხელი მხარზე გადავხვიე. ვიგრძენი, მისი სხეულიდან ცხელი ტალღა როგორ მოიწევდა ჩემკენ, რაღაც ძალიან სასიამოვნო მეღვრებოდა სხეულში. წამით რუსიკო გამახსენდა. მხოლოდ მასთან განმიცდია მსგავსი რამ. მერე მაკა დამიდგა თვალწინ. უსიამოვნო შეგრძნება დამეუფლა. წარმოვიდგინე, ამ მდგომარეობაში რომ ვენახე, რა დღეს დამაწევდა. თავიდან მოვიშორე მათზე ფიქრი და კვლავ ნატაზე გადავერთე. ოდნავ მოვუჭირე მხარზე ხელი. შეაჟრჟოლა. ამით დრო ვიხელთე, გაშლილი ხელისგული მხრიდან მის ნიკაპზე გადავიტანე, ჩემკენ მოვუტრიალე სახე და ტუჩებზე დავეწაფე... თვითონაც ცდილობდა, კოცნაზე კოცნით ეპასუხა, მაგრამ ვაი, ამ მცდელობას. კოცნის ბაიბურში არ იყო. გამიხარდა. ამ საქმეში აშკარად გამოუცდელი ჩანდა... საათ-ნახევრის განმავლობაში რამდენჯერმე ვაკოცე. ერთმანეთისთვის არაფერი გვითქვამს, ან კი რა საჭირო იყო სიტყვები...

როცა ფილმი დამთავრდა და გარეთ გამოვედით, თვალები დანისლული ჰქონდა, ტუჩები გასივებოდა და გაბრუებული იყურებოდა აქეთ-იქით.

— როგორ ხარ? — ვკითხე.

— კარგად, — ხმადაბლა თქვა.

— რამე ხომ არ გეწყინა? — ჩავეძიე.

— არა, არაფერი.

— აბა, რა მოხდა?

— იცი?.. — ნერწყვი ძლივს გადააგორა, — ჩემთვის ჯერ არავის უკოცნია. — როგორც იქნა, წვალებით დაამთავრა სათქმელი.

— არც ჩემთვის, ასე არც ჩემთვის უკოცნია ჯერ არავის, — სიცილით ვუპასუხე და ხელი მოვხვიე...

უხმოდ მივაცილე გაჩერებამდე, ავტობუსში ჩავსვი და ძალიან ბედნიერი მაკას სანახავად გავეშურე...

ახლა ძალიან მჭირდებოდა ქალი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბესტსელერი „მგლების“ გაგრძელება.

სად გადის ზღვარი დამნაშავესა და უდანაშაულოს, ბოროტმოქმედებასა და სამართლიანობას შორის



ჟონეგის საპასუხოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისაკენ არ გაგეხედოთ თვალი

1. ვისი ლექსი უძღოდა პროლოგად რუსეთის ტელევიზიის ცნობილ გადაცემას, „აჩევიდნოე — ნევეროიატნოე“, რომელიც პროფესორ კაპიცას მიჰყავდა: „ო, სკოლკო ნამ ატკრიტიი ჩუდნიხ, გატოვიტ პროსვეშჩენია დუხ, ი ოპიტ, სინ აშიბაკ ტრუდნიხ, ი გენიი, პარადოკსოვ დრუგ“?

2. „თქვენ გძულთ პროლეტარიატი!“ — პირდაპირ მიახალეს ერთხელ სალვადორ დალის. მხატვარმა პასუხად მხოლოდ მხრები აიჩეჩა: — „როგორ შეიძლება მე პროლეტარიატი მძულდეს, როცა...“ დაასრულეთ მისი სიტყვები.

3. დაასახელეთ საჭადრაკო ტერმინი, რომელიც აიათოლა ჰომეინიმ წარმოთქვა, როცა შაჰის ხელისუფლება დაამხო.

4. საქართველოს რომელ კუთხეში გააშენეს პირველად თამბაქო?

5. რომელ რუს პოეტს ეკუთვნის სიტყვები: „ბედნიერებას ვპოულობთ მხოლოდ იმ კერად, სადაც ვუყვარვართ და ჩვენი სჯერათ“?

6. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ალასკა რუსებისგან იყიდა, ლუიზიანა — ფრანგებისგან, ფლორიდა — ?

7. რა არის ოფიჭო?

8. ხრუშჩოვის ბრძანებით ვინ ხელმძღვანელობდა ბერიას დაპატიმრებას?

9. „ვერანაირი სამხედრო მარცხი ვერ შეედრება იმ დანაკარგს, რომელიც საკუთარ მეცნიერთა გულმოდგინებამ მომიტანა!“ განაცხადა ერთ მშვენიერ დღეს საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-მ. რომელი დარგის მეცნიერებს უჩიოდა მეფე?

10. რომის წმინდა იმპერიის მმართველის, კონრად III-ის ჯარმა 1140 წელს ხანგრძლივი ალყის შემდეგ ქალაქი ვეისბერგი აიღო. გამარჯვებულმა მეფემ სულგრძელობა გამოიჩინა და ქალაქის მცხოვრებ ქალებს თავისუფლება აჩუქა. მათ ნება ეძლეოდათ თან წაეღოთ ყველაზე ძვირფასი, რის წაღებასაც შეძლებდნენ. ამ კეთილშობილური ჟესტის გამო კონრად III-მ დაკარგა ყველა ტყვე მამაკაცი, თუმცა ამას ნამდვილად არ ელოდა. რა მოიმოქმედეს ქალებმა?

11. „ნურასდროს დაგეგმავთ თვითმკვლელობას ცუდ ამინდში“, — ხუმრობენ ნიუ-იორკელები მას შემდეგ, რაც მათი ერთი თანამოქალაქე თავის მოსაკლავად „ემპაიარ სტეიტ ბილდინგის“ 86-ე სართულიდან გადმოხტა. რა ბედი ეწია ამ ადამიანს?.

ანეკდოტები

***

„პლანაქეშმა“ ოქროს თევზი დაიჭირა.

— გამიშვი და სამ სურვილს შეგისრულებ, — უთხრა თევზმა.

— 1000 ზვინი პლანი მინდა! — ინატრა „პლანაქეშმა“. თევზმაც აუსრულა სურვილი.

— რაც კი ქვეყნად მცენარეა, სულ პლანად აქციე! — თევზმა ესეც შეუსრულა.

დიდხანს ფიქრობდა „ქეში“ კიდევ

რა ვინატროო და ბოლოს ხელი ჩაიქნია:

— ორი „მასტერკაც“ დაამატე და თავისუფალი ხარ.

***

მიმდინარეობს სასამართლო პროცესი. მოსამართლე ქალი ეკითხება ბრალდებულს:

— რატომ გააუპატიურეთ თექვსმეტი წლის გოგონა?

— მომწონდა.

— ოცდაათი წლის ქალი რაღატომღა გააუპატიურეთ?

— ისიც მომწონდა.

— ასე რატომ იცინით?

— თქვენც მომწონხართ.

***

ორი ქალი საუბრობს:

— როგორ მომრავლდა განქორწინებები. ამბობენ, მხოლოდ ყოველი მეათე ქორწინებაა იღბლიანიო. თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

— ვერაფერს გეტყვით, ახლახან მხოლოდ მესამედ გავთხოვდი.

***

ქალი უყვება დაქალს:

— საშინელი წვეულება გამოდგა. ისე დავთვერი, ისე დავთვერი, რომ ბოლოს, საკუთარ ქმართან ერთად აღმოვჩნდი ლოგინში! ბედი არ გინდა!

***

— ჩემი ცოლი ნამდვილი ინტელექტუალია: უკრავს როიალზე, თავსუფლად ფლობს ხუთ ენას და შესანიშნავად იცის ჩვენი ქვეყნის ისტორია.

— გასაგებია... ისე, არც ჩემია მაინცდამაინც დიდი მზეთუნახავი...

***

ორი დაქალი საუბრობს:

— შენ რას იზამდი ჩემს ადგილზე, გაჰყვებოდი ჟაკს ცოლად?

— შენს ადგილზე მე ნებისმიერს გავყვებოდი ცოლად.

***

— რატომ არა აქვს დედალს მკერდი?

— იმიტომ, რომ მამალს არა აქვს ხელები!

***

რეკლამა: „დედამ გარეცხა 50 თეფში ჩვეულებრივი საშუალებით, შვილმა კი „ფეირით“ ორჯერ მეტი. ისმის კითხვა: რა ჭამეს ამდენი, ამ უპატრონოებმა?!“

***

ორი კახელის ხმამაღალი დიალოგი:

— ნამდვილი ვირი ხარ!

— აი, შენ კი ვირსაც არ ჰგავხარ!

— მე არ ვგავარ?!.

***

ჯვრისწერაა. ცერემონიის შემდეგ სიძე მღვდელს მიმართავს:

— რამდენი უნდა მოგართვათ?

— საერთოდ, ჩვენ ფულს არ ვიღებთ, მაგრამ თუ გსურთ, შეგიძლიათ, შესაწირი თანხა დატოვოთ.

— რამდენი?

— რამდენსაც ინებებთ. თუნდაც პატარძლის სილამაზის შესაბამისად.

სიძე ყოყმანობს. ბოლოს ჯიბიდან ერთლარიანს იღებს და მღვდელს აძლევს. მღვდელი ღიმილით ართმევს ფულს, პატარძალს ყურადღებით ათვალიერებს და სიძეს ეუბნება:

— ერთი წუთით მოითმინეთ, ხურდას მოგართმევთ.

***

სკოლის ორი მეგობარი ხვდება ერთმანეთს. ერთი ეუბნება მეორეს:

— ეჰ, ბევრ ჩვენს ძმაკაცს არ აეწყო ცხოვრება და ცოლს გაშორდა. მარტო შენ ხარ, 15 წლის განმავლობაში ცოლთან სიამტკბილობით რომ ცხოვრობ. ერთი მითხარი, როგორ ახერხებ?

— როგორ გითხრა?... ვცდილობთ, ჩვენი ცხოვრება არ გახდეს ერფეროვანი და მოსაწყენი: დავდივართ რესტორანში, რომანტიკული ვახშამი სანთლის შუქზე, შემდეგ ბარი, კოქტეილი, ცეკვა, ინტიმი, ნაზი შეხება...

— ხშირად დადიხართ რესტორანში?

— კვირაში ერთხელ. ცოლი — ხუთშაბათობით, მე — კვირაობით.

***

ქმარმა გაზეთში წაიკითხა პამელა ანდერსონი ვიღაც სპორტსმენს მიჰყვებაო ცოლად და აღშფოთდა:

— რატომ უმართლებთ ასე ცხოვრებაში ვიღაც იდიოტებსა და თავაცარიელ რეგვნებს? ყოველთვის ამისთანებს რჩებათ მსოფლიოს ულამაზესი ქალები.

— გმადლობ, ძვირფასო, — ისმის მეორე ოთახიდან.

***

დარბაზში მხოლოდ ქალები სხედან. ტრიბუნიდან გამოაცხადეს:

— გათხოვილები — მარჯვნივ დასხედით, გასათხოვრები — მარცხნივ.

ერთი ქალი წამოდგა:

— მე არც გათხოვილი ვარ და არც გასათხოვარი. მე მსუბუქი ყოფაქცევისა ვარ...

— თქვენ პრეზიდიუმში მობრძანდით, ქალბატონო!

***

ქმარი ცოლს საყვარელთან შეუსწრებს და გაოგნებული კითხულობს:

— რას აკეთებთ?!

ცოლი საყვარელს გადახედავს:

— ხომ გეუბნებოდი, ამ საქმის არაფერი გაეგება-მეთქი.

***

ქმარი უგონოდ მთვრალი ბრუნდება შინ. ცოლი:

— იდიოტო, კრეტინო, დეგენერატო, უტვინოვ, არამზადავ!

მეორე ოთახიდან ბავშვმა გამოყო თავი:

— დედა, მე ხომ არ მეძახდი?!

***

მოშე ეუბნება იაშას:

— შენს ცოლთან ორჯერ ვიწექი.

— დიდი ამბავი, მე ყოველდღე ვწევარ!

***

კაცი რეკავს ცხოველთა დაცვის საზოგადოებაში:

— ყოველ დილით ერთი კაცი გადმოხტება ხოლმე ჩემს ღობეზე, ხეზე ძვრება, იქიდან ჩემს ძაღლს ამინებს და თან ამტკიცებს, ფოსტალიონი ვარო.

ჯონჯის საყვარელი

„ვეზის" ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. პუშკინის.
2. „...საერთოდ მიმიფურთხებია მისთვის?!"
3. „შაჰ, მატ!" (იმ დღეს ირანში შაჰების 2500-წლიანი მმართველობა დამთავრდა).
4. თამბაქო პირველად აფხაზეთში გააშენეს. შემდგომ აჭარაში და ბოლოს უკვე აღმოსავლეთ საქართველოში.
5. მიხეილ ლერმონტოვს.
6. ესპანელებისგან.
7. ოფიჭო ბლის ხის გამხმარი ქერქია, რომლისგანაც ქვევრის სარეცხ სარცხს აკეთებენ.
8. მარშალი ჟუკოვი. სახელმწიფო უშიშროების ყოფილი შეფი გენერალმა ბატიტსკიმ დახვრიტა.
9. გეოგრაფებს. 1693 წელს გრძედის პირველმა ზუსტმა გაზომვამ ცხადყო, რომ საფრანგეთის საზღვრები არც ისე უკიდეგანო იყო, როგორც მანამდე ეგონათ.
10. მათ საკუთარი ზურგებით გაიყვანეს ქალაქიდან ქმრები, ძმები, მამები და შვილები.
11. ძლიერმა ქარმა ის ისევ უკან, 83-ე სართულის ღია ფანჯარაში შეაგდო.

ჩვენი ფოტო მაღლრეა

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „ვეზისთვის") მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, ოსიბების ქ. №49.

კიდევ უფრო რომ გავლამაზდეთ...

ყველა ქალს სურს, ლამაზად გამოიყურებოდეს, მაგრამ მაკიაჟის გაკეთებისას ხშირად უშვებენ შეცდომებს, რაც უმალვე მათ გარეგნობაზე აისახება. თუმცა ამ შეცდომების თავიდან აცილებაც არ არის რთული, თუკი რამდენიმე მარტივ რჩევას გაითვალისწინებთ:

● ტუჩების მოცულობის გაზრდის მიზნით, არასოდეს გამოიყენოთ მუქი ფერის ფანქარი. ტუჩებს კარგად გამოკვეთს პომადის ზემოდან წასმული „ბლესკი“, ტუჩის ფანქარი კი პომადის ტონალობის უნდა იყოს.

● როცა წვეულებიდან გვიან ბრუნდებით, ხანდახან ალბათ გეზარებათ მაკიაჟის მოშორება, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ამით სახის კანს დიდ ზიანს აყენებთ: მაკიაჟით დახშულ ფორებში მყარად ჯდება დღის მანძილზე სახეზე დადებული მტვერი. კანმა აუცილებლად უნდა ისუნთქოს, ამიტომ, მისი გაწმენდა ყოველდღიურად საჭიროა.

● ტონალური კრემი კარგი განათების პირობებში ან დღის სინათლეზე შეარჩიეთ. ვიდრე შეიძენდეთ, კრემი თხლად გადაისვით ხელის მტევანზე და დააკვირდით, რამდენად ორგანულად ერწყმის იგი თქვენი კანის ფერს. გახსოვდეთ, რომ სახის ტონალური კრემი არც ძალიან ღია უნდა იყოს, არც — ძალიან მუქი.

● არ წაისვათ ბევრი „რუმიანა“. მან ოდნავ უნდა გამოკვეთოს თქვენი სახის კანის ფერი. „რუმიანა“ წაისვით ყვრიმალებზე (არავითარ შემთხვევაში არ აიწითლოთ ლოყები), შუბლზე, ნიკაპსა და ცხვირის წვერზე.

● თუკი ღია ფერის კანი და თმა გაქვთ, წარბების გამოსაკვეთად ნუ გამოიყენებთ შავ ფანქარს. თქვენთვის უფრო შესაფერისი ღია ყავისფერი ან რუხი (ფერფლისფერში გარდამავალი) ფანქარი იქნება.

● მაკიაჟის გაკეთებისას ნუ ეცდებით გამოკვეთოთ თვალებიც, ტუჩებიც და სახის ფერიც (რა თქმა უნდა, თუ სცენაზე გასასვლელად არ ემზადებით). თუ თვალების სილამაზის გამოკვეთა გსურთ, ტუჩებზე მქრქალი ფერის პომადა და უფერო „ბლესკი“ წაისვით. თუ ტუჩებზე წითელ პომადას ისვამთ, თვალებზე მკრთალი ფერის ჩრდილი უნდა იკმაროთ.

● თვალებზე ჩრდილების წასმის დროს, ტუშის გამოყენებაც აუცილებლად დაგჭირდებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვალები „ჩამქრალი“ და „ჩავარდნილი“ გამოჩნდება.

● დღის მაკიაჟი გაცილებით მოკრძალებული უნდა იყოს, ვიდრე საღამოსი. ნუ წახვალთ სამსახურში და დღისით დანიშნულ შეხვედრაზე თოჯინასავით მოხატული და ტონალური კრემით „დამძიმებული“ სახით. მაკიაჟის გადაჭარბების უფლება მხოლოდ საღამოს გაქვთ. ■





ჰარმონია ურთიერთობებში....

სასიყვარულო ურთიერთობაში ჰარმონიას რომ მიაღწიოთ:

1. უნდა გჯეროდეთ თქვენი პარტნიორის;
2. პატივი ეცით მის სურვილებს, მაგრამ არც საკუთარი დაივიწყოთ;
3. უნდა შეგეძლოთ მისი ყურადღებით მოსმენა;
4. გამოავლინეთ მის მიმართ მზრუნველობა;
5. გამოიჩინეთ ინტერესი მისი გატაცებების მიმართ, იქნებ ეს თქვენთვისაც საინტერესო აღმოჩნდეს;
6. სიყვარული არა მხოლოდ სიტყვებით, საქციელითაც გამოხატეთ;
7. ისწავლეთ არა მხოლოდ „მიღება“, არამედ „გაცემაც“;
8. არასდროს გამოცადოთ მისი ერთგულება, თორემ შემდეგ სანანებელი გაგიხდებათ;
9. არ მოუწყოთ ნებისმიერ წვრილმანზე სკანდალი;
10. არ დაუსვათ სულელური შეკითხვები და არც ისეთი — რომლებზე პასუხის მოსმენაც თავადვე არ გსურთ;
11. არ მოუყვეთ თქვენს ყოფილ რომანებზე;
12. არ ესაუბროთ საკუთარ ნაკლოვანებებზე;
13. შეეცადეთ, დაუთმოთ ბევრი დრო, თუკი ეს შესაძლებელია;
14. არასდროს უსაყვედუროთ, თუკი გარკვეულ მიზეზების გამო, თვითონ სათანადო დროს ვერ გითმობთ;
15. იყავით გულწრფელი მასთან;
16. არ გამოამჟღავნოთ ეჭვიანობა (თუ ის ძირითადად უმნიშვნელო ფაქტორებითაა გამოწვეული);
17. გამოიჩინეთ მოთმინება. ■

ფერი და ბავშვის ხასიათი...

ნებისმიერ ორსულს აინტერესებს, თუ როგორი ხასიათი ექნება მის მომავალ შვილს. ამის გაგება კი არც ისე ძნელია, საჭიროა მხოლოდ, აიღოთ ფერადი ფანქრები და რაიმე დახატოთ. იმის მიხედვით, თუ რა ფერები დომინირებს თქვენს ნახატზე, არა მარტო თქვენი შვილის ხასიათს გაიგებთ, არამედ იმასაც შეიტყობთ, თუ როგორ მიმდინარეობს თქვენი ორსულობა.

ყვითელი

ერთი მხრივ, სულიერი სიმშვიდის მომტანი, მეორე მხრივ კი საშიშროების მანიშნებელი ფერია. თუ თქვენს ნახატში ყვითელი ჭარბობს, ორსულობის პერიოდში, ნებისმიერი პრობლემის მიუხედავად, თავს თავისუფლად გრძნობთ.

თქვენი პატარა იქნება გამომგონებელი, მეოცნებე და ხუმარა. ეყვარება თამაში სიმარტოვეში, აბსტრაქციული სათამაშოებით: ქვებით, ტოტებით და ა.შ. ის ამ სათამაშოებს თავის წარმოსახვაში „გააცოცხლებს". როცა წამოიზრდება, შეეცდება იცხოვროს ხვალინდელი დღით. იქნება ოპტიმისტი. ზოგჯერ შეიძლება უპასუხისმგებლო და არაპრაქტიკულიც იყოს, უჭირდეს სპონტანური გადაწყვეტილებების მიღება.

წითელი

ეს არის ფერი — სისხლის, ჯამრთელობის, ენერგიულობის და სიძლიერის. წითელი ფერის სიჭარბე იმაზე მეტყველებს, რომ უარს ამბობთ ყოველდღიური ცხოვრების წესზე; არაფრის გეშინიათ და არასერიოზულად ეკიდებით ექიმის რჩევებს.

როგორც წესი, „წითელი" ბავშვები ასევე ენერგიულები და მოუსვენრები არიან. ზრდასრულ ასაკში მიზანდასახულები ხდებიან. მათი ძირითადი საქმიანობა შემოსავლებთან იქნება დაკავშირებული.

ღია ფერები (ცისფერი, ვარდისფერი)

ტიპური „ბავშვური" ფერებია. თუ თქვენს ნახატში ეს ფერები ჭარბობს, ე.ი. ბავშვურობა დღემდე შეგინარჩუნებიათ.

ცისფერი — თავისუფლების, დამოუკიდებლობის მანიშნებელია; ვარდისფერი — სიმშვიდისა და ქალურობის სიმბოლოა. თქვენი მომავალი პატარა შესაძლოა სუსტი, უმწეო იყოს და გამუდმებით გარშემო მყოფებში ეძებდეს საყრდენს.

ლურჯი

წითლის საპირისპიროა. თქვენი პატარა გაწონასწორებული, დინჯი, თავდაჯერებული, კარგი მოსაუბრე, ასევე ძალიან მეგობრული იქნება.

იასამნისფერი

ღამის ფერია. თქვენი ორსულობა წარიმართება უცნაურად, უჩვეულოდ... დაეყრდნობით საკუთარ შეგრძნებებს და არა — ექიმის რჩევებს.

„იასამნისფერ" ბავშვებს ღრმა შინაგანი სამყარო აქვთ. თქვენი პატარა იქნება მგრძნობიარე და ყოველთვის ეცდება სხვებზე შთაბეჭდილებების მოხდენას.

მწვანე

ეს ნიშნავს, რომ თქვენ მკაცრად ასრულებთ ექიმის რჩევებს და კითხულობთ უამრავ ლიტერატურას ორსულობასთან დაკავშირებით.

„მწვანე" ბავშვები თავს ხშირად მიტოვებულად გრძნობენ და სულ თქვენი მზრუნველობის ძიებაში იქნებიან. ექნებათ შიში ცვლილებებისა და სიახლეების მიმართ.

შავი

ტკივილის ფერია, აქვს უკუჩვენება. თქვენს ნახატში შავი ფერის სიჭარბე თქვენს შიშებსა და სტრესულ მდგომარეობაზე მიანიშნებს, პატარას კი ჭირვეული და რთული ხასიათი ექნება.

რუხი

არასასურველი ფერია მომავალი დედებისთვის. ეს არის სიღარიბისა და უიმედობის მაჩვენებელი. ხშირად „ნაცრისფერი" ბავშვები ძალზე ჩუმები, სუსტები და მარტოსულები არიან. ■

ხორცი ტომატის გარნირით

მასალად საჭიროა:

1 კგ ხბოს ხორცი;
2 ს/კ ტომატის პასტა;
4 თავი ხახვი;
2 ს/კ ფქვილი;
მარილი;
ზეთი.

მომზადების წესი:

ბრტყლად, შუაზე გაჭრილი ხბოს ხორცი ჩადეთ ზეთიან, ღრმა ტაფაში და შეწვით. გააკეთეთ ტომატის სოუსი: ცალკე მოშუშეთ ხახვი ტომატის პასტასთან ერთად და დაუმატეთ მოშუშული ფქვილი. დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში და მარილი. დაჭერით ხორცი სასურველი ფორმის ნაჭრებად, დააწყვეთ თეფშზე და მოასხით მომზადებული ტომატის სოუსი. ■

რუბრიკა მოამზადა
ეკა გუნთაიმვილმა

 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Женский журнал	11.65	69.7
4. Женское здоровье	7.00	41.8
5. Сандра	4.00	24.0
6. Все для женщины	0.80	19.9
7. Гламур	7.20	43.2

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის
გავრცელების
სააგენტო
„ელვასერვისი"

ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

„ჩიკაგოს საჩხერეული“ პიჭვიშვილი და ბოგონელების ტრაგედია და სიცარული

ტკივილიც ბევრი ნახეს და ლაღი დღეებიც ჰქონდათ, სხვა ბავშვებივით ცელქობდნენ, „შატალოზეც“ დადიოდნენ, იწკეპლებოდნენ და... უყვარდათ. ჩვენს ბედს უფალი განაგებს, რა უფლება გვაქვს, ამ ცხოვრების უმადურები ვიყოთო?! — ამბობენ და ტკივილნარევი სიხარულით იხსენებენ საუკეთესო ხანას — ბავშვობას...

ირმა ხარშილაძე

ამჯერად „გზამ“ ზემო იმერეთისკენ გაუხვია და საჩხერის ილია ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის ერთი კლასის — 1965-1975 წლების კურსდამთავრებულებს — ერასტი ზაბახიძესა და კოტე მაჭავარიანს მათი ძველი, ე.წ. ბირჟის მახლობლად შეხვდა. ამ კლასში სწავლობდა ეროვნული გვარდიის საჩხერის ბატალიონის შემქმნელი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საჩხერის პირველი პრეფექტი, თავდაცვის მინისტრის მაშინდელი მოადგილე და ეროვნული გვარდიის სარდლის მოადგილე ბესიკ ქუთათელაძე, რომელიც 1992 წლის 13 ივნისს გორში რუსეთის სამხედრო ძალებთან შეტაკებისას მძიმედ დაიჭრა და 27 ივნისს გარდაიცვალა. ბატონი ბესიკი მაშინ მხოლოდ 34 წლის იყო.

ერასტი:

— გახსენებას ბესოთი დავიწყებ. პირველ სექტემბერს ის ჩვენთან ერთად არ ყოფილა, მხოლოდ მესამე კლასში შემოგვიერთდა. მანამდე, სოფელ პერევს ზემოთ, ოსებით დასახლებულ სოფელ სინაგურში სწავლობდა, რადგან მამამისი, არაჩვეულებრივი კაცი, ექიმი თენგიზ ქუთათელაძე იქ მუშაობდა და, შესაბამისად, ოჯახიც — ქალბატონი ცისანა, ვაჟებთან ერთად, იქ ცხოვრობდა. ბესო ძალიან ცელქი და ცუღლუტი იყო, სწავლაშიც ზარმაცობდა, სამაგიეროდ, კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა უყვარდა. ბატონ თენგიზს საოცარი და საინტერესო ბიბლიოთეკა ჰქონდა. ბესოს სკოლის ჩანთაში, სახელმძღვანელოების ნაცვლად, ამ ბიბლიოთეკიდან აღებული წიგნები ეწყო და გაკვეთილებზეც კი კითხულობდა ხოლმე.

ბაგონები: ერასტი და კოტე

კოტე:

— ინდიელების თავგადასავლები აინტერესებდა და მათ ცხოვრებას წიგნებიდან ეცნობოდა. საერთოდაც, თვითონ იყო თავგადასავლების მოყვარული — რას არ მოიფიქრებდა ხოლმე?! მოუსვენარი იყო.

ერასტი:

— საკმაოდ კარგად ჭიდაობდა. საქართველოს სამგზის ჩემპიონი იყო სამ სახეობაში — სამბოში, ძიუდოსა და თავისუფალ ჭიდაობაში. საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატიც გახლდათ. სხვათა შორის, თვითონაც არაერთი სახელოვანი სპორტსმენი აღზარდა.

კოტე:

— სპორტული აღნაგობაც ჰქონდა. მეტსახელად, ჯულურს ვეძახდით, მსახიობ გოიკო მიტიჩს ვამსგავსებდით — მისი გმირივით დახტოდა ხეებზე.

ერასტი:

— სკოლიდან ერთად მოვდიოდით ხოლმე: მე, ბესო, სიმონ დუშუაშვილი, კოტე, ზაქრო თუშიშვილი; მერე, გზის გასაყართან მე და ბესო დანარჩენებს ვემშვიდობებოდით და მცირე მანძილს მარტო გავდიოდით. ბესოს თავისი ეზოს ზემოთ საგანგებოდ ეყარა ნახერხი და „ტატამი“ მოეწყო. იქ ავდიოდით ხოლმე და ვითომ მისი მუთაქა ვიყავი, მაბურთავებდა და ჩემზე ვარჯიშობდა (*იცინის*).

— ემორჩილებოდით?

— ვეჭიდავებოდი, მაგრამ ბესოს რას დავაკლებდი?! ჩემზე ბევრად ღონიერიც იყო და მოქნილიც... ბავშვობაში კიდევ, მახსოვს, „კაკლაობა“ გვიყვარდა — რამდენიმე კაკალს დავაწყობდით და შორიდან დამიზნებით სხვა კაკალს ვესროდით; ვინც მეტს მოარტყამდა, გამარჯვებულიც ის იყო. ჩვენი სკოლის გვერდით ცხოვრობდა თედო ბაბუა, რომელსაც ეზოში ვეებერთელა კაკლის ხე ედგა. მისი კაკალი ამ თამაშისთვის ეშმაკი იყო. დავაწყობდით მისი სახლის წინ ჩანთებს და ვიწყებდით თამაშს. როცა გვიგებდა, კაკლებით უბეს აივსებდა, ვითომ სასროლად მოემზადებოდა, ყურადღებას მოგვიდუნებდა, მერე მოსწყდებოდა ადგილს და შინისკენ გარბოდა: იცოდა, ბესო მაინც წაართმევდა მოგებულ კაკლებს (*იცინის*)... კიდევ, მთელი დღის განმავლობაში ქამრებით „ლახტს“ ვთამაშობდით. ახლა ეს თამაში აღარც ახსოვთ. ბავშვებმა კი არც იციან, „ლახტი“ რა არის. ჩემს სახლთან სტადიონი ადრეც იყო. უფროსები ფეხბურთს რომ თამაშობდნენ და ბურთი გადაუვარდებოდათ, ერთი სული მქონდა, გავქცეულიყავი და მომეტანა — ამით მათდამი პატივისცემას გამოვხატავდი. ახლა, ჩვენ რომ ვთამაშობთ და ბავშვს სთხოვო, ბურთი გადამივარდა და მომიტანეო, შემოგაგინებს და გაგლანძღავს — სხვანაირი ცხოვრება მოვიდა.

— ვისი ბრალია ეს?

— ცხოვრების. ჩვენ რაც „დაგვიწერეს“, ის ვისწავლეთ, ახლა ბავშვებს რასაც „უწერენ“, იმას სწავლობენ. ცოტათი ოჯახიცაა დამნაშავე, თუმცა არა მგონია, ოჯახში არიგებდნენ, ცუდად მოიქეცი. განსხვავება ის არის, რომ ჩვენ ჩაკეტილ სივრცეში ვცხოვრობდით, ამ ბავშვებს ინფორმაციაც მეტი აქვთ და გამოხატვის საშუალებაც. თავისუფლებაც სხვაგვარად გაიგეს.

— მოდი, ისევ სკოლას დავუ-

ბესიკ ქუთათელაძის დღიურიდან:

„გენიოსი“ მკვდარი ჭკვიანის სახელია, ცოცხალი გენიოსი ჯერ არ შემხვედრია, ადამიანი საინტერესო, სიკვდილის შემდეგ უფრო ხდება... რატომ?...“

ბრუნდეთ. გაკვეთილებს ხშირად აცდენდით?

— ძალიან ხშირად. ბიჭების უმრავლესობა ფეხბურთს ვთამაშობდით. ბესოს კი ფეხბურთის თამაშს ვერ აიძულებდი, ძალიან არ უყვარდა თამაში. მახსოვს, მეექვსე კლასში ვსწავლობდით და „ტყავის ბურთის" ტურნირი თამაშდებოდა. უბნების მიხედვით დაგვყვეს და ბესო მოწინააღმდეგე გუნდში აღმოჩნდა: თამაში არც იცოდა, მაგრამ მოთამაშე დააკლდათ და დაცვაში დააყენეს. შეტევაზე გადავედით, კარისკენ დავარტყი, მეკარემ ბურთი დაიჭირა, მაგრამ ხელიდან გაუვარდა, ამ დროს მცველმა ბესომ მოჰკიდა ბურთს ხელი და მეკარეს მიაწოდა — აჰა, დაიჭირეო (*იცინის*)... კიდევ მახსოვს, აქვე, ცენტრალურ ქუჩაზე (მაშინ — ოქტომბრის, ახლა — თავისუფლების ჰქვია) ღია კაფე იყო და ხაჭაპურის საჭმელად დავდიოდით ხოლმე, მოკლედ, ბირჟა გვქონდა.

ბესოს რას დაეკლებდი?! ჩემზე ბევრად ლონიერიც იყო და მოქნილიც...

კოტე:

— გაკვეთილებს რომ ვაცდენდით, მოდინახეს ციხეზე ავდიოდით. ხანდახან დასვენებაზეც კი ვასწრებდით იქ ასვლას — სიგარეტს ვეწეოდით. ბესო სულ ჩვენთან ერთად იყო, თუმცა სიგარეტს საერთოდ, არ ეწეოდა. სხვათა შორის, არც სვამდა. რალაცნაირად, გამორჩეული ბიჭი იყო. აქვე, „ებრაელების უბანში" ავდიოდით ხოლმე სიგარეტის საყიდლად და სულ გვეჩხუბებოდა, — ნუ ეწევითო! მაინც თან დაგვყვებოდა, აბა, კლასში ხომ არ დარჩებოდა! მერე გვეტყოდა ხოლმე, — წამო, კოლექტივის (*კოლმეურნეობის. — ავტ.*) ყურძენი მოვიპაროთ, დააყოლეთ, რომ სახლში არაფერს მიგიხვდნენო.

— ისე, მშობლებს თუ დაუჭერიხართ სიგარეტის მოწევისას?

— ბევრჯერ. დედა ფიცხი მყავდა, თუ დამეწეოდა, აუცილებლად შემომკრავდა, მაგრამ საქმეც ის იყო, რომ სირბილში ვერ მჯობნიდა, ამიტომ არც მხვდებოდა (*იცინის*).

ერასტი:

— მე კი ბევრჯერ მომხვედრია წკეპლა...

— მასწავლებლებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

კოტე:

— მაგალითად, ცელქი და მოუსვენარი ბესო მასწავლებლებს მაინც ძალიან უყვარდათ, რადგან იცოდნენ, რომ კარგი ადამიანი იყო.

ერასტი:

— ერთი ხნიერი მასწავლებელი გვყავდა, ქალბატონი ფაცა ლეჟავა, ისტორიას გვასწავლიდა. ის და ბესო სულ კამათობდნენ, არც ერთი არ თმობდა პოზიციას. ფაცა მასწავლებელი გამოიძახებდა გაკვეთილის მოსაყოლად, ბესო კი სხვა ამბის მოყოლას იწყებდა. გიჟდებოდა ქალი (*იცინის*). თან ბესოს მამა — თენგიზ ბიძია, ფაქტობრივად, დისიდენტი იყო, თავისი დღე და მოსწრება, კომუნისტების საწინააღმდეგოს ლაპარაკობდა და შვილსაც ამ იდეოლოგიით ზრდიდა. პატრიოტი იყო და მასაც ამას ასწავლიდა, ამიტომ აპროტესტებდა ბესო საბჭოთა კავშირის ისტორიის გაკვეთილს.

— სამშობლოზე, თავისუფლებაზე ერთმანეთთან საუბრობდით ხოლმე?

კოტე:

— მაპატიეთ ამ სიტყვისთვის და, ვერ „გავაჩეთ" იმ დონემდე, რომ დავმსხდარიყავით და გვესაუბრა, გვემსჯელა ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და თავისუფლებაზე. ძალიან ვავიან მოვედით აზრზე, თუმცა მთავარია, რომ მოვედით...

ერასტი:

— თანაც, მეცხრე კლასიდან ბესო ჩვენგან წავიდა, თბილისში, მანქანათმშენებლობის ტექნიკურ სასწავლებელში, საავიაციო ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. ანუ იმ ასაკში, როცა შეგვეძლო ასეთ თემებზე დაფიქრება და საუბარი, ბესო ჩვენთან აღარ იყო...

— აი, სიყვარულზე კი ნამდვილად მოასწრებდით ლაპარაკს, არა?

— ბესიკს გოგოსკენ ვერც გაახედებდი, მით უმეტეს, სიყვარულზე არ დაილაპარაკებდა. მაგას მხოლოდ თოფი, ცხენები, ნადირობა და ტყე-ტყე სირბილი უყვარდა.

— მოკლედ, მართლა ინდიელი ყოფილა, ოღონდ — ქართული სულით.

კოტე:

— თოფს თვითონაც კი აკეთებდა... რალაც, სხვანაირად კარგი ბიჭი იყო (*ჩაფიქრდა*).

— სხვადასხვა ქალაქში სწავლამ არ დაგაცილათ ერთმანეთს?

ერასტი:

— რას ამბობთ?! ბოლომდე დიდ მეგობრებად დავრჩით. ჩვენი შვილებიც ერთ კლასში სწავლობდნენ და დღემდე ძალიან მეგობრობენ, ნათელ-მირონითაც კი დაუკავშირდნენ ერთმანეთს.

— სკოლის გამოსაშვებ ბანკეტზე ბატონი ბესო არ მოიწვიეთ?

— ბანკეტი საერთოდ, არ გვქონია. ბოლოს თითქმის დაგვშალა კლასი — ებრაელები გვყავდნენ და ისინი ისრაელში წავიდნენ. ცოტანი დავრჩით. წლების შემდეგ კი შევიკრიბეთ, მაგრამ ბესო არ ყოფილა. მერე კი, ისეთი ტკივილიანი გახდა ჩვენი ცხოვრება, — 6 თანაკლასელი ბიჭი დაგვეღუპა. ბანკეტის განწყობილება საერთოდ, აღარ გვქონდა.

— დღეს ბატონი ბესო რომ ცოცხალი იყოს, სად იქნებოდა და რას გააკეთებდა?

— რა თქმა უნდა, სამშობლოს სამსახურსა და საქართველოს სიყვარულში ამოხდებოდა სული.

კოტე:

— მისი ცხოვრების მიზანი ეს იყო. ჯარისკაცად დაიბადა და...

ერასტი:

— ნეტავ, ჩვენს თანაკლასელ ფატი დუშუაშვილს მოეცალა: რამდენ რამეს გაიხსენებდა! — კლასში, ალქაჯებსა და ახტაჯანებს რომ ეძახიან, ისეთი გოგო იყო (*იცინის*), ახლაც ძალიან ვაუკაცურია.

— ყველა თანაკლასელი გახსოვთ?

— როგორ არ გვახსოვს?! შეიძლება, ჟურნალის სიას ვერ მივყვე, მაგრამ ყველას სახელი და გვარი მახსოვს (და სწრაფად იწყებს ჩამოთვლას): აბრამიშვილი ლამარა, აბრამიშვილი ზაქრო, გაბაძე ბადრი, ტყუპი და-ძმა დუშუაშვილი, გელბახიანი ფოთოლა, გულისაშვილი დარეჯან...

კოტე:

— ერთმანეთთან ყველას გვაქვს ურთიერთობა, ტელეფონით მაინც ვეხმიანებით, ვიგებთ, რა უჭირთ და ულხინთ.

P.S. ბესიკ ქუთათელაძის დღიურიდან: „როგორც რიგით საჩხერელ კაცს, როგორც დროებით მოსულს ამქვეყნად, რომელსაც სულაც არ აქვს სურვილი, დიდხანს ივჯდეს იმ სავარძელში, რომელმაც შეიძლება ადამიანი გადააგვაროს... ის მამხნევებს, რომ ეს დროებითია და დადგება დრო, როცა მე ჩემს საქმეს დავუბრუნდები. მე ახლა არ ვიცი, რამდენი მამხნევებს და რამდენი მაქებს, იქ კი, სპორტულ დარბაზში, დარწმუნებული ვიყავი, რომ 30 მოსწავლიდან 25-ს მაინც ძმასავით ვუყვარდი, ასეთ სიყვარულს ქვეყნად ვერაფერი შეედრება..." ■



გია ყარყარაშვილთან ერთად

ტყუპისცალის ნაცვლად მისახლელი ცხრაწლიანი სასჯელი

2005 წლის 29 იანვარს, საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში მცხოვრები ამირან მეურმიშვილი მისმა შეზარხოშებულმა სტუმარმა დანით დაჭრა. დაჭრილი, საგარეჯოს რაიონულ საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა.

საქმე განზრახ მკვლელობის — 108-ე მუხლით აღიძრა და წლისა და 8 თვის შემდეგ, სამართალდამცველებმა დანაშაულში ეჭვმიტანილი, ლაგოდეხის რაიონის სოფელ თელას მკვიდრი, 1978 წელს დაბადებული ავთანდილ ტეფნაძე დააკავეს. 2007 წლის 2 მაისს, საგარეჯოს რაიონულმა სასამართლომ ავთანდილ ტეფნაძე დამნაშავედ ცნო და სასჯელად, 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. დაცვის მხარემ განაჩენი ჯერ სააპელაციო, შემდეგ კი უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა.

ნანა ფიცხელაური

მსჯავრდადებულ ავთანდილ ტეფნაძეს ჰყავს ტყუპისცალი ძმა — ტარიელი, რომელიც დღემდე ამტკიცებს, რომ მკვლელობა მისი ჩადენილია, მაგრამ სიმართლის დასადგენად, რატომღაც, ის არც ერთ სასამართლო სხდომაზე არავის დაუკითხავს.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, 2005 წლის 29 იანვარს, დაახლოებით 16 საათზე საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში მცხოვრებ ამირან მეურმიშვილთან სახლში სტუმრად იმყოფებოდნენ: მისი მეგობარი ალექსანდრე ჯიღაური, მეზობელი თემურ პაპუაშვილი და ნაცნობი ტარიელ ტეფნაძე მის ტყუპისცალ ძმასთან — ავთანდილთან და ვინმე ლაშასთან ერთად. ზემოთ ჩამოთვლილი პირები სუფრასთან ისხდნენ და ალკოჰოლურ სასმელს სვამდნენ. ამირან მეურმიშვილს სიტყვიერი შელაპარაკება მოუხდა ავთანდილ ტეფნაძის მეგობარ ლაშასთან, რომელსაც ხელი გაარტყა, რის შედეგადაც ის იატაკზე დაეცა. მისი თანმხლების შეურაცხყოფით განაწყენებულმა ავთანდილ ტეფნაძემ მეურმიშვილის მოკვლა განიზრახა და მას დანა რამდენჯერმე ჩაარტყა. ამირან მეურმიშვილი საგარეჯოს საავადმყოფოში გადაიყვანეს. იგი გარდაიცვალა.

საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის განაჩენით, სასამართლომ გამოძიების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით წარდგენილი ბრალდება დადასტურებულად მიიჩნია და ავთანდილ ტეფნაძეს სასჯელის ზომად, 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა, რომლის 2007 წლის 3 სექტემბრის განაჩენით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა. დაცვის მხარემ საქმე საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მაისის განჩინებით, განაჩენი კვლავ ძალაში დარჩა. როგორც წესი, უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და აღარ საჩივრდება.

ავთანდილ ტეფნაძის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა, ბატონმა ზურაბ როსტიაშვილმა დაახლოებით ერთი თვის წინ საჩივრით ევროსასამართლოს მიმართა.

— ბატონო ზურაბ, რაში გამოიხატა ის, რომ ავთანდილ ტეფნაძის მიმართ მართლმსაჯულება უსამართლო და მიკერძოებული იყო?

— ავთანდილ ტეფნაძის მიმართ დაირღვა კონვენციის ნორმის მოთხოვნები. სასამართლომ საქმის განხილვისას, ასევე დაარღვია ქვეყნის ძირითადი კანონი — კონსტიტუცია და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ფუძემდებლური ნორმები. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებს ავთანდილ ტეფნაძის მიერ დანაშაულის ჩადენას. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ა. ტეფნაძის ჩვენება მისი უდანაშაულობის შესახებ და განაჩენში აღნიშნა, მსჯავრდადებულის ჩვენება იმის შესახებ, რომ ა. ტეფნაძე არ ემალებოდა გამოძიებას, არ იცოდა, რომ იძებნებოდა, მოკლებულია დამაჯერებლობასო. სასამართლო აღნიშნავს, თითქოს საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ საგარეჯოს და სიღნაღის რაიონული პროკურატურებისა და შს ორგანოების მუშაკებმა გაატარეს მთელი რიგი ღონისძიებები, მაგრამ ტეფნაძის ადგილსამყოფელი ვერ დაადგინდა. ამ მსჯელობით, სასამართლო იყო მიკერძოებული და უსამართლო მის მიმართ, ვინაიდან კანონი ა. ტეფნაძეს არ ავალდებულებდა, გამოცხადებულიყო სამართალდამცავ ორგანოებში. იგი არც იყო ვალდებული, ეკითხა, რა მოუვიდა მეურმიშვილს, რადგან მას ბრალი არ მიუძღოდა დაზარალებულის წინაშე. მაგრამ მაინც, სასამართლომ ტეფნაძის სამართალდამცავ ორგანოებში გამოუცხადებლობა მის საწინააღმდეგოდ გამოიყენა.

— გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის დროს, რას დაეყრდნო და ვისი ჩვენებები გაიზიარა სასამართლომ?

— სასამართლო მარტოოდენ ალ. ჯიღაურის ჩვენებას დაეყრდნო. განაჩენში აღნიშნულია, რომ მოწმე ჯიღაურმა, როგორც წინასწარ გამოძიებაში, ასევე სასამართლო გამოძიებისას განმარტა: დაზარალებულს დანას ა. ტეფნაძე ურტყამდა, ხოლო თავად ამ დროს მის გვერდით მჯდომ ტარიელ ტეფნაძესთან საუბრობდა.

— ცნობილია, რომ ძმებს შორის დიდი მსგავსებაა. შეეძლო თუ არა ჯიღაურს, ტარიელი და ავთანდილი ერთმანეთისგან გაერჩია?

— ეს თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ჯიღაური ირწმუნება, რომ შეუძლია ძმების ერთმანეთისგან გარჩევა. სასამართლომ რეალურად, არ შეაფასა მოწმე ჯიღაურის ჩვენებები და იყო მიკერძოებული ბრალდების სასარგებლოდ. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ჯიღაური კონფლიქტის დაწყების დროს მთვრალი იყო (ჯერ არაყი დალია, შემდეგ — ღვინო), აქედან გამომდინარე, მას გაუჭირდებოდა მოვლენების აღქმა, დამახსოვრება და გადმოცემა, რაც აშკარად ჩანს მის ჩვენებაში. დანის დარტყმამდე ტარიელ ტეფნაძემ მეურმიშვილს უთხრა: „ჭიქა შეავსე, ბიჭო!" — შემდეგ, მეურმიშვილს ლაშასთვის მუშტი დაურტყამს. ამის მომსწრე ა. ჯიღაური გულხელდაკრეფილი არ უნდა მჯდარიყო და არ უნდა ესაუბრა ტარიელ ტეფნაძესთან, არამედ უნდა წამომდგარიყო მათ გასაშველებლად. ამრიგად, ა. ჯიღაურის ჩვენების ეს ნაწილი არადამაჯერებელია. ჯიღაურს არ ახსოვს, ვინ წაიყვანა მეურმიშვილი საავადმყოფოში, ვინაიდან უგონოდ მთვრალი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ემახსოვრებოდა. მოწმე ჯიღაური განმარტავს, რომ ვერ გაიგო, რის საფუძველზე დაიწყეს მეურმიშვილმა და ლაშამ ჩხუბი, რა უთხრეს ერთმანეთს. მან მხოლოდ მათი ფეხზე წამოდგომა დაინახა, მაშინ, როდესაც მოქეიფენი ერთ პატარა ოთახში ისხდნენ. ჯიღაური ვერ განმარტავს, როდის ამოიღო და გახსნა დანა ა. ტეფნაძემ. ის ამბობს, რომ დაინახა, როგორ ურტყამდა დანას ა. ტეფნაძე, მაგრამ სად დაარტყა, არ დაუნახავს. თუ მან დანის დარტყმის მომენტი დაინახა, ისიც უნდა შეემჩნია, სხეულის რომელ ნაწილში ურტყამდა ნაქცეულს. მას არც ის ახსოვს, დაზარალებული პირქვე იწვა თუ — გულაღმა. ამდენად, ჯიღაურის ჩვენება დამაჯერებლობას მოკლებულია და იგი სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. ჯიღაური აღნიშნავს, რომ ა. ტეფნაძე სიმაღლით 172 სმ-ია, თაფლისფერი თვალები აქვს და იმერულ კილოზე ლაპარაკობდა. ამოცნობის ოქმის მიხედვით კი ტეფნაძე არის 185 სმ. მოწმე ჯიღაური, ფაქტობრივად, ვერ აღწერს ავთანდილის გარეგნობას. სასამართლოში დაკითხვისას, ჯიღაურმა აღნიშნა, რომ არ ახსოვს, თუ სუფრაზე რაზე საუბრობდნენ. როდესაც სიტუაცია დაიძაბა — ა. მეურმიშვილმა ხელი გაარტყა ლაშას და შემდეგ კვლავ გაიწია მისკენ, ჯიღაურმა მაგიდა ააყირავა და გარეთ გავიდა. ასეთ ვითარებაში, ჯიღაურს როგორ უნდა დაენახა დანის დარტყმის მომენტი?! როგორც აღნიშნა მან მხოლოდ დანიანი ხელის მოქნევა დაინახა, დანარჩენი — არ ახსოვს.

— ვინ არის ლაშა და თუ დაიკითხა ის სასამართლოზე?

— გამოძიება ლაშას პიროვნებით არ დაინტერესებულა. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულმა ავთანდილ ტეფნაძემ დასახ-

ელა მისი ვინაობა, ადგილსამყოფელი — რუსთავში ცხოვრობს ამა და ამ ადგილსაო. როცა ასეთი მძიმე დანაშაული ხდება, ყველა დეტალს აქვს მნიშვნელობა. დანაშაული თუ მართლა ა. ტეფნაძემ ჩაიდინა, ეს ლაშასაც უნდა დაედასტურებინა. მას მართლა რომ მოეკლა მეურმიშვილი, ტეფნაძე ლაშას ვინაობას არ გაამხელდა. ეს ფაქტიც მის უდანაშაულობაზე მეტყველებს — რატომ მოიტანდა იგი თავის საწინააღმდეგო, ზედმეტ მტკიცებულებას?.. მიუხედავად ამისა, გამოძიებას, შემდგომ კი — პროკურატურას ამაზე რეაგირება არ მოუხდენია.

— ტარიელ ტეფნაძე რას წერდა ჩვენებაში?

— როდესაც წინასწარი გამოძიებისას, ტყუპისცალი დაიკითხა, მან უარყო საგარეჯოში ყოფნა და იმ ოჯახთან ნაცნობობა, შესაბამისად — დანაშაულიც. საბრალდებო დასკვნის დამტკიცებისას, ტეფნაძის ადვოკატმა არაერთხელ დააყენა საკითხი ტარიელთან დაკავშირებით, მაგრამ ის არავის დაუკითხავს. ტ. ტეფნაძე თავს იკლავდა — მეურმიშვილი ჩემი მოკლულია, მე ვარ დამნაშავე და დამკითხეთო. მან პრეზიდენტსაც კი მისწერა წერილი, რომ დანაშაული ჩაიდინა და მის ნაცვლად, ძმა იყო პასუხისგებაში მიცემული, მაგრამ ამაოდ — ყური არავის შეუბერტყავს.

— გამოძიებამ თუ განმარტა, რა მოტივით არ დაიკითხა ტარიელ ტეფნაძე, მისივე დაკინებული თხოვნის მიუხედავად?

— ტარიელ ტეფნაძე არც ერთმა სასამართლომ არ დაჰკითხა. სააპელაციო სასამართლო განაჩენში აღნიშნავს, რომ ტარიელ ტეფნაძემ წინასწარი გამოძიების დროს ჩატარებული დაკითხვისას უარყო მის მიერ დანაშაულის ჩადენა. შემდეგ, გაურკვეველი მიზეზების გამო, მოითხოვა დაკითხვა, რათა სასამართლოსთვის განემარტა, რომ მკვლელობა მისი ჩადენილი იყო. სასამართლოს აზრით, ტ. ტეფნაძემ თავის განცხადებაში ვერ ახსნა, თუ რამ გამოიწვია მის მიერ ჩვენების რადიკალურად შეცვლა. თუნდაც სწორედ ამის გამო უნდა დაეკითხათ ტარიელ ტეფნაძე. ძმის დაკითხვას ითხოვდა ავთანდილ ტეფნაძეც. ადვოკატმაც დააყენა შუამდგომლობა ამ მოთხოვნით, მაგრამ ის არ დაკმაყოფილდა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლი სასამართლოს და გამოძიებას ავალდებულებს საქმის გარემოებათა ყოველმხრივად ობიექტურ და სრულყოფილ გამოკვლევას. არც სასამართლომ და არც გამოძიებამ ამ მუხლის მოთხოვნა არ შეასრულეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავთანდილ ტეფნაძის უდანაშაულობა დადგინდებოდა. ბრალდების მხარემ მოწმის დასაკითხ პირთა სიაში თვითმხილველი ტარიელ ტეფნაძე არ მიუთითა, სასამართლომ ამ გარეშოებას ყურადღება არ მიაქცია. ამდენად, სასამართლო მიკერძოებული იყო ტარიელ ტეფნაძის მიმართ. სასამართლო აღნიშნავს, რომ ტ. ტეფნაძე სააპელაციო სასამართლოში არ გამოცხადდა. გაურკვეველი რჩება, საიდან იცის სასამართლომ, გამოცხადდა თუ არა ტ. ტეფნაძე, როცა იგი არ იყო სხდომაზე გამოძახებული?!.

— წინასწარი გამოძიებისას დაკითხვის დროს რას ამბობდა ტარიელ ტეფნაძე?

— მან აღნიშნა, რომ ის და მისი ძმა ძალიან ჰგვანან და ამხანაგებს ხშირად ერეოდნენ ერთმანეთში. ის აცხადებდა, რომ ავთანდილ ტეფნაძესთან ერთად, საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში არ ყოფილა, არც ვინმე მოუკლავს, ხოლო შემთხვევის დროს ყაზახეთში იმყოფებოდა. მან ასევე აღნიშნა, რომ კაკაბეთში არასდროს ყოფილა და არ იცნობს თეასა და თემურ პაპუაშვილების ოჯახს. საქმის მასალების მიხედვით კი, ტარიელ ტეფნაძე იმ დღეს მეურმიშვილის ოჯახში იმყოფებოდა, შეიარა ასევე პაპუაშვილის ოჯახში, თეას დაბადების დღეზე. საქმის მასალების მიხედვით, ჩხუბის ინიციატორი იყო მეურმიშვილი, რომელმაც დაარტყა და წააქცია ლაშა. სასამართლო აღნიშნულ ფაქტებს არ აანალიზებს. კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით ჩატარდა ავთანდილ ტეფნაძის ამოცნობაც: ამოსაცნობი პირებიდან, ზოგს თავი აქვს გადაპარსული, ზოგს — არა, ზოგი დაბალია, ზოგი — მაღალი. არც ერთმა სასამართლომ ამას ყურადღება არ მიაქცია. ამ საქმეში სულ ახლახან ჩავერთე. ტეფნაძის ადვოკატს ამოცნობის ოქმზე გაკეთებული აქვს შენიშვნა — დარღვევების შესახებ. მანვე სასამართლოში დააყენა შუამდგომლობა, ამ ოქმის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ, რაც არ დაკმაყოფილდა. მსჯავრდადებული ავთანდილ ტეფნაძე და მისი ძმა ტარიელ ტეფნაძე ერთმანეთს რომ ჰგვანან, ეს მოწმე თემურ პაპუაშვილის სასამართლოსთვის მიცემული ჩვენებიდანაც ჩანს: ის განმარტავს, რომ განსასჯელი — ტარიელ ტეფნაძეა. მისი ჩვენებით, ეს ძმები ერთად რომ დააყენონ, მათ გარჩევას ვერ შეძლებს. პროკურორმა, თეა პაპუაშვილის (რომელიც შემთხვევის თვითმხილველი არ იყო) იძულებით წარმოსადგენად, დრო მოითხოვა. სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის მოთხოვნა, რის გამოც, საქმის განხილვა გადაიდო. ტარიელ ტეფნაძე კი, რომლის წარდგენის არანაირი პრობლემა არ იყო, სასამართლომ არ დაჰკითხა. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ როგორც თემურ პაპუაშვილი, ასევე ალექსანდრე ჯილაური, უგონოდ მთვრალები იყვნენ. თეას განმარტებით, თემურს მისთვის შემთხვევის შესახებ არაფერი უთქვამს, ვინაიდან ძალზე მთვრალი იყო და არაფერი ახსოვდა. თეა პაპუაშვილის მიერ სასამართლოზე მიცემული ჩვენებით, ტარიელ ტეფნაძესა და ამირან მეურმიშვილს კამათი მის გამო მოუვიდათ. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში აღნიშნულია, რომ საქმეში არსებობს ტარიელ ტეფნაძის ხელწერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ა. მეურმიშვილი ავთანდილმა მოკლა. სასამართლომ ტ. ტეფნაძის ხელწერილი მტკიცებულებად გამოიყენა, კანონის მიხედვით კი ხელწერილი მტკიცებულებას არ წარმოადგენს. სასამართლო სხდომაზე ავთანდილ ტეფნაძემ განმარტა, რომ მისი ძმა ტარიელი თბილისში მის სახლში მივიდა; ამ დროს მასთან იმყოფებოდნენ სტუმრები, ვისი თანდასწრებითაც, ტარიელმა თქვა, რომ მკვლელობა ჩაიდინა. საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, სასამართლომ ისინი მოწმის სახით არ დაჰკითხა. ავთანდილ ტეფნაძის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი იმაზე მიუთითებს, რომ სასამართლ. , მის მიმართ იყო უსამართლო და მიკერძოებული — ბრალდების სასარგებლოდ. ჩვენ დოკუმენტაცია გავგზავნეთ სტრასბურგის სასამართლოში და იმედი გვაქვს, ის მაინც იქნება ობიექტური და მიუკერძოებელი და, ბოლოს და ბოლოს, სიმართლე ამ საქმეში დადგინდება. ■

იმერული მგზავრული

გელა კორძაძე

სიმართლე გითხრათ, ავტობუსით მგზავრობა არ მხიბლავს, მაგრამ ამ რამდენიმე დღის წინ, მე და ჩემი მეგობარი იმერეთის ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელში (ჩემი მეგობარი იქაურია) ვიყავით, მანქანა გაგვიფუჭდა და იძულებული გავხდით, ქუთაისამდე საბჭოური წარმოების „პაზიკით“ გვემგზავრა. ასეთი ავტობუსები ქუთაისის ავტოსადგურზე უამრავია. უმრავლესობა დანიშნულების ადგილამდე 2 საათის დაგვიანებით, ხანდახან კი საერთოდაც ვერ მიდის ერთადერთი მიზეზის გამო — მოძველდა და ადვილად ფუჭდება. გამკითხავი და მგზავრების კომფორტის შექმნაზე მზრუნველი კი იმერეთში არც არავინ ყოფილა და ალბათ, კარგა ხანს არც არავინ იქნება. ამ პრობლემას ჩვენ სხვა დროს აუცილებლად დავუბრუნდებით, მანამდე კი მოგითხრობთ ამბავს, რომელიც იმ ავტობუსში მოხდა, რომლითაც მე და ჩემმა მეგობარმა ვიმგზავრეთ ქუთაისამდე.

ავტობუსში ხალხზე მეტი ბაზარში გასაყიდად გამზადებული პროდუქტი იყო. ადგილი მოვძებნე და იმერული იუმორის მოლოდინში, სმენა დავძაბე. ლოდინი დიდხანს არ დამჭირვებია. ოცი მეტრი არ გვექნებოდა გავლილი, ავტობუსმა დაიხროტინა და გაჩერდა. მძღოლმა ერთი ლაზათიანად შეიკურთხა და ძრავაში ჩაძვრა.

— ელდარია, გააღე უკანა კარი, პაპიროსს მაინც მოვწევ! — დაიძახა უკანა კართან მდგომმა შუახნის მამაკაცმა.

— ბონდოია, აგი ავტობუსი ქუთაისამდე რამდენჯერაც გაფუჭდება, იმდენი ღერი პაპიროსი თუ მოსწიე შენ, კარგად გექნება საქმე ფილტვებში, — გაიკრიჭა წითური, რომელიც ბოლო სკამზე იჯდა. ჩემდა გასაკვირად, ელდარმა ავტობუსი მალე გააკეთა და დავიძარით. ნელ-ნელა ავტობუსიც შეივსო.

— ჯუმბერია, გამაგებინა ნეტავი, რას მეხუტები?! — გაკაპასდა ჩასუქებული ქალბატონი მის უკან მდგარ სამოციოდე წლის კაცზე.

— როცა მინდოდა, მაშინ არ ჩამახუტებინე თავი და ახლა, გინდა, შენ ჩაგხუტებივარ და გინდა, რომანია ელექტრიკმა რომ „სტოლბა“ დაასო წყაროსთან, იმას — გაეხუმრა ჯუმბერი.

— შაქროია, ბაზარში არაფერი მიგაქ და სად მიხვალ? — იკითხა ვიღაცამ.

— შაქარი მინდა ვიყიდო, — უპასუხა შაქრომ.

— მერე, ჩვენი სოფლის მაღაზიაში ვერ იყიდე? — ისევ დაინტერესდა ვიღაცა.

— ჩვენი სოფლის მაღაზიაში თურქული შაქარია, მე კი რუსული მინდა, — გამოაცხადა შაქრომ, რამაც ავტობუსში ჩოჩქოლი გამოიწვია.

— შენ, კაცო, ამ ქვეყანაში არ ცხოვრობ? სადღა შემოდის პროდუქტები რუსეთიდან?! — გაიკვირვა პირველ სკამზე მჯდომმა ქალბატონმა.

— საერთოდ არაფერი შემოდის? — გულწრფელობა დაეტყო ხმაში შაქროს.

— კი. ტანკები შემოდის ბლომად, — სრული სერიოზულობით განაცხადა წითურმა. თუმცა მის ნათქვამს აქა-იქ ქირქილი მოჰყვა.

ვიფიქრე, წითურის ნათქვამი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე პოლემიკას წარმოშობდა, მაგრამ შევცდი. ავტობუსმა „იამკაში“ მთელი ძალით ჩაარტყა და საუბარი სხვა პრობლემას დაეთმო.

— კი, მარა გზას გაგიკეთებთო, რომ დაგვპირდნენ, რატომ არ ვითხოვთ პასუხს? — დასვა რიტორიკული შეკითხვა მალალმა, სათვალიანმა მამაკაცმა.

— ვის მოვთხოვოთ პასუხი, ჩვენ არ ვიცით და შენ თუ იცი, გაგვიმხილე შეკაცო, — გამოეპასუხნენ წინა რიგიდან. ეტყობა, ელდარი გრაფიკიდან ამოვარდა და სიჩქარეს უმატა; პარალელურად, „იამკაში“ ხტუნვაც მოხშირდა.

— ელდარია, ნუ ახტუნებ მაგ მანქანას თვარა, რაუდენიე მონადირე ცხოვრობს მაქანე, შენი მანქანა კენგურუ ეგონება და დაგვიშენს ჟაკანის ტყვიებს, — დაიძახა ვიღაცამ. უეცრად „პაზიკი“ ერთი შეხტა და იმხელა „იამკაში“ ჩავარდა, თხილის ტომრები თავზე დაგვაცვივდა. ჩემ გვერდით მჯდომ მოხუც კაცს სახეზე ლურჯმა ფერმა გადაჰკრა და მანამდე რომ ხმას არ იღებდა, უეცრად მომიბრუნდა და მკითხა:

— ცოლშვილიანი ხარ ბაბუ?

— არა, არ ვარ, — ვუპასუხე ამ მოულოდნელი შეკითხვით გაკვირვებულმა.

— ჰოდა, წინ უფრო დიდი „იამკებია“ და გირჩევნია, ფეხზე დადგე, — დამმოძღვრა მოხუცმა.

ამ დროს, მის გვერდით მჯდომმა, ახალგაზრდა წვერიანმა მამაკაცმაც ამოიღო ხმა:

— ნელა თუ ძმა ხარ! — დაუყვირა მძღოლს. ელდარი გაბრაზდა და ყვირილითვე უპასუხა:

— შენ ჩემზე მეტად განაღვლებს ჩემი მანქანა, ვითომ?!

— შენს მანქანას რას დავეძებ, მამა დავასაფლავე გუშინწინ, ახალი ჩასულია ქვევით და ნელა ჩაარტყი მაგ „იამკაში“, შეეშინდება საწყალს.

ავტობუსი ხარხარმა შეაზანზარა.

ამ ხორხოცში, წითურის ხმა ალარ ისმოდა, რამაც მგზავრთა ინტერესი გამოიწვია:

— ვაჟაია, რატომ არ იღებ ხმას? ენა ხო არ მოგეჭეჭკა?

— სჯობდა, ენა მომჭეჭკოდა... დამიჯერებს ღამე ცოლი, ავტობუსმა ჩაარტყა „იამკაში“ და იმის ბრალია თქვა, რომ ვუთხრა? — საწყალი ხმით იკითხა წითურმა. ავტობუსში ხარხარი გაგრძელდა.

— ჟუჟუნა, რაი მიგაქ გასაყიდად, თუ ისე მიდიხარ, ფასების გასაგებად? — ჰკითხა თხილის ტომარაზე მოკალათებულ ქალს გვერდით მჯდომმა ქალმა.

— ყველი მიმაქ ჟენია, ყველი. ტყულა რა მინდა ბაზარში. — უპასუხა ჟუჟუნამ.

— რა სინდისით წველი შენს ძრ ოხას, ჟუჟუნა?! — ეს უკვე წითური იყო.

— ვითომ, რატო არ უნდა მოვწველო, ვაჟაია ენაგასახმობო? — წყევლა გამოურია ჟუჟუნამ.

— რატო და გუშინ ვნახე მდინარის პირას, იმნაირი სუსტია საწყალი, პირით რო მოპუტა ბალახი, თავი ვერ შეიკავა და ტ...ით დაეცა, — მგზავრებმა კიდევ ერთხელ გადაიხარხარეს.

— შენ, ალბათ, სტუმრად იყავი ჩვენს სოფელში? არ მეცნობი და მაგიტო გეკითხები. — მითხრა ჩემ გვერდით მჯდომმა. ეს, ალბათ, ბევრს აინტერესებდა, ამიტომაც ავტობუსში სიჩუმე ჩამოწვა.

— კი, სტუმრად ვიყავი, ჩემი მეგობრის ბაბუასთან, — დავკმაყოფილე ხალხის ინტერესი.

— ვინაა შენი მეგობრის ბაბუა? — ჩამეძია მოხუცი.

— შოთა, — ვთქვი მე, რადგან მივხვდი, რომ გვარის თქმა საჭირო არ იყო.

— მოკლედ, ჯადოქარია შოთაიე, ისე შემოაპარებს და გააპარებს სტუმარს, კაციშვილი ვერ გეიგებს, — საყვედური გამოთქვა ჩემ უკან მჯდომმა კაცმა, რომელსაც გვერდით ქალი ეჯდა, სავარაუდოდ, ცოლი.

— კარგს შვრება მერე, ქე აქ ოჯახი სავსე. აბა, შენ რომ მოგივა სტუმარი და პრესკონფერენციას ატარებ, ისაა კარგი? — არ შევმცდარვარ, ცოლი იყო.

ძალიან მინდოდა ამ ხალხთან ცოტა ხნით კიდევ ყოფნა, მაგრამ ავტობუსი ქუთაისში შევიდა და ხალხმაც დაიწყო მზადება თავისი ბარგის ჩასატანად. ■



დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი

გოჩა მანველიძე

დასაწყისი „გზა“ №24-44

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დათოვლილი ფერდობიდან მოზიდული რამდენიმე ბღუჯა ფოთოლი პირუტყვს ვერ გამოკვებავდა. ის მარტო შიმშილის მოსაკლავად თუ კმაროდა. უკეთეს დღეში არც ადამიანები იყვნენ. შეშა საკმარისი არ იყო. მღვიმის გასანათებლად თუ ჰყოფნიდათ. მექარავნეები ტყავებსა და საბნებში ეხვეოდნენ და კოცონის გარშემო შემომსხდარნი კლავდნენ ცივ, ყინვიან ღამეებს. როდემდე გაგრძელდებოდა ასე, არავინ იცოდა. მთა უკან დახევას არ აპირებდა. თითქოს მექარავნენი მისი მოსისხლე მტრები ყოფილიყვნენ და მათ მოსაკლავად იბრძოდა. დაუღალავად გზავნიდა მღვიმის შესასვლელისკენ თოვლსა და მოზუზუნე ქარს. მღვიმეში გამომწყვდეულები კი თავდაუზოგავად იბრძოდნენ თავის გადასარჩენად. ყოველ დილით თოვლის ტყვეობისგან ათავისუფლებდნენ გამოქვაბულის შესასვლელს, იმარაგებდნენ ფოთოლსა და შეშას და უკეთესი დღის მოლოდინში, ისევ კოცონთან სხდებოდნენ.

ამინდი ტყვეობის მეშვიდე დღეს გამოკეთდა. ეს ყველაზე ადრე პირუტყვმა იგრძნო. ცხენებმა ძლივსგასაგონი ხვიხვინი მორთეს. ჯორები მალ-მალე ყნოსავდნენ ჰაერს, ყურებს აპარტყუნებდნენ და ფლოქვებს მიწას სცემდნენ.

პირუტყვის მღელვარება მეგზურსაც გადაედო. ში მაშინვე მოშორდა კოცონს და მღვიმის გასასვლელისკენ გავარდა.

გარეთ ბნელოდა. ირგვლივ არაფერი მოჩანდა და ცივი ქარი ისევ ზუზუნით დასტრიალებდა ფერდობს. მაგრამ მეგზური მაინც გრძნობდა ამინდის ცვლილებას.

— ხვალ ქარი ჩადგება! — გახარებულმა გამოსძახა კოცონთან მიყუჟულ მექარავნეებს.

მათ მხოლოდ სურვილის გამოხატულებად მიიღეს მისი სიტყვები, მაგრამ მეორე დღეს შის ნათქვამი მართლაც, ახდა. ქარი დილისთვის ჩადგა და ნისლიან ცაზე მზის სხივებმა გამოანათა.

— ხედავ, ჰასან? — გახარებული ლაპარაკობდა ში და თან, დათოვლილი ხეობისკენ იშვერდა ხელს. — ქარბუქმა უკან დაიხია. ქარიც ჩადგა და მზემაც გამოანათა. რაღა გვესაქმება აქ? აშალე ხალხი, გზა განვაგძოთ!

მექარავნენიც სწორედ ამას ელოდნენ. ყველას მოჰბეზრებოდა ნესტიან გამოქვაბულში ყოფნა, მაგრამ მათ გასაოცრად, ჰასანმა უარით უპასუხა მეგზურს.

— რატომ? — დაიბნა ში. — რისთვის უნდა დავყოვნდეთ?.. ქარმა დაგვატყვევა, მაგრამ მანვე გაგვიწმინდა გზა. თუ თოვლი გაშინებს, ცდები. ღამით ფაფუკი თოვლი ქარმა ხეობაში გადახვეტა. მიწაზე მხოლოდ დატკეპნილი თოვლი დარჩა, რომელიც ქარაშოტმა ვერ დაძრა. ეგ პირუტყვს ვერ შეაფერხებს!

— თქვენც ეგრე ფიქრობთ? — მექარავნეებს გახედა ჰასანმა.

— არა! — ყველას დაასწრო მუროჩიმ.

შიმ გაოცებით გახედა. მექარავნეთაგან, ყველაზე უკეთ ის ერკვეოდა მთის ავანჩავანში და ვისგანაც მხარდაჭერას ელოდა, სწორედ ის ამბობდა უარს.

— ხეობაში ბადახშინელთა ქარავანი ჩარჩა. არა მგონია, ვინმე გადარჩენოდა ქარბორბალას, მაგრამ ვიდრე მათ ასავალ-დასავალს არ გავარკვევთ, აქედან ვერ წავალთ! — განაგრძო მუროჩიმ.

— მეც მაგას ვამბობ, — დაუდასტურა ჰასანმა.

— არა! — თავი გაიქნია შიმ. — მაგას აზრი არა აქვს. ის ხალხი მკვდარია. ქარაშოტს ვერავინ გადაურჩებოდა და მკვდართა საძიებლად, უკან არ დავბრუნდები!

— შენ არავინ გთხოვს უკან დაბრუნებას, — თქვა ჰასანმა, — ბადახშინელებს ჩვენ მოვძებნით!

— იმ ხალხმა თავად გააკეთა არჩევანი. მე გაფრთხილებდით, რომ ქარბორბალა არავის დატოვებდა ცოცხალს! — შეეკამათა ში.

— ერთიც რომ იყოს ცოცხალი, მაინც უკან დავბრუნდები! — ცივად მოსხიპა მუროჩიმ.

— ისინი მოკვდნენ! — ში ჰასანს მიუბრუნდა. — და თავი რისთვის უნდა ჩაიგდოთ საფრთხეში? მკვდართა ძიება თუ გიზიდავთ, ეგეთი ბევრი შეგვხვდებათ ამ გზაზე!.. გახსოვს ჩვენი პირობა? მე გითხარი, რომ მარტო მაშინ გამოგყვებოდი მეგზურად, თუ ყოველი ჩემი სიტყვა აღსრულდებოდა!.. შენ ბადახშინელებთან გინდოდა დარჩენა და ასე რომ მომხდარიყო, ახლა შენცა და შენი ხალხიც გათოშილები იწვებოდით ხევში. მე... მე დაგითანხმე გზის გაგრძელებაზე! ახლა ისევ ცდები და უკან მიბრუნება გადაგიწყვეტია!.. მიბრუნდი... ეგ შენი ნებაა, მაგრამ მე არ გამოგყვები. იმისთვის არ გამომივლია ამხელა გზა, მუსლიმანთა ცხედრების ძიებას რომ გადავაყოლო თავი!

— შენ მეგზური ხარ და ამაში იღებ გასამრჯელოს! — წინ წაიწია მუროჩიმ.

— შენ?.. შენ ამბობ მაგას?! — ბრაზი მოერია შის. — კაცი, რომელიც მუსლიმანებმა დაატყვევეს!

— არა! შენ გელაპარაკება კაცი, რომელმაც კარგად იცის ამახანაგობისა და ერთგულების ფასი!

— რა ვალდებულება გაქვს ბადახშინელთა წინაშე? დიდხანს ვუმტკიცებდი, რომ ქარაშოტს ვერ გადაიტანდნენ, მაგრამ თავად მოინდომეს იქ დარჩენა. შენ რა, გინდა, ვიღაც ბრიყვების გამო წააგო თავი?!

— შენ არაფერი იცი ჩემი ხალხის შესახებ. ჩვენში სიტყვის გამეორება არ სჩვევიათ. ერთხელ მითხრა მამაჩემმა და ამით მორჩა ჩვენი საუბარი: შემოქმედმა ადამიანი ერთი პირითა და ორი ყურით გააჩინაო!.. მას შემდეგ, მაგ წესს მივყვები!.. — ავად მიუგდო მუროჩიმ.

— და რა მაგით?

— არაფერი. აქ დარჩები თუ ბადახშინელთა საძიებლად წახვალ, შენი საქმეა. დღეს ჰასანის მსახური ხარ და არა — ჩემი. დანარჩენს კი თავადაც მიხვდები!.. — თქვა მუროჩიმ და ცხენის შესაკაზმად მიბრუნდა.

— მეტი ისმინე და ნაკლები ილაპარაკე! — შესძახა შიმ. — ამის თქმა გინდოდა?!

მუროჩის ყურადღება აღარ მიუქცევია მისთვის. ცხენს უნაგირი დაადგა, ლაგამი ამოსდო და გამოქვაბულის გასასვლელისკენ წაიყვანა.

— მოიცა, — წინ გადაუდგა ჰასანი,

— ჩემი ღულამებიც გამოგყვებიან.

— მე ეგ კაცი მჭირდება, მაგრამ თავად რომ არ უნდა?! — შიზე მიუთითა მუროჩიმ.

— არ შეგეკამათები. მაგან უფრო მეტი იცის აქაურობაზე, ვიდრე ჩვენ, მაგრამ თავად თუ არ მოინდომა... — აღარ დაამთავრა ჰასანმა.

— ძალას ვერ დაატან? — გაეცინა მუროჩის. — სად გინახავს ძალით დაამხანაგებული?.. მე მაგის ამხანაგობა არ მაღელვებს. არც გამცილებლად და მაშველად მჭირდება. უმაგისოდაც გავიკვლევ გზას. არც...

— კმარა!.. — ფიცხად შესძახა შიმ. — მე მოვდივარ!.. ოღონდ ნუ იტყვი იმას, რომ ამხანაგობისა და ერთგულების არაფერი გამეგებოდეს!

როგორც კი მღვიმის შესასვლელი და მექარავანენი თვალს მიეფარნენ, მუროჩიმ ცხენი შემოაბრუნა, წინ გადაუდგა შის და ავად უთხრა:

— ახლა ვილაპარაკოთ, გამცილებელო!

— ვილაპარაკოთ, — თამამად მიუბრუნდა ში.

— როდემდე გვამყოფებ ტყუილში?! ვინ ხარ და რისთვის მოგვეკედლე?!

— რა შემნიშნე ტყუილის?

— ცეცხლს ეთამაშები, მეგზურო! მე შენი გამოცდა არ მჭირდება. ვერ დამაჯერებ, რომ ცრუკაცი არ ხარ. მაგას უშენოდაც ვხვდები. სიტყვა აღარ მაინტერესებს. ისიც კმარა, რაც აქამდე ითქვა. ახლა საქმით უნდა დაამტკიცო შენი სიმართლე!..

— ვხედავ, რომ ჩხუბი განგიზრახავს, — ჩაიცინა შიმ, — ამისთვის მატარე ამდენ ხანს?.. განა გამოქვაბულში არ შეგეძლო ჩემი ბრძოლაში გამოწვევა?!

— ბრძოლაში?! — გაიკვირვა მუროჩიმ. — ბრძოლაში თანასწორს მიჰყვებიან. შენ კი უბრალოდ, ცრუ და უპირო კაცი ხარ!

— რატომ ვარ უპირო?.. იმიტომ, რომ ბადახშინელთა გამო რომელიმე ხევში გადაჩეხა არ მოვინდომე?

— ისინი რომ დაიხოცნენ, მეც ვხვდები. მაგრამ შენ მათი მეგზური იყავი და ბოლომდე უნდა გებრძოლა მათ გადასარჩენად.

— მე მათი მეგზური არ ვყოფილვარ. ჰასანს დავპირდი ცინს ჩაყვანას და არა — მათ. მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, მაინც ვერ დამადანაშაულებ. მე გზა ვუჩვენე, ისინი არ გამომყვნენ და ამით წააგეს თავი!

— გზა, რომელიც თავად არ იცი!..

— ავად შენიშნა მუროჩიმ.

— არ ვიცი?! — სწრაფად თქვა შიმ.

— ჰო, არ იცი. რამდენჯერმე შეგნიშნე, როგორ ათვალიერებდი ტყავის გრაგნილს, რომელზეც რაღაც ნიშნები იყო მოხატული. იმ ნიშნებს მიდამოს ადარებდი და ასე იგნებდი გზას. შენ მეგზური არ ხარ. ამ გზაზე გაგივლია, მაგრამ მაშინ სხვა გიწევდა მეგზურობას. მე კი მეგზური სხვანაირი ვიცი. ის, ვინც ადრე მოგვყვებოდა, აზიზი. გზად ყველა კენჭსა და ბუჩქს ცნობდა და თვალდახუჭულიც კი გაგვიძღვებოდა წინ. შენ ის კაცი არა ხარ. გზასაც ვერ ცნობ და რაღაცასაც მალავ.

— და ამიტომ მიმეტებ მოსაკლავად?!

— ეგ ამ ალაგას საკმარისი მიზეზია!

ში შებრუნდა, დათოვლილ ხეობას ჰკიდა თვალი. ცოტა ხანი იფიქრა და მერე ჩაილაპარაკა:

— ნუ ეძებ იმას, რაზეც წარმოდგენა არ გაქვს. კლავენ მტრებს. მე კი შენი მტერი არ ვარ... მართალია, რომ ამბობ: მეგზური არ ხარო!.. არ ვარ გამცილებელი, მაგრამ ამით შენ და შენს ამხანაგებს არაფერი დაგიშავდებათ. ასე თუ ისე, მაინც ჩაგიყვანთ ცინს.

— მეგზური თუ არა, ვინ ხარ და რისთვის მოგვეკედლე? — განაგრძო მუროჩიმ.

— აბა, რა გითხრა... ვინ ვარ, მეც აღარ ვიცი, — ამოიოხრა შიმ.

— არ იცი? — ბრაზი მოერია

მუროჩის. — შენს დავთარს ჩახედე. იქნებ, იქ გქონდეს მონიშნული შენი სახელი!

— რა ბედენაა სახელი, როცა ყველა ზიზღით მოგიხსენიებს?!. მე აღარც სახელი მაქვს და საკუთარი სიცოცხლეც აღარ მეკუთვნის. იქნებ, ოდესმე ყველაფერი აგიხსნა. მეც გამახარებდა ეს, მაგრამ დღეს — არა. დღეს ყველაფერი ისევე დარჩება, როგორც აქამდე იყო და... ნუ მიწყენ, მტრად ნუ მომეკიდები და იარაღსაც ნუ მომიღერებ. ეს რომ ქნა, შენი მოკვლა მომიწევს. არ ვიცი, გამომივა თუ არა. იქნებ, მოგკლა კიდეც, იქნებ, შენ დამჯაბნო, მაგრამ რაც უნდა მოხდეს, შენს ამხანაგებთან ვეღარ დავბრუნდები და მაინც მე დავრჩები წაგებული. ცოტაც მაცალე. ცინამდე დიდი გზა აღარ დარჩა და თუ ჩემი სიკვდილი გწყურია, გზის დასრულებისთანავე ნახავ მაგასაც: სხვას არც დავაღვრევინებ სისხლს, საკუთარი ხელით მოვიკლავ თავს, — ჩაილაპარაკა შიმ, მერე მუროჩის ზურგი შეაქცია და ცხენი ადგილიდან დაძრა.

დღის მიწურულს მუროჩი და ში ხეობის ყელს მიუახლოვდნენ. იქიდან კარგად მოჩანდა ადგილი, სადაც მათი ვარაუდით, ბადახშინელებს ბანაკი უნდა დაეცათ, მაგრამ მაღალ ფერდობზე გასულთ, არავინ დაუნახავთ. ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებდა. ადამიანებიც და პირუტყვიც უკვალოდ გამქრალიყვნენ.

— უკან ხომ არ გაბრუნდნენ? — ივარაუდა მუროჩიმ.

— რომც მოენდომებინათ, შორს მაინც ვერ წავიდოდნენ, — თავი გაიქნია შიმ, — ქარიშხალი წამოეწეოდა და ხეობაში ჩამარხავდა. ახლოდან უნდა ვნახოთ.

გამცილებელი მართალი აღმოჩნდა. ბადახშინელთა ქარავანს ხეობიდან ვერ გაეღწია. დათოვლილი ხეობა, რომელსაც გადმოსცქეროდნენ მუროჩი და ში, მათი სამარე აღმოჩნდა.

სიკვდილის სუნი პირველად, ცხენებმა იგრძნეს. ფერდობიდან ეშვებოდნენ, როცა მუროჩის ცხენი შედგა. ცოტა ხანს გამალებული ყნოსავდა თოვლს, მერე კი უკან დაიხია.

— წინ! — მუროჩიმ დეზი შემოჰკრა ცხენს, მაგრამ პირუტყვი გაჯიუტდა და ფეხი არ მოიცვალა.

— ნუ გააწვალებ... რაღაც აშინებს, — შესძახა შიმ, მერე ცხენიდან ჩამოხტა და თოვლის ბორცვს მიაშურა, რომელსაც მუროჩის ცხენი გაურბოდა.

მეგზური რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ მიხვდა, რამაც დააფრთხო

ცხენი. ბორცვიდან ადამიანის თავი ამოჩრილიყო. ყინვას საერთოდ გაეთეთრებინა და ისე შეეზარდა თოვლისთვის, რომ ცხენი რომ არა, ვერც კი შეამჩნევდნენ. სამოსი იმაზე მიანიშნებდა, რომ ის ბადახშინელთა მცველი უნდა ყოფილიყო.

მის გვერდით მეორე ცხედარი მოჩანდა. ორივე მოკუნტულიყო. ჩანს, ერთმანეთს ეკვროდნენ და ამით ცდილობდნენ სიცივისგან თავის დაცვას. მოშორებით, გაყინულ ცხენს მიაგნეს, მერე — ჯორს, მერე კი — მთელ ქარავანს. საითაც უნდა გადაედგათ ფეხი, ყველგან გაყინულ ადამიანებსა და პირუტყვს აწყდებოდნენ. ახლა უკვე გასაგები იყო, რომ ბადახშინელებს უკან გაბრუნება არც უცდიათ. ალბათ მიხვდნენ, რომ ქარბუქს თავს ვეღარ დააღწევდნენ. უკან გაბრუნებულებს, გზაში წამოეწეოდა და ხევში გადახვეტდა. ჰასანის დაწევა სცადეს. ხეობას გამოუყვნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო. თავს დამტყდარმა ქარბუქმა ისინი გზას ააცდინა და აქეთ-იქით მიმოფანტა. ამით ყველაფერი დამთავრდა. ვაჭრები და მათი მცველები მანამდე ივლიდნენ, ვიდრე მათ თოვლი არ ჩამარხავდა და გაყინავდა.

— უგუნურია ადამიანი. ვაჭრობასა და მოგზაურობაში გამოწვრთნილ კაცს ასეთი რამ არ უნდა შეშლოდა. ჩვენ რომ გამოგვყოლოდნენ, ახლა ცოცხლები იქნებოდნენ, მაგრამ მათ აქ დარჩენა და სიკვდილი არჩიეს. ჩანს, ასეთი ყოფილა მათი ბედი... წავიდეთ. ამ უბედურებს მაინც ვეღარაფერს ვუშველით, — ჩაილაპარაკა შიმ, მერე ცხენს მოახტა და უკან, ფერდობისკენ მიაბრუნა.

თათართა სამფლობელომ ზღვა მოაგონა მუროჩის. ისეთივე უკიდეგანო იყო. საითაც არ უნდა მიეხედა, ყველგან ერთსა და იმავე სურათს ხედავდა: მოსწორებულ, უსასრულო მინდვრებს და მობიბინე ბალახს, რომელიც ქარზე თრთოლისას ზღვის ტალღებს ჩამოჰგავდა.

მალე პირველ თათრებსაც შეხვდნენ. მხედართა რაზმი ქარივით სწრაფად მოვარდა. ვერც კი მიხვდნენ, საიდან გამოჩნდა. თითქოს არსად იყო თავის შესაფარებელი ალაგი. ირგვლივ უკიდეგანო სტეპი გადაჭიმულიყო და მოულოდნელად, მტვრის ღრუბელში გახვეული მხედართა რაზმი გამოჩნდა.

მონღოლი მეომრები ტანმორჩილ ცხენებზე იყვნენ ამხედრებულები. უცნაური სახეები ჰქონდათ — ბრინჯაოსფერი, მზედაკრული ყვრიმალები ზემოთ ამობურცვოდათ, თვალები კი ისე მოეჭუტათ, თითქოს მზეს ვერ უსწორებდნენ მზერას. ტყუპისცალებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ტანთ ტყავის უხეში სამოსი ეცვათ. იარაღიც უხეში ჰქონდათ. წელზე იმხელა ხმლები ეკიდათ, რომ მუროჩის ეჭვიც კი შეეპარა — შეძლებდნენ თუ არა ამხელა ხმლის მოქნევას. ხმლის გარდა, ყველა მეომარს ჰქონდა ცხენის ძუით შემკული შუბი. მხრებზე კი მშვილდი და ისრებით სავსე კაპარჭები გადაეკიდათ. ხმაურიანი ხალხი იყო. მექარავნეები ვერც კი ხვდებოდნენ — ჩხუბობდნენ მონღოლები თუ ასეთი იყო მათი ენა. გაუთავებლად გაყვიროდნენ რაღაცას და დროდადრო ხელ-ფეხსაც იშველიებდნენ. მაგრამ საკმარისი იყო, მათ მეთაურს ეთქვა რამე, რომ ყველანი უმალ მიჩუმდებოდნენ და აქეთ-იქით გადგებოდნენ.

მონღოლებთან მოლაპარაკება მეგზურმა ითავა. ჰასანი გააფრთხილა, თავი შორს დაეჭირა სტეპის მეომრებისგან. თვალებშიც კი არ შეეხედა მათთვის. მერე კი მათ მეთაურს გაუბა საუბარი. თათარი ჯიუტი აღმოჩნდა. გააფთრებული ევაჭრებოდა მეგზურს, დროდადრო ცხენს მოსხლეტდა ადგილიდან, ქარავანს გარშემო შემოურბენდა, სასაპალნე პირუტყვს გადათვლიდა. მერე შისთან დაბრუნდებოდა. თითებით უჩვენებდა: ქარავანში ამდენი ჯორი და ცხენიაო, — და ქრთამის გაზრდას ითხოვდა. მაგრამ შიმ არ დაუთმო და მანამდე ევაჭრა, ვიდრე თავის ფასზე არ დაითანხმა. ვაჭრობის დასასრულს მონღოლმა მიღებული ფული ქისაში ჩაიჩხრიალა და ქარავანს გზის გაგრძელების უფლება მისცა.

— ვგონებ, შეცდი, როცა ცინში მოგზაურობა განიზრახე, — ჰასანმა ბრაზიანი მზერით გააცილა მონღოლები და გუელმოს მიუბრუნდა.

— რატომ? — გაუკვირდა ვენეციელს.

— პირველად შევხვდით მონღოლებს და ლამის პირწმინდად გაგვფცქვნეს. ასე თუ გაგრძელდა, ცინში ჩასვლამდე არც საქონელი შეგვრჩება და არც ფული და რითლა ვევაჭროთ იქაურ ვაჭრებს?

— მაგაზე ნუ ღელავ, ბატონო, — საუბარში ში ჩაერთო, — ეს განაპირა ტომებია და როგორც წესი, მათი ბელადები გამორჩეულად ხარბები არიან. რაც ღრმად შევალთ მათ სამფლობელოში, ბელადთა მადაც მოიკლებს. ისე კი უნდა იცოდე, რომ მათთან ვაჭრობა საშიშია. თუ დარწმუნდნენ, რომ ფულს არ მიიღებენ, თავს დაგვესხმიან, წინ გადაგვისწრებენ და სადმე ჩაგვისაფრდებიან.

— ახლა რაღა უშლით ხელს? — გაუკვირდა ჰასანს. — განა ახლა ვერ მოახერხებენ ჩასაფრებას?!

— მაგათ ჩვენი შიში არა აქვთ. მაგრამ ბელადებს ერთმანეთში პირობა აქვთ დადებული: ქარავანი, რომელიც ქრთამს მიართმევს, დაუბრკოლებლად უნდა გაატარონ. ამ პირობის დამრღვევს დანარჩენი ბელადები ომს გამოუცხადებენ. ეგ აშინებთ და ამიტომაც გამოგვყვებიან უკან.

— უკან გამოგვყვებიან?! — გაუკვირდა გუელმოს. — ადრე არაფერი გითქვამს ამის თაობაზე.

— ჩვენ თვალსაც ვერ მოვკრავთ, მაგრამ ისინი სადღაც, ჩვენ სიახლოვეს იწრიალებენ და მანამდე გვითვალთვალებენ, მიდრე მათი ტომის მიწებს არ გავცდებით. როგორც კი სხვა ტომის თათრები შეგვხდებიან, ესენი უკან გააბრუნებენ თავიანთ ცხენებს და სტეპში გაუჩინარდებიან.

— მათი სამფლობელოს სიღრმეში რაღა შეიცვლება? — განაგრძო ჰასანმა.

— როგორ აგიხსნა, ბატონო?.. — კეფა მოიქექა შიმ. — თათრები ძალიან უცნაური ხალხია. ზუსტად მეც არ ვიცი, რატომ იქცევიან ასე. ვგონებ, თავისკენ იზიდავენ მექარავნეებს. ყველა ვაჭარს ხომ უფრო იაფი გზა იზიდავს. ჰოდა, ისინიც ნაკლებ საზღაურს ითხოვენ, რომ ქარავანი მათი მიწით წავიდეს და განაპირა ტომების სამფლობელოთი არ განაგრძოს გზა.

— ისე, რომელი გზით უფრო მალე ჩავაღწევთ ცინს? — ჰკითხა გუელმომ.

— განაპირა ტომების მიწებით.

— თუ ასეა, რისთვის ვიგრძელებთ გზას? — გაუკვირდა ვენეციელს.

— ეს გზა უფრო გრძელია, მაგრამ — ნაკლებად საშიში. განაპირა ტომები უდაბურ ადგილებში ცხოვრობენ. შეიძლება, რამდენიმე დღე ისე იარო, რომ სულიერი არ შეხვდეს. აქეთ წყაროებიც ნაკლებია. შიდა ტომების გზებით კი ქარავნები დადიან. გზადაგზა ფუნდუკებსაც შეეხვდებით. იქ დასვენებაც შეიძლება. სხვა ვაჭრებისგან ახალ ამბებსაც მოისმენთ და ფასებშიც გაერკვევით. ხომ უნდა იცოდეთ, საით სჯობია წასვლა.

— როგორ თუ — საით სჯობია?! — გაუკვირდა გუელმოს. — განა ცინს არ მივდივართ?!

— ჩანს, ბატონმა ძალიან ცოტა რამ იცის ცინის შესახებ, — გაეღიმა შის.

— ცოტა რომ ვიცი, ამიტომ დაგიქირავეთ, — ჩაურთო ჰასანმა.

— თქვენ ალბათ ბევრ ქვეყანაში იქნებით ნამყოფი, მაგრამ ცინი არც ერთ ქვეყანას არ ჰგავს. ჩვენ ჯერ მის საზღვრებს არ მივახლოებივართ და იცოდეთ, რომ რა დროც აქ ჩამოსვლას მოვანდომეთ, იმაზე მეტი მის მეორე ბოლოში გასასვლელად დაგვჭირდება. ცინი ძალიან დიდი ქვეყანაა. თავად ნახეთ, — ამ სიტყვებთან ერთად, შიმ აბგიდან ტყავის გრაგნილი ამოიღო, გაშალა და ლაპარაკი განაგრძო: — ცინის საზღვარი მდინარე ლიაოდან იწყება...

გაგრძელება
შემდეგ ნომერში

რუბრიკის დასაწყისი იხ. გვ. 16

«გაგიჟებული» ქართველები და ორიენტაციადაკარგული ადამიანები

„მე სვანი ლესბოსელი ვარ... საკუთარ თავს ვერაფერს ვუხერხებ"

ვინ არიან არატრადიციული ორიენტაციის ადამიანები? შეიძლება თუ არა მათთან მეგობრობა? რას ფიქრობენ მათზე მოზარდები და ის ზრდასრული ადამიანები, რომლებმაც ამ თემასთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრების დაფიქსირება გვთხოვეს? — ამ და სხვა კითხვებზე პასუხს ჩვენი ინტერვიუგამოკითხვიდან შეიტყობთ, მანამდე კი გეტყვით, რომ სამწუხაროდ, არატრადიციული ორიენტაციის ადამიანები საქართველოში ძალიან მომრავლდნენ. მათ უმეტესობას ამის აღიარების რცხვენია და ცდილობს, თავისი უბედურება საგულდაგულოდ დამალოს. ზოგიერთი კი ამით ამაყობს კიდეც და ამბობს, რომ ამაში სამარცხვინო არაფერია.



მარი, *18 წლის:*

— ჩემი მეგობარი ცისფერია, მაგრამ მას ამის გამო ხელს ვერ ვკრავ. როცა ის გავიცანი, ვერც წარმოვიდგენდი, თუ არატრადიციული ორიენტაციის იქნებოდა, მაგრამ დავმეგობრდით და გამიმხილა, — გეი ვარო. თავიდან არ ვუჯერებდი, მერე კი დავრწმუნდი, რომ არ მატყუებდა. მე მას კარგად გავუგე, ისიც ძალიან ბევრ რამეში მეხმარება. მოკლედ, მისი ორიენტაცია საერთოდ, არ მაღელვებს. ამაზე მხოლოდ მაშინ ვფიქრობ (და შეიძლება ითქვას, მრცხვენია), როცა მასთან ერთად ქუჩაში მივდივარ.

— ამ დროს რა ხდება?

— ყველა მას მიშტერებია და ქირქილებს.

— თავისი ორიენტაცია ასე ძალიან ეტყობა?

— ჰო, ეტყობა. ის ძალიან გამხდარია და ისეთი ტანისამოსი აცვია, რომ ქალი გეგონება. თან, გრძელი ვარცხნილობა აქვს.

— მერე ვერ ეტყვი, რომ იმიჯი შეიცვალოს?

— რატომ უნდა ვუთხრა?! მას უფლება აქვს, ისე იცხოვროს, როგორც უნდა. თანაც, მისი ჩაცმულობა და იმიჯი ხელს არაფერში მიშლის. სულ არ მაინტერესებს, ხალხი რას იტყვის. თანაც, ზუსტად ვიცი, ჩემმა შეყვარებულმა მასთან ერთად, სადაც უნდა მნახოს, არ იეჭვიანებს.

— შეყვარებული გყავს?

— მყავს. ის არაჩვეულებრივი ადამიანია.

— მერე, შენს მეგობარს როგორ ეგუება?

— მართალია, მასთან საერთო ენა ვერ გამონახა და მის გამო ხშირად დამცინის, მაგრამ მეგობართან ურთიერთობას ნამდვილად არ მიშლის.

— შენი მშობლები შენს მეგობარს როგორ აფასებენ?

— მის ორიენტაციასთან დაკავშირებით ეჭვი გამოთქვეს, მაგრამ მე მეგობარი კბილებით დავიცავი და მას შემდეგ ამაზე აღარაფერს ამბობენ. სამაგიეროდ, ისინი მას ენდობიან და იციან, რომ მეგობართან ერთად, სადაც უნდა წავიდე, შინ უვნებელი დავბრუნდები.

— ეი. არატრადიციული ორიენტაციის ადამიანთან მეგობრობას თავისი პლუსი აქვს?..

— რა თქმა უნდა. თანაც, მათ არაჩვეულებრივი რჩევების მოცემა შეუძლიათ, კარგი მეგობრები არიან და არასდროს გიღალატებენ. მერე რა, რომ ისინი ჩვეულებრივ ადამიანებს არ ჰგვანან?! ეს საერთოდ არ მაღელვებს და მაღიზიანებს.

ზურაბი, *48 წლის:*

— ხალხო, მგონი, სულ დაკარგეთ ჭკუა! რას ჰქვია, კაცს კაცი უყვარს და ქალს — ქალი? ეს რა უბედურება გვჭირს! ვაი, სირცხვილო! ქართველი კაცი რომ გაცისფერდება, მას თავი უნდა მოაჭრა. ნუთუ, პატრონი არ გყავთ?! გავგიჟდი, რა!

— თქვენ ასეთ, არატრადიციული ორიენტაციის ადამიანს არ იცნობთ?

— არა და ღმერთმა დამიფაროს! რომელიმე გეი რომ გავიცნო, შეიძლება, ყველა ცისფრის ჯავრი მასზე ვიყარო. ეს ადამიანები სად იზრდებიან? საინტერესოა, გეებს ქალები რატომ არ მოსწონთ? ფუჰ, მათი ურთიერთობა გულისამრევია!

— ჩვენ რა მიზნით დაგვიკავშირდით?

— ცისფრების გალანძღვის მიზნით, მაგრამ ვიცი, ჩემს ნათქვამს შეამოკლებთ და ამ ინტერვიუს შეარბილებთ... როცა მათ შესახებ რაიმეს ვკითხულობ, განწყობილება მიფუჭდება და თქვენზე, ჟურნალისტებზე გაბრაზებული, ოჯახის წევრებზე ვიყრი ჯავრს.

— ჟურნალისტებს რატომ გვიჯავრდებით?

— აბა, როგორ შეიძლება, ასეთებზე ილაპარაკოთ?! პირიქით, მსგავს ადამიანებს იგნორირება უნდა გაუკეთოთ და მათ შესახებ რაც ნაკლები ინფორმაცია გაჟონავს, მით უკეთესია ჩვენი შვილებისთვის.

— დიახ, მაგრამ ეს ის პრობლემაა, რომელიც მოზარდ თაობას (და არა მარტო მას) აწუხებს და მიმაჩნია, რომ მათი გულისტკივილის იგნორირების უფლება არ გვაქვს.

— მათ პრობლემებზე ამ უსირცხვილო ადამიანების ახლობლებმა იფიქრონ. ჩვენ რა შუაში ვართ?!

— შეიძლება, მსგავსი პრობლემის წინაშე ოდესმე თქვენც აღმოჩნდეთ. რა გარანტია გაქვთ, რომ რომელიმე თქვენი ახლობელი თავის ორიენტაციას არ მალავს?..

— ღმერთმა დამიფაროს ამ სირცხვილისგან! თუ ოდესმე აღმოვაჩენ, რომ ჩემს საახლობლოში ასეთი ადამიანია, მას სამუდამოდ დავკარგავ!..

ნორა, *26 წლის:*

— მე სვანი ლესბოსელი ვარ. ხომ წარმოგიდგენიათ, ჩემ შესახებ ვინმემ რამე რომ შეიტყოს, რა მომელის?!. ალბათ, ფეხებით ჩამომკიდებენ და ქვეშ ცეცხლს შემინთებენ. მაგრამ რა ვქნა, საკუთარ თავს ვერაფერს ვუხერხებ...

— შეყვარებული გყავს?

— არა. ჩემდა სამწუხაროდ და ჩემი ახლობლების საბედნიეროდ, სვანეთში ჩემნაირი ორიენტაციის გოგოს პოვნა ძალიან ძნელია, მე კი სვანეთიდან არასდროს წავსულვარ. როცა ამბობენ, მსგავსი რაღაცები მხოლოდ დიდ ქალაქებში ხდებაო, მეცინება.

— იქნებ, ცდები, როცა ფიქრობ, რომ გოგონები გიზიდავს? რატომ

გგონია, რომ მამაკაცები არ მოგწონს?

— იმიტომ, რომ მათი შეყვარება არ შემიძლია. როცა მათზე ვფიქრობ, გული მერევა, ხოლო როცა კარგ გოგონას დავინახავ, გული უცნაურად მიფრთხიალებს, ურუანტელი მივლის... ჩემი მეზობელი გოგონა ძალიან მომწონდა, მაგრამ მან ამის შესახებ არაფერი იცის, სიყვარულის ახსნა ვერ გავუბედე. ის რამდენიმე თვის წინ გათხოვდა და გული ძალიან მატკინა.

— თაყვანისმცემელი ბიჭები არ გყავს?

— როგორ არა, მაგრამ მათ სხვადასხვა მეთოდით ვიცილებ გზიდან. სხვათა შორის, ახლა ოჯახის წევრები მიჩიჩინებენ, — გათხოვდიო, — და საქმროც გამომიძებნეს. იმ ბიჭს შევხვდი და მას შემდეგ ჩემი დანახვაც არ უნდა.

— ასეთი რა უთხარი?

— ისეთი არაფერი. უბრალოდ, ავუხსენი, რომ მისი დანახვა არ მინდა და ვუთხარი, — კაცთმოძულე ვარ და თუ ცოლად მაინც მომიყვან, საღამოს მოგეპარები და დაგასაჭურისებ-მეთქი. ეტყობა, იმ საცოდავმა იფიქრა, — მაგრად აკლიაო. ჰოდა, შემეშვა, რა (*იცინის*)!

— ალბათ გაგიგონია, — კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანსო...

— ამაზე წინასწარ არ ვფიქრობ. იმედია, ოდესმე ოცნებებს ავიხდენ.

— საინტერესოა, რაზე ოცნებობ?

— მოდი, მხოლოდ ჩემს იმ ოცნებას გაგიმხელთ, რომელიც უკავშირდება თემას, რომელზეც ყურადღების გამახვილება გადაწყვიტეთ. ძალიან მინდა, შევხვდე გოგონას, რომელიც ცხოვრებას გამილამაზებს. ოცნებებში მის სილუეტს ვხატავ და ჩვენ ერთად ვცხოვრობთ, დიდხანს და ბედნიერად...

ზვიო, *18 წლის:*

— მე კაცები მომწონს და ამის მრცხვენია. არ მინდა, ამის შესახებ ვინმემ შეიტყოს და ამიტომაც, ჩემს უბედურებას საგულდაგულოდ ვმალავ. ერთხელ ქალის შეყვარებაც ვცადე, თავს ძალა დავატანე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. დედა რაღაცას ხვდება და მეუბნება, — ნურაფერს დამიმალავ, ჩემი იმედი ყველაფერში გქონდესო, — მაგრამ სიმართლის გამხელა არ შემიძლია.

— შენ შესახებ არავინ არაფერი იცის?

— არა. ყველას ჰგონია, რომ ნამდვილი მამაკაცი ვარ, მაგრამ ბიჭებს უკვირთ, მათთან ერთად ქალებში რომ არ დავდივარ.

— ამას რითი ხსნი?

— ხან რას ვიმიზეზებ და ხან — რას. არ ვიცი, ბიჭები ჩემზე რას ამბობენ, მაგრამ მერწმუნეთ, ვერაფრით წარმოიდგენენ, რომ კაცები მომწონს. ზოგჯერ, როცა ვიღაცა მომეწონება, სახლში გამოვრბივარ. ერთხელ ვიღაც ცისფერი გადამეკიდა. ეტყობა, მან ჩემში პარტნიორი ამოიცნო, მაგრამ ის ტიპი უარით გავისტუმრე.

— რატომ?

— ხომ გითხარით, საკუთარი ორიენტაციის გამო მრცხვენია-მეთქი. როცა მარტო ვრჩები, გეგმებს ვაწყობ, ფიქრებში პარტნიორის საძებნად მივდივარ და ჩემი ოცნების პრინცს ვპოულობ, მაგრამ როცა რეალობას ვუბრუნდები, ყველაფერს უარვყოფ და საკუთარ გრძნობებს ვთოკავ... ახლა ფსიქოლოგთან დავდივარ და იმედია, ის ჩემს დახმარებას შეძლებს.

— ჩვენც ამ იმედს ვიტოვებთ და წარმატებებს გისურვებთ!

— დიდი მადლობა, ეს ძალიან მჭირდება.

ნინო:

— არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანები კი არ მეზიზღება, არამედ ისინი ძალიან მეცოდება. სასაცილო არსებები არიან, რადგან არ იციან, სინამდვილეში რა უნდათ. ჩემი მშობლები ამბობენ, — ასეთები სამკურნალო არიანო. ვფიქრობ, ეს მართლაც ასეა. მათი დაბადება შეცდომა იყო, ხოლო მათი აღზრდა არასწორად მოხდა.

— შენ თუ იცნობ არატრადიციული ორიენტაციის ადამიანს?

— ასეთებთან არ ვმეგობრობ, მაგრამ ცისფრები ჩემს მეზობლად ცხოვრობენ და მათთან მეზობლობა მაკავშირებს. ამ ადამიანებზე მაგრად ვხალისობ.

— დავიჯერო, შენს მეზობლად ბევრი ცისფერი ცხოვრობს?

— გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ ეს ფაქტია. მათ ჩემს მეზობლად ბინა იქირავეს და იქ ცხოვრობენ. სხვათა შორის, ძალიან კონტაქტურები არიან, მაგრამ თავს არავის აბეზრებენ. ისე, არაჩვეულებრივი გარეგნობა აქვთ და შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ ზოგჯერ მათი მშურს.

— არა მგონია, მათ შესაშური ცხოვრება ჰქონდეთ...

— როცა ქუჩაში გავდივარ, ბიჭების ყურადღების მიპყრობა ძალიან მიჭირს, მათ კი თავიდან ბოლომდე ათვალიერებენ...

— არა მგონია, ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ ისინი მოსწონთ.

— რა იცი, რას გაუგებ კაცებს.

„მამაკაცებს იდუმალებით მოცული ქალები მოსწონთ, მე კი...“

ერთი ბიწო, *15 წლის:*

„გამარჯობა. მინდა, ჩემს თანატოლებს (და არა მარტო მათ) რჩევა ვკითხო. მყავს შეყვარებული, რომელიც 18 წლისაა. მასთან არაბუნებრივი ურთიერთობა მაქვს — ერთმანეთთან ზედმეტად ახლო ურთიერთობა გვაქვს. არაფერს ვუმალავ, ძალიან პირადულსაც კი. ვგრძნობ, რომ ძალიან მენდობა, ისიც ყველაფერს მიყვება... ამ ბოლო დროს ვცდილობ, მისგან თავი ცოტა შორს დავიჭირო, რადგან მსმენია, რომ მამაკაცებს იდუმალებით მოცული და მიუწვდომელი ქალები უფრო მოსწონთ. ამიტომაც, მისი დაკარგვის მეშინია. არ მინდა, ჩემთან ურთიერთობა მოჰბეზრდეს. დაბნეული ვარ და გთხოვთ, დამეხმაროთ“.

„საქმროს უარს ველარ ვეუბნები, არადა, არ მიყვარს“

კოკო:

„ერთ ბიჭს ძალიან ვუყვარვარ. მან თავისი სიყვარული ბევრჯერ დამიმტკიცა და ბევრი სისულელეც მაპატია, მრავალგზის ვიჩხუბეთ და შევრიგდით. არ ვიცი, მასთან შერიგებას რა ძალა მაიძულებს, რადგან არ მიყვარს. ალბათ ამისკენ სხვების ლაპარაკი მიბიძგებს — ყველა მეუბნება: კარგი ბიჭია, რას უწუნებო?! თან, მისი შიშით და პატივისცემით, ვისაც ვუყვარდი და მოვწონდი, ყველა ჩამომშორდა. ჩემამდე არავის უშვებს. უკვე გადავწყვიტეთ — სკოლას რომ დავამთავრებთ, ცოლად უნდა გავყვე (ახლა მეთორმეტე კლასში ვარ), მე კი მინდა, ნამდვილი სიყვარული შევიგრძნო, მაგრამ საქმროს უარს ველარ ვეუბნები, რადგან ყველაფერი დაგეგმილი აქვს. თანაც, მას დიდ პატივს ვცემ და არ მინდა, გული ვატკინო. გთხოვთ, მირჩიეთ რამე. მერწმუნეთ, ეს გადაწყვეტილების მიღებაში დამეხმარება“.

P.S. მაშ ასე, თუ ერთი ბიწოსა და კოკოს წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე 8.99. 173527. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ. ■

რუბრიკის დასაწყისი იხ. გვ. 18

შვეიცარიაში „ნული კატეგორიის" სასტუმრო იხსნება

მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარია ტურისტებისთვის კვლავაც ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ ქვეყნად რჩება, ადგილობრივ სასტუმრო ბაზარზე მომხდარმა ამასწინანდელმა მოვლენამ მაინც სიიაფის ყველა რეკორდი მოხსნა. შვეიცარიის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე სანქტ-ჰალენის კანტონში სულ მალე „ნული ვარსკვლავის" კატეგორიის სასტუმრო გაიხსნება, სადაც ერთი ღამის გათევა 9-დან 13 დოლარამდე ეღირება.



ახალი სასტუმრო ადრე სამხედრო ბუნკერი იყო, რომელიც ბირთვული ომის შემთხვევისთვის მოსახლეობის დაცვის მიზნით აშენდა და თუ იქ ჩატარებულ რამდენიმე სამხედრო სწავლებას არ ჩავთვლით, პრაქტიკულად, არასდროს არაფრისთვის გამოუყენებიათ.

სამხედრო ობიექტის მყუდრო სასტუმროდ გადაქცევაზე მხატვრებმა და დიზაინერებმა საკმაოდ გულმოდგინედ იმუშავეს, — იტყობინება ამერიკული გაზეთი USA Today. — ამის შედეგად, საზოგადოებრივი ააბაზანოს ადგილზე, მოცურავე ყვავილებით სავსე რომანტიკული შადრევანი გაჩნდა, ხოლო ამ უფანჯრო მიწისქვეშა სამეფოში არსებულ სპეციალურ ეკრანებზე დედამიწის ზედაპირის გამოსახულების ტრანსლირება დაიწყო. ამასთანავე, ამ ორიგინალური იდეის ავტორებსა და სულისჩამდგმელთ არც იმის ხაზგასმა დავიწყნიათ, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, სასტუმროს კვლავ ბუნკერად გადაკეთებას მხოლოდ 24 საათი დასჭირდება. ■

ბრაზილიაში ნარკოტიკების სამალავს მახრჩობელა გველები დარაჯობდნენ

ბრაზილიის ჩრდილო-აღმოსავლეთ შტატ ბაიას პოლიციელებმა აღმოაჩინეს ნარკოტიკების სამალავი, რომელსაც ორი მახრჩობელა გველი დარაჯობდა. სამართალდამცველები იძულებული გახდნენ, გველები სამალავიდან ხის ჯოხებით გამოეყვანათ, რის შემდეგაც იქ გადამალული 50 კილოგრამი მარიხუანა, დიდი ოდენობით იარაღი და სამხედრო ამუნიცია ამოიღეს. გველები კი, რომლებიც ოპერაციის შედეგად არ დაზარალებულან, ბრაზილიის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ინსტიტუტის ადგილობრივ განყოფილებაში გადაიყვანეს. ■



ატიპური პნევმონია - ჩინური ბიოიარაღი?!

კუნძულ ტაივანის უშიშროების სამსახურმა ჩინეთი ატიპური პნევმონიის მსოფლიო ეპიდემიის ხელოვნურად გავრცელებაში დაადანაშაულა, რის დასტურადაც, ამ სამსახურის წარმომადგენლები ქვეყნის პარლამენტში ადამიანის თავისქალისგამოსახულებიანი, რესპირატორული ნიღბებით გამოცხადდნენ. მართალია, ტაივანის უშიშროების ეროვნული ბიუროს დირექტორმა ცაი ჩაო-მინგმა საპარლამენტო კომიტეტს რიხიანად აუწყა, — ჩინეთში მყოფი ჩვენი წყაროების ვარაუდით, ატიპური პნევმონიის ვირუსი ბიოლოგიურ იარაღს წარმოადგენსო, — მაგრამ ნათქვამი ვერაფრით დაადასტურა.

2002 წელს სამხრეთ ჩინეთში დაწყებულმა ეპიდემიამ მთელ მსოფლიოში ასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მათგან 350 უშუალოდ ჩინეთში გარდაიცვალა. ეპიდემიამ არანაკლებ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა აზიურ ტურიზმსა და ავიაგადაზიდვებსაც. ეპიდემიის აღმოჩენას პეკინის მერისა და ჩინეთის ჯანდაცვის მინისტრის გადაყენება და ვირუსის წარმომავლობასთან დაკავშირებული შეთქმულების უამრავი თეორიის გაჩენა მოჰყვა. „2003 წელს ატიპური პნევმონიის ეპიდემიის აღმოჩენის პერიოდში, როცა დასნებოვნებისა და სიკვდილის უამრავი შემთხვევა დაფიქსირდა, ჩინეთმა პაციენტების ზუსტი რაოდენობის დამალვით, პანიკის პროვოცირება მოახდინა, — მიაჩნია ტაივანის უშიშროების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელს, — იმ დროსვე გამოჩნდა ინსაიდერული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ატიპური პნევმონიის ვირუსი — ბიოლოგიური იარაღია". ცაი ჩაო-მინგმა საპარლამენტო კომიტეტს ისიც განუცხადა, — რადგან ატიპური პნევმონია ჩინეთში „ბიოლოგიური ომის ფორმად" იქცა, ჩვენი ბიურო სიტუაციის კონტროლს მომავალშიც აუცილებლად გააგრძელებსო.

ჩინეთს, 1949 წლიდან ფართო ავტონომიის მქონე ტაივანის სრული კონტროლი სურს. მეტიც, პეკინმა დაიფიცა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, კუნძულის ნებისმიერი გზით, მათ შორის ძალით დაბრუნებაზეც არ იტყვის უარს. მიუხედავად ამისა, ტაივანელი პარლამენტარების ნაწილი მაინც ეჭვის თვალით უყურებს ქვეყნის უშიშროების სამსახურის განცხადებას, რომელმაც ატიპური პნევმონიის საკითხი სწორედ მაშინ წამოჭრა, როცა ჩინეთ-ტაივანის ურთიერთობას, მართალია, მცირედი, მაგრამ მაინც გაუმჯობესება დაეტყო. „მსგავს შეთქმულების თეორიებს ნაკლებად ვიზიარებ, — აღნიშნავს ერთ-ერთი ტაივანელი კანონმდებელი. — ბიოლოგიურ შეტევას კონკრეტული მიზანი უნდა ჰქონდეს, ჩინეთს კი არაინარი გამოკვეთილი მიზანი არ ჰქონია. ამდენად, ეს უკიდურესად არაეფექტური იარაღი იქნებოდა". ■



ცნობილი გახდა 10 დაავადება, რომელიც ადამიანობას კლიმატის შეცვლის გამო ემუქრება

ველური ბუნების დაცვის საერთაშორისო საზოგადოებამ დაასახელა 10 სნეულება, რომელიც გლობალური დათბობის გამო, ადამიანებისთვის სულ უფრო და უფრო საშიში ხდება. მათ რიგში შევიდა: ფრინველის გრიპი, ებოლას ციება, ყვითელი ციება, ლაიმის ავადმყოფობა, რიფტ-ვალის ციება, შავი ჭირი, ქოლერა, ტუბერკულოზი, ბაბეზიოზი (ინფექცია, რომელიც ძირითადად, ცხოველებს ასნებოვნებს, თუმცა ადამიანებშიც გვხვდება) და ტრიპაზომოზი (მსხვილი რქოსანი პირუტყვის დაავადება, რომელიც ბუზ ცე-ცეს გადააქვს).

ველური ბუნების დაცვის საზოგადოების სიაში ასევე შევიდა ე.წ. წითელი მოქცევები, რასაც მიკროსკოპული წყალმცენარეების უსწრაფესი გამრავლება და საბოლოოდ, ზღვის წყლის უჩვეულო შეფერილობა მოსდევს. ასეთ მოვლენებს კი, თავის მხრივ, თევზების, ზღვის ცხოველების, ფრინველების მასობრივი დახოცვა და ადამიანების მძიმე მოწამვლის გამოწვევა შეუძლია.

სპეციალისტებმა უკვე განგაშის ზარს შემოჰკრეს, რადგან მიაჩნიათ, რომ დროული ზომების მიუღებლობის შემთხვევაში, მედიკოსები ამ დაავადებების გამომწვევ, ახალ, ბევრად უფრო მძლავრ და რეზისტენტულ შტამებს შეეჯახებიან, რის გამოც, მათთან ბრძოლისას შეიძლება, სრულიად უძლურნიც კი აღმოჩნდნენ. ■

ევროპის მაღაზიებში „თხევადი სიგარეტი" გაიყიდება

ჰოლანდიურმა კომპანიამ — United Drinks and Beauty Corporation ახალი პროდუქტი — ე.წ. „თხევადი სიგარეტი" გამოუშვა. როგორც ამბობენ, სასმელი იმავე შეგრძნებებს იწვევს, რასაც ადამიანი სიგარეტის მოწევის შემდეგ განიცდის. კომპანიის გენერალურმა დირექტორმა მარტინ ჰარტმანმა Sky News Online-ის ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სასმელი ერთერთი აფრიკული მცენარის ექსტრაქტს შეიცავს, რომელიც „მსუბუქ გამამხნევებელ ეფექტს იწვევს, რაც შემდგომ სიმშვიდის ეიფორიულ გრძნობაში გადადის". სასმელი ნიკოტინს არ შეიცავს და ბავშვებისთვისაც უვნებელია. მწარმოებლები ირწმუნებიან, რომ „თხევადი სიგარეტი" შეჩვევას არ იწვევს, მაგრამ თამბაქოს მოწევის საწინააღმდეგო ორგანიზაცია ASH (Action on Smoking and Helth) ამ განცხადებებს ეჭვქვეშ აყენებს. ორგანიზაციის წარმომადგენლის, ამანდა სენფორდის აზრით, სასმელი შესაძლოა, მართლაც, ნაკლებად მავნებელია, ვიდრე სიგარეტი, მაგრამ შეშფოთებას გამოთქვამს იმ ფაქტის გამო, რომ „თხევადი სიგარეტის" შესახებ პრაქტიკულად, არაფერია ცნობილი. სენფორდის განცხადებით, მხოლოდ სერიოზული კლინიკური გამოცდების შემდგომ შეიძლება, დაბეჯითებით ითქვას, რომ სასმელი ბავშვებისთვის უვნებელია. ამანდა სენფორდი შიშობს, რომ „თხევადი სიგარეტი" ბავშვებს სიგარეტის მოწევისკენ უბიძგებს. მისი აზრით, მწარმოებელმა პროდუქტს უნდა დაურთოს გაფრთხილება შესაძლო ზიანის შესახებ და გავრცელების არეალიც შეზღუდოს. ვარაუდობენ, რომ „თხევადი სიგარეტი" ევროპის მაღაზიების დახლებზე 2008 წლის დეკემბერში გამოჩნდება და ერთი ქილა სასმელი 3 დოლარამდე ეღირება. ■

ნაქურდლის შესყიდვაში ეჭვმიტანილი პარიკმახერი სასამართლოში გატაცებული LEXUS-ით მივიდა

ნაქურდლის შესყიდვაში ეჭვმიტანილი, კალიფორნიელი პარიკმახერი სასამართლოში მოპარული ავტომობილით გამოცხადდა. ქალაქ სან-ანსელმოს პოლიცია იუწყება, რომ 37 წლის სან-ფრანცისკოელი დალაქი პროცესზე, სადაც მისი საქმე „ნაქურდალი ნივთების შესყიდვის შესახებ" განიხილებოდა, ყველგანმავალი „ლექსუსით" მივიდა. იმ დროს, როდესაც ეჭვმიტანილი სასამართლო პროცესზე იმყოფებოდა, პოლიციელთა ყურადღება 7 იორკშირული ტერიერით სავსე მანქანამ მიიპყრო. პოლიციელებმა გატაცებული ავტომობილების მონაცემთა ბაზა გადაამოწმეს და დაადგინეს, რომ მანქანა მოპარული იყო...

დამნაშავე სასამართლოს დარბაზშივე დააკავეს. მოპარული ნივთების შესყიდვის ბრალდებას ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობის ბრალდებაც დაემატა, რადგან სამართალდამცველთა აზრით, თაკარა მზეზე მდგომ ავტომობილში ცხოველთა გამოკეტვა სასტიკი საქციელია! მოპარული „ლექსუსის" გარდა, პარიკმახერს სან-ანსელმოში გატაცებული Porsche Carrera-ს შესყიდვაშიც ედება ბრალი. ■

ძარცვათა სერია ტურინში

ტურინელმა მძარცველმა ერთგვარი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: მან 87 წუთის განმავლობაში 5 ბანკის გაძარცვა მოახერხა და თითოეულს მხოლოდ 17 წუთი მოანდომა. დანაშაულთა სერია დილის 11 სთ-სა 44 წთ-ზე ბანკში — Credito San Paolo დაიწყო და 13 სთ-სა 11 წთ-ზე ბანკში — Intesa Sanpaolo დასრულდა. მამაკაცი ბანკის თანამშრომლებს დანით ემუქრებოდა და ფულს ითხოვდა. მძარცველმა სულ 2.100 ევრო გაიტაცა და მიმალვა შეძლო. მაგრამ მისი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა... პოლიციამ, ბანკების სათვალთვალო კამერების ჩანაწერთა მეშვეობით, დამნაშავის ვინაობის დადგენა შეძლო და იმავე საღამოს დააკავა. ■

„თუ კინდა, ცხოვრება შეიკრძნო, უნდა დალიო ლუდი და მოუსმინო ბოშურ სიმღერებს!"...

ეთო ყორღანაშვილი



21 წლის მუსიკალურმა წამყვანმა — ტირემ ჩემი სატელეფონო ზარი მორიგი აბეზარი თაყვანისმცემლის ხუმრობად მიიჩნია. ინტერვიუზე მანამდე არ დამთანხმდა, სანამ დაწერილებით არ გამომკითხა ჩვენი რედაქციის მისამართი, მთავარი რედაქტორის ვინაობა... ბოლოს „ურწმუნო თომამ" ირწმუნა, რომ ნამდვილად „გზის" ჟურნალისტი ვარ. როგორც იქნა, ტანჯულმა ჟურნალისტმა ეჭვიანი რესპონდენტის სტუდიის კარი შეაღო... ლუდი, სიგარეტი, ბალკანურ-ბოშური მუსიკის ჰანგები — ეს ცხოვრებით ტკბობის ტირესეული რეცეპტი გახლავთ. ინტერვიუმ მხიარულად ჩაიარა. ენერგიულმა წამყვანმა პროფესიული რჩევაც მომცა: როცა ჩვენს საუბარს ფურცელზე გადაიტან, ჩემ მიერ ნათქვამი ყოველი ფრაზის შემდეგ ფრჩხილებში მიაწერე — იცინისო, ბოლოს კი — სიცილით გაიგუდაო.

— ტირე, პუნქტუაციის წესები კარგად იცი?

— კი. გრამატიკა ძალიან მიყვარს!.. თუ კარგ ხასიათზე ვარ, მსმენელების მიერ გამოგზავნილ მესიჯებში დაშვებულ გრამატიკულ შეცდომებს არ ვიმჩნევ, მაგრამ როცა ცუდ განწყობილებაზე ვარ, „გამოვეკიდები" ხოლმე: მძიმე აქ კი არა, იქ უნდა დაგესვა-მეთქი. ძალიან ინტრიგანი ვარ... რაც შეეხება ჩემს მეტსახელს, ოდესღაც, სადღაც „იმეილზე" მობილური ტელეფონით „ესემესებს" ვგზავნიდი, მესიჯის ბოლოს კი ხაზი ეხატებოდა. ამიტომაც შემარქვეს ტირე, რომელიც შემრჩა და შემრჩა.

— სინამდვილეში რა გქვია?

— მოდი, ამას მკითხველისთვის საიდუმლოდ დავტოვებ. გაიოზი ნამდვილად არ მქვია (*იცინის*)... ერთხელ ერთმა მსმენელმა სახელი მკითხა. ვუპასუხე: გაიოზი ვარ-მეთქი. ის ადამიანი დღემდე ამ სახელით მომმართავს... ზოგჯერ ეთერში მიმესიჯებენ — ტირე, ჩუმად წაიკითხე: მე ვიცი, რომ ესა და ეს სახელი გქვიაო!.. ვიდრე „105"-ში მუშაობას დავიწყებდი, მანამდე ამ რადიოს მსმენელი გახლდით.

— მუსიკალური წამყვანი როგორ გახდი?

— ბუნდოვნად მახსოვს (*იცინის*)... დაახლოებით, 20-25 მსმენელი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მიგვიწვიეს. 2-3 კვირის განმავლობაში, ერთსაათიან ეთერს გვითმობდნენ. ვისაც ყველაზე აქტიური და კარგი ეთერი გამოუვიდა, წამყვანადაც ის აირჩიეს. შემდეგ დადგა საკითხი: ეთერში რა სახელით გავსულიყავი? ვიდრე მუშაობას დავიწყებდი, მანამდე რადიოში ტირეს „ნიკით" ვამესიჯებდი. უფროსმა მითხრა: რადგან მსმენელები ამ სახელით გიცნობენ, ისევ ტირე იყავიო. ახლა ხალხი მოფერებით მომმართავს: ტირუშკები, ტირუკუნა, ტირუკელა... წელს უკვე მეორე სახელიც მაქვს: მოგეხსენება, „ბალკანური ფორმატის" ეთერი მაქვს და გორან ბრეგოვიჩის ფანი ვარ. ამიტომ, ზოგი ბრეგოს მიწოდებს, ზოგი — ტირეს.

— ბალკანურ-ბოშური სიმღერებით რატომ დაინტერესდი?

— ბავშვობიდან ბევრ მუსიკალურ მიმართულებას ვუსმენდი: როკს, პოპს.. მადონასაც ვუსმენდი — ახლაც მიყვარს... დაახლოებით 10 წლის წინ ერთი სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება მომეწონა, რომლის ავტორი გორან ბრეგოვიჩი აღმოჩნდა. მისი შემოქმედებით დავინტერესდი. შემდეგ, ზოგადად, ბალკანური ქვეყნების მუსიკამ გამიტაცა... როცა რადიოში წამყვანი ხარ, გსურს, რაც შენ მოგწონს, მსმენელებსაც შეაყვარო. თავდაპირველად, უფროსს გორან ბრეგოვიჩი რომ ვუხსენე, ამ იდეას ცუდად შეხვდა. ხელი არ ჩავიქნიე, 1-2 სიმღერა მაინც „დავატრიალე": მსმენელისთვის ნელ-ნელა უნდა შემეპარებინა, შემეყვარებინა... მართლაც, ხალხმა შეიყვარა. ჰოდა, ჩემს ეთერში ბოშური სიმღერები „მოვამრავლე"... ხშირად ყოფილა შემთხვევა: ახალი მსმენელი რადიოს ჩართავს, მისმენს და „ესემესს" მიგზავნის: „ეს რა არის? რა, პანაშვიდის მუსიკაა? სად იშოვე?" გადის 2 დღე და ისევ ის მსმენელი იმავე მუსიკის შესახებ მწერს: „მომასმენინე, თორემ გავგიჟდები!"

— როგორც ვიცი, გორან ბრეგოვიჩის კონცერტზე დასწრების ბედნიერება გხვდა წილად...

— 2007 წლის 3 ოქტომბერი ძალიან მაგარი დღე იყო! როცა შევიტყვე, გორან ბრეგოვიჩი საქართველოში ჩამოდიოდა, ჟურუანტელმა დამიარა (*იცინის*)... კონცერტს ერთ-ერთი ფირმა აფინანსებდა, ბილეთები არ იყიდებოდა. რადგან რადიოში გორან ბრეგოვიჩის სიმღერებს ვუწევ პოპულარიზაციას, მოსაწვევის შოვნა არ გამჭირვებია. 3 ოქტომბერს, 9 საათზე ფილარმონიაში ვიყავი. სპეციალურად ამ დღისთვის მაისურიც გავამზადე, ბრეგოვიჩის გამოსახულებით. სიმართლე გითხრა, კონცერტზე შექმნილი სიტუაცია არ მომეწონა, ფილარმონია ხალხით გაიჭედა, მაგრამ... ქართველობა მაინც რა არის? მიდის, მაგრამ არ იცის — სად! ბევრმა არ იცოდა, რას უსმენდა... ჯობდა, ბილეთები გაეყიდათ, რომელთა ფასი 100 ან 150 ლარი იქნებოდა: გორან ბრეგოვიჩის მეტი თაყვანისმცემელი დაესწრებოდა, ვიდრე ასე, როცა მოსაწვევები კონკრეტული ფირმის თანამშრომლებში გაავრცელეს. მე პირადად, ძალიან ვისიამოვნე, მაგრამ ჩემ გვერდით მჯდომი, ერთი ხანდაზმული ქალბატონის სახე არასდროს დამავიწყდება: სცენაზე გორან ბრეგოვიჩს რომ ვუყურებდი და თან, მის სიმღერებს ვუსმენდი, ერთ ადგილზე ვერ ვჩერდებოდი, მიხაროდა, ვმღეროდი. იმ ქალბატონს სახეზე ეტყობოდა, რომ ფიქრობდა — ეს აქ ვინ შემოუშვაო (*იცინის*)?!.

— პირდაპირ ეთერშიც ხშირად მღერი. რადიომსმენელებს შენთვის არასდროს უთქვამთ, — გაჩუმდი სიმღერა მოგვასმენინეო?

— საერთოდ, „ყრუ" ვარ, ამას ვაღიარებ (*იცინის*)... მაგრამ ხანდახან უნდა გააკეთო ის, რაც გსიამოვნებს! მსმენელები ვერ მისაყვედურებენ, რადგან მათ მიერ შეკვეთილ სიმღერებს ყოველთვის ვუშვებ ეთერში. ჩემი გემოვნებით შერჩეულ სიმღერებს ავყვები ხოლმე, ზოგჯერ, თან ლუდს ვსვამ. თუ გინდა, ცხოვრება შეიგრძნო, უნდა დალიო ლუდი და მოუსმინო ბოშურ სიმღერებს!.. ხშირად მეკითხებიან, მადონას უღალატეო? მადონა ახლაც ძალიან მიყვარს, სასწაული ქალია! მის შემოქმედებას დიდ პატივს ვცემ. წინათ, მადონას ფანკლუბში გაწევრებული ვიყავი. ერთხელ მისგან „იმეილით" შეტყობინება მივიღე — ახალი წელი მომილოცა! მჯერა — ნამდვილად მადონამ მომწერა. დიდი იმედი მაქვს, რომ გაისად მაინც ვიხილავ ამ ქალბატონს სცენაზე: ვიცი, რომ ახალ მუსიკალურ ალბომს კიდევ გამოუშვებს, კიდევ ჩაატარებს ტურნეს და მის კონცერტზე დასწრებას მოვახერხებ!.. და მაინც, მიმაჩნია რომ

„მუსიკალურ ამბავში“, ჩემი ბოლო „გაფრენა“ — ბალკანური და ბოშური სიმღერებია.

— ტირე, პროფესიით ვინ ხარ?

— ეკონომისტი გახლავარ, მაგრამ 5 წელი რადიოში რომ იმუშავებ, ამ სფეროშიც პროფესიონალად ჩამოყალიბდები... თავდაპირველად, ყველას ეგონა, ექიმი გამოვიდოდი. თან — დედა და ბებია ბიოლოგები არიან. გატაცებული ვიყავი ფლორითა და ფაუნით, განსაკუთრებულად — ცხოველები და ფრინველები მიყვარს. ჩემს სახლს ზოოპარკს ეძახდნენ. ამ ცოტა ხნის წინ ჩემს ბინაში რომ შემოგეხედა, 4 თუთიყუშს დაინახავდი, რომლებიც აქეთ-იქით დაფრინავდნენ და „დასკლინტაობდნენ“ (*იცინის*)...

— როგორ? გალიაში არ გყავდნენ დამწყვდეულები?

— რას ამბობ, გალიაში რა უნდა თუთიყუშს?! თუთიყუშმა უნდა „იგრიალოს“, უნდა „აგულაო“! თუ გყავს ფრინველი, მისი მოვლა ისე უნდა შეგეძლოს, რომ თავის გემოზე აცხოვრო! სხვათა შორის, ჩემი ერთი თუთიყუში ძალიან ცნობილია. 5 თვე აქ იცხოვრა, რადიოში. გორანჩიკა შევარქვი. ხალხი სულ მეკითხება: გორანჩიკა როგორ არის და სად არისო? ჩემთან, სახლში გადავიყვანე — აქ, სიგარეტის კვამლის გამო, შებოლილ თევზს დაემსგავსა. სახლში ცხოვრება ძალიან მოსწონს. უკვე რამდენიმე სიტყვაც ისწავლა — „ტირეს“ და „გორანჩიკას“ ამბობს... მოკლედ, ცხოველებისადმი ჩემი სიყვარულის გამო, საახლობლოში გადაწყვეტილი იყო: ექიმი თუ არა, ვეტექიმი მაინც გავხდებოდი. საბოლოო ჯამში, საბანკოზე ჩავაბარე და რადიოში მოვხვდი. მერე რა იქნება, არ ვიცი... ახლახან ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი დავამთავრე. გაისად მაგისტრატურაში ჩავაბარებ — ჯერ ამის დრო არ მაქვს.

— რატომ? რადიოში მოლვაწეობის გარდა, კიდევ რამეს საქმიანობ?

— არა, მაგრამ ასეთია ცხოვრება, გენაცვალე: ხან ბავშვის დაბადების დღეა, ხან მეზობლის ქორწილი (*იცინის*)... ერთი წელი ვისვენებ!

— მოდი, შენს ოჯახზეც მოგვიყევი რამე...

— ჩემს ოჯახში ყოველთვის იუმორისტული ატმოსფეროა. ყოველი დღე ბედნიერად თენდება. დედა, მამა, ბებია, ბაბუა, დედმამიშვილები... ღმერთმა არაჩვეულებრივი მშობლები მარგუნა, რომლებთანაც გადასარევი ურთიერთობა მაქვს. მე და მამა ერთად ვწურავთ ხოლმე ყურძენს. შეგიძლია, გვესტუმრო და ჩვენს ღვინოს დაგალევინებთ. ჩვეულებრივი კარგი ქართული ოჯახი მაქვს, რა! მყავს ორი ძმა. შენ მულტფილმი „არიელი“ გინახავს? ერთ-ერთი გმირის — ბოროტი რვაფეხას გვერდით მუდამ 2 გველთევზა დასისინებს. აი, ზუსტად ასეთი 2 ძმა მყავს (*იცინის*): უმცროსი — აბიტურიენტია, უფროსმა სწავლა-განათლება დაასრულა და ახლა მუშაობს. შემოქმედებით საქმიანობას არც ერთი არ ეწევა — გოიმები არიან, მხოლოდ მე გამოვედი „დონე“ (*ხარხარებს*)!..

როცა მევიტყვეე, გორან ბრეგოვიჩი საქართველოში ჩამოდიოდა, ერუანგელმა დამიარა

— მსმენელებთან ახლო ურთიერთობა გაქვს?

— მახსოვს, ეთერში ვამბობდი: ჩვენი ურთიერთობის რიგით მე-18 საათი იწურება... ავოე, „დავაი“ ახლა აქედან-მეთქი (*იცინის*)!.. ყოფილა შემთხვევა, რამდენიმე სამუშაო დღე გადამიბია. ასეთ დროს მსმენელები ყოველთვის მხარში მიდგანან, სასმელ-საჭმელი მოაქვთ... შარშანწინ ახალ წელს რადიოში შევხვდი: 31 დეკემბერს საღამოს 6 საათზე მოვედი — კვირადღე იყო. სახლში სამშაბათს წავედი ანუ პირდაპირ ეთერში 34 საათი ვილაპარაკე! ახალი წლის რადიოში გატარებას არ ვაპირებდი, მაგრამ ყველაფერი ძალიან კარგად დაიწყო: სტუდიის კარი იღებოდა და დაცვას ჩემთვის მსმენელების მიერ გამოგზავნილი ნამცხვრები და შამპანურები შემოჰქონდა. კარგს ვჭამდი და კარგს ვსვამდი, იყო ხინკლები და ერთი ამბავი... სახლში რაღა მინდოდა?!

— მარტო ქეიფობდი?

— საერთოდ, სტუდიაში მსმენელების მოყვანა აკრძალულია, მაგრამ მე თვითონაც მიყვარს, როცა მარტო ვარ — ჩემს სტიქიაში ვარ!.. ვისაც პატივისცემა უნდა, საჭმელ-სასმელს დაცვასთან ტოვებს — ასე უფრო მადლია (*იცინის*). როცა ხალხი შენში რაღაც დადებით თვისებას ხედავს, ცდილობს, გვერდში დაგიდგეს და პატივი გცეს.

— რა დადებითი თვისება დაინახა ხალხმა შენში?

— იცი, რა არის?.. უპირველეს ყოვლისა, გულახდილი უნდა იყო ურთიერთობისას, ნებისმიერი ადამიანის გაგება უნდა შეგეძლოს: ხან ახალგაზრდა დაგიმესიჯებს, ხან — ხანში შესული, ხან — „უგზო-უკვლოდ განათლებული“, ხან — მართლა განათლებული... ყველა დონის ადამიანთან ურთიერთობა უნდა შეძლო, ყველას „მიაღიმო“ — ღიმილი ხალხს განწყობილებას უქმნის. მსმენელების მიმართ ყურადღებას ვიჩენ. მათ სახელებს, ამბებს ვიმახსოვრებ, შემდეგ მოვიკითხავ ხოლმე, რაც ძალიან ახარებთ. ბევრჯერ უთქვამთ: ისე აღგიქვამთ, როგორც ოჯახის წევრსო.

— ეთერს მილმა როგორი ხარ?

— როგორიც ეთერში ვარ, ეთერს მიღმაც ისეთივე გახლავართ. მაინც მხიარული ვარ! ჩემი დევიზი ასეთია: „იყავი დადებით განწყობილებაზე და ყველაფერი კარგად იქნება!“ არ უნდა „დაიგრუზო“, რადგან ნიახური ხომ არა ხარ, მეორედ მოხვიდე (*იცინის*). ცხოვრება საკმაოდ ლამაზია. ღმერთმა სიცოცხლე გვიბოძა და გამოვიყენოთ: კარგ განწყობილებაზე ვიყოთ, კარგი რაღაცები ვაკეთოთ, შევირგოთ, რა, ცხოვრება — ვიგრიალოთ!.. რა თქმა უნდა, ბევრი პრობლემა არსებობს — ამის გარეშე ადამიანის ცხოვრება უაზრო იქნებოდა! ყველაფრის მოგვარებას შევეცადოთ.

— ცხოვრებაში გული რამეზე თუ გწყდება?

— ძალიან მინდოდა მსახიობობა, მაგრამ უკვე დაგვიანებულია... თუ საშუალება მომეცა, სამსახიობო ფაკულტეტზე აუცილებლად ჩავაბარებ... კიდევ ერთ რამეს ვნანობ — ბავშვობაში სიმღერა რომ არ ვისწავლე, ჩემი ხმა რომ ვერ „დავამუშავე“. მთლად „ყრუც“ არ ვარ, ისე (*იცინის*).

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?

— გარკვეული ხნით, საქართველოდან წასვლა მინდა — მუშაობის მიზნით.

— სად გინდა, იმუშაო?

— რა ვიცი, ვინმე „ჩავარდნილი“ მოხუცი იქნება — ჩავბან და ამოვბან (*ხარხარებს*)!.. უცხო ქვეყნების ნახვა მაინტერესებს, თან — ფულს „გავაკეთებ“. რაც უნდა მოხდეს, ბოლოს მაინც საქართველოში ჩამოვალ, რადგან ჩვენი ქვეყანა ძალიან მიყვარს! კიდევ ერთი რაღაცა უნდა გავაკეთო აუცილებლად: მსმენელს დავპირდი — ვიოლინოსა და აკორდეონზე დაკვრას ვისწავლი და პირდაპირ ეთერში დავუკრავ-მეთქი. უახლოეს მომავალში დანაპირებს აუცილებლად შევასრულებ!..

საუბრის ბოლოს, ტირემ მითხრა: როცა ეთერში მუშაობას ვიწყებ, მსმენელები მიმესიჯებენ და მთხოვენ, — ჯადოსნური ხმა გაგვაგონეო. ეს „ჯადოსნური ხმა“ გახლავთ მიკროფონთან ლუდის ბოთლის გახსნის მომენტი — ცსს!.. დავინტერესდი — მთვრალს თუ წაუყვანია ეთერი? — ვაიმე, არაო! — ხმამაღლა შეიცხადა, მერე კი იმდენი იცინა, ვივარაუდე, რომ ინტერვიუს ბოლოს ფრჩხილებში მართლა მივაწერდი — სიცილით გაიგუდა-მეთქი, მაგრამ ღვთის წყალობით, გადარჩა!..

ღვთისმშობლის ხატი — „დაშრიტე მწუხარება ჩემი“

მორენა მერკვილაძე

წილკნის ღვთისმშობლის ხატი

წილკნისად წოდებული ღვთისმშობლის ხატი ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის განძსაცავშია დაცული. საეკლესიო გარდამოცემის თანახმად, სასწაულთმოქმედი ხატი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა, წილკნისად წოდებული, ლუკა მახარებელს დაუწერია ქრისტეს აკვნის ფიცარზე. საქართველოში კი მეფე მირიანის ძეს, ბაქარს შემოუტანია IV საუკუნის ბოლოს და მისივე ძალისხმევით აგებულ, წილკნის საეპისკოპოსო ტაძარში დაუბრძანებია. სწორედ აქედან მიიღო ღვთისმშობლის ხატმა სახელწოდება — წილკნის ღვთისმშობელი. ხატის ძალითა და მადლით, არაერთი სასწაული აღსრულებულა. ცნობილია, რომ წილკნის ღვთისმშობელი მადიდებელთაგან მხოლოდ ოქროს იწირავდა. ერთხელ ჯვრისწერისას პატარძალს გონება დაუკარგავს. ერთ-ერთ მხლებელს მოუფიქრებია და ხატისთვის ოქრო შეუწირავს. პატარძალი მაშინვე მოსულა გონს.

ამჟამად წილკნის ტაძარში ამ ხატის ასლია დაბრძანებული, რომელიც ასევე მრავალ საკვირველებას იქმს. განსაკუთრებით შვილიერების მადლის მინიჭების ძალა შესწევს.

„ყოველთა მწუხარეთა სიხარული“

ღვთისმშობლის ხატი — „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“, — მოსკოვში, მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარშია დაბრძანებული. ხატი 1688 წელს განდიდდა სასწაულთმოქმედებით. მისი ძალით განიკურნა რუსეთის პატრიარქ იოაკიმეს ღვიძლი და, ეფემია, რომელსაც წლების მანძილზე ტანჯავდა მძიმე ავადმყოფობა. ფერდზე იმდენად ღრმა ჭრილობა ჰქონდა, შიგნეულობაც კი უჩანდა. ჭრილობა ვერასგზით განკურნეს; ეფემია სიკვდილის პირას იყო მისული, მაგრამ უფლის რწმენა და იმედი არ დაუკარგავს. გულმხურვალე ლოცვით შესთხოვდა უფალს შემწეობას. ერთხელ, როდესაც უფლისა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი ლოცულობდა, ხმა ჩაესმა, რომელიც მოუწოდებდა, ელოცა მახლობლად მდებარე, მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძარში დაბრძანებული, ღვთისმშობლის ხატის — „ყოველთა მწუხარეთა სიხარულის“ მიმართ. სნეულმა ამის შესახებ ახლობლებს აუწყა. ღვთისმშობლის ხატი ეფემიასთან შინ მიაბრძანეს. მის წინაშე პარაკლისი აღავლინეს და სნეულს წყალი აპკურეს. უეცრად ეფემიამ უკეთესობა იგრძნო და საწოლიდან დაუხმარებლად წამოდგა. იქ მყოფებმა გალობით განადიდეს ღვთისმშობელი.

ეს სასწაული ძველი სტილით 24 ოქტომბერს, ახალი სტილით კი — 6 ნოემბერს აღესრულა. ხატის დღესასწაულიც ამ დღეს დაწესდა.

ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატს — „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“ — კიდევ მრავალი სასწაული უკავშირდება. მისი ძალით არაერთმა ადამიანმა მიიღო კურნების მადლი.

არსებობს ასეთი გარდამოცემა: კიევის იაროსლავის შთამომავალმა, ჩერნიგოვის მთავარმა ნიკოლა სვიატოშამ ბერად აღკვეცის შემდეგ, უპოვართათვის დააარსა საავადმყოფო, რომლის შენობაში არსებულ, წმინდა ნიკოლოზის სახელობის სამლოცველოში დაბრძანებული იყო ღვთისმშობლის „ყოველთა მწუხარეთა სიხარულის“ სასწაულთმოქმედი ხატის ასლი. ამ საავადმყოფოს დარაჯმა რამდენჯერმე იხილა საავადმყოფოს შენობაში შესული ქალი — მეორე დღეს სნეულები განკურნებულ-ნი ხვდებოდნენ. დარაჯი დაინტერესდა და ავადმყოფებს ქალის ვინაობა გამოჰკითხა, მაგრამ მის შესახებ არავინ არაფერი უწყოდა. დარაჯს თვითონ უცნობმა ქალმა აუწყა: „მე ვარ ყოველთა მწუხარეთა სიხარული“.

დარაჯი ვერაფერს მიხვდა. გადაწყვიტა — როდესაც საავადმყოფოს ეზოში შემო-

ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი — „დაშრიტე მწუხარება ჩემი“ მოსკოვში, წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის ტაძარშია დაბრძანებული. იგი 1690 წელს, მეფე პეტრე პირველის ძის დროს ჩამოტანილ-ნებით კაბაკებს

საეკლესიო გარდამოცემამ ხატის პირველი გამოჩენების ამბავი შემოგვინახა, რომელიც XVII საუკუნის შუა წლებში მოხდა. მოსკოველთან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით მცხოვრებ ქალბატონს დიდი ხნის მანძილზე ტანჯავდა თავბრუსხვევა, ყურების მცდელობის მიუხედავად, ძალა თანდათან ეკარგებოდა და გაუსაძლისი ტკივილებისგან იტანჯებოდა. ბოლოს საერთოდაც დაკარგა გონება. თეგონოდ მეოთხე აყდმეოთხე ღვთისმშობლის ხატი იხილა და ხმაც მოესმა „მოითხოვე, მოსკოვში წაიყვანონ. იქ, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში არის ღვთისმშობლის ხატი — „დაშრიტე მწუხარება ჩემი“. ის წინაშე იდგეს და განიკურნები“. ხილვის შემდეგ, ქალი გონს მოვიდა და ტაძარში წაიყვანა მოითხოვა

ოჯახის წევრებმა სნეული მოსკოვში წაიყვანეს. წმინდა ნიკოლოზის ტაძარში მისულმა ქალმა ხატები ძიძიანოვალიერა, მაგრამ სიზმრად ნანახი ღვთისმშობლის ხატი ვერსად იპოვა. აყდმეოთეს მლოცველებმა ხილვის შესახებ ტაძრის ღვთისმსახურს უამბეს. ღვთისმსახურმა მორჩილები იხმო და საძრეკლოდან ღვთისმშობლის ყველა ხატის ჩამოტანა დაავალა. სწორედ მათ შორის აღმოჩნდა ხილვისეულ ქალის მიერ ნანახი ხატი, რომელიც მტვერით იმდენად იყო დაფარული, რომ ღვთისმშობლის სახეს ძნელად თუ გაარჩევდა ადამიანი. აყდმეოთეს ქალბატონმა, რომელსაც ლაბარაკის თავიც არ ჰქონდა, მოულოდნელად წამოიძახა, — „ისაა“ — და ბირჭვარი ეამოისახა.

სასწაულთმოქმედი ხატი გაწმინდეს და მის წინაშე პარაკლისი აღავლინეს. პარაკლისს სნეული ქალიც ესწრებოდა. მსახურების დასრულების შემდეგ ქალი ყველასგან დაუხმარებლად მიეხლა ხატს და ტაძრიდანაც საკუთარი ძალისხმევით გამოვიდა. შინ დაბრუნებისას კი სრულიად გამოჯანმრთელდა ეს სასწაული 25 იანვარს მოხდა. ამ დროიდან მოყოლებული, ყოველ წელიწადს, 25 იანვარს აღესრულება დღესასწაული ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის — „დაშრიტე მწუხარება ჩემი“, რომელიც კიდევ არაერთი სასწაულის წყაროდ იქცა

სულ უცნობ ქალს კვლავ იხილავდა, უკან გაჰყოლოდა. მართლაც, ასე მოიქცა. ქალი შენობაში შევიდა და იმ მიმართულებით წავიდა, სადაც სიკვდილის პირას მყოფი ბერი იწვა. დარაჯი უკან მიჰყვა. მომაკვდავი ბერის საწოლთან, კედელზე ნათება იხილა, რომელშიც ყოველადწმინდა ღვთისმშობლის გამოსახულება შენიშნა. ყველაფერი ნათელი იყო. დარაჯი ღვთისმშობლის წინ პირქვე დაემხო და ლოცვით ევედრებოდა ხსნას. სნეულმა ბერმაც თვალნათლივ იხილა ყოვლადწმინდა დედოფალი და წყალობა ითხოვა მისგან. რამდენიმე დღის შემდეგ ბერი სრულიად გამოჯანმრთელდა.

ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატი

ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი, რომელიც ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატის სახელწოდებითაა ცნობილი, გარდამოცემის თანახმად, ლუკა მახარებელს დაუწერია იმ მაგიდის დაფაზე, რომელზეც მაცხოვარი ყოვლადწმინდა მარიამთან და მართალ იოსებთან ერთად ტრაპეზობდა. ხატი ღვთისმშობლის სიცოცხლეშივე დაწერილა. ლუკა მახარებელს იგი ყოვლადწმინდა დედოფლისთვის მიუტანია; როდესაც მას ხატი უხილავს, უთქვამს: „მადლი ჩემგან შობილისა ძისა იყოს ამ ხატზე“.

450 წლამდე ხატი იერუსალიმში იმყოფებოდა. შემდეგ, იმპერატორ თეოდორე უმცროსის დროს, კონსტანტინოპოლში გადააბრძანეს, ხოლო XII საუკუნის დასაწყისში კიევში გადაიტანეს. ცარგრადის პატრიარქმა ლუკა ქრიზოვერხმა ხატი მთავარ იური ვლადიმირის ძე დოლგორუკის გაუგზავნა, რომელმაც ქალაქ ვიშგოროდის დედათა მონასტერში დააბრძანა.

1155 წელს იური ვლადიმირის ძემ ვიშგოროდი თავის ვაჟს, ანდრიას გადასცა. ერთხელაც, ქალაქის დედათა მონასტრის კლირიკოსებმა ტაძარში შესვლისას იხილეს, რომ ღვთისმშობლის ხატი თავისი ადგილსამყოფლიდან გადმოსულიყო და ტაძრის შუაგულში, ჰაერში იყო გაჩერებული. სიწმინდე კვლავ თავის ადგილზე დააბრუნეს, მაგრამ მეორე დღეს იგივე განმეორდა. ამის შესახებ მთავარმა ანდრიამაც შეიტყო, რომელიც უდიდესი რწმენითა და სიყვარულით იყო განმსჭვალული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიმართ. მთავარი მიხვდა, რომ ხატს ადგილის შეცვლა სურდა. მას კარგა ხანია, განზრახული ჰქონდა, როსტოვში წასულიყო და იქ კიევისგან დამოუკიდებელი სახელმწიფო დაეარსებინა. მთავარი ღვთისმშობლის ხატს მიეხალა, მის წინაშე ილოცა, შემდეგ ხატი აიღო და მამის ნებართვის გარეშე, ღამით მალულად წავიდა ვიშგოროდიდან, თან სიწმინდეც გაიყოლა.

მთავარი ანდრია ქალაქ ვლადიმირში შეჩერდა. შემდეგ, როსტოვისკენ გაემართა. ვლადიმირიდან მცირე მანძილის მოშორებით, ცხენები, რომლებიც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს მიაბრძანებდნენ, შეჩერდნენ. ისინი ვერასგზით ვერ დაძრეს ადგილიდან. ანდრიას ბრძანებით, ახალი ცხენები შეკაზმეს, მაგრამ არც ისინი დაიძრნენ ადგილიდან. მთავარი ანდრია გულმხურვალედ ლოცულობდა ხატის წინ, შესთხოვდა, მისთვის თავისი წმინდა ნება ეუწყებინა. მართლაც, ეუწყა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისგან, რომ მისი წმინდა ხატი ვლადიმირში უნდა დაეტოვებინა.

ანდრია ღვთისმშობლის ხატისთვის ტაძრის მშენებლობას შეუდგა. მშენებლობა ორ წელიწადში დასრულდა. მთავარმა ღვთისმშობლის ხატი, პატიოსანი თვლებითა და ოქრო-ვერცხლით გამშვენებული მოჭედილობით შეამოსვინა. სიწმინდე ვლადიმირის ღვთისმშობლის მიძინების სახელზე ნაკურთხ ტაძარში დააბრძანეს. ამ დროიდან ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი ვლადიმირისად იწოდება. ■

„ხატებით ვაჭრობა — ქველმოქმედება თუ კონტრაბანდა“

„გზის“ №43-ში (23-29 ოქტომბერი), რუბრიკით „ავ-კარგი“ გამოქვეყნდა წერილი — „ხატებით ვაჭრობა — ქველმოქმედება თუ კონტრაბანდა“, რომელშიც ერთ-ერთი რესპონდენტი, 20 წლის გიორგი ჯაფარიძე ირწმუნებოდა, რომ ხატებით ვაჭრობს და ამონაგები თანხა თელავის ობოლ და მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა სახლში მიაქვს, სადაც თავადაც ცხოვრობს. ჟურნალისტის კითხვაზე, — ამით კარგი შემოსავალი თუ გაქვსო? — გიორგიმ უპასუხა: „წელიწადში, საერთო ჯამში, 4.000-5.000 ლარამდე გროვდება. 100 გაყიდული ხატიდან 5 ლარი მრჩება, მაგრამ არაფერი მინდა, ვალდებული ვარ, ვიშრომო და ბავშვთა სახლს დავეხმარო. ჩემ მიერ ნაშოვნი ფული, ბუნებრივია, მეც მხმარდება... ჩვენი დირექტორი გია რაზმაძეა, მაგრამ ექიმი დათა კიზირიაც დირექტორის „პონტშია“. სწორედ ეს უკანასკნელია ჩვენი სპონსორი — ყოველთვიურად, ბავშვთა სახლს 2.000-3.000 ლარს ურიცხავს“.

აღნიშნული პუბლიკაციის საპასუხოდ, რედაქციამ თელავიდან მიიღო წერილი, რომელსაც მცირედი შემოკლებით ვაქვეყნებთ:

„თელავის ობოლ და მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების დირექცია გაცნობებთ, რომ სტატიაში „ხატებით ვაჭრობა — ქველმოქმედება თუ კონტრაბანდა“ მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს არ შეესაბამება.

გიორგი ჯაფარიძეს არასოდეს უცხოვრია და უსწავლია თელავის სააღმზრდელო დაწესებულებაში და არც არანაირი შემოწირულობა არ გაუკეთებია.

თელავის ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში ცხოვრობენ 6-დან 18 წლამდე ასაკის აღსაზრდელები, რაც შეეხება ინსტიტუციაში ოჯახების ცხოვრებას, არ შეესაბამება სინამდვილეს.

სტატიაში აღნიშნული დირექტორი — გია რაზმაძე და ექიმი — დათა კიზირია ჩვენთვის უცნობი პიროვნებები არიან, მათ არასდროს უმუშავიათ თელავის სააღმზრდელო დაწესებულებაში.

პატივისცემით,

თელავის ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორი — ***ა. აივაზაშვილი“.***

სამწუხაროა, რომ ჩვენდა უნებურად, შეცდომაში შეგვიყვანეს, რისთვისაც თელავის სააღმზრდელო დაწესებულებასაც და მკითხველსაც ბოდიშს ვუხდით. ჩვენი განზრახვა — მხოლოდ აქტუალური პრობლემის გაშუქება და მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენებისთვის საზოგადოების ყურადღების მიპყრობა გახლდათ. ■

50Cent გელა ბაბლუანის ფილმის რიმეიქში ითამაშებს



რეპერი 50Cent კინემატოგრაფიის სამყაროს კიდევ ერთხელ დაუბრუნდება. ცნობილი გახდა, რომ მუსიკოსი მოლაპარაკებას აწარმოებს რეჟისორ გელა ბაბლუანის მიერ 2005 წელს გადაღებული საკულტო ფილმის — „13" რიმეიქში მონაწილეობის თაობაზე. ჩვენი თანამემამულის მიერ საფრანგეთში გადაღებული გახმაურებული ფილმის „13 Tzameti" მთავარი გმირი, ახალგაზრდა კაცი სახიფათო თამაშში ჩაება, სადაც ფსონი — მოთამაშეთა სიცოცხლეა, მთავარმა გმირმა აუცილებლად უნდა მოიგოს, რადგან დამარცხების საფასური მისი სიცოცხლეა. ფილმი კრიმინალური ტრილერის ჟანრს მიეკუთვნება. ■



ლინდსი ლოხანი ლესბოსელი არ არის?!

პოპულარული ამერიკელი მსახიობი ლინდსი ლოხანი უკვე რამდენიმე თვეა, რაც დიჯეი სამანტა რონსონს ხვდება, მაგრამ ეს კავშირი ხელს არ უშლის, რომ საქვეყნოდ განაცხადოს: „მე ლესბოსელი არ ვარ!" „ლინდსი სრულიად დარწმუნებულია, რომ იგი ლესბოსელი არ არის; მას მამაკაცებიც მოსწონს, სამანტა კი პირველი გოგონაა, რომელმაც ლინდსი მოხიბლა. თუ სამანტასთან ურთიერთობას ვერ ააწყობს, ბიჭებს დაუბრუნდება. ახლაც კი, როდესაც საზოგადოებაში სამანტასთან ერთად ჩნდება, ბიჭებს ეკეკლუცება ხოლმე", — ამბობენ 22 წლის ვარსკვლავის მეგობრები. ■

მაიამიში 80 წლის ჯერარდ დამიანო გარდაიცვალა

BBC News იუწყება, რომ მაიამიში 80 წლის ასაკში გარდაიცვალა საკულტო პორნოფილმის — Deer Throat რეჟისორი ჯერარდ დამიანო. 1972 წელს გადაღებული ფილმი, რომლის ბიუჯეტი მხოლოდ 25.000 დოლარი იყო, პირველი პორნოფილმია, რომელიც კინოთეატრების გაქირავებაში გამოვიდა. სხვადასხვა მონაცემით, სურათის შემოსავალმა ასიდან ექვსასამდე მილიონი დოლარი შეადგინა! ამ მონაცემის თანახმად, ეს სურათი ყველა დროის ყველაზე მომგებიან ფილმად არის აღიარებული. თავად დამიანო სურათს უფერულ, საშუალო დონის ნაწარმოებად მიიჩნევდა. მოგვიანებით, სხვადასხვა რეჟისორის მიერ სურათის 5 გაგრძელება შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ ჯერარდ დამიანომ გახმაურებული ფილმი 6 დღეში გადაიღო. სურათმა განსაკუთრებული პოპულარობა ორალური სექსის ტექნიკის წყალობით მოიპოვა, რომელიც 2002 წელს საავტომობილო კატასტროფაში დაღუპულმა პორნოვარსკვლავმა ლინდა ლავლეისმა აჩვენა. დამიანოს ცნობილი სურათი ამერიკის დიდ ეკრანებზე 2005 წელს ხელახლა უჩვენეს. პარალელურად, გაქირავებაში გამოვიდა დოკუმენტური ფილმი, რომელიც მაყურებელს დამიანოს ფილმის შექმნის ისტორიას მოუთხრობდა. ■

შირლი მენსონი – „ყველაზე მოხდენილი პერსონა"

გლაზგოში Scottish Style Awards დაჯილდოების ცერემონიაზე „შოტლანდიის ყველაზე მოხდენილ ქალად" ამერიკული ჯგუფის — Garbage ფრონტვუმენი შირლი მენსონი აღიარეს. ეფექტური სასცენო კოსტიუმებით სახელგანთქმულმა 42 წლის შემსრულებელმა ამ კატეგორიაში ისეთი კონკურენტები დაამარცხა, როგორებიც არიან: მსახიობი კელი მაკდონალდი და ჯგუფის — Travis ბასისტ დუგი პეინის მეუღლე. თავად პეინი „ყველაზე მოხდენილი მამაკაცის" ნომინაციაზე იყო



წარდგენილი, მაგრამ ეს ტიტული საბოლოოდ სცენარისტმა და რეჟისორმა რიჩარდ ჯობსონმა დაისაკუთრა. „შოტლანდიური მუსიკალური ბიზნესის ყველაზე მოხდენილ პერსონად" ერთხმად აღიარეს ჯგუფის — Texas ვოკალისტი შარლინ სპიტერი. ამ წოდებაზე პრეტენზიას აცხადებდნენ: ცნობილი პროდიუსერი და მუსიკოსი მარკ ჰერისი და ჯგუფის — Primal Scream ლიდერი ბობი გილესპი. „შოტლანდის საუკეთესო დიზაინერის" წოდება გლაზგოელმა დერიკ უოლკერმა დაისაკუთრა. Scottish Style Awards დაჯილდოების ცერემონია 2005 წლიდან ტარდება. ცერემონიის პრემიები შოტლანდიის საუკეთესო მოდელიერებს, სტილისტებსა და შოუბიზნესის სამყაროს ყველაზე მოხდენილ პერსონებს გადაეცემათ. ■

რუბრიკა მოამზადა
ნატო მანჯავიძემ

„სიტროენის“ მცირელიტრაჟიანი სიახლე

კომპანია „სიტროენმა“ ქალაქის მცირელიტრაჟიანი მანქანის — C1 განახლებული ვერსია წარმოადგინა. მისი გაყიდვა ევროპაში მიმდინარე ნოემბერში დაიწყება. რესტაილინგის შედეგად, ამ ავტომობილს ძარას წინა ნაწილის ახალი ფორმა შესძინეს, რომელიც შარშანდელი კონცეპტ-ავტოს — Citroen C-Cactus — სტილშია გადაწყვეტილი. ავტომობილს აგრეთვე ახალი წინა ბამპერი და ორიგინალურად შესრულებული, ბურუსის საწინააღმდეგო მაშუქები აქვს. გარდა ამისა, ევროპაში Citroen C1 კიდევ ერთი, ძალზე მდიდარი კომპლექტაციით იქნება ხელმისაწვდომი. ესაა ტყავით გაწყობილი სალონი და საბაზო მოწყობილობათა გაფართოებული ჩამონათვალი, რომელშიც კონდიციონერი, მაგნიტოლა, მსუბუქი შენადნობისგან დამზადებული საბორბლე დისკები, აგრეთვე — ტყავგადაკრული საჭე და გადაცემათა გადართვის ბერკეტი შედის. ტექნიკური თვალსაზრისით, C1 არ შეცვლილა და კვლავაც ორი მოტორითაა დაკომპლექტებული — 1-ლიტრიანი, 68 ცხ.ძ-ის სიმძლავრის ბენზინის და 54 ცხ.ძ-ის ტურბოდიზელით. ევროპაში ყველაზე ხელმისაწვდომი ჰეჩბეკის — Citroen C1 8.850, ხოლო ყველაზე ძვირად ღირებული — 12.750 ევრო ეღირება. ■



INFINITI-მ ახალი კაბრიოლეტის გაყიდვა დაიწყო

კომპანია „ინფინიტიმ“ სადღესასწაულო კატალოგის — Bloomingangdale's საშუალებით, G37 Convertible-ის მარკის 199 ახალი კაბრიოლეტის პირველი პარტიის გაყიდვა გადაწყვიტა. G37 Convertible Premier Edition-ის სახელით ცნობილ სიახლეზე შეკვეთებს 10 ნოემბრიდან მიიღებენ — Infiniti-ს ამერიკული დილერების ბაზებზე ამ მოდელის გამოჩენამდე რამდენიმე თვით ადრე. 199-ვე კაბრიოლეტის სალონი ხელით დამუშავებული ხითა და წითელი ტყავით იქნება გაფორმებული. მას ექნება აგრეთვე რადიატორის ორიგინალური ცხაური და 19-დუიმიანი საბორბლე დისკები. ჯერ არ არის ცნობილი ის, თუ რამდენი ეღირება კაბრიოლეტი. შეგახსენებთ, რომ 330 ცხ.ძ. სიმძლავრის, V6 ტიპის ძრავით აღჭურვილი ახალი კაბრიოლეტის დებიუტი 19 ნოემბერს ლოს-ანჯელესის მოტორშოუზე შედგება. ამის შემდეგ, რამდენიმე მანქანას „ბლუმინგდეილის“ ოთხ სავაჭრო ცენტრში გაგზავნიან, სადაც ახალი მოდელის რეკლამირება 10 დეკემბრიდან 2009 წლის 10 იანვრამდე გაგრძელდება. ფართო სარეალიზაციო ქსელში Infiniti G37 Convertible-ს (უკვე დამატების — Premier Edition — გარეშე) მომავალი წლის გაზაფხულიდან გაიტანენ. ■

სამი ატელიე Dodge Challenger-ს სხვადასხვა ვერსიით წარმოადგენს





ლას-ვეგასში გამართულ ტიუნინგირებული ავტომობილების გამოფენაზე — SEMA სამი ატელიე ამ მოდელის თავახდილი როდსტერების სხვადასხვა ვერსიას წარმოადგენს. ყველაზე გვიან თავისი განზრახვის შესახებ ფირმამ — Group Five Limited — განაცხადა, რომელმაც კაბრიოლეტის ბაზისთვის, ყველაზე მძლავრი სერიული მოდელი — SRT8 აირჩია. გამოქვეყნებული ესკიზების მიხედვით, ჯერ უცნობია, ატელიემ მართლა თქვა თუ არა უარი უკანა სავარძლებზე, რადგან ისინი სპეციალური ტყავითაა დაფარული. სერიული ვერსიისგან მანქანა ბამპერით, კაპოტზე დაყენებული ცხაურით, აგრეთვე — შეცვლილი უკანა ბამპერით, ახალი ფორმის გამონაბოლქვის მილებითა და დიოდური მაშუქებით განსხვავდება. უფრო ადრე თავისი სიახლის ანონსირება კომპანიამ — Newport Convertible Engineering განახორციელა, როდესაც კაბრიოლეტის — Dodge Challenger რამდენიმე ახალი ფოტო წარმოადგინა. სურათებიდან ჩანს, რომ სპორტავტოს რბილი სახურავი აქვს. გარდა ამისა, მან ყველა სავარძელი შეინარჩუნა. ინფორმაციის გაცემის მხრივ ყველაზე ხელგაშლილი — ფლორიდული ტიუნინგკომპანია Coach Builders Limited აღმოჩნდა, რომელმაც კაბრიოლეტის რეალური მოდელის ფოტოები გაავრცელა. უკვე ნოემბრის მეორე ნახევრიდან ნებისმიერ ამერიკელს შეეძლება გადაიხადოს 16 ათასი დოლარი Dodge Challenger-ის კაბრიოლეტად — Dodge Challenger გადაკეთებაში, რომელსაც 560 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავა ექნება. ამგვარად, ჯამში, იგი 58 ათასი დოლარი ეღირება. კლიენტებს დამატებითი გადასახადის საფასურად აგრეთვე, ინტერიერის, საბორბლე დისკებისა და სალტეების შეცვლა შეეძლებათ. შეგახსენებთ, რომ თვით კომპანია „დოჯს“ ჯერაც არ გადაუწყვეტია, შექმნას თუ არა სპორტავტოს — Challenger ღია ვერსია. ამჟამად ამერიკაში სამი მოდიფიკაცია იყიდება და სამივეს ძარას კუპე წარმოადგენს. ■

 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	I ეგზ. ფასი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო
ელვა

ქ. თბილისი
ითსებაძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. რევოლვერი; 2. ზვიგენი; 3. ლამბი; 4. ევროპა; 5. ბრაილი; 6. მეგემონია; 7. ნორმა; 8. გემო; 9. ეპიტაფია; 10. ალაბამა; 11. ვარანი; 12. შლანგი; 13. კოცონი; 14. ფიდე; 15. ეპილაცია; 16. ლავაში; 17. და; 18. კოვბოი; 19. ცილა; 20. ლიმონათი; 21. ესპანეთი; 22. კეკე; 23. ირა; 24. ელვა; 25. ბარდა; 26. სასკია; 27. ანაფორა; 28. ნამჯა; 29. ანძა; 30. ნამიბია; 31. ფარვანა; 32. ლაბაძე; 33. ტოფობა; 34. თათქარიძე; 35. აფრა; 36. ტოკაი; 37. პანაცეა.

სურათებზე: რიჰანა; ლენი კრავიცი.

ოჯახის მამა და მისი აღმზრდელობითი პოზიცია

ჩვეულებრივ, ბავშვის აღზრდას ქალის საქმედ მიიჩნევენ, მაგრამ ფსიქოლოგები გვაფრთხილებენ: მამის როლის არასათანადო შეფასებას, შესაძლოა, ბავშვის ფსიქიკის დამახინჯება მოჰყვეს — რაც მის არასწორ პიროვნულ განვითარებას გამოიწვევს. მამის ზეგავლენას შვილებზე, თავისთავად ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ რამდენად ეფექტურია ეს ზეგავლენა, ხელს უწყობს თუ არა ის ბავშვის სრულყოფილ განვითარებას და ოჯახში ჰარმონიული ურთიერთობის დამკვიდრებას — ყოველივე ეს, ძირითადად, დამოკიდებულია იმ აღმზრდელობით პოზიციაზე, რომელიც ოჯახის უფროსს უჭირავს. გთავაზობთ, მამებისთვის განკუთვნილ ტესტს, რომელიც შედგება მოსაზრებებისგან, რომლის მიმართაც თქვენ საკუთარი დამოკიდებულება უნდა გამოხატოთ: ვეთანხმები (2 ქულა); მხოლოდ ნაწილობრივ ვეთანხმები (1 ქულა); არ ვეთანხმები (0 ქულა).

1. მამა უკეთ უმკლავდება წამოზრდილ შვილებს, ვიდრე პატარებს;
2. მშობლების გაყრის შემთხვევაში, შვილები დედასთან უნდა დარჩნენ.
3. კარგი მეუღლე, ჩვეულებრივ, კარგი მამაცაა.
4. მამაკაცს არ შეჰფერის თავისი გრძნობების გულახდილად გამომჟღავნება.
5. აღმზრდელობით საკითხებში მამის აზრი — გადამწყვეტია.
6. ჩვეულებრივ, ბავშვის დაბადების შემდეგ, ცოლი შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობს ქმარს.
7. უმჯობესია, ბავშვები უმამოდ იზრდებოდნენ, ვიდრე ცუდი მამის ატანა უხდებოდეთ.
8. ვინაიდან მიჩნეულია, რომ ქალი — უკეთესი აღმზრდელია, ვიდრე მამაკაცი, უმჯობესი იქნება, თუ შვილების აღზრდას სწორედ დედა მოჰკიდებს ხელს.
9. თუკი ბავშვი რაღაცის გაკეთებას ვერ ახერხებს, მან დასახმარებლოად ყოველთვის დედას უნდა მიმართოს.
10. რაც უფრო ძლიერია მშობლის შვილისადმი სიყვარული, მით უფრო იოლია მისი აღზრდა.
11. მამა მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერიოს შვილის აღზრდაში, როცა ამის თაობაზე მას ცოლი მიმართავს.
12. მშობლების გაყრის შედეგად დედასთან დარჩენილი ბავშვი არ განიცდის უმამობას.
13. ჩვეულებისამებრ, დედები ძალზე ანებივრებენ შვილებს.
14. სასურველია, რომ ოჯახის უფროსმა შვებულება საკუთარ ოჯახთან ერთად გაატაროს.
15. პატარაობიდანვე ბიჭს სხვანაირი აღზრდა სჭირდება, ვიდრე გოგონას.
16. ზოგიერთ ბავშვს ურჩევნია დრო მამასთან გაატაროს, ვიდრე დედასთან.
17. ხშირად გეუფლებათ ისეთი შეგრძნება, თითქოსდა ცოლისათვის შვილი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თქვენ.
18. აღზრდასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სფეროში თქვენ სულ თავისუფლად შეგიძლიათ ცოლის შეცვლა.
19. შვილი უფრო დიდ პატივს უნდა სცემდეს მამას, ვიდრე დედას.
20. თქვენი და თქვენი შვილების ურთიერთობაში ცოლი ყოველთვის ერევა.
21. თუკი ამის სურვილი გაუჩნდება, მამას ისევე კარგად შეუძლია ჩვილის მოვლა, როგორც დედას.
22. მამის ზეგავლენა უფრო მნიშვნელოვანია ვაჟიშვილისთვის, ვიდრე ქალიშვილისთვის.
23. ცოლი სრულიად ვერ აღგიქვამთ თქვენ სერიოზულ აღმზრდელად.
24. ბევრად უფრო იოლია ბავშვის აღზრდა, როცა ოჯახში ბებიაც ცხოვრობს.

დააჯამეთ ქულები

ტესტში გამოყოფილია პასუხების 3 ჯგუფი. I ჯგუფში შედის პასუხები: 1, 4, 5, 12, 13, 15, 19, 22; II ჯგუფში — 2, 6, 8, 9, 11, 17, 20, 23; III ჯგუფში — 3, 7, 10, 14, 16, 18, 21, 24. ყოველი ჯგუფი შეესაბამება თითოეულ ტიპს. რომელ ჯგუფშიც თქვენ ყველაზე მეტი ქულა დააგროვეთ, სწორედ იმ ტიპს განეკუთვნებით.

I — ტრადიციული ტიპი

მამა — ოჯახის თავია, რომელსაც გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის ნებისმიერ საკითხში — მათ შორის, აღმზრდელობით საკითხშიც. ის საკმაოდ ეკაცრია, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დისციპლინას და შვილებისგანაც მთელი რიგი მოვალეობების შესრულებას მოითხოვს, მაგრამ პრინციპში, ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ მამასა და შვილებს შორის არ სუფევს გულითადი, გულწრფელი ურთიერთობები. შვილები თავშეკავებით იქცევიან მამასთან, რადგან გრძნობენ, რომ მათი სურვილებისა და ინტერესების მას არ ესმის.

II — თანამედროვე ტიპი

მისთვის შვილებთან ურთიერთობა და მათზე ზრუნვა, სრულიად ნორმალური და ბუნებრივი რამაა. მიუხედავად იმისა, რომ მას არ აქვს ბევრი თავისუფალი დრო, ის შვილებს მაინც საკმარის დროს უთმობს. ასეთი მამა შვილებთან საკუთარი გრძნობების გამომჟღავნებას არ ერიდება. სხვათა შორის, ურთიერთგაგება არა მარტო წამოზრდილ შვილებსა და მათ შორის მყარდება, არამედ ის პატარებზედაც სათანადოდ ახერხებს ზრუნვას. შვილები აღმერთებენ მას.

III — ოჯახის კეთილდღეობის უზრუნველყოფით შეპყრობილი ტიპი

ამ ტიპის მამაკაცს, მთელი აქცენტი ოჯახის კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე გადააქვს და შვილების აღზრდის საკითხში სრულ თავისუფლებას აძლევს ცოლს. ვინაიდან მიიჩნევს, რომ ის ამ ასპარეზზე ცოლის შეცვლას მაინც ვერ მოახერხებს. მით უმეტეს, რომ ის, გამუდმებით ძალზე დაკავებულია საქმეებით. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ გარკვეული ხნის შემდეგ, შვილებს მამისადმი გაუცხოების გრძნობა ეუფლებათ. ასეთ შემთხვევაში, ბევრი რამ დამოკიდებულია ცოლზე, რომელიც უფრო ჰარმონიული ოჯახური ურთიერთობების დამყარებას შეძლებს, თუკი ქმარს აღმზრდელობით საკითხებში ნდობას გამოუცხადებს.

ჰოროსკოპი

(6 – 12 ნოემბერი)

ვერძი

იმისათვის, რომ დანაკარგი არ განიცადოთ, არ აჰყვეთ ინტრიგებს და გულში წყენა არ ჩაიდოთ. გაუფრთხილდით თავს, რადგან არსებობს ტრავმების, დამწვრობისა და მოწამვლის ალბათობა.

ხუცური

ამ პერიოდში არსებობს უეცრად დაქორწინების ან პარტნიორთან დაშორების ალბათობა. საქმიან სფეროში ნებისმიერი წამოწყება ფინანსურ კეთილდღეობას გპირდებათ.

ტყუპები

დადებითად გადაწყდება ფინანსებთან დაკავშირებული საქმეები, თუმცა სიფრთხილე გმართებთ, რომ ინტრიგებმა და კრიტიკამ ჯანმრთელობა არ შეგირყიოთ.

კიბო

ფინანსური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ. მიუხედავად ამისა, ბავშვებთან და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა შესაძლოა დაგეძაბოთ. ერიდეთ მაქინაციებსა და აზარტულ თამაშებს.

ლომი

ამ პერიოდში კრედიტების აღება სასურველი არაა. შესაძლოა, საყვარელ ადამიანთან ან მეუღლეთან ეჭვიანობის ან ტყუილის ნიადაგზე კამათი მოგივიდეთ.

ქალწული

მოერიდეთ ალკოჰოლსა და გამაბრუებელ საშუალებებს. მშობლებთან და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას მაქსიმალურად ტაქტიანი იყავით, რათა თავიდან აირიდოთ ჩხუბი.

სასწორი

გაგიჭირდებათ ფანტაზიის ხორცშესხმა, თუმცა ამის გამო ნურც ალკოჰოლს მიეძალებით და ნურც წამლებს, ამან შეიძლება ალეგორიული შეტევა გამოიწვიოს. არ არის გამორიცხული, ფინანსურმა მაქინაციებმა, პრობლემების წინაშე დაგაყენოთ.

ბრიჟიტა

პირად და სასიყვარულო ურთიერთობებში ერიდეთ ამბიციურობასა და ეჭვიანობას, რათა არ დაკარგოთ ის, რაც დიდი ტკივილით მოიპოვეთ. საქმეებში წინდახედულება და მოთმინება გმართებთ.

ჭეშმარიტებანი

საკუთარ თავში გარკვევისას გარშემო მყოფებთან ურთიერთობაზე უარს ნუ იტყვით. ეცადეთ, საქმეებში გამოცდილი ხალხისგან მიიღოთ დახმარება.

თხის რქა

მოზღვავებული ენერგიის წყალობით ადვილად დაიკავებთ არაფორმალური ლიდერის პოზიციებს და ჩანაფიქრების რეალიზებას მოახერხებთ. ეცადეთ, სხვისი კაპიტალი საკუთარი მიზნებისთვის არ გამოიყენოთ.

ბეჭედი

ამ პერიოდში მოგეძალებთ როგორც ამპარტავნება და დიპლომატიურობა, ისე ეგოიზმი და აგრესიულობა. მიზნის მისაღწევად ყველა გზას ნუ გამოიყენებთ.

თევზები

კარგი დროა საზღვარგარეთ გასამგზავრებლად. შესაძლოა, დაფიქრდეთ არსებულ სასიყვარულო ურთიერთობაზეც და ყველაფერი ხელახლა დაიწყოთ.

სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

7	4	6	8	1	5	9	2	3
8	5	3	7	9	2	1	6	4
1	9	2	4	6	3	5	7	8
3	6	9	2	5	1	4	8	7
4	8	5	3	7	9	6	1	2
2	7	1	6	8	4	3	9	5
5	2	8	9	4	6	7	3	1
9	3	4	1	2	7	8	5	6
6	1	7	5	3	8	2	4	9

1	7	8	2	3	6	5	9	4
9	3	4	5	1	7	2	8	6
6	5	2	8	4	9	7	3	1
4	8	3	6	2	5	1	7	9
2	9	6	1	7	8	3	4	5
7	1	5	4	9	3	6	2	8
8	4	1	3	6	2	9	5	7
3	6	9	7	5	4	8	1	2
5	2	7	9	8	1	4	6	3

4	6	8	2	9	1	3	5	7
3	2	7	6	5	4	1	9	8
5	1	9	3	8	7	4	6	2
9	5	3	1	4	2	7	8	6
2	8	4	7	6	5	9	1	3
6	7	1	8	3	9	2	4	5
8	4	2	9	7	6	5	3	1
7	9	6	5	1	3	8	2	4
1	3	5	4	2	8	6	7	9

იაპონური სენსაცია

მარტივი

7				6			8	
	6		2			5		9
		9			1	4		
		7		5				8
		6		1	9	7		
2					8	9		
		4	1			6		
5		2			6		3	
	3			2				5

საშუალო

		4		7			1	
					2	4		
		2			8		6	
	3			4				9
6					5			7
2				6	7		8	
	7		5			3		
		5	7					
	2			8		9		

რთული

	1			8				3
	9			5				
2			7					6
	8				3			1
		2	6	7		3		
3			4				6	
5					1			9
				4			3	
7				6			4	

ფოტოკუთხეები



საბა ◻ SABA

პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ლიმალელი — გურამიშვილი

PASCHA

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

ბინები 65 m^2 - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე - ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

სიახლე!!! ხელშეკრულება გატარდება სახელმწიფო რეესტრში